ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანათური

8

თბილისი
1946

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მნათობი

სრულიად-საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სახელოვნო და საზოგადოებრივ-საპოლიტიკო
ჟურნალი

4553

წელიწადი ოცდამესამე

8

19 — აგვისტო — 46
სახელგამი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია

აბაშიძე ირაკლი
ასათიანი ლევან
გამსახურდია კონსტანტინე
კალაძე კარლო
მაშაშვილი ალიო (პ/მგ. რედაქტორი)
მოსაშვილი ილო
ტაბიძე გალაკტიონი
ჭიაჩელი ლეო
შენგელაია დემნა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/X-46 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10½. უე 09607.
შეკვეთის № 1309. ტირაჟი 5000.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქ. № 13, მწერალთა კავშირი, ტელ. 3-04-64.
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიისა და გამომცემლობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი. თბილისი, ეორესის ქ. № 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ შესახებ

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 14 აგვისტოს დადგენილებიდან

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ ლენინგრადში გამომავალი ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალები „ზვეზდა“ და „ლენინგრადი“ სრულიად არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ.

ჟურნალ „ზვეზდაში“ უკანასკნელ ხანს, საბჭოთა მწერლების მნიშვნელოვან და კარგ ნაწარმოებებთან ერთად, გამოჩნდა მრავალი უიდეო, იდეოლოგიურად მავნე ნაწარმოები. „ზვეზდის“ უხეში შეცდომაა ის, რომ მან ლიტერატურული ტრიბუნა დაუთმო მწერალ ზოშჩენკოს, რომლის ნაწარმოებები უცხოა საბჭოთა ლიტერატურისათვის. „ზვეზდის“ რედაქციისათვის ცნობილია, რომ ზოშჩენკომ დიდიხანია სპეციალობად გაიხადა უნიათო, უშინაარსო და უხამს ნაწარმოებთა წერა, დამპალი უიდეობის, უხამსობისა და აპოლიტიკურობის ქადაგება, რომლებიც იმისათვის არის ნავარაუდევი, რომ შოახდინოს ჩვენი ახალგაზრდობის დეზორიენტირება და მოაწამლოს მას შეგნება. ზოშჩენკოს უკანასკნელი გამოქვეყნებული მოთხრობა „მაიმუნის თავგადასავალი“ („ზვეზდა“ № 5-6, 1946 წ.) წარმოადგენს უხამს პასკვილს საბჭოთა ყოფა-ცხოვრებასა და საბჭოთა ადამიანებზე. ზოშჩენკო საბჭოთა წესწყობილებასა და საბჭოთა ადამიანებს ხატავს მახინჯი კარიკატურული ფორმით, საბჭოთა ადამიანებს იგი ცილისმწამებლურად წარმოგვიდგენს პრიმიტიულ, ნაკლებ კულტურულ, რეგვენ, ობივატელური გემოვნებისა და ხეჭ-ჩვეულების ადამიანებად. ზოშჩენკოს მიერ ჩვენი სინამდვილის ბოროტ ხულიგნურ ასახვას თან ერთვის ანტისაბჭოთა გამოლაშქრებანი.

„ზვეზდის“ ფურცლების დათმობა ისეთი უხამსი ადამიანებისა და ლიტერატურის ნაძირალებისათვის, როგორიც ზოშჩენკოა, მით უფრო დაუშვებელია, რომ „ზვეზდის“ რედაქციისათვის კარგად არის ცნობილი ზოშჩენკოს ფიზიონომია და მისი უღირსი ქცევა ომის დროს, როცა ზოშჩენკომ, რომელიც არაფრით არ ეხმარებოდა საბჭოთა ხალხს მის ბრძოლაში გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ, დასწერა ისეთი საზიზღარი რამ, როგორიც არის „მზის ამოსვლის წინ“, რომლის შეფასება, ისევე, როგორც ზოშჩენკოს მთელი ლიტერატურული „შემოქმედების“ შეფასებაც, მოცემული იყო ჟურნალ „ბოლშევიკის“ ფურცლებზე.

ჟურნალი „ზვეზდა“ აგრეთვე ყოველნაირად უწევს პოპულარიზაციას მწერალ ახმატოვას ნაწარმოებებს, რომლის ლიტერატურული და საზოგადო-

ებრივ-პოლიტიკური ფიზიონომია დიდი ხანია ცნობილია საბჭოთა საზოგადოებრიობისათვის. ახმატოვა ტიპიური წარმომადგენელია უშინაარსო, ფიდეო პოეზიისა, რომელიც უცხოა ჩვენი ხალხისათვის. პესიმიზმისა და დაცემულობის სულისკვეთებით გამსჭვალული მისი ლექსები, რომლებიც ბურჟუაზიულ-არისტოკრატული ესტეტობისა და დეკადენტობის პოზიციებზე გაყინული ძველი სალონური პოეზიის—„ხელოვნება ხელოვნებისათვის“ — გემოვნებას გამოხატავენ, პოეზიისა, რომელსაც არ სურს თავისი ხალხის მხარდამხარ იაროს, ზიანს აყენებენ ჩვენი ახალგაზრდობის აღზრდის საქმეს და შეუწყნარებელი არიან საბჭოთა ლიტერატურაში.

ზოშჩენკოსა და ახმატოვასათვის ჟურნალში აქტიური როლის დათმობამ, უეჭველია, იდეური დაბნეულობისა და დეზორგანიზაციის ელემენტები შეიტანა ლენინგრადელ მწერლებში. ჟურნალში დაიწყო ისეთ ნაწარმოებთა ბეჭდვა, რომლებიც ნერგავენ დასავლეთის თანამედროვე ბურჟუაზიული კულტურის წინაშე საბჭოთა ადამიანებისათვის უჩვეულო ქედმოხრის სულისკვეთებას. დაიწყო გამოქვეყნება სევდით, პესიმიზმითა და ცხოვრებაზე გულგატეხილობით გამსჭვალული ნაწარმოებისა (სადოფიევისა და კომისაროვას ლექსები 1946 წლის № 1-ში და სხვ.). ამ ნაწარმოებთა მოთავსებით რედაქციამ გააღრმავა თავისი შეცდომები და კიდევ უფრო დააქვეითა ჟურნალის იდეური დონე.

ჟურნალში იდეურად უცხო ნაწარმოებთა გამოქვეყნებით რედაქციამ აგრეთვე შეასუსტა მომთხოვნელობა დასაბეჭდი ლიტერატურული მასალის მხატვრული ღირსებებისადმი. დაიწყო ჟურნალის გავსება ნაკლებმხატვრული პიესებითა და მოთხრობებით (იაგდფელდის „დროების გზა“, შტეინის „გედის ტბა“ და სხვ.). დასაბეჭდი მასალების შერჩევაში ასეთმა განურჩევლობამ გამოიწვია ჟურნალის მხატვრული დონის დაქვეითება.

ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ განსაკუთრებით ცუდად მუშაობს ჟურნალი „ლენინგრადი“, რომელიც მუდამ უთმობდა თავის ფურცლებს ზოშჩენკოს უხამს და ცილისმწამებლურ გამოსვლებს, ახმატოვას უშინაარსო და აპოლიტიკურ ლექსებს. როგორც „ზვეზდის“ რედაქციამ, ისე ჟურნალ „ლენინგრადის“ რედაქციამაც დიდი შეცდომები დაუშვა, როცა გამოაქვეყნა ყოველივე უცხოურის წინაშე ქედმოხრის სულისკვეთებით გამსჭვალული მთელი რიგი ნაწარმოებები. ჟურნალმა დაბეჭდა მთელი რიგი მცდარი ნაწარმოებები (ვარშავსკისა და რესტის „შემთხვევა ბერლინის თავზე“, სლონიმსკის „საგუშაგოზე“). ხაზინის ლექსში „ონეგინის დაბრუნება“ ლიტერატურული პაროდიის სახით მოცემულია ცილისწამება თანამედროვე ლენინგრადზე. ჟურნალ „ლენინგრადში“ იბეჭდება უმთავრესად უშინაარსო, დაბალი ხარისხის ლიტერატურული მასალები.

როგორ მოხდა, რომ ჟურნალებმა „ზვეზდამ“ და „ლენინგრადმა“, რომლებიც გამოდიან ლენინგრადში, გმირ ქალაქში, რომელიც ცნობილია თავისი მოწინავე რევოლუციური ტრადიციებით, ქალაქში, რომელიც მუდამ მოწინავე იდეებისა და მოწინავე კულტურის კერა იყო, დაუშვეს საბჭოთა ლიტერატურისათვის უცხო უიდეობისა და აპოლიტიკურობის გათრევა ჟურნალებში?

რაში მდგომარეობს „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ რედაქციების შეცდომათა აზრი?

ჟურნალების ხელმძღვანელმა მუშაკებმა, და პირველ რიგში მათმა რედაქტორებმა ამხ. საიანოვმა და ლიხარევმა, დაივიწყეს ლენინიზმის ეს დებულება, რომ ჩვენი ჟურნალები, მეცნიერული არიან ისინი თუ მხატვრული, არ შეიძლება აპოლიტიკურები იყვნენ. მათ დაივიწყეს, რომ ჩვენი ჟურნალები საბჭოთა სახელმწიფოს მძლავრი საშუალებაა საბჭოთა ადამიანების — და განსაკუთრებით ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში და ამიტომ უნდა ხელმძღვანელობდნენ იმით, რაც შეადგენს საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძველს,—მისი პოლიტიკით. საბჭოთა წყობილება ვერ მოითმენს ახალგაზრდობის აღზრდას საბჭოთა პოლიტიკისადმი განურჩევლად მიდგომის სულისკვეთებით, უდარდელობისა და უიდეობის სულისკვეთებით.

საბჭოთა ლიტერატურის ძალა, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე ლიტერატურის ძალა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ისეთი ლიტერატურაა, რომელსაც არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს სხვა ინტერესები, გარდა ხალხის ინტერესებისა, სახელმწიფოს ინტერესებისა. საბჭოთა ლიტერატურის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დაეხმაროს სახელმწიფოს ახალგაზრდობის სწორად აღზრდაში, უპასუხოს ახალგაზრდობის საჭიროებას, აღზარდოს მხნე, თავის საქმეში დარწმუნებული ახალი თაობა, რომელსაც არ ეშინია დაბრკოლებებისა და მზად არის გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლება.

ამიტომ ყოველგვარი ქადაგება უიდეობისა, აპოლიტიკურობისა, „ხელოვნებისა ხელოვნებისათვის“ უცხოა საბჭოთა ლიტერატურისათვის, მავნეა საბჭოთა ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებისათვის და მას ადგილი არ უნდა ჰქონდეს ჩვენს ჟურნალებში.

„ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ ხელმძღვანელ მუშაკებს იდეურობა რომ აკლიათ, ამან ისიც გამოიწვია, რომ ამ მუშაკებმა ლიტერატორებთან თავიანთ ურთიერთობას საფუძვლად დაუდეს არა საბჭოთა ადამიანების სწორად აღზრდისა და ლიტერატორთა საქმიანობის პოლიტიკური წარმართვის ინტერესები, არამედ პირადი, მეგობრული ინტერესები. იმის გამო, რომ არ სურდათ წაეხდინათ მეგობრული ურთიერთობა, აჩლუნგებდნენ კრიტიკას. იმის შიშით, რომ არ ეწყენინებინათ მეგობრებისათვის, ბეჭდავდნენ აშკარად უვარგის ნაწარმოებებს. ასეთი ლიბერალიზმი, რომლის დროსაც ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესები, ჩვენი ახალგაზრდობის სწორად აღზრდის ინტერესები მსხვერპლად ეწირება მეგობრულ ურთიერთობას და რომლის დროსაც კრიტიკას ახშობენ, იმას იწვევს, რომ მწერლები აღარ მუშაობენ თავიანთ სრულყოფაზე, ჰკარგავენ ხალხის წინაშე, სახელმწიფოს წინაშე, პარტიის წინაშე თავისი პასუხისმგებლობის შეგნებას, წინ აღარ მიიწევენ.

ყოველივე ზემოთქმული იმას მოწმობს, რომ ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ რედაქციებმა თავი ვერ გაართვეს მათთვის დაკისრებულ საქმეს და ჟურნალების ხელმძღვანელობაში სერიოზული პოლიტიკური შეცდომები დაუშვეს.

ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობამ და, კერძოდ, მისმა თავმჯდომარემ ამხ. ტიხონოვმა არავითარი ზომები არ მიიღეს ჟურნალების „ზვეზდისა“ და „ლენინგრადის“ გასაუმჯობესებლად და არა მარტო არ ეწეოდნენ ბრძოლას საბჭოთა ლიტერატურაზე ზოშჩენკოს, ახმატოვას და მათი მსგავსი არასაბჭოთა მწერლების მავნე გავლენის წინააღმდეგ, არამედ ყურსაც კი უყრუებდნენ ჟურნალებში საბჭოთა ლიტერატურისათვის უცხო ტენდენციებისა და ზნეჩვეულების შეღწევას.

საკავშირო კ. პ. (ბ) ლენინგრადის საქალაქო კომიტეტმა ვერ შენიშნა ჟურნალების უდიდესი შეცდომები, ჩამოშორდა ჟურნალების ხელმძღვანელობას და საბჭოთა ლიტერატურისათვის უცხო, ზოშჩენკოსა და ახმატოვას მსგავს ადამიანებს შესაძლებლობა მისცა ხელმძღვანელი მდგომარეობა [illegible] ნათ ჟურნალებში. უფრო მეტიც, იცოდა რა ზოშჩენკოსა და მისი „[illegible] დებისადმი“ პარტიის დამოკიდებულება, ლენინგრადის საქალაქო კომიტეტმა (ამხ. კაპუსტინი და შიროკოვი) საქალაქო კომიტეტის ა. წ. 26 ივნისის გადწყვეტილებით დაამტკიცა, როდესაც ამის უფლება არა ჰქონდა, ჟურნალ „ზვეზდის“ სარედაქციო კოლეგიის ახალი შემადგენლობა, რომელშიც ზოშჩენკოც იქნა შეყვანილი. ამით ლენინგრადის საქალაქო კომიტეტმა უხეში პოლიტიკური შეცდომა დაუშვა. „ლენინგრადსკაია პრავდამ“ დაუშვა შეცდომა, როცა ა. წ. 6 ივლისის ნომერში მოათავსა იური გერმანის საეჭვო რეცენზია, რომელშიც ქება-დიდებით არის მოხსენებული ზოშჩენკოს შემოქმედება.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის სამმართველომ ვერ უზრუნველჰყო ლენინგრადის ჟურნალების მუშაობის სათანადო კონტროლი.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ადგენს:

1. დაევალოს ჟურნალ „ზვეზდის“ რედაქციას, საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობას და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის სამმართველოს მიიღონ ზომები ჟურნალის იმ შეცდომათა და ნაკლოვანებათა აუცილებლად აღმოფხვრისათვის, რომლებიც ამ დადგენილებაშია აღნიშნული, გამოასწორონ ჟურნალის ხაზი და უზრუნველჰყონ ჟურნალის მაღალი იდეური და მხატვრული დონე, შესწყვიტონ ჟურნალში ზოშჩენკოს, ახმატოვას და მათ მსგავსთა ნაწარმოებების ბეჭდვა.

2. იმის გამო, რომ ლენინგრადში ორი ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალის გამოსაცემად ამჟამად სათანადო პირობები არ არის, შესწყდეს ჟურნალ „ლენინგრადის“ გამოცემა და ლენინგრადის ლიტერატურული ძალები თავმოყრილ იქნან ჟურნალ „ზვეზდის“ გარშემო.

3. ჟურნალ „ზვეზდის“ რედაქციის მუშაობაში სათანადო წესრიგის დამყარებისა და ჟურნალის შინაარსის სერიოზული გაუმჯობესების მიზნით, ჟურნალს ჰყავდეს მთავარი რედაქტორი და მასთან სარედაქციო კოლეგია. დაწესდეს, რომ ჟურნალის მთავარ რედაქტორს ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ჟურნალის იდეურ-პოლიტიკური მიმართულებისა და მასში გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა ხარისხისათვის.

4. ჟურნალ „ზვეზდის“ მთავარ რედაქტორად დამტკიცებულ იქნას ამხ. ა. მ. ეგოლინი, რომელიც ამავე დროს დატოვებულ იქნას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობაზე.

გაზეთი „კულტურა ი ეიზნ“ № 6. 1946 წ. 20 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილო მოსაშვილი

აი, ქართველო, შენი სამშობლო

ხუთ წელს ვიომეთ, ჩაქუჩის ნაცვლად
ხელში ხმალი და თოფი გვეჭირა,
ხუთ წელს ჩაუმქრალ ცეცხლში ვიარეთ,
რომ ჩვენი კერა გადაგვერჩინა.
ხუთ წელს ხუთი ძმა შინ არ ყოფილა,
მუშა—მუშურად, გლეხი—გლეხურად,—
მათ ქვეშ ნელთბილი ნაცარი ეგოთ
და ტანზე ცხელი კვამლი ეხურათ;
მათ ფიცი ჰქონდათ, სამშობლოს ფიცი
გულის ფიცარზე ეწერათ რჯულად,—
რომ ჩვენს მიწაზე მოსული მტერი
მის ბუნაგშივე მოესპოთ სრულად.
ამ ფიცით შეხსნეს ბერლინის კარი,
ამ ფიცს ამბობდნენ სიკვდილის დროსაც
და ძირს არ ხრიდნენ, მზესავით მაღალს,
მარად დაუხრელ სტალინის დროშას!
ხუთ წელს ვიომეთ, განა გვეწადა,—
განა შაშხანა გუთანს გვერჩია,—
განა ძარჯვენა, ომში ნაცადი,
მადლიან შრომას გადაეჩვია!
ომში ვიყავით,—ნამგალს ვნატრობდით,
ტყვიას ვთვლიდით და,—გული გვტკიოდა,
რომ ჩვენს გალეწილს სისხლიან კალოს
ხორბლის მაგიერ ცეცხლი სცვიოდა!
და, აი—მორჩა ომი და სისხლი,
ბოლო მოეღო საქვეყნო დელგმას,
ხუთი წლის ცეცხლი ჩაჰქრა და ხუთწლედს
საძირკვლად ვუდგამთ სტალინურ გეგმას!
სტალინურ გეგმით შევმუსრეთ მტერი,
დღე ხვალინდელი მზესავით მოსჩანს:
გამარჯვებულნი ხუთი წლის თავზეც
კრემლში მივიტანთ სტალინურ დროშას!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამდენი კერა მოშალა მტერმა,
  რამდენგან დადგა ხვავად ნაცარი,
რამდენი უნდა გავაღოთ კარი —
  დაუქმებული ეხლა რაც არი!
რამდენი რკინა უნდა დავადნოთ,
  რამდენი უნდა დავდგათ კედელი,
რომ დაუბრუნდეს მიწას ბარაქა,
  დაზგას ოსტატი და გრდემლს მჭედელი!
დავდგამთ, სად თქმულა — სტალინის ხელმა
  დაამყნოს ნერგი და არ ახაროს, —
რამდენიც გვითხრა, — იმდენ არხს გავხსნით,
  იმდენ ბრძმედსა და იმდენ მაღაროს!
მის ყოველ სიტყვას ქვაში გამოვთლით,
  ფოლადად ვაქცევთ — რაც ერთხელ ითქვა:
ჩვენი ცხოვრების კანონი არის
  ხალხის სიტყვა და სტალინის სიტყვა!
ქართველ კაცს ოფლით მოურწყავს მიწა,
  ამ მიწას სისხლიც ბევრი სდენია,
კვლავაც სამშობლო ქვეყანას მისცემს,
  მას ამ სიცოცხლით რაც დარჩენია.
სამშობლოსათვის ქართველმა დედამ
  ქვეყნის მოვალე ვაჟკაცი ზარდა,
ომში იომა და შინ მოსულსაც
  სხვა გზა არა სწამს სამშობლოს გარდა!
და ეხლა, როცა ხუთწლედის კედლებს
  ქართლის მიწაზე დულაბით ჰკირავს,
იცის, — რომ ბურჯი ბურჯს ემატება
  თეთრი ზღვისა და შავი ზღვის პირას.
იცის, — ქვეყანა ამ გზამ დაიხსნა,
  მიუვალ ციხედ ამ გზამ გახადა:
ის, რაც სტალინის თვალმა განსჭვრიტა,
  ის, რაც სტალინის ხელმა დახატა!
აი სამგორი, ქართველს რამდენი
  შრომა და გარჯა უქმად უქცია,
ივრისოდენა ოფლი შთაუნთქამს
  და ოხვრის მეტი რა მოუცია!
ჰკიოდა ქარი, მიჰქონდა ქვიშა,
  დამწვარი მიწა მიწას არ ჰგავდა
და ძირიანად სთხრიდა ნამქერი,
  რასაც მზრუნველი ხელი დარგავდა.
წყალი სწყურდა დასიცხულ ყამირს,
  ამიტომ იყო დღე-მუდამ მწყურალი,
სტალინმა სთქვა — და სამგორის მიწამ
  უნდა დღეიდან დალიოს წყალი!
დიდხანს უცდიდა რუსთაველიც პატრონს,
  იდგა მდუმარე თბილისის კართან,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მას არ უნახავს მოკეთის ხელი,
  მტრის შემოსეულ ურდოებს გარდა.
არსად უნახავს — რკინის წაძალი
  მიწიდან როგორ მოეონავს მადნად,
მას ახსოვს მხოლოდ მტერთან ბრძოლაში
  რამდენი გმირის მარჯვენა გადნა!
რადგან მტკვრის პირას ნაომარ ფოლადს
  კვლავაც მოელის ფოლადთან ეღერა,
სტალინმა სთქვა და, — ახალი რკინა
  უნდა გაჭედოს ბელადის კერამ!
ეანგმოუდებელ რუსთავის ფოლადს
  რუსთველის ლექსი გაჰყვება მაყრად,
სადაც ქუთათურ ბალნარში ხუთწლედს
  მოაქვს დიდიხნის სახალხო ნატვრა:
მიდის ქართული ურემი ნელა,
  ესაუბრება ურმულით ნიავს,
მოჰქრის ქართული მანქანაც გზაზე
  და ურმის ჩრდილი ქვეყნიდან მიაქვს.
მიაქვს, რაც დარდი უზიდავს სოფელს,
  რა მძიმე ტვირთიც სწოლია გლეხკაცს —
მოვა, წაიღებს, თუ კიდევ სადმე —
  წარსულის ეანგი გვატყვია ეხლაც!
აქედან ვხედავ ხუთწლედის ნაყოფს,
  სართვლოდ მოსულა ხუთი წლის შრომა,
გამრთელებულა ყველა ჭრილობა,
  რაც მოგვაყენა მრისხანე ომმა.
აბრუნებულან ხრამის ბორბლები,
  ველარ უძლებენ ტალღების ღელვას
და აგებენ ფერად შუქურებს
  ჩითახევიდან წამოსულ ელვას!
დაგუბებულა მტკვარიც დიღომთან,
  მესამედ სდგება ქვეყნის წინ მტკვარი,
რომ თბილისს,—ქართლის უტურფეს ქალაქს,
  ირგვლივ გაუღოს სინათლის კარი;
რომ მყინვარებში ნაეურმა წვეთმაც
  არ ჩაუაროს ქართველ კაცს უქმად, —
და როგორც მტკვარმა იდინოს მარად,
  მისთვის დიადმა სინათლის შუქმა!
ხედავთ?—ოქროში სცურავს კოლხიდა,
  ეს რა ბრწყინვალე დილა ეღირსა,
სტალინის მზეს და ბერიას ამაგს
  უთხრას მადლობა ძველმა ეგრისმა!
უთხრას მადლობა ნარინჯის ხვავმა,
  უთხრან დოვლათით სავსე ბაღებმა,
სხვას ვის შეეძლო ამ მადლის შოვნა
  და ამ სამოთხის კარის გაღება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მადლობა უთხრან კახეთის ზვრებმა,
პურით ავსილმა შირაქის მიწამ,
ყველგან სტალინის სიბრძნე ანათებს,
ყველგან ბერიას მარჯვენა ვიცან!
სდუღს ქართლის გული, დნება ჭადანი,
თითქო ათასი ცეცხლის მთა ბოლავს
და მალე ვნახავთ, კრემლში სტალინი
როგორ გასინჯავს რუსთავის ფოლადს!
აი ქართველო, შენი სამშობლო,
როცა დააწრთობ ხუთი წლის ამაგს,
მე მასზე ფიქრით ამ ქვეყნად ვცხოვრობ
და გულში როგორც ოცნება დამაქვს.
აი ქართლის გზა, ყველა ჩვენგანმა
დაუზარელად რაც უნდა კვალოს,
აიღოს რკინა,—დაადნოს რკინას,
აიღოს ქვა და ბროლივით თალოს!
ამ გზით მივდივართ, უნდა ავზიდოთ,
ამ გზის ყოველი ბჭე და კედელი,
წიგნი, აგური, კაცი და რკინა
ამ გზის რგოლია განუწყვეტელი.
განა სად თქმულა სტალინის ხელმა
დაამყნოს ნერგი და არ ახაროს! —
რამდენიც გვითხრა,—იმდენ არხს გავხსნით,
იმდენ ბრძმედსა და იმდენ მაღაროს!
მის ყოველ სიტყვას ქვაში გამოვთლით,
ფოლადად ვაქცევთ, რაც ერთხელ ითქვა:
ჩვენთვის სიცოცხლის კანონი არის
ხალხის სიტყვა და სტალინის სიტყვა!
დიდება სტალინს!
ეს გზა მისია, — ხალხის დოვლათით ადიდებული,
დიდება სტალინს!
ამ გზის სინათლე რა ბრწყინვალეა და დიდებული!
ყრმობა, ციმბირი, შრომა და ბრძოლა,
ამ გზაზე ჩვენთვის გასდო ხიდებად, —
დიდება სტალინს — ჩვენს სიამაყეს!
ხალხის საყვარელ სტალინს დიდება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე აბაშელი

სომხეთისადმი

მე რუსთაველის მოველ ქვეყნიდან
დავით სასუნცის განთქმულ მხარეში,
წინ ცისარტყელა გადამეხიდა,
ვარსკვლავთა გუნდი დამხვდა კარებში.
ძმებო, მოვსულვარ მკლავებგაშლილი,
როგორც ძმა ძმასთან ლხინში წვეული,
მინდა ვადიდო ჩვენი კავშირი
და მეგობრობა ათასწლეული.
წარსულის ბნელში ვიყავით ერთად
და ღამე ერთად გაგვირღვევია.
ჩვენს დასარბევად მოსეულ მტერთან
ჩვენ მუდამ ერთად ბრძოლა გვჩვევია.
და ჩვენი მტერი რომ დამხობილა,
ჩვენი ძმობაა ამის ნიშანი:
დღესაც ერთად ვართ, როგორც ვყოფილვართ,
ჭირსა და ლხინში გაუთიშავნი.
დღესაც საერთო გვაქვს გულის ძგერა,
ერთად მივყვებით მქუხარე დრო-ჟამს.
ჩვენ ერთად ვიცავთ საერთო კერას,
ერთად ვგუშაგობთ სტალინის დროშას.
ამ წმინდა გრძნობას, ასე ანთებულს,
მომავალშიაც მინდა ვხედავდე,
ვით ცისარტყელას, ხიდად გადებულს,
არარატიდან მყინვარქედამდე.
ენთოს მზარავად ყოველთა მტერთა,
ჩვენს გულში ძმობის მზე ააყვავოს.
დაე სცოცხლობდნენ ყოველთვის ერთად
მარადი ძმები: ქართლოს და ჰაოს!

25 ნოემბერი, 1945 წ., ქ. ერევანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენ აღაშენე თბილისი

ნინათებს, დგება ძველი ისანი,
ნათელი დაჰკრავს მთიდან-ხევამდე,
და გოლიათნი მთაწმინდისანი
შობლიურ ქალაქს გადმოხედავენ.

და შენზე უკეთ, აბა ვინ იცის,
როგორ გათენდა დილა სისხამი,
წარსულში გმინავს ქალაქ თბილისი,
ნიმოლეწილი და ნარისხვალი...

წარსულში ხანძრის დიდი ბოლია,
და გულში როგორ ჩარჩეს უთქმელი:
თბილისს დამრბევი ბევრი ჰყოლია,
გულბოროტი და წარბშეუხრელი.

წარსულში ხანძრის დიდი ბოლია,
დადედებული სისხლია თბილი!
თბილისს დამრბევი ბევრი ჰყოლია,
ბევრი დამცველიც ჰყოლია თბილისს.

დარაჯად ედგნენ და მეციხოვნეთ
ბნელში ჟინჟღილად ეჭირათ კვარი!
მათ მტკვარს შესწირეს მთელი სიცოცხლე,
მტერს დასალევად არ მისცეს მტკვარი!..

მაგრამ შენგვარის არ ვართ მნახველი,
ნათელის, როგორც მზეა ივლისის, —
ვახტანგმა თბილისს მისცა სახელი,
შენ აღაშენე ქალაქ თბილისი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოხველ—ცინცხალი დილა თენდება,
თებერვლის დღენიც ჰგვანან მაისებს,
ფეთქავს ქედების გადათეთრება
და ცა-ფირუზის სიდარბაისლე.

ჩვენი თბილისი... ბუდე არწივთა,
ბინიის სიბრძნით ცამდე მისული,
ფანგმოუდები ხმალი კრწანისთან,
ალაგველების მკლავს შეფიცული.

ჩვენი თბილისი, ქალაქი — დედა,
დინჯად გასცქერის ქედებს, ყინვარებს,
შინდაბრუნებულს ნაომარს გხედავს...
და უბრწყინდებათ თვალი წინაპრებს:

გნახეთ ქალაქში გმირი მემკვიდრე,
თბილისს შესტრფოდი დიდი ქართველი, —
და შენ მასპინძლად გახლდა მთელი დღე
ჩვენი ფიქრების გამომხატველი...

1946 წ. აგვისტო.

აკაკი გელიაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა*

მოურავოვმა ღამის სამ საათზე გაიგო, რომ ერეკლე მეფეს ბრძანების ქაღალდი დაეწერა რატიევისათვის ტოტლებენის დატუსაღების შესახებ. აუარება სადავიდარაბო ქაღალდების წერით დაღლილ მოურავოვს ის იყო ჩაეძინა, რომ მას თავზე დაადგა ეგუტოვი, დაურიდებლად შეანჯღრია და ეს ამბავი გაღვიძებასთან ერთად ფინთიხივით დაახალა.

შემკრთალი მოურავოვი მაშინვე წამოიჭრა ლოგინიდან, შიშველი გულმკერდის ფხანით მაგიდის კუთხესთან, საკვარცხულზე ჩამოჯდა და მთქნარებით ჰკითხა ეგუტოვს:

— რჰა... აო! რა სთქვი?—თვალები მაგრად მოხუჭა და მთქნარებისაგან მომდგარი ცრემლები მოსწურა, — გეთაყვა, ეგ როგორი ხუმრობაა.

მერე საბურნუთეს მისწვდა და გამოსაფხიზლებლად მაგრად მოსწია.

— რის ხუმრობა! — გულმოსული სიდინჯით შეუტია ეგუტოვმა და შედგა იმის მოლოდინში, სანამ ანტონი ცხვირს დააცემინებდა. — რატიევმა ჰუსარები ავლაბრიდან ყაბახზე გადმოიყვანა და იქ დააბინავა, რადგან დილასვე აპირებს დუშეთისაკენ გამგზავრებას.

— ვაჰ! ა... ან! ცხი! — დააცემინა მეორედ მოურავოვმა.

— აჰა! მეორედ ცხვირმაც დაგიმოწმათ.

— მართლა არა ხუმრობთ? — ახლა უკვე დარწმუნებით ჰკითხა ეგუტოვს, თითქო აქამდე ეს ყველაფერი მაინც ხუმრობა იყო,—გესმის თუ არა რეებს ლაპარაკობ, ეგ რომ მართლა მოხდეს, იცი რა შედეგი მოჰყვება?

— ი — ჰმ! ამისთანა ურწმუნო თომა კიდევ იქნება?—შეეკითხა სივრცეს ეგუტოვი და შემდეგ მოურავოვს ხელისგული ისე გადაუშალა, თითქო არა რეებს ლაპარაკობ, ეგ რომ მართლა მოხდეს, იცი, რა შედეგი მოჰყვება? ახლა დაიჯერებ?

ახლა კი მართლა გიჟივით წამოიჭრა ზეზე მოურავოვი და ჩაცმა დაიწყო. სანამ ენაჭარტალა ეგუტოვი ყოველივეს დაწვრილებით უამბობდა, მან მთელი საელჩო ფეხზე დააყენა, საპარადო მუნდირი ჩაიცვა და ამალით გარშემორტყმული სასახლისაკენ გაემართა. მოედნიდან შეამჩნია, რომ მეფის სამუშაო ოთახის ფანჯრებიდან სინათლე გამოკრთოდა, მაშასადამე, ბატონს ჯერ კიდევ არ ეძინა და მისი ნახვა შესაძლებელი იყო.

ალაყაფთან ეგუტოვს ღამის ყარაულები შეეგებნენ და გზა გადაუღობეს. მოურავოვმა ბრძანა მორიგე უზბაში მოეყვანათ, რომელსაც დაავალა

---

* გაგრძელება, „მნათობი" № 7.

მეფისთვის მოეხსენებინა, მისი მაღალკეთილშობილება რუსეთის ელჩი თქვენს ნახვას თხოულობსო. უზბაშმა თავაზიანად დაუკრა თავი მოურავოვს და მოახსენა, რომ ბატონი უკვე მოსასვენებლად წაბრძანდა, დილამდე ვერ მიგიღებთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— განა ბატონმა არ გიბრძანა, რუსეთის ელჩი რა დროსაც არ უნდა მოვიდეს მომახსენეთო? — ბრაზიანად შეჰყვირა მოურავოვმა უზბაშს. — გასწი ახლავე და მოახსენე, თუ თავი არ მოგძულებია!

— ვერ მოვახსენებ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ.

— მაშ ეჯიბი მიხმე. ჩქარა!

უზბაშს არც ეჯიბის გაღვიძება სურდა და კარგა ხნის ყოყმანის შემდეგ, როდესაც უარი აღარ გაუვიდა, წავიდა მის გასაღვიძებლად.

მოურავოვს კარგახნის ლოდინი დაჭირდა, სანამ ან უზბაში დაბრუნდებოდა ან ეჯიბი ეახლებოდა. მეფის ყარაულები ქვის ქანდაკებებივით ჩუმად ჩამწკრივებულიყვნენ ალაყაფთან და მიუხედავად იმისა, რომ მოთმინებადაკარგულმა მოურავოვმა რამდენჯერმე მიმართა მათ, ერთერთი მათგანი წასულიყო და ეთქვა ეჯიბისთვის დროზე მოგებებოდა ელჩს, არც ერთი ადგილიდან არ დაძრულა, თითქოს არც კი გაეგონათ, თუ რას ეუბნებოდნენ.

ბოლოს, როგორც იქნა, უზბაში დაბრუნდა და მოურავოვს დიდი ბოდიში მოახსენა, რომ ეჯიბი ვერ ეახლა.

— ასე მოგახსენათ, ბატონი მოსასვენებლად წაბრძანდა და მიბრძანა: მხოლოდ მაშინ გამაღვიძე, თუ ჯოჯოხეთიდან ეშმაკები თავს დაგვესხნენო.

— ჰო და მოახსენე თვით სატანა მობრძანებულა და მთელი სასახლე აუღიათქო! — იყვირა გაცეცხლებულმა მოურავოვმა, რადგან მიხვდა, რომ აშკარა შეთქმულება იყო მის წინააღმდეგ და რამდენიც არ უნდა ეცადნა, მეფესთან არ მიუშვებდნენ, სანამ რატიევი თბილისიდან არ გავიდოდა.

ეგუტოვმა ურჩია, წავიდეთ რატიევი ვინახულოთ, იქნებ როგორმე დავიყოლიოთ და უარი ვათქმევინოთ განზრახვაზეო.

მოურავოვისთვის უხერხული იყო ნაშუაღამევს თვითონ ხლებოდა რატიევს. მაგრამ რადგანაც იცოდა, რატიევი კიდევაც რომ ეხმო, ის არ გამოცხადდებოდა საელჩოში, დაიმდაბლა თავი და მაშინვე გაემართა ყაბახისაკენ.

მოხუთული ჰაერი მოწმობდა, რომ უნდა გაავდარებულიყო და მართლაც სანამ წყლის კართან მივიდოდნენ, მოულოდნელად ისეთი წვიმა წამოვიდა, რომ შუკები უცებ აივსო ნიაღვარით და მოურავოვის მხლებელ კაზაკებს ჩირაღდნები დაუქრო. მაგრ წვიმას მალე სეტყვა მოჰყვა და ისეთი ჭექა-ქუხილი ასტყდა, თითქოს ქვეყანა იქცეოდა. მოურავოვმა და მისმა მხლებლებმა წყლის კარიბჭის თაღს შეაფარეს თავი, მაგრამ სანამ იქამდე მიაღწევდნენ, თავით ფეხამდე სრულიად დაიწუწნენ.

კარიბჭის მარჯვენა გოდოლში ყარაულს ბუხარში ცეცხლი გაეჩაღებინა და თითონ სამფეხა სკამზე ჩამომჯდარი სთვლემდა. გრძელი ჯაზაირი კონდახით მუხლებ შუა ჩაედგა და ლულაზე ხელები ისე წაევლო, თითქოს ზედ ჩამოკიდებას ლამობდა.

მოურავოვმა მაშინვე მიაშურა გოდოლს, დაბალ კარში თავდახრით შეავიდა და ფეხზე წამოჭრილ ყარაულს მიესალმა.

— გამარჯვება!

— იცოცხლეთ, მობრძანდით! — შეეგება მოულოდნელ სტუმრებს ყარა-

ული და ცოტა განზე გადგა, რადგან ყველანი ბუხარს მიესივნენ გასაშრობად.

— ფიჩხი არა გაქვს? — ჰკითხა მოურავოვმა ყარაულს.

— როგორ არა, მაქვს!

— მაშ მოიტა, შეუკეთე, ვერ ხედავ, როგორ დავსველდით. შენი სახელი?

— ბერუჩა, შენი ჭირიმე. ახლავე ისეთი ცეცხლი დავანთო, რო ალი ზეცაში ადიოდეს. ე ტიალი, სეტყვაც რო გამოურია, ბაღებში ალარაფერს გაუშვებს. ახლავე, — აფუსფუსდა ბერუჩა, თოფი მხარზე გადაიკიდა, გარეთ გავიდა, თითქმის მაშინვე ერთი იღლია ფიჩხი შემოიტანა და ბუხარში შეუკეთა.

სველი ფიჩხი პირველად აბოლდა, მაგრამ ბერუჩამ მაგრად დაუბერა და მალე ისეთი ალი ავარდა, რომ გოდოლი მთლად გაანათა. მოურავოვმა და ეგუტოვმა მაშინვე მიაშურეს ბუხარს და დაიწყეს ტანსაცმლის გაშრობა. კაზაკები მოშორებით კედლებთან დადგნენ.

— ბერუჩავ, აქ დიდი ხანია დგეხარ? — ჰკითხა მოურავოვმა ყარაულს, რომელიც ბუხართან, ოდნავ განზე იდგა და მოკრძალებით უცქეროდა ოქრომკედით მოსირმულ მუნდირში გამოწყობილ უცხო ადამიანს.

— ამ საღამოს დამაყენეს მორიგედ, შენი ჭირიმე, — გაჭიანურებით უპასუხა ბერუჩამ და შემდეგ უცბად ჰკითხა, — შენ რუსი ხარ თუ ქართველი?

— ქართველი ვარ.

— რუსების სამსახურში ბრძანდები?

— ჰო. შენ რაღაც მეცნობი, ბერუჩავ, მგონი სადღაც მინახავხარ.

— არ ვიცი, შენი ჭირიმე. ქრცხინვალს გახლდით კოშკის ყარაულად, ოცი წელია იქა ვმსახურებ ჩვენს მეფესა. იქნებ იქ გინახივართ.

— ოო, სწორია, მომაგონდა. იქა გნახე ამ ერთი თვის წინათ. მერე და აქ რად ჩამოსულხარ, ბატონმა დაგიბარა?

— არაა! რუსებს გამოვექეცი, შენი ჭირიმე. რუსის იარანალიო თუ რაღაც ეშმაკი, აი ის რომ დაბრუნდა, იმისმა იასაულმა, საყარაულოდან გამომაგდო, თოფი წამართო და მითხრა, წადი დაიკარგე, თუ გინდა ცოცხალი გადარჩეო. თქვენა მაშინ განა იმასთან ბრძანდებოდით? — რაღაც უცნაური ეჭვით შეეკითხა ბერუჩა მოურავოვს.

— ჰო, იქ ვიყავ.

— მერე და აქ ქალაქში ვინ შემოგიშვათ?

— მე ბატონს ვახლავარ. რუსების ელჩი ვარ.

— ი?

— რა იყო. არა გჯერა? — გაიცინა მოურავოვმა.

— როგორ არა მჯერა, მაგრამ ერთი ეს გამაგებინე, შენი ჭირიმე, რა უნდა იმ იარანალს ჩვენს ბატონთან, ქრცხინვალში ხალხი ფარასავით მოედანზე მოდენა, დააჩოქა და ხატზე დააფიცა, ამიერიდან საქართველოს მეფე ალარა ჰყავს და თქვენი მეფე რუსეთის დედოფალიაო. ეგ როგორ იქნება?

— შენ იქ იყავ მაშინ? — ჰკითხა მოურავოვმა.

— იქ გახლდით, მა! — ამოოხვრით უპასუხა ბერუჩამ.

— შენც დაიფიცე?

— დავიფიცე რომელია. არავისაც არ დაუფიცნია. ეგრე ვიდექით თავდახრილნი და ყურს ვუგდებდით, რასაც თარჯიმნის პირით გვეუბნებოდნენ, მერე თავიანთი მღვდელი მოიყვანეს და აიაზმა გვასხურეს.

— ხალხი რას ამბობდა?

— ხალხი? ერთი ვინმეს რო დაეძახნა, მამაჩემსა აქვს ... ცხვრებივით დავფანტავდით ყველას. იარაღი, მართალია, არა გვქონდა, ხანჯლებიც კი აგვყარეს და ისე მოგვდენეს. მაგრამ კომბლები ყველას გვქონდა, და აბაიმე, რო არავინ გაგვიჩნდა თორე, — გააგრძელა სიტყვა ბერუჩამ და თავი დაიქნია. მერე მცირე დუმილის შემდეგ განაგრძო, — ეს ვერ გამიგია, შენი ჭირიმე. თუ რუსები ჩვენს საშველად მოსულან, ბატონს რას ემართლებიან.

— რუსები რა შუაშია, ეგ იმ იარანალის ბრალია, რადგან ერთი უზნეო ვინმეა, და ბატონს ვერ შეეწყო, — უპასუხა მოურავომ.

გარეთ წვიმა ისევ შხუოდა და გოდლის დაბალ კარიდან ნოტიო, თანაც ცივი ჰაერი ჰქროდა. ბერუჩამ კიდევ შეუკეთა ფიჩხი ბუხარში და ნასიამოვნებმა იმით, რომ ასეთმა დიდმა კაცმა იკადრა მასთან საუბარი, მიმოიხედა, თახჩაში შედგმულ ჯამებს მისწვდა, სადღაც კუთხიდან კარგა მოზრდილი ხელადა გამოაცოცა და ასეთ მოულოდნელ სტუმრებს კუპრივით შავი ღვინით გაუმასპინძლდა.

— შეტი არა მაქვს რა და ეს მაინც მიირთვით, — მოიბოდიშა ბერუჩამ, — სანამ დაიდარებდეს.

— ჩვენმა ცხენოსნებმა როდის გაიარეს? — ჰკითხა მოურავომ.

— რა მოგახსენოთ. აქ არ გაუვლიათ. იმათ შუა ბაზარზე თუ აიარეს და მაღალი კარით გავიდნენ ყაბახზე. ახლა იქ დგანან. კარვები გაშალეს და იქ დაბანაკდნენ. თქვენც იქ მიბრძანდებით?

— ჰო.

— მოგახსენებენ, იმ ჯარის სარდალი ქართველი არისო და ე რუსის ჯარი ბატონს იმისთვის მოგვარაო.

— მერეო?

— მერეო და ამ ქართველ სარდალს ბატონისთვის მოუხსენებია, ახალციხესთან რო რუსის იარანალმა გიმუხთლა, იმ იარანალს გათოკილს მოგგვრიო.

— მერე, მერეო? — მოურავომ სავსე თასი სამფეხა სკამზე დადგა და ბერუჩას შეაცქერდა. მას სურდა გაეგო — ხალხში რას ამბობდნენ ამ ამბების შესახებ.

— მერე რა ვიცი, შენი ჭირიმე. ასე სთქვეს, ბატონს უბრძანებია კიდევაც და ახლა ეს კიდევ სალაშქროდ ემზადებაო.

— ეგ როდის გითხრეს?

— ამ საღამოსა სთქვეს. იქნებ მართლა გვეშველოს და ჩვენი სულ მუდამ არეული საქმეები გამოსწორდეს.

— ეგუტოვ, გესმის? — რუსულად უთხრა მოურავომ თავის თარჯიმანს. — უბრალო მეციხოვნე ჩვენზე ადრე გებულობს ასეთ ამბებს. ჩვენ კი ყველაზე გვიან უნდა გავიგოთ.

კარგა ხნის საუბრის შემდეგ, როდესაც ყველამ მოასწრო ბუხართან ტანსაცმელის გაშრობა, წვიმამ როგორც იქნა გადაიღო. გარეთ რომ გამოვიდნენ, უკვე აღმოსავლეთიდან ზეცას რიჟრაჟი დაჰკრავდა და მამლები გამუდ-

მებით ჰყიოდნენ. ღრუბლები მახათას მთისკენ წასულიყვნენ და ახლა სადღაც შორს ისმოდა წვიმის მიყრუებული შრიალი. ჰაერი საოცრად ცივი იყო. გზებზე გაუვალი ტლაპოები ლივლივებდნენ.

ბერუჩამ გაუღო მოსულებს ბჭეში დატანებული პატარა ბარი და ყველანი ყაბახისაკენ გაემართნენ. სოლოლაკის წყალი ადიდებულიყო. ამიტომ მარცხნით აუხვიეს, ხიდზე გავიდნენ, ფაშავანქის გალავნის გასწვრივ მიმავალ შუკას გაუყვნენ, სომხების სასაფლაოს გასცდნენ და ყაბახზე გავიდნენ. მთელი მოედანი დაფარული იყო კარვებით. ჰუსარები უკვე აშლილიყვნენ, ტანთ ჩაეცვათ. ახლა სველ კარვებს ხსნიდნენ, ცხენებს ჰკაზმავდნენ და ისმოდა მათი ნამძინარევი გაძახილ-გამოძახილი. თოფრებში თავჩაყოფილი ცხენები გემრიელად ახრამუნებდნენ ქერს.

მორიგე ოფიცერმა რიხიანად გასძახა ჰუსარებს სმენაზე გარინდვა და მოურავოვს პატაკი მოახსენა.

— სად არის რატიევი? — იკითხა მოურავოვმა.

— რა მოგახსენოთ, არ ვიცი.

— როგორ თუ არ იცი, სად არის შენი უფროსი?

— მიბრძანა, დილის ხუთ საათზე მზად იყავითო, და თითონ ჩოგლოკოვთან ერთად რომელიღაც ბატონიშვილს ეახლა.

— უბრძანეთ მებუკეს საყვირს დაჰკრას. გაიგონებს, მოვა. თქვენ კი კარვებს ნუ აშლით.

— არ შემიძლია, თქვენო მაღალკეთილშობილებავ.

— როგორ თუ არ შეგიძლია? — აფეთქდა მოურავოვი, — მე თქვენ გიბრძანებთ და უნდა დამემორჩილოთ.

— მაპატიეთ, მაგრამ მე ჩემი უფროსის ბრძანება უნდა შევასრულო. ჩემი უფროსი კი რატიევი გახლავთ. მან მიბრძანა ბუკი არ დამეკრა.

— მაშ დაუყოვნებლივ მომგვარეთ აქ რატიევი.

— მან მიბრძანა, რაც არ უნდა მოხდეს, ძებნა არ დავუწყო.

გოცებული მოურავოვი ერთ ხანს უძრავად შესცქეროდა ოფიცერს. ასეთი ურჩობა მისთვის ისე მოულოდნელი იყო, რომ კარგა ხანს გონსაც კი ვერ მოვიდა. მერე უცბად მობრუნდა და თავის მხლებელ კაზაკებს უბრძანა ჰაერში სროლა აეტეხნათ. იმათ მაშინვე გამოაცურეს ნაბდის ბუდეებიდან თავიანთი ხირიბები და რიგრიგობით დააქუხეს.

მალე ქაიბულას ბაღიდან საპასუხო სროლა მოისმა.

* * *

სამი საათის განმავლობაში შესჩხაოდნენ ერთმანეთს მოურავოვი და რატიევი. რუსეთის სამსახურში მყოფი ამ ორი ქართველის ბრძოლა-კამათი იმაში მდგომარეობდა, რომ ორივე უმტკიცებდა ერთმანეთს, საქართველო ძე შენზე მეტად მიყვარს და არ მოგცემ უფლებას ის უფსკრულში გადასჩეხოო. მოურავოვმა, როდესაც შეატყო რატიევთან მუქარით ვერას გახდებოდა, მუდარა დაიწყო. ამ პატარა ქვეყანას ნუ ღუპავ. მეფეს ნუ აცდენ, მაგ ავანტიურიდან არა გამოვა რა, შენ თავსაც წაიხდენ და ჩემს თავს არა ვნაღვლობ, საქართველოსაც თან გადააყოლებო. ასეთმა კილომ რატიევი

ოლნავ მოალბო და მოურავოვს განუცხადა, მე მეფის ბრძანება ჯიბეში მიდევს, იმას ვერ გადავალ, წადი, თუ ბატონთან რაიმეს გახდები, იმას ელაპარაკე, მე აქ კიდევ ორ საათს დაგიცდი და შემდეგ გზას გავუდგები, ხოლო ხვალ საღამოს ტოტლებენი გათოკილი მეყოლებაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოურავოვი მაშინვე გაემართა სასახლისაკენ და როდესაც ალიბეთან ეჯიბი შეეგება, ისეთი მოუთმენელი, თანაც მრისხანე ხმით უბრძანა ჩქარა მეფეს მოახსენე ჩემი მოსვლაო, რომ ეჯიბი სიტყვაშეუბრუნებლად გაიქცა მეფესთან, ხოლო სტუმრებს სთხოვა მისალებ დარბაზში მოეცადათ.

სახამ ეჯიბი მობრუნდებოდა, მოურავოვი გალიაში დამწყვდეულ ნადირივით ტრიალებდა დარბაზში და მოუსვენრად ოხრავდა. ხოლო, როდესაც მეფესთან მიმავალ მდივანბეგებს — იოანე და ჭაბუა ორბელიანებს მოჰკრა თვალი, მაშინვე გაექანა მათკენ და აღშფოთებით მიახალა:

— განა ასეთი რამ გსმენიათ, თქვენო ბრწყინვალებავ? — რიგრიგობით ჯერ იოანეს შეხედა, შემდეგ ჭაბუას და განაგრძო, — განა შეიძლება იმ ტოტს სჭრიდე, რომელზედაც ზიხარ? ეს რა უნებებია ჩვენს ბატონს ერეკლეს. ხომ საბოლოოდ დავიღუპებით. შემრისხოს უფალმა გამჩენმა, თუ ჩემი თავის იოტის ოდენა დარდი მქონდეს, მაგრამ ჩვენს ქვეყანას, ამ ჩვენს პატარა საქართველოს რას ერჩით? გამაგებინეთ ვინ ურჩია, იმ უღვთომ, ბატონს, ტოტლებენის დატუსაღება, ვინ შთააგონა ასეთი უგვანი საქმე. თქვენ მაინც მომეხმარეთ ეს საქმე როგორმე გადავაფიქრებინოთ, თქვენი ჭირიძეთ, თორემ რუსეთი ძირიან-ფესვიანად აგვყრის და გადაგვბუგავს. იმპერატრიცის რისხვას ვერ გადავურჩებით.

— ჩვენ განა არ ვურჩიეთ, — უპასუხა იოანემ და მხრები აიჩეჩა, — არა გაგვიგია რა. იმ მანიფესტის წამკითხველს თუმცა აბა სხვა რა უნდა ემოქმედნა. ხვალაო, ბრძანა ბატონმა, ასეთი მანიფესტი იქნება ჩემზედაც გამოაცეს, ჯილდოდ ათასი თუმანი აღუთქვას მკვლელებს და ყოველ ბუჩქს უკან ვერაგი ორგულები ჩამისაფროსო. ახლა თქვენ თითონა ბრძანეთ, გაეძტყუნება ჩვენს ბატონს?

— არა, ეგ არასოდეს არ მოხდება, მეფის წინააღმდეგ ის ხელს ვერ აღმართავს. ამათ კი, ამ ტინგიცა ჩოგლოკოვს, იმ რატიევსაც და დეგრალს, სამთავეს გავთოკავდი და ტოტლებენს მივართმევდი.

— როგორაო? — უცბად გაისმა დავით სარდლის რიხიანი ხმა, რომელმაც დარბაზში შემოაბიჯა, მოსაუბრეებს გადახედა, თავდაბლა მიესალმა ყველას და მოურავოვს მიმართა. — ეგ რისთვის, ბატონო ელჩო, ჩვენი ერთგულებისათვის? ეგ ისე გამოდის, ოთოთაანთ ქორს რომ უთხრეს, ჰკარ შიხაურსა, თორემ გარეული სად წაგივაო.

მოურავოვმა ერთი ამოიოხრა და ის იყო დააპირა ახლა დავით სარდალსაც შებმოდა კამათში, რომ ეჯიბმა მოახსენა, მეფე გიბარებსო. მან მაშინვე დაუკრა თავი დიდებულებს და მეფის სამუშაო ოთახისაკენ გაემართა.

დავთმა თვალი გააყოლა მოურავოვს და შემდეგ მდივანბეგებს მიუბრუნდა:

— ტყუილად სცდილობს უბედური. ბატონი თავის ბრძანებას არ გააუქმებს.

— ეჰ, რა ვიცით! — ჩაილაპარაკა ჭაბუამ, მხრიდან ჩამოცურებული ყურთმაჯა ისევ მხარზე გადაიგდო და დასძინა: — ერთის პირიდან კიდეც თბილა და კიდეც ცივაო, ხომ გაგიგონია, გარდა ამისა მგონი გვიჯობს,

რომ ბატონმა თავისი ბრძანება გააუქმოს, წუხელ მთელი ღამე ვიფიქრე და ჭკუაში არ დამიჯდა.

— აჰა, დაიწყებს ახლა თავის სოფისტიკას, — გაიცინა დავითმა.

— ზოგიერთებს არ აწყენდა სოფისტიკაც რომ სცოდნოდა, ხელი ადვილად მოქნევასთან ერთად, — გაჯავრდა ჭაბუა, — და მგონია, გვიჯობდა ჩვენი მეფე დაგვეფარა უჭკუო ჭაბუკ მრჩეველთაგან. გვაროვანნი მაინც იყვნენ, ვიღაც უბადრუკი მეთულუხჩის შვილები სახელმწიფო საქმეებში ისე ერევიან, თითქოს ბევრი რამ გაეგებოდეთ.

— ცხადია, უჭკუო ჭაბუკებს ჭკვიანი ჭაბუები სჯობია. — გაუქილიკა დავითმა.

ჭაბუამ ეს დამცინავი ხუმრობა თითქოს არ გაიგონა და ისე განაგრძო:

— დაძვრებიან მეფესთან, ათას რჩევებს აძლევენ, ასე მოვიმოქმედოთ, ისე გავაკეთოთ, თითქოს სახელმწიფოთა მართვის მეცნიერება ლათინთა ან ბერძენთა ისტორიებში ესწავლოთ.

— ეგ ვინ არის, ვისა ჰგულისხმობთ, ბატონო ჭაბუავ, — შეეშმუხვნით ჰკითხა დავითმა. — ვგონებ, რომ ბატონიშვილ ლეონის გარდა მეფეს ჭაბუკი მრჩეველი არავინ ახლავს. გარდა ამისა ნუთუ ჩვენი მეფე ასეთი საყვედურების ღირსია და თითონ უკეთ არ იცის ან ვის რჩევას დაუგდოს ყური ან თავის ჭკუა-გონებით როგორ იმოქმედოს.

ჭაბუა შეკრთა. არ მოელოდა საუბრის ამგვარად შებრუნებას და თავისი წვრილი თვალებით შეშინებული ლეკვივით ისე ახედა ქვემოდან დავითს, თითქო მის ხელში მოქნეული სახრე დაენახოს და გაქცევამდე სურდა დარწმუნებულიყო, ეხუმრებოდნენ თუ მართლა უპირებდნენ ზურგზე გადაწვნას.

დავითი კარგად ხედავდა, რომ ჭაბუას სასახლის კარზე თავისი გავლენის დაკარგვის შიში ალაპარაკებდა ამგვარად, დავითს კიდევაც მოუტანეს ჭაბუას ნალაპარაკევი. ვითომ ხუმრობით ეთქვა, სარდალი რომ სახლთუხუცესად დაგვინიშნეს, ალბათ სასახლეში მდივან-ბეგები ყიზილბაშებად მიგვიჩნიეს და აკლებას გვიპირობენო. ამის გამო იყო ახლა, რომ ჭაბუა დაწინაურებულ ახალგაზრდათა წინააღმდეგ ილაშქრებდა, რადგანაც იცოდა, ისინი დავითის პარტიას შეადგენდნენ და იმის მზეს ფიცულობდნენ. გრძნობდა დავითი, რომ ჭაბუა სხვებთან ერთად, პირად კეთილდღეობას უფრო უფრთხილდებოდა, ვიდრე ქვეყნის ბედიღბალს და ეს ასეთ დაძაბულ დროსაც, როდესაც საჭის ოდნავ შებრუნებას შეიძლება სახელმწიფო ხომალდის ჩაძირვა გამოეწვია, ის ჭაბუკთა დაწინაურებაზე ჩიოდა, თითქოს ამის მეტი რამ სადარდო არ გააჩნდა სახელმწიფოს. „ბრძენი, ვინ ბრძენი? რა ბრძენი? გიჟი ვითა იქმს ბრძნობასა?“ მოაგონდა უცბად დავითს „ვეფხის ტყაოსნიდან“ და თავს ძალა დაატანა, რომ ეს სიტყვები ხმამაღლა არ წარმოეთქვა.

ჭაბუამ თავისმართლება დაიწყო, დავითს უსაყვედურა, ხმლით ფარიკაობა და სიტყვით ფარიკაობა ერთი და იგივე როდია, მე ლეონ ბატონიშვილზე კი არა, ჭაბუკ მდივნებზე და ხელჯოხიანებზე მოგახსენებ, რომელთაც ბატონის სამუშაო ოთახის კარი მუდამ ღია აქვთ და მეფესთან შინაურივით საუბრობენო. წუხელ ბესიკი და სოლომონ ლეონიძე ერთმანეთს ულოცავდნენ, ბატონმა ტოტლებენის დატუსაღება უბრძანა რატიევსო. მერე გავარდნენ, თავიანთი არიფანა შეკრიბეს და ლეონთან ერთად ქაიბულას ბაღში გაათენესო.

ბა იმათ რა.იციან, რომ ლხენა მაშინ გვმართებს, როდესაც საქმეს ბოლოამდე დავაგვირგვინებთ, მანამდე კი შიქასტების ნაცვლად ლოცვა-ვედრება გვმართებს და ღმერთს არ უნდა ვივიწყებდეთო.

— ტოტლებენი, იქნებ ბატონთან აშლილი იყოს, მაგრამ ... ჩვენს ბატონს რუსეთის იმპერატრიცის შემდეგ იხსენიებს პატივისცემით, — განაგრძო ჭაბუამ, — ხოლო იმ სამთა — რატიევს, ჩოგლოკოვსა და დეგრალიეს, იმპერატრიცისა და ჩვენი ბატონის მოღალატედ, ეგ როგორღა გავიგოთ, ბატონო სარდალო.

— ეგ როგორ და თუ ხვალ ბატონმა სამთავე გათოკილი არ მიჰგვარა ტოტლებენს, მაშინ ჩვენს მეფესაც მოღალატედ გამოაცხადებს, თანაც ქართველობას თვალებს უხვევს, არცერთი მათგანი არ შეიფაროთ, ეგენი მეფე ერეკლეს მოღალატენი არიანო. თორემ, განა თვითონ კარგად არ იცის, რომ სამთავენი ჩვენთან არიან თბილისში!?

მოსაუბრეებს კიდევ მიემატნენ მდივანბეგები ქაიხოსრო ავალიშვილი, იასე ამილახვარი და თეიმურაზ ციციშვილი. ყველანი თავისდა შეუმჩნევლად საუბარ-საუბრით, მოსაცდელ დარბაზიდან ფრანგულ დარბაზში გავიდნენ, სადაც მათ სეფე ქალთა მარაქა შეეგება ანას მეთაურობით. მანდილოსნებს სურდათ გაეგოთ, თუ რა ხდებოდა ისეთი, რაც დიდებულთა ასეთ შეშფოთებას იწვევდა, დიდებულებს გარს შემოერტყნენ და სათითაოდ ეკითხებოდენ, ჩვენც გაგვაგებინეთ რა ხდება, განა ქალები ამის ღირსნი არა ვართო.

— როგორ არ ხართ?, — ღიმილით უთხრა დავითმა ანას, რომელმაც პირველად მიაშურა თავის სიძეს ამ კითხვით. — განა წუხელ არ გაგიგიათ, რომ ტოტლებენს მანიფესტი გამოუცია, სადაც...

— ეგ ვიცი. — შეაწყვეტინა ანამ. — ახლა რა მოხდა ისეთი, რომ რუსეთის ელჩი გათენების ჟამს ფეთიანივით მოვარდა და ბატონის ნახვას ლამობდა?

— ბატონმა ტოტლებენის შეპყრობა ბრძანა და ამის გამოა ბატონი ელჩი შეშფოთებული.

— განა მარტო ბატონი ელჩი? ჩვენ უფრო შეგვაშფოთა ამ ამბავმა, ჩემო რძალო, — ჩაილაპარაკა ჭაბუამ. — თუ ბატონმა თავის ბრძანება არ გააუქმა, ცუდი ამბავი დატრიალდება, ეგ ადვილი საქმე როდია.

— არც თუ ისე ძნელი, თქვენო ბრწყინვალებავ! — დაამშვიდა ჭაბუა დავითმა.

ქალები მაშინვე დავითს მიემხრნენ და ჭაბუას შეედავნენ. აბა მაშ როგორ უნდა მოქცეულიყო ბატონი ისეთი სარდლის მიმართ, რომელიც ჩვენს ოჯახში შემოვარდნილა და თავის ნებაზე ბატონ-პატრონობსო. მალე ისღა გვაკლია ჩვენი ქალები მხევლებად მოითხოვოს და თქვენ ამ ზომამდე ხომ არა გსურთ საქმე მიიყვანოთო.

მანდილოსნებმა ისეთი ამბავი და ისეთი ალიაქოთი ასტეხეს ჭაბუას გარშემო, რომ დავითს უნებურად სიცილი აუტყდა, ხელი ჩაიქნია და მეფის პალატისაკენ გაემართა ზემო სართულში.

დერეფანში დავითი რამდენიმე ჭაბუკ მდივანს წააწყდა, რომელნიც ლანდებივით აყუდებულიყვნენ კედლებთან და ჩურჩულებდნენ. სინათლეს შეჩ-

ვეული თვალით დავითმა უცბად ვერ შეიცნო ვერცერთი მათგანი, რადგან დაშვებული ფარდები არ აეწიათ და დერეფანში ბნელოდა.

— რა ამბავია, ჭაბუკნო?

— ოჰო, ბატონო დავით, — გაისმა ნაცნობი ხმა, — თქვენა ბრძანდებით?

— სოლომონ, შენა?—დააკვირდა დავითი.—ოჰო, ბესიკიც აქაა, ეს ვიღაა?

— სულხან თუმანიშვილი გახლავართ.

დავითმა შეათვალიერა ყველანი, რომელნიც მას გარს შემოეხვივნენ და ხმადაბლა იკითხა:

— ელჩი ისევ ბატონთანაა?

— დიაღ, — უპასუხა სოლომონმა, — თქვენ ბატონთან გნებავთ შებრძანდეთ?

— ჰო!

— რა ვიცი, ელჩმა ბატონის თანდასწრებით მიბრძანა: არავინ შემოუშო ჩვენთან, მე და ბატონ მეფეს დიდი საიდუმლო საქმე გვაქვსო, ვითომ ჩვენ არ ვიცით რა საქმე აქვს.

სოლომონმა ხმადაბლა გაიცინა, დანარჩენებმაც წაიფრუტუნეს.

— რის საიდუმლო, ნახევარზე მეტი ყველაფერი გვესმოდა, — ჩურჩულით უთხრა ბესიკმა დავითს. — თავს იკლავდა მოურავოვი. ბატონს ეუბნებოდა: აი ამ ხანჯლით თქვენს წინაშე თავს განვიგმირავ, თუ თქვენ ჩემს ერთგულებაში იოტის ოდენი ეჭვი შეგაქვთო.

— როგორ, ბატონთან ხანჯალი იშიშვლა? — გაოცდა დავითი. — საღ ჰქონდა ხანჯალი?

— ბატონის მაგიდაზე იდო, ალბათ, იმაზე თუ უთითებდა. მერე ბატონი ეხვეწებოდა, აბრძანდი, ანტონ, მაგას რისთვის კადრულობთო. ალბათ, საბრალო, ბატონის წინ დაემხო და ისე ეევედრებოდა, სულ იმას იძახდა, თუ ჩემი ერთგულება არა გჯერათ, ერთ წუთსაც კი თავს არ ვიცოცხლებო, ბატონო, გულს ნუ აჰყვებით და თქვენს გონებას გრძნობას ნუ დაუმორჩილებთ, მოიღეთ მოწყალება, მეც მომისმინეთო.

— შემდეგ, შემდეგ? — მოუთმენლად შეეკითხა დავითი.

— შემდეგ ველარა გავიგე რა, რადგან უფრო დამშვიდებით დაიწყეა საუბარი და სიტყვების გარჩევა შეუძლებელი შეიქნა.

— ლეონი სადა ბრძანდება?

— ბატონიშვილი რატიევთან გეახლათ. ჩოგლოკოვს შემოეთვალნა, თათბირი გვექნება და დაგვესწარითო. იქ უკვე ყველაფერი მზადაა, სალაშქრო სურსათს ელოდებიან, როგორც კი დაურიგებენ, მაშინვე გაუდგებიან გზას.

— შევიდე? — ჰკითხა უფრო თავისთავს დავითმა, ვიდრე ჭაბუკ მდივნებს. — ელჩის არ მერიდება, ვაი თუ ბატონს არა სურდეს.

— შებრძანდით, — მაშინვე ურჩია სოლომონმა. — ბატონს კიდეევაც რომ ეწყინოს, ისა სჯობია, ვიდრე საქმე ჩაგვეფუშოს.

— არა, არ ივარგებს, თუ საჭირო ვიქენ, ბატონი თითონ გვიხმობს. სჯობს დედოფალს ვეახლო. თქვენ ყოველივე მაცნობეთ, მე მანამდე ვეცდები—დედოფალი დავარწმუნო, რომ ბატონს ურჩიოს თავისი ბრძანება არ შესცვალოს.

* * *

— თქვენო უმაღლესობავ, განა ერთ წუთს შეიძლება იმაზე თუნდაც ოცნება, კიდევაც რომ შესძლოს რატიევმა ტოტლებენის დამარცხება და ჯარის დამორჩილება, რომ ამ ერთი მუჭა ლაშქრით თურქეთში შეჭრას შეიძლებთ, როგორც ამას ჩოგლოკოვი ამბობს თურმე?! ღენერალ რუმიანცევს ხუთი ათასი კაცი მარტო ამალა ახლავს და ხონთქრის წინააღმდეგ ორასი ათასი კაცისაგან შემდგარი საუკეთესო ჯარი ჰყავს, მაგრამ ჯერ-ჯერობით იზმაილსა და ბუქარესტს ვერც კი გასცდა. მხოლოდ ქარაფშუტა ჩოგლოკოვს ჰგონია ხეივანში სეირნობა თურქეთში ლაშქრობა, თორემ განა თქვენ ითონ არ იცით, რომ ხონთქარის წახდენა ერთ დროს ჯვაროსნებმაც ვერ შეძლეს, თუმცა მგონი ათჯერაც კი გაილაშქრეს მის წინააღმდეგ და მთელი ევროპის ჯარები შეუსიეს. ისეთ უზარმაზარ ქვეყანას, როგორიც რუსეთია, რომელიც იწყება, საიდანაც მზე ამოდის და თავდება, სადაც მზე ჩადის, რომელსაც უთვალავი ჯარის შეკრება შეუძლია, ამასაც კი უმძიმს ეს ომი და ჩვენ რანი ვართ, რომ იმავე რუსეთის უკანონოდ გადაბირებული მცირე ლაშქრით რაიმე შევძლოთ. შეიძლება ახალციხეს გავიცდეთ, თუნდაც ყარსის ციხე ავიღოთ და შემდეგ? შემდეგ უკან უნდა გამოვბრუნდეთ და განრისხებული იმპერატრიცის დამსჯელ ჯარებს უნდა შეეებათ. ეს რას ეგვანება? ჩვენი თავი ჩვენვე უნდა გავაბათ ხაფანგში? ეგლა ეჭირვება ჩვენს დანგრეულს და ხარაბად ქცეულ ქვეყანას? მერწმუნეთ, მეფეო, მე რუსეთის ელჩი ვარ და მარტოოდენ მის საკეთილდღეოდ უნდა ვიღწვოდე. ამისთვის საქართველოს განწირვა რომ დამჭირდეს, თვალშეუხრელად უნდა გავწირო, მაგრამ ესეც იცოდეთ, თქვენო უმაღლესობავ, რომ უმალ ანტონ მოურავოვს გულგანგმირულს იხილავთ, ვიდრე ის თავის საქართველოის საზიანოდ თუნდაც ერთი გოჯით ბიჯს წარსდგამს წინა. ჩოგლოკოვნი და მისთანანი რასა ჰკარგავენ. ისინი ავანტიურის მოყვარულნი გახლავან, თავიანთ ბედს ეძიებენ, სახელისა და დიდების მოხვეჭას ლამობენ და საქართველოს, ოქროს თუმნიანივით, ფსონის ქაღალდში თუ წააგებენ, რა ენაღვლებათ, ან რასა ჰკარგავენ. ხვალ დაჰკრავენ ფეხს და ყაენს ეახლებიან, ახლა იქ სცდიან ბედს. ჩვენ კი, ჩვენ სადღა უნდა წავიდეთ, როდესაც ორ ცეცხლს შუა ჩავვარდებით და ჩვენს თავზე ორი მახვილი აღიმართება, ხონთქრისა და იმპერატრიცისა. არა, მეფეო, ისევ სჯობს, რუსეთს ნუ ავიმხედრებთ ჩვენს წინააღმდეგ. გვიჯობს გულს ნუ ავყვებით. მოვითმინოთ ყოველივე წყენა და უსიამოვნება. ახლა ხმალზე უფრო ხერხი გასჭრის, ნურც თავს დავიმცირებთ, მაგრამ ნურც ისე მოვიქცევით, რომ გრძნობების აყოლით თავი წავაგოთ. მართალია, ტოტლებენი მრავალ უსიამოვნებას გვაყენებს, მაგრამ თუ ფრთხილად მოვიქცევით, ერთი ანდაზისა არ იყოს, რაც თხამ თრიმლს უყო, შეიძლება ორი იმოდენა თრიმლმა თხის ტყავს უყოს.

მოურავოვი უცბათ შედგა და პასუხის მოლოდინში მეფეს შეაცქერდა, ერეკლე ჩუმად იჯდა რბილ სავარძელში და ფიქრებში წასული, ეტყობოდა არც უსმენდა მოურავოვს, რადგან არც კი უგრძვნია მისი გაჩუმება. ტუჩებმოკუმული დაეინებით უცქეროდა ოთახის კუთხეს და თითებით ნელა

შარცვლავდა კრიალოსანს. შემდეგ მძიმედ ამოიოხრა, თითქოს ახლა გაახსენდა, რომ მოურავოვისთვის უნდა ესმინა და ფუსფუსით უთხრა:

— დიაღ, დიაღ, გისმენთ, განაგრძეთ.

მოურავოვს თავზარი დაეცა, მთელი საათია ყბამოუღლელად ელაპარაკებ და დალოცვილი მგონი სრულიადაც არ მისმენდაო. ერეკლე ბოლოს ბოლოდა, რაც გაიფიქრა მოურავოვმა, ღიმილით უთხრა:

— მე გულდასმით გისმენ, ანტონ, ეგ ყველაფერი, რაც მოგვახსენე, ძრავალჯერ გავითვალისწინეთ, მაგრამ...

— მაგრამ რა, თქვენო უმაღლესობავ? — გულის ფანცქალით შეეკითხა მოურავოვი.

— მაგრამ ის, რომ ჯერჯერობით მე სხვა გამოსავალს ვერა ვხედავ. თქვენი ერთგულება მწამს, დიდ პატივსა გცემთ და ამისათვის ვუბრძანებ რატიევს საბი დღით გადასდოს ლაშქრობა. კიდევ ერთხელ მისწერეთ ბარათი ტოტლებენს, თუმცა არა გამოვა-რა, მაგრამ თქვენ თითონაც რომ დარწმუნდეთ, საბოლოოდ მისწერეთ და მოახსენეთ ჩემს მაგივრად, რომ მე დავიწყებას მივეც ყოველივე, რომ მზადა ვარ მისი სურვილებისამებრ ვიმოქმედო საერთო მტრის წინააღმდეგ და, თუ ან სურსათის ან თივა-ქერის ნაკლებულობას განიცდის, ყოველივეს მივაწვდი დაუყოვნებლივ.

ერეკლე ადგა, მოურავოვიც მაშინვე წამოდგა, თავის სამკუთხა ქუდს მისწვდა და იღლიაში ამოიჩარა.

— ხოლო, თუ მან ერთხელ მაინც კიდევ ჩაიდინა ისეთი რამ, რაც ჩვენს ღირსებას შეურაცყოფს, — ერეკლე ერთ წუთს შედგა, ფანჯარისაკენ გაიხედა და მერე უცბად მოჭრა: — მაშინ, რაცა ჭკვითა არა იქმნას, შმაგობითა გაოიგდების.

მოურავოვმა თავისუფლად ამოისუნთქა. მართალია, ერეკლე ჯერჯერობით საბოლოოდ ვერ დაიყოლია, მაგრამ იმედი ჰქონდა, რომ სამი დღის განმავლობაში როგორმე მოაგვარებდა საქმეს, დიდებულთა შორის თავიანთ მომხრეებს მოეთათბირებოდა, მეფესთან მიგზავნიდა და უარს ათქმევინებდა ამ სახიფათო განზრახვაზე. ამიტომ ზედმეტად ჩათვალა საუბრის გაგრძელება, გამოეთხოვა მეფეს და მაშინვე საელჩოსაკენ გაემართა, რათა რატიევი, ჩოგლოკოვი და დეგრალიე დაებარებინა. მას სურდა როგორმე დაერწმუნებინა რატიევი გახზრახვაზე ხელი აეღო, ხოლო ჩოგლოკოვს და დეგრალიეს დამუქრებოდა, თუ აქაურობას არ გაეცლებოდნენ, მეფისაგან მათი დატუსაღებისა და რუსეთში გაგზავნის ნებართვა ეთხოვნა.

როდესაც მოურავოვმა დერეფანში გაიარა, მდივნებმა ის თავაზიანად გააცილეს და თან ცდილობდნენ მის სახეზე ამოეკითხნათ, თუ რით დამთავრდა საუბარი მეფესთან. მოურავოვი იმდენად იყო შეპყრობილი ამ საფავიდარაბო საქმეებზე ფიქრით, რომ სრულიად არ შეუმჩნევია ახალგაზრდა მსახურთა დაყინებული ცქერა, ერთმანეთის გადახედვა და თვალის ჩაკვრანი. აჩქარებული დაეშვა კიბეებზე და ეზოში მომლოდინე საელჩოს თანამშრომლებს მხოლოდ ხელით ანიშნა მიჰყოლოდნენ.

საელჩოში მოურავოვს დაუხვდა ტოტლებენის ფელდეგერი, რომელსაც ტყავის ჩანთა მაგიდაზე დაეგდო და თითონ დაღლილდაქანცული ტახტზე გაშხლართულიყო. მოურავოვის დანახვისთანავე ის ზანტად წამოიზლაზნა ფეხზე. დაღლილი ხმით პატაკი მოახსენა, შემდეგ ტყავის ჩანთიდან წერილები ამოიღო და გაუწოდა. მოურავოვმა წერილები ჩამოართვა ფელდეგერს

და სთხოვა დამჯდარიყო. შემდეგ ცნობისმოყვარე თანამშრომლებს გგუ-ტოვთან ერთად უბრძანა გარეთ გასულიყვნენ და ორთავე მარტო დაეტოვებინათ. თანამშრომლები უკმაყოფილოდ გაიკრიფნენ ოთახიდან და მოურავოვმა, სანამ წერილებს წაიკითხავდა, მაშინვე გამოჰკითხა ამბავი ახალგამოსულს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სად არის ახლა თითონ? — მოურავოვი ტოტლებენს გულისხმობდა.

— დუშეთს. — უპასუხა ფელდეგერმა.—მეც იქედან მოვდივარ. ჩვენ ხომ ავიღეთ ის ციხე.

— როგორ თუ აიღეთ?

— მე თქვენი არ მესმის! — შეაჭყიტა თვალები ჰუსარმა მოურავოვს.

— როგორ არ გესმით? — გაოცდა მოურავოვი. — აიღეთ რა, ბრძოლა გქონდათ?

— ბრძოლაო! — ჩაიცინა ჰუსარმა. — ციხის ყარაულები კატებივით გავთოკეთ. იმათ რა ბრძოლა შეეძლოთ!

— აჰა, ღმერთო ჩემო, ეს მაინც გამაგებინეთ, რისთვის დაგჭირდათ დუშეთის ციხის ძალით დაჭერა.

— როგორ თუ რისთვის? უმაღლესი უკაზის თანახმად, ტოტლებენს ხომ ნაბრძანები აქვს, საქართველო სრულიად დაიმორჩილოს და ქართველები მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ერთგულებაზე დააფიცოს. ჩვენც ვასრულებთ. ამ საქმეში კი განა ყველა თანაგვიგრძნობს! გრაფთან, მართალია, უკვე გამოცხადდნენ თავადები ამილახვაროვი და ფავლენოვი, მაგრამ დუშეთის ღუბერნატორმა არ ისურვა და კიდევაც სანანებლად გაუხდა საქმე, მისი ავლადიდება სულ დავარბიეთ.

— თქვენ მთვრალი ხომ არა ხართ?

— საიდან ვიქნები მთვრალი, ერთი კვირაა ღვინო ან არაყი თვალით არ მიხილავს.

— არა, ხუმრობის გარეშე.

— რასა ბრძანებთ. მშიერი კი ვარ.

— შემდეგ, შემდეგ?

— შემდეგ რა?

— მაშასადამე, ტოტლებენს გადაწყვეტილი აქვს...

— გადაწყვეტილი აქვს, რომ ამ რამდენიმე დღეში ის ერეკლე მეფეს დაატყვევებს, ანდრია პირველწოდებულის ორდენს ჩამოართმევს და შეპყრობილს რუსეთში გაგზავნის, შემდეგ ყველა მორჩილ თავადს იმპერატრიცის ერთგულებაზე დააფიცებს და ამგვარად საქართველოს საქმეს ერთ ორ კვირაში მოვრჩებით.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, ეგ შესაძლებელია?

— რატომ არაა შესაძლებელი. სამი ათასი კაცით საქართველოში ამ ოპერაციას ისე სწრაფად ჩავატარებთ, რომ მოხედვასაც ვერ მოასწრებენ.

— შემთხვევით ეგ თქვენი საკუთარი ფანტაზია ხომ არ არის?

— რასა ბრძანებთ. ამის შესახებ რამდენი ხანია ტოტლებენი თითქმის სათითაოდ ესაუბრა ოფიცრებს. მე მგონია, რომ ეს თქვენ უკვე იცოდით. განა ლვოვს თქვენთვის არ უცნობებია?

— თქვენის თვალით ნახეთ იმპერატრიცის უკაზი?

— მე არ მინახავს, მაგრამ ლვოვი ამბობდა, ვნახეო.

ამ ამბებმა გონება აურია მოურავოვს. ერთხანს თავბრუდახვეული იდგა ოთახში, დაჯდომაც ვერ მოახერხა, თუმცა მუხლებში ისეთი მოკვეთა იგრძნო, მზად იყო იატაკზე გაშხლართულიყო. მთელი ღამის უძინარი თვალები ეწვოდა და გულთან რაღაც ებჯინებოდა.

— გიჟი! — უნებურად აღმოხდა მოურავოვს და თავი გადაიქნია, — გიჟი, ნამდვილი გიჟი!

— ეგ ვინ, თქვენო აღმატებულებავ?

— ვინა? ვისაც ეკადრება, ის. თქვენ იცით თუ არა, ვისთანა გაქვთ საქმე? — უცბად ისე იყვირა მოურავოვმა, თითქოს მის წინ უბრალო ფელდეგერი კი არა, თითონ ტოტლებენი იდგა. — იცით მეთქი, თუ არა? ერეკლე თქვენ ცინდალივით გაგსრესთ. ერეკლეს აღმოსავლეთის მბრძანებლებმა ვერა დააკლეს რა და, თქვენ უგონურნო, ცდილობთ შებმას? არავითარი უკაზი არ არსებობს, ეს მთლად მისი მოგონილი ამბებია და ასეთი სულელური განზრახვებით სურს გამოისყიდოს აწყურთან ნაწვნევი სირცხვილი. თავის პატივმოყვარეობას სურს სამიათასი რუსი ადამიანის სიცოცხლე შესწიროს. არასოდეს. მე არ მივცემ ამის უფლებას! ოჰ, ღმერთო ჩემო, ეს რა უბედურება ტრიალებს ჩემს თავზე. ეს ამბები აქამდე ვიცოდი, მაგრამ მართალი არ მეგონა.....

ფელდეგერი გაოცებული უსმენდა მოურავოვს, რომელიც ფეთიანივით წრიალებდა ოთახში, შემდეგ მოსხლეტით დაეცა სკამზე, თავში ხელები წაივლო და ერთ ხანს ასე უძრავად იყო გარინდებული. მერე მძიმედ ამოიოხრა, ფელდეგერს უბრძანა, თუ მშიერი იყო, ეგუტოვისათვის მიემართნა და ის ასაუზმებდა, თითონ კი კალამს მისწვდა და მაშინვე პანინთან წერილის წერას შეუდგა.

„აქაური საქმეები მთლად აირია, — სწერდა გაჩქარებით მოურავოვი, თითქოს ამ აჩქარებით უფრო მალე მიაწვდენდა ხმას პანინს, თუმცა ისიც კარგად ახსოვდა, რომ ეს წერილი ერთ თვეზე ადრე ვერ მიაღწევდა პანინთან. — გრაფი ტოტლებენი თავისი კორპუსით ახლა უკვე საქართველოში იმყოფება, კერძოდ—დუშეთში, თითქმის რუსეთთან პირველ მოსაზღვრე ადგილს, სადაც ქართველთა ცნობით ციხიდან მოუხსნია ორი ზარბაზანი, რადგანაც ის მტრის შესაგებებლად ემზადებოდა, მაგრამ ყოველივე ეს მოჰორილია, რომლის საბაბი მე არ ვიცი...“

ერთ წუთს შედგა. თვალი გადაავლო დაწერილს, შეატყო რომ მაინც და მაინც დალაგებით ვერ წერდა აღელვების გამო, მაგრამ თავი გაიქნია და ისევ განაგრძო:

„..... განსჯისათვის იმისა, რომ თუმცა ერეკლე ყოველდღე ისმენს საჩივრებს გრაფ ტოტლებენის უამრავ შეურაცყოფათა და თავხედობათა, თითქმის ისეთ უდიდეს პუნქტამდე, რომ ბერძნული ეკლესია მუხრანის ახლოს სოფელში, გაძარცვულია იმისი რაზმის მიერ, რის შესახებ მე მას წარვუდგინე თხოვნა, რათა მან შეაკავოს ჯარები თავისი მსგავს თავხედობათაგან, — მაგრამ როგორ გავლენას მოახდენს, ეგ ჯერ არ ვიცი. ხოლო ჭეშმარიტი გამგონობა და მორჩილება ყოვლად მოწყალე მონარქინის წინაშე, ერეკლეს აჩერებს უღრმესი პატივისცემის საზღვრებში მისი ჯარების მიმართადაც. გუბერნატორი, რომელიცა იმყოფებოდა დუშეთს, იძულებული იყო გაქცევით ეშველნა თავისათვის, იმის შიშით, რაიმე არ შემემთხვასო

და აქ არაფერი არა ჩანს გარდა ძრწოლვისა, შფოთვისა, როგორც თვით მეფისა, აგრეთვე ყოველთა დიდებულთა, აგრეთვე ყოველთა, რომელნიც ჩაღენილ იყვნენ წინათაღწერილ მდგომარეობაში, აგრეთვე გა ოქ ეყ ბულ მანიფესტისა გამო პოდპოლკოვნიკთან თავად რატიევის, ჩოგლოკოვისა და პორუტჩიკ დეგრალიეს წინააღმდეგ, რომელთა ასლს ვბეჭდავ ამ ჩემ ენით, თქვენო ბრწყინვალებავ, დაწერილს რუსულსა და ქართულ ენებზე, აგრეთვე ასლს ერეკლეს ჩემთან მოწერილ ბარათისა, რომელიცა თქვენი, უბრწყინვალესო გრაფო, განხილვის ღირსი უნდა გახდეს.

„ბატონი პოდპოლკოვნიკი ჩოგლოკოვი და პორუტჩიკი დეგრალიე მოვიდნენ თბილისს 1-ლ მაისს თავის თავად, რომელთა შორის ჩოგლოკოვი დატუსაღებული იყო გრაფ ტოტლებენის მიერ და გაგზავნილი რუსეთში წარსულ 4 აპრილს, ხოლო დეგრალიე დათხოვნილი სამსახურიდან. პოდპოლკოვნიკი რატიევი კი მოწვეულ იყო თბილისს ერეკლეს მიერ, მისი რაზმის მოსამარაგებლად, რომელიც რუსეთიდან მოდიოდა მასთან ერთად ღრაფ ტოტლებენთან შესაერთებლად, სურსათით, და მისი იმედით, რომ თვით გრაფი ტოტლებენი მუხრანში დაბანაკდებოდა, როგორც ეს თვით მაცნობა ჯერ კიდევ აწყურში ყოფნის დროს; კიდევ მეტი, ერეკლემ შიკრიკები გაგზავნა მასთან და სთხოვდა თბილისში მოსვლას, — მუხრანიდან თბილისამდე კი ნახევარი დღის სავალია. ამ მოხსენებულ სამ პერსონას ტოტლებენი მოითხოვდა ერეკლესაგან მასთან წარსაგზავნად, რომელთა გაგზავნა განზრახულიც ჰქონდა რუსეთიდან მოსულ რატიევის რაზმთან ერთად, მაგრამ ის, არ დაელოდა რა ერეკლეს პასუხს, აქვეყნებს ამა მანიფესტს, რაიცა ძრწოლვას და გაოცებას იწვევს აქაურ ხალხში, რომელთაც არაოდეს არ გაუგონიათ ან მოუსმენიათ ასეთი რამ და თვით ერეკლეც შიშობს, რომ მისი პერსონის წინააღმდეგაც არ წარმოიქმნას მსგავსი რამ, წარმოდგენებით აქაური აზიელი ხალხის რუსეთის ტახტის ბრმა მორჩილების გამო და ყოველთა უსაქმურთა სიხარბე გამდიდრებისათვის, რომ რაიმე ამა მიზეზმა არ აღუძრას სურვილი აღასრულოს ესე საქმე, ვითარცა იგი მანიფესტი ბრძანებს, სურვილისამებრ მთავარ სარდლისა რუსთა ჯარებისა, რომელნიც აქ იმყოფებიან. ამისა გამო, რათა აცდენილ იქნას სისხლის ღვრა, შეიძლება სრულიად უდანაშაულო ადამიანთა, ერეკლეს განზრახული აქვს თვით გაგზავნოს იგინი პეტერბურგს.

ქალაქი თბილისი, 10 მაისი, 1770 წელი“.

მოურავოვმა თვალი გადაავლო დაწერილს, ერთ წუთს ჩაფიქრდა, რადგან ვერ გადაეწყვიტნა — მიეწერა თუ არა პანინისათვის ფელდეგერის ნალაქლაქევი, მაგრამ მოაგონდა, რომ ტოტლებენის მანიფესტში ერეკლე მაინც პატივით იხსენიებოდა, როგორც იმპერატრიცის ქვეშევრდომობაში შესული მეფე. ამის გამო შეიძლება რუსთა ბანაკში ატეხილი მითქმამოთქმა ძველოდ ზოგიერთთა მოსაზრებებს წარმოადგენდა და ამაზე სრულიად გაჩუმება ამჯობინა.

— ოოჰ! ღმერთო მიშველე! — ამოიოხრა მოურავოვმა, ბარათი დაიცა, სანთელი აანთო და მაგიდაზე ლუქს დაუწყო ძებნა: — ღმერთო, მიხსენი ამ გაჭირვებისაგან და მიუზღე ბოროტსა ბოროტისა წილ. ღმერთო!

* * *

სამი დღის განმავლობაში მოურავოვი მოუსვენებლად დარბოდა ქალაქში, ხან მდივანბეგებთან იყო, ხან ბატონიშვილებთან, ხან ქალაქის მოურავთან და ცდილობდა დაერწმუნებინა ყოველი მათგანი—ერჩიათ ერეკლესთვის—არ ვაებწვავებინა მდგომარეობა და ხელი აეღო ტოტლებენის დატუსაღებაზე. მის ცდას ტყუილუბრალოდ არ ჩაუვლია და მოულოდნელად მრავალი თანამოაზრე აღმოუჩნდა, განსაკუთრებით ხანშიშესულ დიდებულთა შორის, რომელთაც უკვე აღარ შეეძლოთ ქვეყნის გაჭირვების დროს ძველებური სიჩაუქით შესჭიდებოდნენ ყოველგვარ გაჭირვებას და ახლა მშვიდ ცხოვრებაზე ოცნებობდნენ. უხუცესებს გიორგი ბატონიშვილიც მიემხრო, რომელმაც თავი მოუყარა თანამოაზრე დიდებულებს, ერეკლეს ეახლა და კარგახნის თათბირის შემდეგ, როგორც იქნა დაიყოლია იგი ტოტლებენის დატუსაღების შესახებ გაცემული წერილობითი ბრძანება უკანვე გამოეთხოვა რატიევისაგან.

ამ ამბავმა საოცარი დრტვინვა და გულის წყრომა გამოიწვია ლეონის გარშემო შემოკრებილ ახალი თაობის დიდებულებში. დავითი მაშინვე გაემართა ერეკლესთან, რათა დაემტკიცებინა მისთვის, რომ ასეთი გადაწყვეტილება სრულიად აქარწყლებდა იმ დიდებას, რომელიც მოპოებული ჰქონდა საქართველოს ერეკლეს წყალობით და მეფეს ტოტლებენის ყურმოჭრილ მონად ხდიდა. ლეონი კი რატიევთან გაიქცა, განზე გაიხმო და უბრძანა — არ დამორჩილებოდა მამამისის ბრძანებას და ბარათი უკან არ დაებრუნებინა. შემდეგ ისიც მამასთან გაემართა, რათა თავის საყვარელ სიძეს მიშველებოდა.

ლეონს ეგონა დავითს ცხარე შეჯახება მოუხდებოდა მამასთან, და თუ არ მივასწარ, ვაი თუ ცუდად წავიდეს საქმეო, მაგრამ მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც დავითი მოსაცდელ ოთახში დაუხვდა მოწყენილი. იქვე იცდიდნენ მანდატურთუხუცესი გლახა ციციშვილი და იესე მსაჯული.

— ნახე მამა? — ჰკითხა ლეონმა დავითს.

მან უარის ნიშნად თავი გაიქნია.

— რატომ?

— კართან ეჯიბი დამიხვდა და მითხრა: მიბრძანა არავინ შემოუშო ჩემთანო.

— როგორ თუ არავინ? სახლთუხუცესი ეახლოს და არ შემოუშვანო? შარტოა?

— არა!

— ვინ არის მასთან?

— ბესიკი.

— ბესიკი? — ლეონი უცბად დამშვიდდა, — ჰოო, ეგ კიდევ არაფერი. მე ვიღაც სხვა მეგონა. წავიდე, ვნახო.

დერეფანში ეჯიბი შორიდან მოეგება ლეონს და მორიდებით მოახსენა, ბატონმა მიბრძანა, ლეონიც რომ მოვიდეს, ისიც კი არ შემოუშვაო, ბოდიში მოახსენე და თავის დროზე მე თვით ვიხმობ ყველასო.

ლეონი უკანვე გამობრუნდა, დავითი იხმო და ორივენი ანასთან გაემართნენ. ანა სიხარულით შეეგება სიძესა და ძმისწულს, რიგრიგობით შუბლზე ეამბორა, ტახტზე დასვა და დავითს თამარის ამბები ჰკითხა.

— როგორა ბრძანდება ჩემი სიხარული? შეეჩვიენით ერთმანეთს? — დიმილით ჰკითხა ანამ. — ალბათ, თორემ განა აქ არ მოვიდოდა! — გარეთ ალარ გამოდის, თუმცა თქვენი სასახლიდან ჩვენამდე, მგონი ხუთი ნაბიჯიც არ იქნება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჩემმა სახლობამ საყვედური მოგახსენათ, მამიდამ დამიბეწყინა. ლეონი ხომ სულ ჩვენთან არის, დღეცა და ღამეც. ღვთით ჩვენს სახლში ჯერ წვიმა არ ჩამოსულა და რისთვის დაგვიძვირეთ სტუმრობა!

— განა არ მინდა, სულ თქვენთან მინდა ყოფნა, მაგრამ...

— ვიცი, დაიწყებ ახლა: ჩემი დიმიტრი... ვერ ვშორდები... — შეაწყვეტინა დავითმა. — კარგი ერთი თქვენმა დღეგრძელობამ! განა ცოტა გყავთ მოახლეები და მსახურები, რომელნიც დიმიტრის მიჰხედავენ? როგორ ბრძანდება ბიძაჩემი?

— როგორ იქნება! ახლა ახალი ზნე შეეყარა. ბატარა ჩვილივით ჭირვეულობს, საჭმელს რომ დაინახავს, სიხარულით ტაშსა სცემს და ბავშვივით აზლუქუნდება, თუ მურაბა არ ვაჭამეთ. ეჰ! თქვენი ამბავი მითხარით. ლეონ, შენ თითქოს ვიღაცას გაუჯავრებიხარ.... — მოუბრუნდა ლეონს ანა.

ლეონმა ხელი ჩაიქნია, მამიდას არ უპასუხა, ნარდს მისწვდა და დავითს მიმართა:

— მოდი თავი მაინც გავირთოთ, სანამ ბესიკი მამასთან საუბარს დაამთავრებდეს.

— ბესიკი! — შეკრთომით წამოიძახა ანამ.

— ჰო! — წარბშეჭმუხვნით უპასუხა ნარდის ქვიშრების დაწყობით გართულმა ლეონმა. — ჩაკეტილია მამასთან და ნეტავ ისეთი რა საიდუმლო აქვთ, რომ ჩვენც კი არ შეგვიშვეს?

ამ ამბავმა ანა რატომღაც ისე ააღელვა, რომ ძალუმი გულისჩქროლვა აუტყდა და უცბად სახეზე სიფითრემ გადაჰკრა. შეეშინდა, ვაი თუ ჩემი მიჯნურობის ამბავი მაიამ გაამეღავნა და ამ ამბავმა ერეკლეს ყურებამდე მიაღწიაო. ათასნაირად სჯიდა გუნებაში და ვერაფერი წარმოიდგინა, სხვა ისეთი რა საიდუმლო საქმე უნდა ჰქონოდა ერეკლეს ბესიკთან, რომ კარჩაკეტილში ეთათბირნა მასთან.

აღელვება რომ დაეფარა, მაშინვე წამოიჭრა ფეხზე და მეორე ოთახში გავიდა. ხელსაქმით გართულ პატარა ანას უბრძანა დავითსა და ლეონს ხლებოდა, თითონ კი ჯერ სარკეში შეათვალიერა თავისი თავი, ნელსაცხებელი მძლავრად მოყნოსა, გულის ჩქროლვა, როგორც იქნა, დაიმშვიდა და მაშინვე ანახანუმის პალატებისაკენ გაემართა. იმედი ჰქონდა, ანახანუმისაგან გაიგებდა ყოველივეს, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. პირდაპირ კითხვა ვერ გაბედა და მიკიბულ-მოკიბული საუბარით ვერაფერი ვერ გაიგო. ანახანუმმა არაფერი არ იცოდა.

თავის ოთახში რომ დაბრუნდა, იქ უკვე აღარავინ დაუხვდა. გადაშლილი ნარდი მოწმობდა, რომ დავითსა და ლეონს თამაში მოულოდნელად მიეტოვებინათ. ანამ უმწეოდ მიმოიხედა და ახლა თავის შვილიშვილს დაუწყო ძებნა. მოახლეს გასძახა. მან მოახსენა, რომ პატარა ანა დედოფალ დარეჯანთან წავიდა, ბატონიშვილი იულონი ავად გამხდარა და სასახლეში ქალები ვინც კი იყვნენ, ყველანი საჩინოში წავიდნენო.

— ეგ როდის შეიტყეთ? — გაოცდა ანა.

— აი სულ ხუთი წუთიც არ იქნება. დედოფლის მსახური მოვარდა, ეჭი-

მები უნდა წავიყვანო, ბატონიშვილს ისეთი სიცხე აქვს, მაყალასავით გაღვივებული წევს ლოგინშიო.

— უი, ღმერთო მომკალ, ეგ როგორ ვერ გავიგე? მეც უნდა წავიდე. რისთვის არ დამელოდნენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სულ ახლახან წავიდნენ. ჯერ ხიდზე არც კი იქნებიან გასულნი.

— ჩქარა საგარეო ქოშები და ქოლგა მომიტანე, ახლავე მეც უნდა წავიდე. — აფუსფუსდა ანა და ერთ წუთს სრულიად გადაავიწყდა საკუთარი დარდი. მაღალქუსლიანი ლამაზად მოსირმული ქოშები სწრაფად ჩაიცვა. ქოლგას ხელი დაავლო და მაშინვე გაემართა საჩინოსაკენ. კიბეზე რომ ჩარბოდა, თვალი მოჰკრა რამდენიმე დიდებულს, რომელნიც ასეთივე აჩქარებული ნაბიჯებით მიემართებოდნენ გარეთ. ანამ მათ შორის ჭაბუა იცნო და გასძახა:

— ჭაბუავ, ჭაბუავ, მომიცადე! — სწრაფად დაეწია და ქოშინით ჰკითხა:

— საჩინოში მიდიხარ?

— დიაღ, იქ გეახლებით! — მდაბლად თავის დაკვრით მოახსენა ჭაბუამ. დანარჩენებიც შეჩერდნენ და ანას ასევე თავდაბლად მიესალმენ.

— მაშ ერთად წავიდეთ, — უთხრა ანამ ჭაბუას, ისე რომ დანარჩენთათვის არც შეუხედნია. — ეს რა უბედურება დაგვტყდომია. ნეტავ რით არის ავად?

— რა მოგახსენოთ. ექიმები მხოლოდ ახლა წავიდნენ.

— ბატონი იქ ბრძანდება, ალბათ.

— არა. ბატონს არა სცალიან. მოხსენებაც ვერ გაბედეს. თავის ოთახშია და არავის არ იკარებს.

— ქა, ეგ როგორ იქნება. როგორ თუ ვერ გაბედეს.

— უბრძანებია, ქვეყანაც რომ იქცეოდეს არავინ შემოუშვათო. აბა, ვინ გაბედავს მეფის ბრძანების დარღვევას?

— იჰ! როგორ თუ ვერ გაბედეს. მე მოვახსენებ, ეგ როგორ იქნება. — უცბად შებრუნდა ანა, კაბის კალთა ოდნავ აიკრიფა და კიბეები სწრაფად აირბინა.

ისევ აუტყდა გულისჩქროლვა ანას. მართალია, მოულოდნელად გაუჩნდა ხელსაყრელი მიზეზი, გაეგო, თუ რისთვის ჩაკეტილიყო ერეკლე ბესიკთან ერთად და თავიდან მოეშორებინა ეს მძიმე კაეშანი, მაგრამ, როდესაც დერეფანში მიაბიჯებდა, უნებურად შეანელა ნაბიჯი. საბაბი კარგი ჰქონდა — შესულიყო ძმასთან, შვილის ავადმყოფობას აცნობებდა და, თანაც ერთი შეხედვით მიხვდებოდა ერეკლეს სხვა რამ საქმეებზე ჰქონდა საუბარი ბესიკთან, ან ქაღალდებს აწერინებდა, თუ სტუქსავდა დასთან გამიჯნურებისათვის. ერეკლეს ფიქრადაც არ მოუვიდოდა ეჭვის თვალით შეეხედნა დისათვის და მიხვედრილიყო მის აღელვების მიზეზს.

მაგრამ...

მაგრამ, ვაი თუ ერეკლეს საუბარი ბესიკთან ანას შეეხებოდა. მაშინ? მაშინ, ხომ ანას იქვე გაუსკდებოდა გული, რომელიც ახლაც არ ასვენებდა და ისე მაგრად უცემდა, თითქო გარეთ გამოვარდნას ლამობდა.

და რაც უფრო უახლოვდებოდა ერეკლეს ოთახს ანა, მით უფრო უმძიმდებოდა ყოველი ნაბიჯის გადადგმა. ტანში ხან უეცარ სიცივეს გრძნობდა და გული საღლაც ჩაუქანდებოდა, ხან სახეზე სწრაფად წამოახურებდა, თითქოს ვარვარა თონეში ჩაეხედოს და შავი პეპლები მოულოდნელად იწყებდნენ არეულ ფრენა-ტრიალს მის თვალწინ.

კარებთან მდგარი ეჯიბი, დანახვისთანავე, მიეგება ბატონის დას, ბრწყინვალებით მიესალმა და გაოცებული შეაცქერდა, რადგან სახეზე საოცარი აღელვება შეატყო.

ანა ბედგა, უნდოდა ეკითხნა რაღაც, მაგრამ სული ვერ მოიყარა, სანამ რაიმეს თქმას მოახერხებდა, კარები გაიღო და დერეფანში გაღიმებული ბესიკი გამოვიდა.

ანა მაშინვე დარწმუნდა, რომ მთელი მისი აღელვება სრულიად უსაფუძვლო იყო, უცბად კიდევაც დამშვიდდა, მაგრამ სხეულში საშინელი დაღლა იგრძნო, მუხლები აუკანკალდა და ცრემლები თავისუფლად ჩამოუცურდა თვალთაგან. ნაწყვეტ-ნაწყვეტად, სლოკინით ჩაისუნთქა ჰაერი, ბესიკისათვის მოკრძალებულ სალამზე არც უპასუხნია, ისე შევარდა ძმასთან და გულამომჯდარმა მიაძახა:

— ბატონიშვილი იულონი ავად გამხდარა, ვაი ჩემს გაჩენას!... — და ატირებული ტახტზე ჩამოჯდა.

— ავადო! — გაოცდა ერეკლე, — გუშინ არა ეტყობოდა რა.

— დიდი სიცხე აქვსო. — ანამ ცხვირსახოცი თვალებზე მიიფარა.

— კარგი ერთი, გულისგახეთქა ნუ იცით, სურდო შეეყრებოდა ან ნიავი დაჰკრავდა. წავიდეთ, ვნახოთ, ექიმები ხომ იხმეს?

— სნება არა იყოს რა, ჩემი იულონ, ჩემი ჭკვიანი მეცნიერი ბიჭუნა, — ანამ თვალები მოიწმინდა და ახლა დამშვიდებული ოდნავ დაბოხებული ხმით უთხრა: — ექიმები ახლა წავიდნენ.

— ჩვენც წავიდეთ. ჰეი ეჯიბო! — დაჰკრა ტაში ერეკლემ და კარებში გარინდულ ეჯიბს უბრძანა: — ჩქარა ცხენები!

საჩინოში მათ აუარება ხალხი დაუხვდათ. მთელი ეზო, აივნები და ოთახები სავსე იყო დიდებულებით და მორთულ-მოკაზმულ სეფექალებით. ერეკლეს გაუკვირდა ამდენი ხალხის თავისმოყრა ერთად და შეშფოთებული შევ რდა კოშკის მრგვალ დარბაზში, სადაც ავადმყოფი იულონი იწვა.

სასეალეწლი პატარა ბატონიშვილი ქოქინით სუნთქავდა და გაფართოებული თვალებით ჭერს მიშტერებოდა. მამის დანახვაზე გაიღიმა და ორივე ხელები გაუწოდა, რომ კისერზე მოხვევოდა. ერეკლემ მაშინვე ჩაიჩოქა შვილთან, დაიხარა და შუბლზე ხელი გადაუსვა. იულონმა მამას კისერზე შემოაჭდო ცხელი მკლავები და აღარ გაუშვა.

— მამა, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩასჩურჩულებდა ყურში იულონი, — ჩემო მამიკო. ცხენს ხომ მაჩუქებ?

— ჰო, შვილო, ჩემს არაბულ ბედაურს გაჩუქებ, — სცადა თავის გათავისუფლება ერეკლემ, მაგრამ იულონმა არ გაუშვა, მკლავები უფრო მაგრად შემოაჭდო და კიდევ ჰკითხა:

— ქურანას მაჩუქებ?

— ჰო, ქურანას, — ამშვიდებდა ერეკლე, — ოქროს უნაგირს და ფრანგულს...

ანამ სცადა იულონის ყურაღლება თავისკენ მიეპყრა და გაეთავისუფლებინა ერეკლე, რომელიც უხერხულად იყო გადახრილი და ვერ ახერხებდა შვილის ტყვეობიდან დასხლტომას, მაგრამ ვერა გააწყო რა. იულონმა ერთი კი შეხედა მიალერსებულ მამიდას და ისევ მამას ჩაესკვნა. კიდევ კარგახანს

გაგრძელდებოდა ალბათ შვილის ეს გადაჭარბებული ადერსი მამისადმი, რომ ისევ დარეჯანი არ ჩარეულიყო და არ დაეყოლებინა იულონი ხელი ეშვა ერეკლესათვის. მეფეს სავარძელი მიარეფინა ექვლოგინთან დაუდგეს. ერეკლე დაჯდა და მხოლოდ ახლა მიმოხედა დარბაზში ცოტანი იყვნენ: დარეჯანი, ლეონი, ანა და სამი ექიმი. პატრ ლეონარდოს, ყველაზე სახელგანთქმულ ექიმს, ებრძანებინა დარბაზში არავინ შემოეშვათ, დარეჯანის და ლეონის გარდა ყველანი დაურიდებლად გარეთ გაერეკა და ჰაერის გასანიავებლად კარფანჯრები დაეღო.

ერეკლემ კითხვის თვალით გადახედა ექიმებს და მზერა ლეონარდოზე შეაჩერა. სანამ პატრი მეფეს რაიმეს მოახსენებდა, თურმანიძემ დაასწრო:

— სათულრა შეჰყრია ბატონიშვილს, მეფევ. ფილტვების ტკივილი. მაჯაც აშლილად და რბილად უცემს, სახეზეედაც წამოჭეხებულია, სული უგუბდება, ქშინავს. მეტისმეტი სისხლისაგან შეყრია. ჯალინოზ ექიმი სწერს, რომ ამა სენსა ადვილად და აგდებით ნუ დაიჭერთ, რომე, მწვედ ძნელი და ავი, საფათერაკო, ჭირი და სენი არისო.

— ნუ შეშფოთდებით, მეფევ,—დაამშვიდა ლეონარდომ ერეკლე,— მადლობა უფალს, ჩემს აფთიაქში ისეთი უებარი წამლები მაქვს ამ სენის განსაკურნავად, რომ ბატონიშვილს სულ მალე ფეხზე დავაყენებთ.

— სისხლი უნდა გავუღოთ, — ისეთი კილოთი წაიდუდუნა თურმანიძემ, თითქოს ლეონარდოს უსაყვედურა, დიდ მცოდნედ რომ მოგაქვს თავი, ეს რისთვის დაგავიწყდაო.

— სისხლიც უნდა გავუღოთ და სტომაქიც გავუწმინდოთ, — დასძინა ლეონარდომ და თურმანიძეს ისე გადახედა, თითქოს ეუბნებოდა, ესეც ისწავლე ჩემგან, გამოგადგებაო. ერეკლემ უნებურად ახლა მესამე ექიმს, ზაზა ასლანიშვილს გადახედა, რომელიც ჩუმად იდგა და საუბარში მონაწილეობას არ ღებულობდა. მას საექიმო ხელოვნება რომში ჰქონდა შესწავლილი და სულ ახლახან იყო დაბრუნებული სამშობლოში.

— თქვენ რას გვეტყვით? — ჰკითხა ერეკლემ ზაზას.

— ნუ დარდობთ, მეფევ, ოღონდ ოთახში ავადმყოფთან ორი ადამიანიც ბევრია. ყველანი უნდა გაბრძანდეთ. შემდეგ... დღე და ღამე თითო ექიმი სულ უნდა მორიგეობდეს ავადმყოფთან.

— ეგ ადვილი საქმეა, სამი ვეყოფით, — უთხრა ლეონარდომ, — ღამ-ღამობით მე ვიმორიგებ.

— შემდეგ, — ხელით ანიშნა ზაზამ ლეონარდოს — დამაცადეთ და განაგრძო, — შემდეგ ამ სენის ექიმობის წესები სხვადასხვაგვარია. წამლებიც მრავალი. ყველა არ ვარგა. მე ჩემებურად ვექიმობ, ლეონარდო თავისებურად და ივანეც თუმცა დოსტაქარია, მაგრამ ამ სენის წამლობაც იცის თავისებური ხერხით. უნდა ერთერთზე შევჩერდეთ. თქვენ ვისაც ენდობით, იმას მიანდეთ და ჩვენც იმას მივყვებით. იმის წესს არ გადავალთ. ეს იმისათვის მოგახსენეთ, რომ ბატონიშვილს სიცხე აქვს, მე მისთვის შუბლზე ცივი ტილო უნდა დამეფინა, ლეონარდომ ნება არ დამრთო, ხოლო ივანემ ცივი ტილო გულმკერდზე უნდა შემოვაფინოთო.

ლეონარდომ და ივანემ ერთად დააპირეს შედავებოდნენ ზაზას, მაგრამ ისინი ერეკლემ შეაჩერა და ზაზას უბრძანა: უფროსობა თქვენთვის მომინდვიაო.

ზაზამ მდაბლად დაუკრა თავის მეფეს.

*
* *

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანა ადრე დაბრუნდა სასახლეში, მას მოუთმენლად სურდა გაეგო ერეკლესა და ბესიკის საუბრის შინაარსი.

სასახლეში მსახურთა გარდა არავინ არ იყო. ყველანი საჩინოში გაკრეფილიყვნენ. ანას განზრახული ჰქონდა დედინაცვალი მოენახულებინა, ვითომ იულონის ავადმყოფობის ამბავი სურდა ეცნობებინა, უფრო კი იმისათვის, რომ ბესიკს შეხვედროდა, ან იმის შესახებ გაეგონა რაიმე. მაგრამ თავის ბინაში რომ მოვიდა, მოურავი დაუხვდა, რომელიც დიმიტრის თავით უჯდა და ემუსაიფებოდა.

ქმრის ლოგინადჩავარდნის შემდეგ ანა მთელ მამულებს თითონ განაგებდა. მას დიდძალი მამულები ჰქონდა, როგორც ქმრის, აგრეთვე მზითევში მიღებული და მათი მოვლა-პატრონობა არც ისე ადვილი საქმე იყო. სოფლების უმრავლესობა აყრილი იყო და გავერანებული. აქა-იქ თითოოროლა ძოსახლე გლეხი თუ მოიძებნებოდა და ისინიც გარბოდნენ, ზოგი სად და ზოგი სად; ან ქალაქებს ეტანებოდნენ, ან კიდევ — მჭიდროდ დასახლებულ დიდ სოფლებს, სადაც უფრო უშიშრად გრძნობდნენ თავს და ლეკების ტყვეობაში ჩავარდნის შიში არ ჰქონდათ. ამის გამო მემამულენი დიდ გაჭირვებაში იყვნენ ჩავარდნილნი და ისეთ თავადს, რომელსაც მუდამ შეიარაღებული რაზმით თავისი მამულების დაცვა არ შეეძლო ლეკთა თარეშებიდან, ყმები დაურიდებლად ეპარებოდნენ, სტოვებდნენ თავიანთ კარმიდამოს, დათესილ ყანებს და დასაკრეფ ზვრებს. ასეთმა მდგომარეობამ ერეკლე აიძულა განსაკუთრებული ბრძანება დაეწერნა სოფლების შენების შესახებ. ამ ბრძანების მიხედვით მემამულე თავადებს, ასეთ მიმობნეულ და ხარაბაძქცეულ სოფლების ნაცვლად მოსახლეობა დიდ სოფლებად უნდა შეემჭიდროებინათ ისეთ ადგილებში, სადაც ან ძველი ციხესიმაგრეები იყო აგებული და მათი შეკეთება დიდ ხარჯებს არ მოითხოვდა, ან შესაძლებელი იყო ახალი ციხესიმაგრის აგება, აგრეთვე მემამულეებს უფლება მიეცათ სხვადასხვა ადგილას მიმოფანტული ან შეკედლებული ყმები აეყარნათ და ახალშენებში გადმოესახლებინათ.

მთელი ამ საქმეების გაძღოლა ანას თითონ მოუხდა. ერთი წლის განმავლობაში მოურავის როსაბ მაჭავარიანის დახმარებით მან მოახერხა სამოცდათორმეტ სოფლის ნაცვლად, თავისი ათასი მეკომური გლეხი, ოცდახუთ სოფელში დაესახლებინა. ამ სოფლებში თითქმის ყველგან იყო ან გალავნიანი ციხესიმაგრე, ან უბრალო კოშკი მაინც. თუმცა არც ერთი მათგანი არ იყო დაუზიანებელი და შეკეთებას მოითხოვდა, მაგრამ ანას იმედი ჰქონდა — ამ საქმესაც ადვილად მოაგვარებდა, თუმცა ციხეთა შესაკეთებლად სამას-ოთხასი თუმნის თეთრი ჭირდებოდა და ამდენი ფული კი ხელზე არ ჰქონდა. მართალია, ანას ოჯახი სავსე იყო ძვირფასი ნივთებით, ოქროვერცხლის სამკაულებით და თვალმარგალიტით, მაგრამ იმ დროში არავის არ მოუვიდოდა ფიქრად, ასეთი ნივთების დაგირავება, ან გაყიდვა, მამულის მოვლის მიზნით. ანას ისევ გლეხების ბეგარის იმედი ჰქონდა.

ერთს საზრუნავს კიდევ ის შეადგენდა, რომ საჭირო იყო გაქცეული გლეხების მოკრება და საკუთარ მამულებში გადმოსახლება. ანამ დაავალა მოურავს — შეედგინა ამ გლეხების სია, რომელზედაც მეფეს განაჩენს დაა-

დებინებდა და მაშინვე შეუდგებოდნენ ამ გლეხების აყრას. ასეთი სიის შედგენა არც თუ ისე ადვილი საქმე იყო და მოურავი მთელი ექვსი თვის განმავლობაში დაეძებდა გაპარულ გლეხებს, მართალია, მთლიანად მათი მოძებნა ვერ მოხერხდა, მაგრამ უმრავლესობა მაინც აღმოჩენილი ექნა და ახლა სწორედ ამ სიით იყო მოურავი მოსული ანასთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— როსაბ, გამარჯვება! — მიესალმა მოურავს ანა.

— ჩემს მბრძანებელს, ბატონის დას უმდაბლეს სალამს მოახსენებს მისი ფერხთა მტვერი როსაბ მაჭავარიანი! — წამოიჭრა ფეხზე მოურავი, დაიჩოქა და თათრულ ყაიდაზე შუბლით იატაკს შეეხო.

— კარგი ერთი, ადექ, შენმა სიცოცხლემ, — უბრძანა ანამ, საკვარცხულზე დაჯდა და მოურავს სკამზე მიუთითა, — აი, აგერ დაჯექ და მიამბე, როგორა ხარ?

— მე რა საკითხავი ვარ, თქვენო ბრწყინვალებავ. ოღონდ თქვენ და თქვენი მეუღლე მეყოლებოდეთ მუდამ დღეგრძელი და ბედნიერი.

— ხვნა-თესვისა რა ჰქმენ? — ჰკითხა ახალ და კრიალოსანი მოიმარჯვა.

— აგერ დიმიტრისაც მოვახსენებდი, თუმცა...

დიმიტრი უცბად წამოიწია და უკბილო პირით, სასაცილო ჩიფჩიფით წამოიძახა:

— თქვენი ხვნა-თესვაცა, თქვენი...—აქ ერთი ლაზათიანი უწმაწური გინება მიაყოლა და დასძინა, — შიმშილითა მკლავენ, კაცო! არაფერს არ მაჭმევენ, ეს მეკადრება... ჰა! ეს... ჰმ! შიმშილითა! მაშ!

მოურავმა წვერებზე ხელი დაისვა და თავი ისე გადაიქნია, თითქო ბატონს ეუბნებოდა, ვითომ ეს როგორ გაგიბედესო, ამავე დროს, ოდნავი დამცინავი ღიმილით, ანას აგრძნობინა, რომ კარგად ესმოდა დიმიტრის ჭირვეულობის მიზეზი.

— დაიცა ერთი, — შეუტია ანამ ქმარს, — ექიმებმა ხომ გითხრეს, ზომაზე მეტი არა ჭამო, თორემ მოკვდებიო. დაგავიწყდა?

— თქვენი ექიმებიც, თქვენი... — წამოიწყო ისევ დიმიტრიმ.

ანა უცბად წამოიჭრა ზეზე და მოურავს უბრძანა:

— მეორე ოთახში გავიდეთ, თორემ მაგან ჭკუასთან ერთად ზრდილობაც დაჰკარგა.

მოურავი მორჩილად მიჰყვა ანას, ორივენი მეორე ოთახში გავიდნენ, ანამ ტახტზე მოიკეცა, ხოლო მოურავი საკარცხულზე დაჯდა და უბიდან ოთხად გაკეცილი ქაღალდი ამოიღო.

— აი, თქვენო ბრწყინვალებავ, სია მოგართვით.

— დაიცა, ჯერ ხვნა-თესვისა რა ჰქმენ?

— ხვნა-თესვისა რა უნდა მოგახსენოთ, სადაცაა მკ ს შ ვუდგებით, რაღა ღრეს ხვნა-თესვაა. ხოდაბუნებში ისეთი ჯეჯილი ბიბინებს, რო.....

— აბრეშუმისა?

— აბრეშუმის რა მოგახსენოთ! რაც თუთები გვქონდა, იმის ვარაუდით დავსხით. წელს იქნებ ორი ათასი შულო ძაფი ამოვიღოთ.

— შარშანდელზე ნაკლები? — გაიკვირვა ანამ.

— თესლი ვერ გამოდგა. არ ვიცი ახალ მთვარეზე იყო თუ რა, მისხალზე იმის ნახევარი ჭიაც არ დადგა, რაც შარშან იყო.

— კარგი, მაგაზე შემდეგ ვილაპარაკოთ. აბა ეგ სია მაჩვენე.

მოურავმა ქაღალდი გაშალა და ზედ შორიდან დახედა, მერე უბეებზე

ხელები მოიფათურა, სათვალე ამოიღო, გაიკეთა და ისე გადააცლო თვალი სიას.

— აქ სულ ოცდაორი თქვენი ყმა გლეხი გახლავთ. გორაშვილი ლალისყურას, ბერუა — რა გვარისაა არ ვიცი — ოთხთვალას გახლავთ, [illegible] ქემხიშვილი ზურაბა, მერეს — ახალკაციშვილი, ახატელში [illegible], საველი მისი არ ვიცი, თელავს — მენაბდიშვილი — ეს ვიღაც ჰაჯმამუდოს მიკედლებია და სომხად ჩაწერილა, მოქალაქე ვეგონებით, ხელს არ ძალებენო, თელავს კიდევ მექვაბე.

— ჩვენი მექვაბე ოსტატი?

— ღიაღ, ისა, გვარით არც კი ვიცი, ყველანი მექვაბეს ვეძახით. ესეც თელავს წაბრძანებულა. ბაზარში სახელოსნო დაუჭერია და სომხად მონათლულა, კიდევ შემდეგ ვინ არიან? — დაეკარგა, სადაც შეჩერდა მოურავი და ათვალეს ხელი წაავლო, თითქოს სურდა ქალალდთან უფრო ახლო მიეტანა, — ჰო, შილდას მენოგნე დავითა, ეი ყოკა ღვინოს რომ სულმოუთქმელად აცლიდა...

— ჰო, მახსოვს, — სთქვა ანამ.

— კიდევ შილდას ხახარო და ტუჩაშვილი. ყვარელში — ციქუბაძე და ჩოლახა გონა. კუჭატანში — ფერდელაშვილი, ჭიკანში — ოქრომჭედლიშვილი. გრძელ მინდორს — ტაბლისჭირი...

— რაო. ტაბლისჭირიო?

— ჰო, ეგრე ეძახიან, — გაიღიმა მოურავმა და ანას სათვალების ზემოდან გადახედა. — თითონაც არ იცის თავის ნათლობის სახელი. გურჯაანში კიდევ იალანაშვილი, ვაქირში — ბერიძიშვილი ოთარა, ქალაქს — სტეფანე მჭედელი. ესეც სომხად მონათლულა და მეუბნება: მე ახლა მოქალაქე ვარ, ხელს ვერავინ მახლებსო. მე ვუთხარ, თუნდაც გათათრდე, სოფელში მაინც წაგიყვანა-მეთქი. ქალაქელი ქალი შეურთავს, ამოდენაკავებიანი, — გაშალა მტკაველი მოურავმა, — უი ქაა... სოფელში რა მინდა, მე ქალაქურ ცხოვრებას შეჩვეული ვარო.

— სულ ეგ არის?

— დიაღ. გრძელმინდორს კიდევ — კუპატაძე სვიმონა. ესენი ყველანი ოცდაოცელოდ არიან. ახლა ჩვენი ბატონის ერეკლეს ბრძანება თუ იქნება და ნასაულს მოგვცემს, ამათ ყველას ავყრით და თქვენს სოფლებში გადმოვასახლებთ. ყველას მამულებს დავურიგებთ, ღვთით, მამულები იმდენი გვაქვს, რომ ხალხი კი იყვეს და თუნდაც, ერთი, ათას მეკომურსაც არ დავტოვებ უმიწაწყლოდ.

— კარგი, მაგ სია გვიბოძე, დღესვე დავაწერინებ ბატონს ბრძანებას, შეტი აღარავინ დაგვრჩა?

— კიდევ ოცამდე მეკომური გვაკლია დავთრების მიხედვით, თქვენო შრწყინვალებავ. მაგრამ რამდენიც არ ვეძებე, მათ კვალს ჯერ ვერ მივაგენ. არ ამხელენ. ამათ აღმოჩენაზედაც იმდენი დავიდარაბა გადამხდა, რომა, სულ თავბედი ვიწყევლე.

— ჩემო როსაბ, შენი იმედი მაქვს, ხომ ხედავ, პატრონი აღარა მყავს, მეუღლე ბავშვივით მოსავლელი გამიხდა, თუ არ ვიმარჯვეთ, სამოწყალოდ გავხდები.

— აბა რასა ბრძანებთ, ღმერთმა სამოწყალოდ თქვენ კი არა, მტერსაც ნუ გაუხადოს საქმე.

— შენ ნამგზავრი ხარ, მშიერი იქნები.

— არა, გმადლობთ.... — სცადა თავაზიანი უარისთქმა მოურავმა, მაგრამ ანამ არ დააცალა.

— დაიცა, ფარეშს ვუბრძანებ გემსახუროს. ცოტა მოისვენე.

— ქალაქში საქმე მაქვს, თქვენო ბრწყინვალებავ. ზოგიერ[illegible] უნდა ვიყიდო, ზოგი ფარჩეული, ოცდაათი ახალი ცელი მჭირდება, თორე სათიბები წაგვიხდება...

— კარგი, ქალაქში საქმეები მოათავე და დანარჩომზე შემდეგ მოვილაპარაკოთ.

ანამ ფარეში იხმო, უბრძანა მოურავისთვის მოევლო, ესადილებინა და კოშკის ოთახში დაებინავებინა. თითონ კი ადგა და მაშინვე ანახანუმის პალატებისკენ გაემართა. მას მოსვენებას არ აძლევდა ბესიკის საიდუმლო თათბირი მეფესთან.

ანახანუმი შინ არ დაუხვდა. მოახლემ მოახსენა, ქართლის დედოფალი საჩინოში წაბრძანდა ავადმყოფ ბატონიშვილის სანახავადო. ანამ ჯერ გამობრუნება დააპირა, მაგრამ შემდეგ დასძლია თავს და ოდნავი ხმის კანკალით ჰკითხა: ბესიკი სად არისო.

— დავუძახოო! — გაჭიანურებულად ჰკითხა მოახლემ და ბესიკის ოთახისაკენ გაიხედა.

— დაუძახე! — უბრძანა ანამ და მაშინვე ნოხგადაფარებულ ტახტზე დაჯდა.

მოახლე წავიდა ბესიკის დასაძახებლად. ანას მოეჩვენა, რომ ორივემ ზომაზე მეტად დააგვიანეს გამოსვლა. თითქოს ბესიკი ერიდებოდა ანასთან შეხვედრას. ასეთმა ეჭვმა მტკივნეულად გაჰკრა გულში ანას და უცბად თვალწინ წარმოუდგა ყველა ის შემთხვევა, როდესაც ბესიკს მარტო შეხვედროდა. წარმოუდგა და გაახსენდა, თუ როგორი შეშინებული თვალებით იცქირებოდა ბესიკი იქეთ-აქეთ და როგორ ცდილობდა, რაც შეიძლება მალე განშორებოდა ანას.

მაშინ ანას ეგონა, ბესიკს ის აშინებს, ერთად არავინ დაგვინახოსო, მაგრამ ახლა მიხვდა, რომ მისი ანასთან მიჯნურობა თითქოს იძულებითი იყო და, ცხადია, ალბათ უმძიმდა ჭაბუკ მგოსანს, თავისზე უფროს ქალთან შეხვედრები. უმძიმდა და შეიძლება ახლაც იმისთვის აგვიანებდა გამოსვლას.

ანა უცბად ისეთმა ნაღველმა შეიპყრო, ვერაფრით ვერ შეიკავა თავი — არ ატირებულიყო. ცრემლები ღაპაღუპით წამოუვიდა თვალთაგან. ბესიკის გამოსვლას აღარ დაელოდა, მაშინვე წამოიჭრა ზეზე და დასტოვა ანახანუმის დარბაზი. გზადაგზა ცდილობდა არავის შეემჩნია მისი ცრემლები და დერეფნებში გავლის დროს, როდესაც ან მსახურს, ან მეფის რომელიმე მოხელეს მოჰკრავდა თვალს, განზე გაიხედავდა და ცხვირსახოცს მუშტში მალავდა.

როდესაც თავის ოთახში მივიდა, ეგონა უფრო ამოუჯდებოდა გული, მაგრამ თავისდა უნებურად სრულიად დამშვიდდა. ცრემლები სადღაც გაუქრა და ახლა უკვე გუნებაში უსაყვედურებდა თავის თავს: ეს რა მომივიდა, რისთვის გამოვიქეცი. იქნება ის თავის ოთახში შინაურულად, შილიფად იყო, გახდილი, ფეხშიშველი და აგრე ხომ ვერ გამოხტებოდა დარბაზში, რაგინდ საპატიო სტუმარიც არა სწვეოდაო.

ან იქნებ ლექსებსა სწერდა, სატრფიალო ლექსებს, — ფიქრობდა ანა, — იქნებ ჩემზე სწერდა: ვეტრფი ანასა, გრძელ წამწამასა.

ასეთი ფიქრებით გატაცებული ანა საქარგავს მისწვდა, რომ ხელსაქმით მაინც გაერთო თავი, მაგრამ ამ დროს ფარეში ეახლა და მოახსენა: ბატონ მეფის მდივანს ბესარიონ გაბაშვილს თქვენი ნახვა სურსო.

— მოვიდეს! — ფუსფუსით წამოიძახა ანამ, ხელსაქმეს თავი ანება და ბესიკს კარებთან შეეგება.

— მაპატიეთ, თქვენო ბრწყინვალებავ,—თავდახრით მოახსენა ბესიკმა,— ნუ შემრისხავთ კადნიერებისათვის. მართალია, გალოდინეთ და...

— ეგ არაფერი, — ანას კინაღამ წამოსცდა „შვილო“ და ტუჩზე იკბინა,— მე განა გავჯავრდი და იმისთვის წამოველ. აქ მოდი, რაღაც უნდა გკითხო.

ორივენი დასხდნენ. ანამ ნაწნავები შეისწორა და კარებისაკენ გაიხედა. გასაღების ჭუჭრუტანაში გიშერივით ელავდა თვალი. ანა მაშინვე მიხვდა, რომ ფარეში მათ უთვალთვალებდა, მაგრამ სანამ ანა დააპირებდა ფეხზე წამოდგომას, თვალი უცბად გაქრა, ფარეშმა ანას მზერა დაიჭირა და შეშინებულმა მოჰკურცხლა.

— დღეს ბატონთან იყავ კარგა ხანს,—ანა ისევ კარებისაკენ იცქირებოდა და როდესაც დარწმუნდა, ფარეში წასული იქნებაო, ბესიკს შეხედა,— განა რა საიდუმლო ჰქონდა შენთან ისეთი, რომ ღვიძლი შვილი და სიძეც კი არ მიიღო.

— განა მეფეს დაელევა საქმენი საიდუმლონი, თქვენო ბრწყინვალებავ?—ღიმილით უთხრა ბესიკმა.

— არა, მე ის მაკვირვებს, შენთან რა საიდუმლო უნდა ჰქონოდა?—მერე ოდნავ ხმას დაუწია და თავდახრით ჩაილაპარაკა, — მე გული გამისკდა, ვაი თუ ჩვენზე რაიმე ჭორი მოახსენეს-მეთქი.... მაიამ შური ხომ არ იძია და...

— მაიასი ნუ გედარდებათ,—ჩურჩულით უპასუხა ბესიკმა, თან მეორე ოთახისაკენ რიდით გაიხედა, მაგრამ ანამ თვალებით ანიშნა, ნუ გეშინიანო, და ბესიკმა გულმშვიდად განაგრძო, — ის ვერას გაბედავს. მეფემ სხვა საქმისათვის მიხმო.

— მაინც რა საქმისათვის. არ შეიძლება ვიცოდე?

— როგორ არა, მაგრამ მეფემ მიბრძანა ჯერჯერობით არავინ არაფერი არ უნდა იცოდესო.

— მეც არ შეიძლება ვიცოდე?

— თქვენა? — ბესიკი შედგა.

— მე ხომ არსად ვიტყვი.

— აბა რა ბრძანებაა, მაგრამ...

— მაგრამ რა? არ მენდობი, შე ეშმაკო შენა?

— თქვენო ბრწყინვალებავ... მეფის ბრძანება ურღვევია.

— ეგრე? — ანას გაჯავრება დაეტყო. გეზად გახედა ბესიკს.

— კარგი, მოგახსენებთ, ოღონდ...

— არ მინდა, ნუ იტყვი! — გაიბუტა ანა.

— ბატონმა მიბრძანა...

— აი არ გისმენ, — ყურებზე ხელები მიიფარა ანამ, ვითომ მართლა არ უნდოდა მოსმენა.

— ბატონმა მიბრძანა შირაზს გამგზავრება სპარსეთის შაჰთან ქერიმ

ხან ზანდთან დესპანად, მხოლოდ არავისთან დაგცდეთ ამის შესახებ, თქვენო ბრწყინვალებავ...

— სპარსეთს?

— დიაღ. საიდუმლოდ უნდა წავიდე. როგორც კი სადესპანო ტანსაცმელს შემიკერავენ, მაშინვე გავემგზავრები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰ, ღმერთო, მაშ, შენ რამდენიმე წელიწადს ველარ გიხილავთ, — გულის ჩაწყვეტით წამოიძახა ანამ, — ნუთუ ბატონმა სხვა ვინმეს ვერ დაავალა.

— არა, მე მალე უნდა დავბრუნდე. იქ მხოლოდ რამდენიმე დღეს დავრჩები... — ანუგეშა ანა ბესიკმა.

— იქეთ და აქეთ მარტო გზას დაჭირდება სამ თვეზე მეტი. მერე ამოდენა გზაზე რამდენი ფათერაკია მოსალოდნელი... ოჰ! ღმერთო? ნეტავ მეც შემეძლოს შენთან გამგზავრება. რა საქმეს გავალებს ქერიმ ხანთან?

— მაგას კი, თუნდაც ძალიან დამტუქსოთ, ვერ მოგახსენებთ, თქვენო ბრწყინვალებავ, — სიცილით უთხრა ბესიკმა და იმის შიშით, აქ კიდევ ზედმეტი არა წამომცდეს რაო, წასასვლელად ფეხზე წამოდგა: — ნება მომეცით, გეახლოთ.

— კარგი, წადი! — ამოიოხრა ანამ. — მალე გაემგზავრები?

— მე მგონი ორ კვირაზე მეტს არ დავაყოვნებ! — უპასუხა ბესიკმა ანას, მდაბლად თავი დაუკრა და ჩქარი ნაბიჯით ოთახიდან გავიდა.

* * *

ცხრა დღედაღამის განმავლობაში ერეკლე არ მოშორებია იულონის ხაწოლს. პატარა ბატონიშვილს გაუნელებელი სიცხე ჰქონდა, და სანამ გონზე იყო, მამას ერთი წუთითაც არ აძლევდა საშუალებას სადმე წასულიყო. მეშვიდე, მერვე დღეს მას ბოდვა დააწყებინა და გონებაარეული ბავშვი ვინ იცის, რას არ იძახდა. ხან ცხენზე იჯდა და სანადიროდ გასული მწევრებს ერეკებოდა, ხან შეშინებული ყვიროდა: „მიქელგაბრიელ, ჩემგან რა გინდაო“, ხან კიდევ რას არ მიედ-მოედებოდა.

სასოწარკვეთილი ერეკლე ცდილობდა შვილის დამშვიდებას, ეფერებოდა, ულოლიავებდა და შუბლზე დაფენილ სველ ტილოს თავისი ხელით უცვლიდა.

მეცხრე დღეს ბავშვი. უკვე ლოგინშიაც აღარ ჩერდებოდა და რამდენჯერმე წამოიჭრა ფეხზე. ძლივს ისევ დააწვინეს, თავქვეშ მუთაქის ნაცვლად ცივი წყლით სავსე ტიკჭორა დაუდვეს და შუბლზედაც წამდაუწუმ უცვლიდნენ სველ ტილოს.

ერეკლე ისე დაიტანჯა ამ ხნის განმავლობაში, რომ დარეჯანს ახლა ქმარი უფრო ეცოდებოდა, ვიდრე შვილი. არც სასმელი, არც საჭმელი მისთვის არ იყო. თითო ლუკმას თუ მოჰკიდებდა ხელს და ხანდახან ერთ ჭიქა ჩაის თუ დალევდა, თორემ ისე ერეკლე არაფერს ხელს არ აკარებდა, არც არავის ლებულობდა და საქმეებიც მიივიწყა.

ცხრა დღის გასვლის შემდეგ ნაშუაღამევს, იულონი თითქო დამშვიდდა. კიდევაც ჩაეძინა და სიცხე გაუნელდა. ექიმმა ბავშვს მაჯა გაუშინჯა, შუბლიდან ტილო მოაშორა, ტიკის ნაცვლად რბილი მუთაქა დაუდო და შემდეგ

მეფეს მიულოცა შვილის გადარჩენა, ერეკლეს მაინც არა სჯეროდა მაგრამ როდესაც შეხედა, რომ ბავშვს მშვიდად ეძინა და წესიერად სუნთქავდა, შვებით თითონაც ამოისუნთქა და მაშინვე კარის ეკლესიისაკენ გაემართა. ეზოში რომ გავიდა, ვარსკვლავებით მოჭედილ ზეცას ახედა, პირჯვარი გადაიხსნა და გულმხურვალედ აღმოხდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ღმერთო, ჩემი ქვეყანაც ასევე განმიკურნე...

ეკლესიაში დიდხანს ლოცულობდა და ბოლომდე მოისმინა პარაკლისი.

პატარა ეკლესია სავსე იყო ახლო ნათესავებით და დიდებულებით. აქვე იყვნენ ლეონიც და დავითიც, მაგრამ ერეკლეს არც ერთისათვის არ შეუხედია და არც პარაკლისის შემდეგ უსაუბრნია რომელიმე მათგანთან. მაშინვე მოსასვენებლად წაბრძანდა და მხოლოდ მეორე დღეს შუადღისას დასტოვა სახლი. დილით იულონი უკვე კარგ გუნებაზე იყო, მხოლოდ, საოცრად მისუსტებულს, ლაპარაკის თავიც კი აღარ ჰქონდა, მაგრამ მამას მაინც გაუღიმა და ნება მისცა სამეფო საქმეებისთვის მიეხედნა.

ამ ხნის განმავლობაში ქვეყნის მდგომარეობა მართლა წააგავდა იულონის ავადმყოფობას და აწეწილი საქმეები ოდნავადაც არ გამოკეთებულა. რატიევმა უარი განაცხადა მეფის ბრძანება უკანვე დაებრუნებინა და მზად იყო — ყოველ წუთს გამგზავრებულიყო ტოტლებენის შესაპყრობად, მაგრამ მოურავოვის ხლართებს თავი ვერ დააღწია. სასტიკი შეჯახება მოუხდათ ერთმანეთთან.

ამ შეხლაშემოხლამ და ლაშქრობის ყოველდღე გადადებამ რატიევსაც გაუნელა პირვანდელი აღტყინება და გამარჯვების რწმენა. უკვე ცხადი იყო, რომ ტოტლებენს ის მოულოდნელად ვეღარ დაესხმოდა თავს, რათა უმსხვერპლოდ და უხმაუროდ შეეპყრო და ამის გამო უიარაღოდ საქმე არ გადასწყდებოდა.

ეს კი მართლაც სახიფათო იყო. რუსის ჯარში სისხლისმღვრელი შეტაკება ძვირად დაუჯდებოდათ არა მარტო რატიევს, არამედ ქართველებსაც. მართალია რატიევს იმედი ჰქონდა რამდენიმე რუსის ოფიცრისა, რომელთაც ის პირადად იცნობდა და თავიანთ მომხრედ ეგულებოდა, მაგრამ არც თუ ისე დიდი იყო ეს იმედი. შესაძლებელი იყო, ისინი მოემხრობოდნენ რატიევს და თავიანთ ნაწილებს არ მისცემდნენ უფლებას იარაღი აღემართნათ ტოტლებენის დასაცავად, მაგრამ უფრო მეტი საფუძველი იყო იმისა, რომ ისინი უკვე ვეღარ გაბედავდნენ დაერღვიათ სახელმწიფო ფიცი და, ალბათ, იმ ტალღას აჰყვებოდნენ, რომელმაც უკვე აიტაცა დატუსაღებას გადარჩენილი ოფიცრები.

რატიევმა ისიც იცოდა, რომ რუსეთის საელჩოდან, მოურავოვისაგან ფარულად, ყოველდღე მიდიოდა წერილები ტოტლებენს, სადაც ალბათ დაწვრილებით იყო აღწერილი რატიევის ყოველი განზრახვა. უეჭველი იყო, რომ საელჩოს თანამშრომელთა უმრავლესობა მოურავოვის წინააღმდეგ მოქმედებდა ტოტლებენის სასარგებლოდ და, ალბათ, ეს იყო მიზეზი, რომ ერეკლესაც აუარება უსახელო წერილები მიდიოდა, სადაც რატიევსაც, ჩოგლოკოვსაც და თვით მოურავოვსაც მეფე ერეკლეს მოღალატეებად აბეზღებდნენ და ათასგვარ ჭორებსაც თხზავდნენ მათ შესახებ.

ერთი ასეთი წერილი, სადაც დაწვრილებით იყო ნაამბობი დეგრალიეს სამსახური ტოტლებენთან, სოლომონ ლეონიძეს ჩაუვარდა ხელში. წერილი უხეირო ქართულით იყო დაჯღაბნილი და მეფეს აფრთხილებდა, დეგრა-

ლიეს არ ენდო, მაგ იმის მეტს არაფერს აკეთებდა, რომ ყოველდღე წერილებს წერდა იმპერატრიცას და ორივეს გაბეზღებდათო, რუსეთის დედოფალს აფრთხილებდა, ერეკლე თქვენ გღალატობთ, ტოტლებენი კიდევ ერეკლეს მფარველობს და ორივეს პირი აქვს შეკრული. [illegible] დეგო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოლომონმა ეს წერილი საიდუმლოდ წააკითხა ბესიკს და ორივემ გადასწყვიტეს ბარათი რატიევისა და დეგრალიესათვის ეჩვენებინათ. დეგრალიემ მოაგონა რატიევს ანანურში საუბარი ამ საკითხზე და მაშინვე მისწერა მეფეს გულახდილად ყოველივე.

როდესაც ერეკლე საჩინოდან სასახლეში დაბრუნდა, მას ისე აწეწილ-დაწეწილი დაუხვდა საქმეები, რომ აღარ იცოდა, რომელ ერთისთვის მიეხედა. მოსაცდელ დარბაზში თავი მოეყარათ დიდებულებსაც და დაბალ მოხელეებსაც. აქ იყვნენ მდივანბეგებიც, მელიქ-მამასახლისიც, მანდატურთუხუცესიც, ქართლის ქალაქების მამასახლისები, ციხისთავები, მოურავები, მსაჯულები, სარდლები, შიმბაშები და ერთი ჯიმითელი დედაკაციც კი იყო, რომელსაც იესე მსაჯულზე საჩივარი მიჰქონდა მეფესთან. სასახლის მოსაცდელ დარბაზში, დიდებულთა შორის, გლეხი-კაცისა და სოფლელი დედაკაცის გამოჩენა უჩვეულო მოვლენა არ იყო, რადგან მეფესთან მისვლის უფლება ყველას ჰქონდა. ამიტომ იყო, რომ ამ დედაკაცისათვისაც არავის არ მიუქცევია ყურადღება და ის ჩუმად იდგა კუთხეში არზით ხელში, მხოლოდ ხანდახან თავშალს თუ შეისწორებდა, ან კისერს წაიგრძელებდა და ეზოსაკენ გაიხედავდა — მეფე ხომ არ მობრძანდებაო. რამაზ მდივანბეგმა შემთხვევით ჰკითხა დედაკაცს, რა საქმისათვის გსურს მეფის შეწუხებაო.

— როგორ რა საქმეზე! — უცბად ისე ხმამაღლა იყვირა დედაკაცმა, რომ ყველანი შეაკრთო. — ჩემს ბატონს უნდა შეევედრო...

— დაიცა, ნუ ყვირი, განა ყრუები ვართ, ნელა სთქვი, ქალო,—სიცილით უთხრა იოანე მდივანბეგმა.—სადაური ხარ?..

— გავაზელი გახლავართ, შენი ჭირიმე. ახლა იესე მსაჯული აყრას მიპირებს, ბატონს არზა მივართვი, ბატონმა კიდევ ოქმი მიბოძა, რაკი გავაზელი ხარ, არ იქნება შენი აყრაო.

— როგორ თუ აყრას? — ჰკითხა რამაზმა.

— ვაშლოვანში უნდა გადმოსახლდეო, — ისე აუწია ხმას დედაკაცმა, თითქოს ერთი სოფლიდან მეორე სოფელში გასძახოდა.—იქ უნდა დასახლდეო. ბატონის ოქმი ვაჩვენე იმ ჩემ ბატონს იესეს, და იმან კიდევ ოქმი გამომართვა და ასე თქვა: ჯერ ჩვენ მეფეს ბატონობა არა ჰქონდა, შენ რომ გიშოვნე და შენ თავს ვერ წამართმევსო.

— რაო, რაო, — უცბად წამოიძახეს აქეთ-იქედან და ყველანი დედაკაცს შემოეხვივნენ. — როგორაო?

— მაგას ჯერ კიდევ ბატონობა არა ჰქონდა, შენ რომ გიშოვნეო და შენს თავს ვერ წამართმევსო, — გაიმეორა დედაკაცმა და შემკრთალად მიმოიხედა, როდესაც დაინახა, თუ როგორი შეშფოთება გამოიწვია მისმა სიტყვებმა.

— ეგ რა უთქვამს, — ქსინვით წამოიძახა იოანე მდივანბეგმა და შუბლზე ხელი იტაცა. — მართლა აგრე თქვა, დედაკაცო?

— აგრე მოგახსენათ, ჩემი შვილების მზემა.

— იქნებ შენი მოჭორილია ეგ სიტყვები?

— არა, ჩემი მეფის დღეგრძელობამ, სწორედ აგრე სთქვა.

— არ იტყოდა აგრე.

— შვილები გამიწყდეს თუ აგრე არ ეთქვას, აჰა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა თუ ასეთ დაძაბულ მდგომარეობის დროს, როდესაც ერეკლეს შეეძლო ეჭვი შეეტანა ყოველი ხელქვეითის ერთგულებაში, არამედ ყველაზე უფრო უზრუნველ მდგომარეობის დროსაც, ასეთი სიტყვების წამოროშვა და ბატონის აგდებულად ხსენება მეფის დიდი მოხელის მიერ, საშინელ ამბავს მოასწავებდა.

იესეს სიტყვებიდან გამოდიოდა, თითქოს ერეკლეს მეფობა კანონიერ მემკვიდრეობით კი არ მიეღო, არამედ უუფლებოდ მიესაკუთრებინა და ასეთ თავისუფლად გამოთქმულ მოსაზრებაში ისიც გამოსჭვივოდა, რომ მეფის ტახტის სიმტკიცეც საეჭვოდ იყო მიჩნეული.

— ბატონობა არა ჰქონდაო, მაშ მეფობა ჩვენი ერეკლესათვის საშოვნელი რაღაც ყოფილა და უპოვნია?! — აღშფოთებით წამოიძახა იოანემ, — ვაჰ, ეგ რა უთქვამს!

რამაზ მდივანბეგმა სცადა იესეს გამოსარჩლებოდა და იოანეს უსაყვედურა ამ დედაკაცს მთლად ნუ დავუჯერებთ, იქნება სულაც არ უთქვამს და ზეფესთან დაწინაურებულ დიდებულს ნუ დავღუპავთო. მერე ხმას დაუწია და ყურში წასჩურჩულა:

— ასეთი რამ ხვალ ჩვენზედაც შეიძლება მეფეს მოახსენონ და საქართველოში კაცი აღარ დარჩება დაუსჯელი.

— ეჰ, ერთი შენცა, სულ ერთია ეს სიტყვები ბატონს მაინც მოხსენდება და იესეს გულისთვის ყველანი დავიღუპოთ? — შეუტია იოანემ რამაზს, ყურთმაჯები შეისწორა და ისევ წამოიძახა:—ეს რა უთქვამს, კაცო, უჰ, უჰ!

მალე მოსაცდელ დარბაზში ბესიკი გამოცხადდა და მეფის მობრძანება აუწყა ყველას.

მომლოდინეებს გადახედა და ის იყო დააპირა უმცროსობის მიხედვით, რიგრიგობით გამოეძახნა მეფესთან დიდებულები, რომ იოანემ დედაკაცზე მიუთითა და უთხრა:

— ჯერ ეგ შეუშვი მეფესთან, არზა მიართოს.

ხოლო, როდესაც ბესიკი და დედაკაცი ოთახიდან გავიდნენ, იოანემ ყველას გასაგონად ჩაილაპარაკა:

— დაე სათქმელი თითონ მოახსენოს მეფეს, თორემ იესე ან მე ან რომელიმე ჩვენგანს დაგვაბრალებდა, ბატონთან დამაბეზღესო.

ერეკლე, თავის სამუშაო ოთახში, გართული იყო დაგროვილი წერილებისა და მოხსენებების კითხვით, როდესაც ბესიკმა მასთან შეიყვანა ჯიმითელი დედაკაცი, არზა ჩამოართვა და მეფეს მაგიდაზე დაუდვა. ერეკლემ წარბშეჭმუხვნით დახედა გრაგნილს, შემდეგ მოიხედა და კარებთან მუხლებზე დამხობილ დედაკაცს სათვალეებს ზემოდან გადაავლო თვალი.

— ეგ ვინაა, რა უნდა? — ჰკითხა ერეკლემ ბესიკს.

— ასე მოგახსენებს, გავაზელი ვარო.

— ჰო, ვიცი,—გაახსენდა ერეკლეს და შემდეგ დედაკაცს მიუბრუნდა:— აკი ოქმი გიბოძე, მეტი რაღა გინდა, შვილო!

— აგრემც ღმერთი გადღეგრძელებს, იმან ოქმი გამომართო და ასე მიბრძანა, მაგას ბატონობა არც კი ჰქონდა, შენ რომ გიშოვეო...

— დაიცა, როგორაო? — ერეკლე კალამს მისწვდა და ქაღალდზე ჩაიწერა: — მაგას ბატონობა არც კი ჰქონდა, შენ რომ გიშოვეო. შემდეგ?

— და ბატონი შენს თავს ვერ წამართმევსო.

— ვერ წამართმევსო, — გაიმეორა ერეკლემ, ჩაიცინა, ჩანაწერებზე გადასდო და დედაკაცს უთხრა: — კარგი, შენ წადი, ნუ გეშინია, ხელს ვერავინ გახლებს.

ერეკლე თავის საქმეებს მიუბრუნდა. ბესიკმა კი მუნჯურად, თანაც დაბუჭრებით ანიშნა ქალს, რომ ცოტა უფრო ჩქარა წამომდგარიყო და დაეტოვებინა ოთახი.

ქალი მაინც ნელა წამოდგა და ასევე ნელა წავიდოდა, რომ ბესიკს ერთი ორჯერ არ ეგიძგებინა ხელი და დერეფანში არ გაეგდო.

— ბესიკ! — მოისმა ერეკლეს ხმა.

ბესიკმა დერეფანში ფარეშს ანიშნა ეს ქალი სასახლიდან გაიყვანეო და მაშინვე შებრუნდა მეფესთან.

— მიბრძანეთ, მეფეო!

ერეკლე რაღაც ქაღალდს კითხულობდა, ბესიკმა თვალი გადააპარა, რომ დაენახა, თუ რას კითხულობდა მეფე ასე გულდასმით. ნაწერით იცნო კარლ დეგრალიეს წერილის ქართული თარგმანი.

— ბევრნი მელოდებიან? — იკითხა ერეკლემ წერილის კითხვის შეუწყვეტლივ.

— ბდიეანბეგები იოანე, რამაზ და გორჯასპ, გორის მამასახლისი გიორგი ბაბალაშვილი, ქრცხინვალის მამასახლისი იესე, მანდატურთუხუცესი გლახა ციციშვილი...

— მანდატურთუხუცესი მიხმე, — შეაწყვეტინა ერეკლემ. — ან არა დაიცა, აქ ნუ იხმობ, ჩემი ბრძანება მოახსენე, დანარჩენთ სთხოვე საღამოს მობრძანდნენ. ციციშვილისთვის კი გვიბრძანებია, ბატონი ჩოგლოკოვი და რა ჰქვიან? — დახედა ქაღალდს ერეკლემ. — პარუტჩიკი კარლ დეგრალიე შეიპყრას და ნარიყალის კოშკში ჩაჰკეტოს.

ბესიკს თითქო მეხი დასცემოდეს, ისე გააოცა ამ მოულოდნელმა ამბავმა. ადგილიდან დაძვრაც კი ვერ მოახერხა და გაშტერებული შესცქეროდა ერეკლეს, რომელიც ისევ ქაღალდებს დაუბრუნდა და სათვალეს მშვიდად ისწორებდა.

(გაგრძელება იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოთარ ჩხეიძე

შემოზამთრება

ხოფლის ნაპირას აივანმოძველებული, ორსართულიანი ქვიტკირის სახლი ყოველთვის უხმაურო და მინაბული სჩანდა. მაგრამ ზოგჯერ ქარი ააჭრიალებდა აივნის ოდნავ მოლრეცილ, ლაქგადასულ ბოძებს, ფოთოლგაცვენილი ვერხვნი აბუბუნდებოდნენ და დაფუტუროებულ კარებს გამოაღებდა მოხუცი ქალი... წაცახცახდებოდა შერყეულ აივანზე, ყავარაცვენილ სახურავს გაჰხედავდა სევდიანი თვალით და უკუიქცეოდა... ერთადერთი ინდოური როხროხით შეხტებოდა კიბეზე და უკან დაედევნებოდა. ალერსით დაუტატანებდა მოხუცი, ცომს ჩამოუტანდა, მუჭით აჭმევდა, მეორე ხელს თავზე უსვამდა და ტუჩებით ეჭირა შალი, რომლის ბოლოებს ქარი მიაფრიალებდა.

მართლაც, მხოლოდ ქარი გამოაცოცხლებდა იმ სახლს, სახურავიდან ყავარს აფხრეწდა და ხილნარში გაიტაცებდა: ჩამშრალ რუებიდან გამხმარ ფოთლებს წამოჰკრებდა და აივანზე გადაჰყრიდა... მაშინ ცოცხს გამოიტანდა მოხუცი, ჰგვიდა და თან ბუტბუტებდა, წყრომას თუ უთვლიდა აივნის ასე საქარედ დამყოლებელს.

ხან რომელიმე ნამოწაფართაგანი ეახლებოდა, ძღვენს მიართმევდა და მალევე გაეშურებოდა... თვალს გაადევნებდა მოხუცი ქალი და მისი მადლმოსილი სახე ისევე სევდიანდებოდა, როგორც მშრალი დღეები შემოზამთრებისას.

ციოდა. სციოდა მარტოხელა მოხუცს. მის საბუხრედან კომლი არ ამოდიოდა. დილაობით ღობისძირებში კიწაწებს გამოამტვრევდა, შეჭამადის გასათბობად ააპრიალებდა, მაგრამ მოხუცის ხელეური ჩინჩხვარის ბოლი საბუხრემდისაც ვერ აღწევდა.

ერთ დილით, ნაჯახი ავლესე და ვეახლე ყოფილ მასწავლებელს... მან სინანულით გადმომხედა და უსასოდ გადაავლო თვალი ეზოს: იქ დასაპობი არაფერი იყო. მაშინ ვერხვები შევათვალიერე... ხელები გაატატანა მოხუცმა.

— ნუ, ნუ!.. ვერხვებს ხელს ნუ ახლებ, შენი ჭირიმე, — ჩემი ქმრის დარგულია!

— ხმელ ტოტებს შევჭრი....

— არა, არა!.. ფოთოლი არ ასხია, ეგებ ვერ გაარჩიო ხმელი და ნედლი!..

ჩქროლვით ამბობდა მოხუცი ქალი და ხელებგაწვდილი ბებრული სიმკვირცხლით მოესწრაფებოდა, თითქოს არა სჯეროდა, რომ სიტყვა შემაყოვნებდა.

შემეცოდა შეშფოთებული მოხუცი... ეკლესიის ცაცხვებისკენ წაგვმართე და ახლა უფრო აცახცახდა:

— ისევ აქა, ისევ აქა, შენ შემოგევლე... ოღონ გაარჩევ კი ხმელსა და ნედლს?! არ შესცდე, ნედლს ჭრილობა არ მიაყენო!..

ბუხარი ავაგუზგუზეთ, ოთახში ჩამოთბა, სითბო იგრძნეს მოხუცის ძვლებმა, მაგრამ მის თვალებში იგივ სინაკლულე, იგივ ცივი ელფერი კრთოდა, და მივხვდი, რომ ვერხვის ცეცხლი არა კმაროდა მის გასათბობად, მისი სულის ასაციალებლად, სულისა, რომელიც ბებერ ძვლებზე უფრო სათუთი იყო.

იმ საღამოს ქარი ჩადგა, სუსხმა დაიკლო, მომყუდროვდა, ბოსლების სუნი საგრძნობი გახდა შუკებში.

ორი ახალგაზრდა მასწავლებელი გავიყოლიე, დინჯი მათემატიკოსი გოგი და მარადმოღიმარი ბიოლოგი ანანო; წიგნები და რვეულები ამოვიწყვეთ იღლიაში და მორიდებით დავუკაკუნეთ მოხუც მასწავლებელს. კარები მსწრაფლ გაგვიღო, მაგრამ მალე ვერ გამოერკვა და ერთხანს ასე გამოღებულ კარებში ვიდექით ოთხივენი, ჩვენ შესვლას ვლამობდით, ის თითქოს გვეღობებოდა. მერე გაიღიმა და რატომღაც ლოყები შეეფაკლა, უხერხულობა ვიგრძენით: რა საცოდაობაა, როცა მოხუცები წითლდებიან...

— რა მემართება?!. — გაკვირვებით სთქვა ბოლოს. — რატომ არ შეგიწვევთ?! მობრძანდით, ყმაწვილებო!..

და მოხუცი სულ გამოიცვალა. უჩვეულო სიმარჯვით წყვილი ხელის სკამი მიიტანა ბუხართან, ზურგზე ტყავგადამძვრალი სავარძელი მიაჩოჩა... დასაჯდომები თვითონ მოგვიჩინა... მე სავარძელი მარგუნა, ალბათ, ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლის პატივისცემით... მერე გახუნებულ ხავერდის ბალიშზე მოიკეცა და წიგნი მუხლებზე დაიდო. მიამიტად იღიმოდა მოხუცი, ხან ჭაღარა კავებს შეეხებოდა, ხან წიგნს ფურცლავდა, ვინ იცის რამდენჯერ გადაკითხულ წიგნს.

სიტყვა ანანომ დასძრა:

— ძვირფასო მასწავლებელო, თუ თქვენთვის ძნელი არ იქნება და თითო საათს გაიმეტებთ საღამოობით, ჩვენ გვინდა ფრანგული ენა შევისწავლოთ... გაიმედებთ, მეტად გამგონე შეგირდები ვიქნებით და სიზარმაცით არასოდეს აღგაშფოთებთ.

განცვიფრება და სიხარული გადაეფინა მოხუცის სახეს. მერე ეჭვით გადმოგვხედა, მაგრამ საიმედო დასტური დავეცით ანანოს ნათქვამს და მალევე გაუქარვდა მკრთალი ეჭვი.

— გაიმეტებთო?!.. რა სათქმელია!.. შეწუხდებითო?! როგორ გეკადრებათ!.. — ჩიფჩიფებდა მოხუცი მასწავლებელი. — როცა გენებოთ, რამდენი ხანიც გსურდეთ!.. რა კარგია, რა სასიხარულოა!.. ამ წუთს, ახლავე დავიწყოთ!.. თქვენ გადადება ხომ არ გინდათ?.. არა!.. აჰა, ეს პატარა მაგიდა მოვწიოთ ბუხართან. ასე... ჰო, კმარა, ასე იყოს!.. დაბრძანდით, დაბრძანდით!.. მართლა ყოველ საღამოს ივლით?! მართლა ისწავლით?! — და პასუხისთვის არ მოუცდია, ეშინოდა საეჭვო რამ არ დაგვცდენოდა, თაროსთან მიცახცახდა, სკამი მიიდგა და ყაფაზებზე ჩარიგებულ წიგნებში დაიწყო ფათური. — აი, აი, შესანიშნავი სახელმძღვანელო მოგიძებნეთ, მეც ამითი დავიწყე პირველად ენის შესწავლა!..

და დაიწყო ჩვენი პირველი გაკვეთილი.

ოთახში ჩამოთბა. იქ ასეთი სითბო დიდიხანია აღარ ყოფილიყო... ჩვენ ფრანგულ ანბანსა და დიფტონგებს ვიზეპირებდით, ვზუზუნებდით, ვზუზუნებდით, რაც შეგვეძლო ლაღად; პირნათლიანი, მოღიმარი მოხუცი მასწავლებელი გაბზარულ სათვალეებ ზემოდან გადმოგვყურებდა, დროდადრო გამოთქმას გვისწორებდა, გვაქებდა, გვიალერსებდა, ჩვენ ხომ [illegible] ბავშვები ვიყავით, იმ ჰასაკის ბავშვები, რომლებიც ენას აბორძიკებენ, ბგერათა გადაბმას ლამობენ,—ჰასაკისა, ოდეს უფრო მეტი სითბო და სიახლოვე იწყება ბავშვსა და მოზრდილს შორის. მაგრამ განა მხოლოდ ეს ატკბობდა მოხუც მასწავლებელს? უვადო შვებულების აღების შემდეგ ეს პირველი გაკვეთილი იყო, პირველი შეესება იმ სინაკლულისა, რასაც გამოუთქმელად განიცდიდა იმისი სული. უხაროდა მოხუცს. ჩვენ უფრო მეტად გვიხაროდა, ერთმანეთს გადავხედავდით მოღიმარნი, ანბანის წყობა აგვერევოდა და ალერსით გვიწყრებოდა მოხუცი მასწავლებელი.

რარიგ ჩამოთბა მარტოხელა მოხუცის ოთახში, რომლის ცივი მყუდროების ერთადერთი ხშირი დამრღვევი კანჭებკორძიანი ინდოური იყო!..

ბუხარი გიზგიზებდა. უხეიროდ არ იწვოდა ვერხვის შეშა.

ნასიამოვნებნი გვიან ავიშალენით, კარი გამოვაღეთ, და... თოვდა.

— თოვლი!—ახალგაზრდული სიხალისით ამოიძახა მოხუცმა მასწავლებელმა და ხელი გაიშვირა ფიფქების დასაჭერად.—პირველი თოვლი.

— პირველი!.. ვინ იცის მერამდენე პირველია!.. — ჩაიდუდუნა გოგიმ.

— დიაღ, ვინ იცის!.. მაგრამ მაინც ყოველთვის პირველია, ყოველთვის ახალი!—მიუგო მოხუცმა და ხელს დაცვენილი ფიფქები ტუჩებზე მოისვა სიამის ამოძახილით. ჭიშკრამდის მიგვაცილა მოხუცმა, პირველ თოვლს გვიკვლევდა და, როცა უკუიქცა, ჩვენს ნაკვალევს როდი გაჰყვა, უკვლევზე გაიარა: ახარებდა მოხუცს პირველი თოვლი, ახარებდა მოხუცს სიახლე...

თოვდა, სოფელი გარინდებულიყო. ბოსლების სუნი იდგა შუკებში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიდია მეგრელიძე

მშობიარ ცისქვეშ*

რომანი

მოიდანახე

ოზურგეთში ყველა უბანზე უფრო მიყრუებული უბანი იყო მაშინ მოიდანახე. ძე დავიხტერესდი, ძიხდოდა გაეგო რატომ ჰქვია ამ ადგილს „მოიდანახე", ძაგრამ დღემდის გაუგებარი დარჩა ის ჩემთვის. იქ საეახავი არაფერი იყო, გარდა ძაღალი ხეებისა და ტალახიანი ქუჩებისა. მაინც მიყვარდა პატარაობისას მოიდანახეზე არბენა, თვალწინ გაიილებოდა ბორცვარზე გაშენებული პატარა სოფელი, ლაძახი ბალიებით და ფიცრული ოდებით. ხოლო სოფელს გადმოღია ფერდობები დაფარული იყო გვიმრით, სადაც ახლა ჩაის ბუჩქებია აბიბინებული.

ახლა მართლაც კარგი სანახავია მოიდანახე.

ორი რამ მაკავშირებდა ამ უბანთან. ერთი ის, რომ მამიდაჩემი ცხოვრობდა იქ, მოხუცი დედაკაცი, როძელსაც ძუდამ ჰქონდა ჩემთვის შენახული ჩურჩხელები და თხილი. ძეორეც, ეს გვიძრით დაფარული ფერდობები საავსე იყო ძარწყვით. ადვილი წარძოსადგენია, რატომ ძიყვარდა ბავძვს მოიდანახე. მაგრამ რამდენადაც მიყვარდა ეს უბანი, იმდენად შიშს ძგვრიდა იქ მისვლა: შუა მოიდანახეზე იდგა ერთი ყრუ სახლი — ისლით დახურული. ეზო ძოშეხებული ხეებით და ხეხილებით, ბალახბულახებით გაჭეებული და მოუვლელი მოსჩანდა. სახლს ალენჯა შემოჰკვროდა გარშემო. ისლი ალაგალაგ აეგლიჯა ქარს სახურავზე. ბელელზე ყავარი ჩამომპალიყო. სასიმინდე ნალიას ორი ბოძი გამონგრეოდა და გადძოყირავებული ეგდო მიწაზე. სანამ მამიდაჩემთან მივიდოდი, უთუოდ ამ გაპარტახებულ ეზოსთან უნდა გამევლო. საშინელი ფიქრებით დავიტვირთებოდი.

ერთხელ ვკითხე მამიდაჩემს:

— სად არიან, მამიდა, ამ ეზოს და სახლის პატრონები?

— აღარავინ დარჩა, შვილო, საშინელმა სენმა ამოსწყვიტა მთელი ოჯახი, — მიპასუხა მამიდამ და თან დაუმატა ოხვრით, — ალბათ, ხატზე იყვნენ გადაცემულიო.

— მერე ძუდამ ასე უნდა იყოს?

— თექვსმეტი წელიწადია ასეა. ხველებით დაიხოცნენ უბედურ დღეს გაჩენილები. ვინ გაბედავს იქ მისვლას. ღამით მხოლოდ ჭინკები მოდიან

* გაგრძელება. იხ. „მნათობი" — № 7.

და ქვებს ურახუნებენ კედლებს. ჩქარა წამოდი, შვილო, აქ არასოდეს არ გაჩერდე. — მითხრა და სწრაფად გამაქანა შინისაკენ.

მარწყვის საკრეფად უთუოდ მამიდაჩემი უნდა წამყოლოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მოიდანახეს ბავშვები ძალიან კარგად მეპყრობოდნენ, უმამიდაჩემოდ მაინც ვერ ვბედავდი წასვლას: სადაც მარწყვები იყო ასე ტკბილი და მიმზიდველი, იმ ფერდობების დაბლა ყელამდე გვიმრაში ჯარისკაცთა სასაფლაო იყო. თეთრად შეღებილი ხის მაღალი ჯვრები მოსჩანდნენ შორიდან. აქა-იქ მხვდებოდა ამოთხრილი საფლავები. შიში ამიტანდა. მეგონა: სასაფლაოზე ტურები რომ ჯღაოდნენ ღამით, ისინი თხრიდნენ მიცვალებულებს. მავრამ მამიდაჩემმა დამამშვიდა:

— შვილო,—მეტყოდა მამიდა,—ლაზარეთში რომ ჯარისკაცები კვდებიან, ჭირისუფალს არა აქვთ უფლება თავიანთ სახლში წაასვენონ მათი მიცვალებული. აქ ასაფლავებენ. აფხაზები და მეგრელები ჯიუტი ხასიათის არიან. ჩვეულებად აქვთ ეს წესი: თავიანთ მიცვალებულს სხვაგან არ დატოვებენ. ძოკვდებიან. სანამ არ წაიღებენ სახლში. ღამით მოვლენ იმერეთიდან, ამოთხრიან თავიანთ მიცვალებულს და მიასვენებენ თავიანთ ქვეყანაში. ცარიელ კუბოს აქ ტოვებენ. იქ, სადაც ჯვრებია ამართული, უპატრონო ჯარისკაცები არიან დასაფლავებულნი. რუსებია, სადაური ვინ იცის!

მარწყვით სავსე ჩალის კალათებთან ერთად გულით მომქონდა შიში და საოცარი აზრები.

ახლა, ბატარებლიდან რომ გავხედავ ციტრუსებით აყვავებულ მოიდანახეს, მომაგონებდა ბავშვობა და რაც უფრო მთავარია 1902 წელი, როცა მე დიას ტოლა ვიყავი.

მომაგონდება მოიდანახეზე ის გრძელი პარმაღიანი სახლი, ხეთა ჩრდილებიდან რომ გადმოჰყურებდა ნატანების ქუჩას, რომელიც 1906 წლის დასაწყისში კრილოვის ჯარმა გადასწვა. მე მაინც მგონია ისევ იქ დგას ის სახლი, სადაც ტერორისტი აფთონი ცხოვრობდა, ულვაშებაწკეპილი ახალგაზრდა.

. . .

როცა მახარემ „ჰიმნი სიყვარულისა" იმღერა მუხის ქვეშ ჩამომჯდარმა გურიის დედაქალაქის ბაღში, სწორედ მეორე ღამეს ტერორისტ აფთონის სახლში მოწვეული იყო მოწინავე ახალგაზრდების კრება ხელმძღვანელ კომიტეტთან ერთად. ხმა დადიოდა, მომხსენებელი გუშინ ჩამოვიდაო ბათუმის კომიტეტიდან.

ღამე ადრე მივიდა აფთონისას. ჯერ კიდევ ღამის ბინდი არ მოჰკიდებოდა მოიდანახის.

აფთონის დედა — ელისაბედი ქათმებს ამზადებდა ვახშმისათვის. დიას რომ დაინახა, ოდის კიბეზე ამავალი, სიცილით მიაძახა:

— აბრძანდი, ქალიშვილო, სახლში, და თუ ამაღამ, ვინ იცის, ეშმაკს არ სძინავს, ჯაშუშები დავესხას თავს, ნუ იუკადრისებ, დედაშვილობას ითქვი, თითქო ნიშნობა გვაქვს გამართული, ტოლ-მეგობრები გვყვანან მოპატიჟებულნი.

ელისაბედის ხუმრობაზე დიამ გაიკისკისა და გრძელი პარმაღი გაიარა. დაწრეულ სავარძელში ჩაჯდა. სვეტიბზე გაბმულ ვენახს მტევნები დაესხა და ლორთქო ფათალოებს ქარი აფუსფუსებდა.

— დილით აფთონი მერიაში წავიდა, — ბოდიში მოიხადა ელისაბედმა.

მარტო ტოვებდა სტუმარს. დიასაც ეს უნდოდა, გადაკეცილი წიგნი ეჭირა ხელში, რომელსაც „რენანი“ ეწერა. ეს წიგნი ერთმა სემინარიელმა მოუტანა დღეს და უმტკიცებდა ქრისტეს იქით არაფერი არ არისო.

დია წიგნს ჩასცქეროდა, მაგრამ დღის სინათლე ჩაიბინდა. მთვარემ მიანათა თვალებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარსკვლავების მსგავსად დაჩითული სპარსული ქისეის კაბა ეცვა, გულამოღებული. უფრო სათნო და მშვენიერი მოსჩანდა ვერცხლებრივ შუქზე დია.

„ნუ თუ სულიც ასეთი მშვენიერი აქვს?“ — გაიფიქრა მახარემ, და მოკრძალებით შემოდგა კიბეზე ფეხი. მახარე კარგახანს უცქეროდა მთვარეზე თვალმიპყრობილ დიას. „ქრისტეს იქით არაფერიაო“... ჩურჩულებდა დია შორეულ ოცნებაში გადაკარგული. „ღმერთო, სახიერო, მე არ მინდა მიწის ჭია ვიყო“... წარსთქვა ბაგეების თრთოლვით დიამ და შეკრთა, მოიხედა, მახარე უახლოვდებოდა ნელი ნაბიჯით.

— სალამი, დია! ხომ არ მემდური!? ერთი საათით მაინც შევრიგდეთ!..

— მახარე?!... — წამოიძახა დიამ. იცნო ბავშვობის მეგობარი. გული აუფეთქდა, უხერხულად წამოიწია სავარძელიდან, უნდოდა გადახვევოდა, უსაზღვრო სიხარული გამოეხატა, მაგრამ ქალწულის მორცხვი გრძნობა წინაღუდგა სურვილს. მახარეს შერჩა ხელში დიას ფაფუკი ხელი. კარგახანს შესცქეროდნენ ერთმანეთს უსიტყვოდ. მერმე უცებ მიბრუნდა მახარე, რგვალი მაგიდის იქით, მეორე სავარძელში ჩაჯდა. ქუდი არ ეხურა მახარეს. დღეს ჩალისფერი აბრეშუმის ხალათი ჩაეცვა ლურჯი ხალათის მაგიერ. მოსაწონი ახალგაზრდა სჩანდა მახარე; დია უცქეროდა გაყუჩებული, ხან დაბლა დახრიდა წამწამებს. ვერ ახერხებდა საუბარს. ისევ მახარესგან ელოდა პირველ სიტყვას. მახარემ შუბლზე ხელი გადაისვა. ეტყობოდა მასაც ეძნელებოდა პირველად გამოსაუბრება. ბოლოს მაინც მახარემ დაარღვია დუმილი.

— მგონი შევრიგდით, დია, არა?

— ახლა ხომ ბავშვები არა ვართ!—სთქვა დიამ მსუბუქი ღიმილით.

— მით უკეთესი, თუ ბავშვები არა ვართ.

— მაგრამ, რატომ ერთი საათით შევრიგდეთ და არა საბოლოოდ?

— ეს თქვენზეა დამოკიდებული...

დიას არ ესიამოვნა „თქვენობით“ ლაპარაკი. „თქვენობით შორეულ ადამიანს ელაპარაკებიან. ნუ თუ მახარე ასე შორეული გახდა ჩემთვისო?“ — გაიფიქრა დიამ და ისევ დახარა წამწამები.

— მიხარია, დია, რომ ჩვენი საერთო ოჯახის წევრი გამხდარხარ. ხალხის თავისუფლება, სამშობლოს თავისუფლება დაგისახავს მიზნად.

— პირველყოვლისა—თანასწორობა!..—სიცილით წარმოსთქვა დიამ.

— რა თქმა უნდა, თანასწორობაც!.. მხოლოდ, უნდა იცოდე, ბევრი უსიამოვნება შეგხვდება ამ გზაზე. გულწრფელად უნდა გწამდეს ის, რასაც ემსახურები.

— გულწრფელად მწამს და ვემსახურები ჩვენს საქმეს. თუ საჭირო იქნება, არც ციხეს და ტყვიას შევუშინდები.

— მაშ შესაძლოა თუ არა ნათესაურზე მაღლა საქვეყნო საქმე დავაყენოთ?

— ეს ასე მოხდება, ალბათ. მე წამიკითხავს ცოტა რამ ისტორიიდან: საუკეთესო დედები შვილებს სწირავდნენ ქვეყნის საქმეს...

მახარე ჩააცქერდა დიას ნათელ თვალებში და დაბეჯითებით სთქვა:

— შეიძლება პირიქით მოხდეს, ამხანაგო დია, შეიძლება ეხლა შვილებმა გასწირონ უღირსი მშობლები. ხალხის სიმართლეს ვერავინ დაუდგება წინ.

მახარემ მაჯის საათს დახედა. ცოტაღა აკლდა ამხანაგების შეკრებამდე. ღელავდა მახარე: გაემხელა თუ არ გაემხილა დიასათვის ამდენი ხანი გულში ნაურვები სიყვარული? თუ ამას კრების დაწყებამდე ვერ მოახერხებდა, მერე სიკვდილამდე დარჩებოდა უთქმელი მახარეს გულში უძვირფასესი გრძნობა.

„არა, ან ახლა, ან არასოდეს...“

დია სდუმდა. ასე ცივად შეხვედრას არ მოელოდა მახარესგან. ქალიშვილი არ იყო საცნაურს, რა ხდებოდა მახარეს გულში.

მახარე წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადადგა წინ და უკან. მერმე დიას მიუახლოვდა.

— დია, ჩემო ძვირფასო, ადამიანმა თავისი გულის ნაგრძნობი და ნაფიქრი ერთხელ მაინც უნდა სთქვას.

— უსათუოდ... — ბაგის თრთოლვით უპასუხა დიამ და სახეზე ყაყაჩოსფერი აეკრა.

— იმ დღიდან, რაც ჩვენ დავშორდით ერთმანეთს თქვენს სათიბში, შენი სახელი მიმიძღვის წინ და ახლა შენამდე მოვიტანე ბავშვური გულით შენი წმინდა სიყვარული. მე მგონია გასაგებია.

დიამ თავი ჩაღუნა.

— დიაღ...—ძლივს გასაგონად წაიჩურჩულა.

— მერე? რას ამბობს შენი გული? არა, შებრალებას არ გთხოვ... არც მოწყალებას გთხოვ... ხელს გთხოვ, მეგობრულ ხელს.

— უნდა გამოვტყდე, — მორცხვად დაიწყო დიამ, — მეც ბევრი ღამე გამიტეხია შენზე ფიქრით. მოველოდი შენს ნახვას... მიყვარხარ, როგორც მაშინ მიყვარდი, ბავშვები რომ ვიყავით...

— დია!—აღფრთოვანებით შესძახა მახარემ,—მაშ მაძლევ ხელს?

დიამ უსიტყვოდ გაუშვირა ხელი. მაგრამ გაოცდა დია. მახარემ უეცრად დაიწია უკან და ტანჯვით წარმოსთქვა:

— არა, დღეს არა, არა, დია, ხვალ გადავწყვიტოთ, ზეგ... მაზეგ.

დია აღელვებული წამოდგა. ვენახიდან ერთი ფოთოლი მოსწყვიტა და უნებლიედ დაუწყო სრესა.

„რატომ ხვალ... ზეგ... მაზეგ?!!“

ცახცახებს დია. მხრებზე მახარეს ხელს გრძნობს... ბაგეზე მახარეს ბაგის სიტკბო ეღვრება... „რატომ ხვალ... ზეგ... მაზეგ?..“

მახარე ჩაჭედილივით ზის სავარძელში.

კრება და მოხსენება გამსჭვალვია თავში.

„რას გადასწყვეტს დია? მამაზე აიღებს ხელს?“

აფთონის დედამ — ელისაბედმა სინათლე აანთო სასტუმრო ოთახში და სტუმრები შეიპატიჟა.

. . .

კრებას გურეის მოწინავე ამხანაგები დაესწრნენ. ოცამდე კაცი შეიკრიბა ტერორისტ აფთონის სახლში. მათ შორის ორი ქალი: დია და ბაბი გურგენიძე, დაბალი, ჩამკვრივებული გოგო. ბაბი დაბა სუფსის ორკლასიანი სკოლის მასწავლებელი იყო. ბაბის არასასიამოვნოდ ეტოშა თვალში დიას სახე. არ მოელოდა კრებაზე ჯაშუშის ქალიშვილს.

— მერე რა არის გასაოცარი?—ჩაჩუმა მირიანმა ბაბი, — რწმენის საქმე არ არის?

ბაბი გაყუჩდა. მხოლოდ დიასთან ახლოს არ დაჯდა, თავი არ გაუყადრა. ზედობნელეთთან მისწია სკამი. ხრიალეთელ მეგრელიძეს მეტსახელად ნეფე მოიკითხა.

ბირიანი მახარესთან დაჯდა. მახარემ ერმილე მოაგონა მირიანს. პეტერბურგს უნდა წავიდეო, ეროძილეს ასტრახანის მხარეს გადმოყვანა უნდა მოვაიერხო ირკუტსკიდან, თბილი ჰავა არისო ასტრაიანში. ძიროიას გულზე მოეფინა ძალზე ძლიერი ტკივილი. თავის მხრივაც შეკპირდა დახმარეა, ამ დროს აფთონი დაბრუნდა ძერიიდან. მას ორი ტერორისტი მოჰყვა — მხარბეჭგაშლილი ვაჟკაცები. ერთი ჩოხატაურის რაიონიდან იყო, მეორე ვაკიჯკოიდან.

ხიდისთავიდან ვარლამი ჩამოვიდა. ვარლამს ჩია ინტელიგენტს ეძახდნენ ამხანაგები, როძელსაც მუდამ ორეოფი ლაარაკი უყვაოდა, ბიკიბულ-ოკიბული, არც „ჰო“, არც „არა“...

კომიტეტის მდივანი, კიევის უნივერსიტეტის ყოფილი სტუდენტი ბიქტორი „სოფისტს“ ეძახდა ვარლამს. მსოფლმხედველობით დუალისტური მიმართულეაის იყო, არც „ციხიერი“, არც „ძიწიერი“.

კრებამ თავმჯდომარედ ექიმი ბესარიონი აირჩია.

დია გრძელი ტახტის კუთხეში იჯდა ფანჯარასთან. გადაშლილ წიგნში ხაზავდა რაღაცას ფანქრით.

— ამხანაგებო, — დაიწყო თავმჯდომარემ, — დღევანდელი კრება მოწვეულია განსაკუთრებით ჯაშუშების საპასუხოდ. სიტყვა მოხსენებისათვის ეკუთვნის ბათუმის კომიტეტის წარმომადგენელს. მაგრამ, სანამ მოხსენებას დავიწყებდეთ, მოვისძინოთ, ჩატარებული სეირნობის ანგარიში და სხვა წვრილმანი.

ბიქტორი კითხულობს წინადღით გამართულ სეირნობის ანგარიშს.

— სეირნობიდან შებოსული თანხა, ამხანაგებო, რაც ჩვენ ვიღაც არარსებული სტუდენტის სახელით შევაგროვეთ, სასწრაფოდ უნდა გადაგზავნოს გადასახლებულ ამხანაგებს. ამ სეირნობის მოწყობაში დიდი შრომა გასწია ამხანაგმა დიამ. ამხანაგი დია ამ დღეებში კიდევ აწყობს წარმოდგენას დაბა ლანჩხუთში.

— დიდად სასიხარულოა, — დაიძახა კუთხიდან პაპუნამ, — ნეტა ასეთი ქალიშვილები კიდევ შეგვემატებოდეს პარტიაში. მაგრამ არ შეიძლება ვთხოვოთ დიას, ერთი წარმოდგენა აკეთში გაგვიმართოს? ჩვენც დავეხმარებით. კაი იქნებოდა, ი არსენა რომ არის, ბოძელაშვილი, იმას რომ წარმოადგენდნენ.

— კაია მედა ჩემმა ღმერთმა! — გაეხმაურა ვაკიჯვრელი ტერორისტი აკეთელ გლეხს და ულვაშების გრეხით გადახედა დიას. — ვაი ვარშიაც შეიძლება, ქალიშვილო, ერთი წარმოდგენის დადგმა. მოაგარაკენი ბლომად გროვდებიან წელს.

პაპუნა, აკეთელი გლეხი, ყურებთან თმებშევერცხლილი, ყველაზე ხნიერი მოსჩანდა ამხანაგებში. ის დიასთან იჯდა ახლოს. დიამ თანაგრძნობით დაუქნია თავი პაპუნას და სიტყვა ითხოვა:

— ამხანაგებო, მე უკვე შედგენილი მაქვს პლანი...

— გეგმა... — გაუსწორა ბესარიონმა.

დიას შერცხვა. სახე წამოუწითლდა.

— დიახ, გეგმა. ამ ზაფხულს ვფიქრობ მოვაწყო წარმოდგენები ლანჩხუთში, აკეთში, ჩოხატაურში, ვაკიჯვარში და ერთიც ისევ ოზურგეთში, ხელბართვას ბიბლიოთეკის სახელით ვახერხებ.

ბიბლიოთეკა

ბაბი, როძელიც ძურით უცქეროდა დიას, წამოდგა, სიტყვა არ ...
ისე განაცხადა:

— ამხანაგებო, ამ დღეებში სუფსაში ვაწყობ წარმოდგენას „და-ძმას", ვფიქრობ კარგი შემოსავალი გვექნება.

— კეთილი და პატიოსანი. როგორც სჩანს ფული გვექნება, — მხიარული ხორხოცით სთქვა ბესარიონმა.

— კიდევ აქვს ვინმეს განცხადება?

— მე ძაქვს, ამხანაგო ბესარიონ, — წამოდგა მირიანი. — კაცო, ყანების დათესვა დაგვიანდა. ცხადია, გურიელის მიწაზე არ ჩავა ხალხი, მაგრამ ნაკაშიძის მამულში თითო-ორორძა დაიწყეს თესვა. ნაკაშიძის მოურავი გაიძვერა ჭაპანაძე, სამეათედოდ მორიგებია მეყანეებს. ან ყველას უნდა მიეცეს ნება თესვის, ან ყველა უნდა დავითხოვოთ.

— ამხანაგებო, გადავდოთ ეს საკითხი, გავიგოთ რა აზრის არის კომიტეტი და მერმე ვიმსჯელოთ, მოვისმინოთ ჯერ მოხსენება. — წინადადება შემოიტანა კოლექტივის მდივანმა ბიქტორმა.

— მოვისმინოთ!—გაისმა ხმები.

. . .

მახარემ მოხსენება დაამთავრა.

ყველაფერი ზუსტად და გარკვევით იყო მოხსენებაში ნათქვამი.

ბიქტორს შემოაქვს წინადადება:

„არ დაითესოს გურიელის მიწა, ვინაიდან გურიელი. აშკარა მტერია ხალხის".

„დაითესოს ნაკაშიძის მიწა, მხოლოდ ნაკაშიძე გაძევებული იქნეს გურიიდან, როგორც ჯაშუში".

„ნაკაშიძის მოურავს—ჭაპანაძეს გამოეცხადოს გაფრთხილება „ზალპით".

„მოიხმარონ სოფლებმა ტყეები თავის საჭიროებისათვის. ტყისმცველებმა არ გაბედონ ხმის დაძვრა".

„დაენიშნოს ტერორი გურიელის ჯაშუშს როსტომ ვაშალომიძეს ბათუმის მუშების აწიოკებისათვის".

საერთო დუმილი ჩამოვარდა. ყველამ დიას გახედა ცალი თვალით. დია თავის ფეხებს დასცქეროდა გაფითრებული, ქვასავით ცივი და უძრავი.

მახარე კოპებშეკრული იჯდა, მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებში ჩაერგო თვალები.

დუმილი პაპუნამ დაარღვია. პაპუნა მშობლიური გულისყურით იზიარებდა დიას მდგომარეობას.

— ამხანაგებო, ყველაფერი მისაღებია, რაც მომხსენებელმა ბრძანა. ბათუმის კომიტეტის დადგენილება ჩვენთვის უდაოა, მარა...

— მარა... რა... დააბოლოვე, პაპუნა, შენებურად, გულახდილად! — დაუძახა მეორე კუთხიდან ვიღაცამ.

— დიდი არაფერი. ამხანაგებო, — ჩამოისვა წვერებზე ხელი პაპუნამ, — უკანასკნელ წინადადებაზე მოგახსენებდით, იქნებ ნაწილობრივ შევამსუბუქოთ ტერორი მეთქი.

— გლეხური გულკეთილობა გალაპარაკებს ალბათ, პაპუნა,—გაესაუბრა პაპუნას ბესარიონი. ბესარიონს სახე დაღრეჯოდა. ხშირად გასცქეროდა კუთხეში თავდახრილ დიას. თავმჯდომარის თვალი კრების სხვა წევრებსაც ატოვებდა დაუზვერავად. არავის სურდა ჯაშუშის დამცველად გამოსვლა. მირიანი არწივის მძაფრი თვალით დასტრიალებდა ამხანაგებს, ძმის ბოლოლატის სისხლი სწყუროდა.

— ამხანაგებო.—სთქვა დაბალი ხმით თავმჯდომარემ, — ვინ არის უკანასკნელი წინადადების ავტორი?

მდივანმა ხმები დათვალა. დიას გახედა, დია ისევ თავჩაკიდული იჯდა. ვარლამს მუხლებზე დაეწყო ხელები.

— წინააღმდეგი ვინ არის?

— არავინ! — გასაგონად სთქვა მდივანმა.

— თავი ვინ შეიკავა?

ისევ მოავლო თვალი ბესარიონმა კრებას. ვარლამს აეშვირა ერთი თითი ზევით.

მახარემ ირიბად გახედა დიას.

— თავს იჭერს „ცისიერ-მიწიერი",—გაიხუმრა ბიქტორმა. კუთხეებში გაისმა ხარხარი.

— ამხანაგო თავმჯდომარევ! — წამოდგა ხრიალეთელი ლუკა მეგრელიძე, — მე პროტესტს ვაცხადებ: ჩვენ ამხანაგებო, მოწმეები არ გვჭირია. ჩვენ ვიკრიბებით ჩვენი მტკივნეული საკითხების გადასაწყვეტად. დღეს პირველი არ არის, არც მეორე, არც მეათე... ამხანაგი ვარლამი ყოველთვის თავს იჭერს. რა თქმა უნდა, ეს მისი შეგნების საქმეა, მაგრამ თუ ყველა საკითხზე თავი შევიკავეთ — რა გამოვა. შეიძლება არ ეთანხმებით, უნდა სთქვათ თქვენი მოსაზრებანი. მადლობა ღმერთს, ლაპარაკი კარგად გეხერხებათ, ამხანაგო ვარლამ!

კრებამ სამართლიანად მიიღო ლუკა მეგრელიძის შენიშვნა.

— ყველაფერზე თავშეკავება, ამხანაგებო, არარაობას უდრის. — განმარტა ხარკოვის უნივერსიტეტის სტუდენტმა ლავროსიმ. შემდეგ თავმჯდომარემ განაცხადა: ამხანაგი დია თხოულობსო სიტყვას.

ყველა დიას მიაშტერდა, ეგონათ დია ითხოვდა ჯაშუში მამის შეწყნარებას.

დია იდგა, მუხლები უკანკალებდა, სახე საოცრად დაგრძელებოდა, ბაგე უთრთოდა, თვალები მიბნედოდა და მახარეს მეტს თითქოს არავის აღარ ხედავდა. და ამ წამს ისე სძულდა მახარე დიას, გაფიქრებაც არ შეეძლო, თუ ოდესმე უყვარდა იგი.

— პატივცემულო თავმჯდომარევ,—სთქვა დიამ და უფრო აუთრთოლდა ხმა. — იმ მოხსენების შემდეგ, რომელიც მოვისმინეთ ბათუმის კომიტეტის წარმომადგენლისაგან, მე ხმას ვუერთებ ამხანაგების გადაწყვეტილებას მამაჩემის შესახებ...

სიზმარი

ოთახში ლამის სანათური ბჟუტავს. შებოლილ შუშას ფარვანები ეხვევა. დიას თეთრი ჩარსავი წაუფარებია და სძინავს. თებრონე წამოდგება პერანგისამარა, დახედავს დიას და ისევ ჩაწვება ლოგინში.

— „დაბინდდა... მთვარეს არ დაუცადა...სიბნელეში მოდის... მახარე...

საზიზღარი... ზურგით კუბოს მოათრევს... მა-მა... მა-მა"... — დაიკვ�
ლებს დია. თებრონე წამოვარდება გულგახეთქილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დია წამოჯდება ლოგინზე, თვალებს იფშვნეტს.

— რა დაგემართა, დია, ავად ხარ?

— არა, არაფერი, საშინელი სიზმარი ვნახე. ღმერთო დამიფარე!

— რა გესიზმრა ასეთი, შეგაშინა ვინმემ?

— ნეტა როდის გათენდება?

თებრონე ფანჯარასთან მიდის, ფარდას გადასწევს.

— ალიონის ვარსკვლავი კაშკაშებს. ჩქარა გათენდება.

— ჩემოდანი გამიმზადე. დილით მამასთან უნდა წავიდე, ბათუმში.

— ბათუმში წახვიდე!? ხომ არ გინდა მამაშენი გადარიო. რამდენჯერ დამაბარა: ბათუმში არ ჩამოვიდესო დია.

— ცუდი სიზმრები მაქვს. უნდა შევეხვეწო მამას, ჩამოშორდეს ლევან გურიელს. გურიელი ქვეყანას სძულს. შინ მოვიდეს. სოფელში იცხოვროს. სხვებივით იშრომოს.

თებრონეს მუხლები მოეკვეთა.

— დია, ნუ მიმალავ, შენ რაღაც იცი მამაშენის შესახებ.

— მე... არაფერიც არ ვიცი... მე... რა უნდა ვიცოდე! ეს ვიცი, რომ ქვეყანა იცვლება. გესმის? ნაკაშიძეს ბოიკოტი აქვს გამოცხადებული. ივანე ზუცესს არავინ ეკარება. ეკლესიაში ხალხი აღარ დადის. გურიელის მიწები გავერანებულია. მადლობელი ვიყოთ, გლეხები სალამს რომ იმეტებენ ჩვენთვის.

— რა ვქნა, რა დამიშავებია. წყაროს მედავებოდნენ და, ვაჩუქე სოფელს. ზეგანს ჩემი ხელით ვთოხნი. მეტი რაღა უნდათ!

— მამაჩემი უნდა მოვიყვანო შინ!

— წადი, გენაცვალოს ჩემი თავი. მარა, დია, მე ვგრძნობ რაღაცას მიშალავ.

— რას უნდა გიმალავდე!

— რა გესიზმრა მაინც?

— ნუ მკითხავ, მეშინია.

დია მამასთან

როსტომი ახალუხის ღირკილის იკრავდა ბატის ფრთით, როცა დია ოთახში შევიდა. როსტომმა ფრთა გააგდო, ქალიშვილს მიეგება კარებში და ჩემოდანი ჩამოართვა. მხრებზე ხელი მოხვია, სკამზე დასვა და შუბლზე აკოცა მამამ შვილს.

— მამა, ხომ არ ჯავრობ?

— რატომ, შვილო? — გაიღიმა როსტომმა.

— იმიტომ, რომ ჩამოვედი.

— არ მსიამოვნებს მარა, თუ საჭიროა... ან რა სასიამოვნოა ჩემს ოთახში სტუმრობა.

— მე ხომ სტუმარი არა ვარ, მამა?

— სტუმარი ხარ, მაშ! — გადაიხარხარა როსტომმა.

— არა, მამა, მე სტუმარი არა ვარ. მინდა შენ მამა იყო ჩემი და მეგობარიც.

— კარგად გიფიქრია, შვილო!

— შეიძლება ცუდად...

როსტომმა წარბები მოღუშა.

— მე მართლა სტუმრად ჩამოვედი, მამა, ორი საათით.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

დიამ ჩემოდანი გახსნა, ამოალაგა სანოვაგე: მჭადი, შეწვარი ... სანთლის არაყი.

როსტომმა არაყი ჩამოასხა ჭიქაში, გახედა, ქარვასავით კამკამებდა. დაყნოსა, იამა.

დიამ ხმელი ყველი ამოაწყო. საივანობო მსხალი ამოალაგა.

— მამიდამ ყველაფერი ამკიდა.

როსტომს ჯერ ლოგინი არ გაესწორებია. არც ფიქრობდა ოთახის დალაგებაზე. დიამ ფანჯარა გამოაღო, ქუჩის პირას იყო როსტომის ოთახი. მცირე ნიავსაც საკმაო მტვერი შემოჰქონდა ფანჯრიდან. არ ესიამოვნა დიას. ყველაფერს მტვერისფერი ედო ოთახში, მაგიდას ჭუჭყიანი სუფრა ეფარა. მიმოიხედა არაფერი სჩანდა მიმზიდველი.

სოფელში უფრო სუფთად და ლამაზად ჰქონდა თებრონეს დალაგებული როსტომის ოთახი. სასთუმალთან ლევან გურიელის სურათი მიეკრა როსტომს თავისი ხელით. სურათზე წინა მხარეს წაეწერა ესეს-ძეს: „ძმას და მეგობარს". მეორე კედელზე პირდაპირ კონსტანტინე დადეშქელიანის დიდი სურათი ეკიდა, ფანქრით დახატული, ქუთაისელ. მეწვრილმანე ებრაელიდან ეყიდა თებრონეს ეს სურათი. მოსწონებოდა. კარგი ვაჟკაცი იყო. თმები ტელემაკ გურიელს მიუგავდა. ხშირად უცქეროდა დია კონსტანტინე დადეშქელიანის პორტრეტს, მხატვარს ქართველი რაინდის სული ჩაედგა სურათისათვის.

როსტომსაც მოსწონდა ეს სურათი ვაჟკაცური მხარგაშლილობით.

— მამა, შენი ოთახი სოფელში უფრო ლამაზია.

— ლამაზია და მოსაწყენი.

როსტომმა ბარკალი ააგლიჯა ქათამს და დიას დაუდო ლამბაქზე.

— დია, რა გიყვარს ქათმის?

დია იცინის, აგონდება, როგორ უპასუხებდა მამას ამ კითხვაზე ბავშვობისას.

— ჰო, მიპასუხე წინანდებურად, ბავშვურად!

დია ცდილობს ასიამოვნოს მამას და ბოლოს ნელ-ნელა შეაპაროს სათქმელი...

— ლა მიყვალს, მამა? კულტუმ-მკელდი, მხალ-ბალკალი, ცოტა მისი საწიწკნელი.

— ჰა, ჰა, ჰა!.. — ხარხარებს როსტომი.

ვისკისებს დია. მაგრამ... უეცრად თითქოს გული ყელში მოებჯინაო — ენას ვეღარ მოაბრუნებს და საშინელი ტირილი წასკდება ერთბაშად.

. . .

— მე ყველაფერი ვიცი... და მიკვირს, რად გჭირია ამდენი ცრემლი, როდესაც ერთი მართალი სიტყვა არ მოგეპოვება მამაშენისათვის. სულერთია, დია, საიდუმლოს ცრემლი ამეღვენებს. სჯობს აღიარო ყველაფერი. ჭამა ვარ შენი. შეცდომებს გაპატიებ. ალბათ, მშობლიურმა გრძნობამ ჩამოგიყვანა ჩემთან. მესმის... საბრალოვ, შენ ეგეც არ იცი, რომ ყოველ ჩირგვში კურდღლის მაგიერ ჩვენი შიკრიკი ზის, რომელსაც შენი ამხანაგები ჯა-

შუშს ეძახიან. იცოდე, ოქრო ყველაფერზე ძლიერია. ოქრო ჯოჯოხეთს გაანათებს.

— მაგრამ მზეს ვერ დააბნელებს. ხალხის სიმართლეც, მამა, მზეს ჰგავს, ხალხის შეგნებაში ამობრწყინებული. მამა, ჩემო მამა, წავიდეთ სოფელში ხალხთან, ვიშრომოთ პატიოსნად და ვიცხოვროთ. მამა, ერთ [illegible] მოგაწყენ. მუდამ შენთან ვიქნები. მამა, ლევან გურიელი ქეყანას სძულს. ჩამოეთხოვე ლევანს თუ შვილი გიყვარს. წავიდეთ შინ. ჩვენც ვიბრძოლოთ თავისუფლებისათვის, თანასწორობისათვის, სამართლიანობისათვის.

— დია, ჩვენი გზა არ შეერთდება. შენი ოცნება ბავშვურია. თავისუფლება, თანასწორობა ჩირიკა ხალხს მოჭორილი ამბავია. არასოდეს არ გამართლდება. უბრალოდ დაიღუპები, შვილო. შენ არ შეიბრალე მამა. შენმა სინდისმა იცოდეს... მე მაინც მებრალები!..

— არ მესმის... — თქვა დიამ და თავი დახარა, თვალი აარიდა მამას.

— სხვანაირად არც შეგეძლო, — განაგრძო მიტოვებული სიტყვა როსტომმა, — არ გამტყუნებ...

— მამა... — სასოწარკვეთილი დაიყვირა დიამ.

. . .

როსტომმა საათი ამოიღო გულის ჯიბიდან, დახედა.

— ჩქარა მატარებელი გავა. გაგვიანდება. მე სიტყვა მივეცი გურიელს: სიკვდილამდე მისი ერთგული ვიყო.

. . .

მახარე ამაოდ ელოდა დიას ნახვას, ყოველ საღამოს ჩაივლიდა დიას ოთახის წინ ქალაქის ბაღის გვერდით. დიდხანს იდგა ფანჯარასთან მღელვარე. უნდოდა ერთხელ კიდევ გადაევლო თვალი დიასათვის, ეთქვა: მახარე არავის არ შეიყვარებს თავის დღეში. სიკვდილამდე დია იქნება მახარეს ოცნება, გზის მანათობელი, რომ დიას სპეტაკი სული ზღაპრული სილამაზით წაუძღვება წინ, სანამ მზე არ დაუბნელდება მახარეს თვალებს.

ოცნებობდა მახარე, მაგრამ დია არ ჩანდა ნათლიდედის ბინაზე. სოფელში წავიდაო, უთხრეს.

კლუბში შეიარა მახარემ. ახალგაზრდები წარმოდგენისათვის ემზადებოდნენ. დიას ჩამოსვლას უცდიდნენ. როლები გადაეწერათ. არსენას როლს ვაკიჯვრელი მასწავლებელი ლადი თამაშობდა. ნინოს როლი დიასთვის შემოენახათ.

კლუბის გამგემ — სამსონმა ანთებული ლამპა შემოიტანა. ღამდებოდა. მახარე დაინახა. გაუხარდა სამსონს. ორი დღეა ექიმი ბესარიონი დაგეძებსო, უთხრა. მახარე იმ წამსვე წავიდა ბესარიონთან. წერილი დახვდა დაბეჭდილი. ბათუმის კომიტეტში იბარებდნენ სასწრაფოდ.

მოულოდნელი ამბები

მახარე ბათუმს არ მოშორებია. ციხიდან განთავისუფლების შემდეგ ერთი კვირით წავიდა გურიაში. გურიის საქმეები მიმოიხილა და ისევ დაბრუნდა ფარულად. უკანასკნელად ბათუმის კომიტეტის დავალებით იყო გურიაში წასული. არ იცოდა რად იწვევდნენ უკან. ღელავდა მახარე. ცხრა საათის მატარებელს ჩამოჰყვა. საბარგო სადგურზე ჩამოხტა და კრებაზე გაეშურა. სწორედ მორიგი კრების დღე იყო. ბინის პატრონი ისიდორე მოლუშუ-

ლი შეხვდა მახარეს. უეცხოვა. სხვა დროს ასეთი შეხვედრა არ იცოდა ისიდორემ. „რა მოხდა?“

ნინიძე ხელმძღვანელობდა კრებას. გოგილო ყურებჩამოყრილი იჯდა. ბიძია ტრიფონს დანა პირს არ უღებდა. მაგდას წარბები მოეხარა. სხვანი ისხდნენ მდუმარედ.

— რა ამბავია, ამხანაგებო, რამ დაგაძმარათ?—კარებში შესვლისთანავე იკითხა მახარემ.

— მოდი კაცო, დაჯექი, რა დროს ძმარია! — წაიხუმრა ნინიძემ და თავის გვერდით გამოუწია სკამი.

მახარე დაჯდა. ტრიფონს შეხედა უმალ. ტრიფონმა თვალი აარიდა ყოფილ შეგირდს.

„რა მოხდა ნეტა?“

თავმჯდომარემ მშვიდად გადაფურცლა მაგიდაზე გაშლილი საქმის ქაღალდები და მახარეს აცნობა გურიიდან გამოწვევის მიზეზი.

— არასასიამოვნო წერილი მივიღეთ ერმილესაგან.

მახარე შეკრთა. ავად იქნებაო, გაიფიქრა და ყური მიუგდო წერილის შინაარსს.

„ამხანაგებო, მე არ მჯერა, მახარე ამხანაგებს ღალატობდეს, მაგრამ რაკი გადასახლებაში მყოფ ამხანაგებში წარმოიშვა სამწუხარო ეჭვი, საჭიროა გამოირკვეს. მე არ ვამტყუნებ ამ ეჭვისთვის აქ მყოფ ამხანაგებს. მახარე შუალამეზე გაქრა საკანიდან. ქუთაისში გვითხრეს გამგზავრების წინ, მახარე გურიაში ვნახეთო. „მაშ ცოცხალია?“ — ეს მოულოდნელი ამბავი იყო ჩვენთვის. საბაბი ჰქონდათ ამხანაგებს ეფიქრათ კიდევ უფრო მეტი“.

მახარე გაფითრდა. დიდხანს იჯდა გაყუჩებული. ბოლოს ისევ მჭედელმა დაარღვია დუმილი.

— მახარე, ბიძია, — თქვა ტრიფონმა დაბალი ხმით და მტკიცედ, — დუმილის დრო არ არის. თავი უნდა იმართლო. მართლაც რა მოხდა ისეთი, რომ შუალამეზე გაგაპარეს საკანიდან და გაგანთავისუფლეს? ჩვენ თვითონ უნდა გამოგვერკვია ეგ საქმე. ახლა პასუხს ვაგებთ...

მახარემ ხელი მოივლო ჯიბეზე. ნაფლეთი ქაღალდი ამოიღო გურიელის ხელმოწერილი.

— მე არაფერი არ ვიცი. გამომიყვანეს საკანიდან ჩუმად. მეგონა დასახვრეტად მიეყვანდი ჯალათს. მოულოდნელად ეს ბრძანება მომცეს ხელში და გამომაგდეს ეზოდან. თუ არ დამიჯერებთ, თქვენ თვითონ დაადგენთ მოღალატის სასჯელს.

მახარე წამოდგა, ის იყო კარებში გასვლას აპირებდა, ისიდორე შემოეხეჩა წინ. ისიდორეს ტასი შემოჰყვა ოთახში — ნარმის ფერი დასდებოდა სახეზე. ამხანაგებს გაუკვირდათ: ტასის არ მოელოდნენ ამ კრებაზე. ტასი ჯერ კიდევ პარტიის კანდიდატად ითვლებოდა.

— არაფერია ამხანაგებო, ისეთი, მაპატიეთ!—ნაძალადევად გაიღიმა ტასიმ და დაბეჭდილი წერილი პირდაპირ თავმჯდომარეს მისცა ხელში. მახარეს შეხედა და სწრაფად გაბრუნდა. კარებში ისევ ისიდორემ გააცილა ტასი.

თავმჯდომარემ წერილი გახსნა.

მახარე იდგა წასასვლელად მომზადებული. უნდოდა გაეგო წერილის ში-

ნაარსი, მაგრამ უხერხულად გრძნობდა თავს. ისევ წასვლა დააპირა. ამ დროს თავმჯდომარემ შეაჩერა.

— სად იჩქარი, ამხანაგო, წერილი შენ გეხება.

მახარე გაოცდა.

— მე?!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველანი სმენად გადაიქცნენ. ცხრა თვალი მოუთმენლად მიიქცა თავმჯდომარისაკენ. თვითეული წევრისათვის სასიხარულო ამოცანად გადაიქცა მახარეს სიმართლის გამორკვევა.

ბიძია ტრიფონმა წვერებზე ჩამოისვა ხელი, გულზე მოეშვა, რაღაც „მუხრუჭი“ რომ უჭერდა.

— წერილი მეტად სერიოზულია, — განაცხადა თავმჯდომარემ.

„ამხანაგებო,—სწერდა ტასი,—იყავით მართლმსაჯულნი. გთხოვთ გაანთავისუფლოთ მახარე საზიზღარი ცილისწამებისაგან. ის სპეტაკია, ცამდი მართალი. მახარემ არაფერი არ იცის. მე გავანთავისუფლე ის... მე... ორი მაისის ღამეს... მე გამოვისყიდე მახარეს სიცოცხლე... მახარე სპეტაკია... მშვიდობით, ამხანაგებო... სთხოვეთ ჩემს დას — მაგდას, მაპატიოს, როგორც მაპატიებდა ყოველთვის ჩემს ცელქობას.—ტასი“.

(პირველი ნაწილის დასასრული).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე ფადეევი

ახალგაზრდა გვარდია*

რომანი

თავი მეცხრე

ვანია ზემნუხოვი და ეორა არუთინიანცი გამოეთხოვენ ვალოდია ოსმუხინს და მაშინვე შეუერთდნენ რკინიგზის გასწვრივ ლიხაიაზე სწრაფად მიმავალ ლტოლვილთა ნაკადს.

პირვანდელი გეგმის თანახმად ისინი უნდა წასულიყვნენ ნოვოჩერკასკისაკენ, სადაც ეორა არუთინიანცს, როგორც თვითონ ამბობდა, ჰყავდა გავლენიანი ნათესავები, რომელთაც შეეძლოთ დახმარება აღმოეჩინათ მათთვის შემდგომი მგზავრობის დროს,—ნოვოჩერკასკის სადგურზე მეწაღედ მუშაობდა ეორა არუთინიანცის ბიძა. მაგრამ ვანიამ, რომელსაც ეორა ყველაფერში ემორჩილებოდა, როგორც უფროსს ამხანაგს, გაიგო თუ არა, კოვალიოვები ლიხაიასაკენ მიდიანო, უკანასკნელ წუთებში ეორას შესთავაზა, ჩვენც ამავე მიმართულებით წავიდეთო და ბუნდოვანად დაუსაბუთა ამ მიმართულებით წასვლის უპირატესობა. ეორამ კი, რომლისთვისაც სულ ერთი იყო, საითაც უნდა წასულიყო, სიამოვნებით შესცვალა თავისი საკმაოდ გამორკვეული მარშრუტი ზემნუხოვის ბუნდოვანი მარშრუტით.

მგზავრობის ერთ-ერთ ეტაპზე მათ შეუერთდა ჩია ტანის, ფეხმოქცეული და მეტისმეტად გრძელულვაშიანი მაიორი, რომელსაც მკერდზე, მარჯვნივ გვარდიის ნიშანი ჰქონდა, ეცვა მეტად დაჭმუჭნული გიმნასტორკა და ქუსლმოქცეული ჩექმა. მისი სამხედრო ფორმა, განსაკუთრებით ჩექმა, ასეთ სავალალო მდგომარეობაში იმიტომ იყო, რომ, როგორც თვითონ განმარტა, ეს ტანსაცმელი მთელი ხუთი თვის განმავლობაში, ვიდრე თვითონ ჭრილობისაგან განიკურნებოდა, „ეშმაკმა იცის სად“, ესე იგი—საავადმყოფოს საკუჭნაოში ეყარა.

უკანასკნელ ხანებში ჰოსპიტალი მოთავსებული იყო კრასნოდონის მთავარი საავადმყოფოს ერთ-ერთ განყოფილებაში და ახლა ევაკუაციაში მიდიოდა. მაგრამ ვისაც კი სიარული შეეძლო, ტრანსპორტის სიმცირის გამო ყველას წინადადება მისცეს ფეხით წასულიყო, იმავე დროს კრასნოდონში დარჩა ასზე მეტი მძიმედ დაჭრილი, რომელთაც იქიდან გამოსვლის არავითარი იმედი აღარ ჰქონდათ.

---

* გაგრძელება, იხ. „მნათობი“, № 5—6 და 7.

თავისი და ჰოსპიტლის ბედის ასეთი ვრცელი განმარტების გარდა, მგზავრობის მთელი დანარჩენი დროის განმავლობაში, მაიორს კრიტიკაც არ დაუძრავს. იგი მეტად ჩუმი კაცი იყო, ბეჯითად და სრულიად უიმედოდ სდუმდა. გარდა ამისა, მაიორი კოჭლობდა. მაგრამ, კოჭლობის მიუხედავად, საკმაოდ მკვირცხლად მიაბიჯებდა ქუსლმოქცეული ჩექმებით. ყმაწვილებს არ ჩამორჩენია და მალე ისეთი პატივისცემა დაიმსახურა, რომ რაზედაც უნდა ელაპარაკნათ ყმაწვილებს, ყოველთვის მიმართავდნენ ხოლმე მას, როგორც ჩუმ ავტორიტეტს.

მაშინ, როცა უამრავი ხალხი, ხანდაზმულნი და ახალგაზრდანი, არა მარტო ქალები, არამედ თოფიანი მამაკაცებიც კი იტანჯებოდნენ და წვალობდნენ უკანდახევის ამ დაუსრულებელ ნიაღვარში, ვანია და ჟორა ზურგზე წამოკიდებული საბარგო ტომრებით, იდაყვების ზემოდ დაკაპიწებულნი, ხელში ქუდებით და სანუკვარი იმედით გამსჭვალულნი, მხნედ მიაბიჯებდნენ ტრამალზე.

სხვა ადამიანებთან შედარებით, მათი უპირატესობა ის იყო, რომ სულ ახალგაზრდები იყვნენ, მარტოხელები. არ იცოდნენ, სად იყო შტერი და სად იყვნენ ჩვენები. არა სჯეროდათ დარხეული ხმები, და მთელი ქვეყანა ამ უკიდეგანო ტრამალით გავარვარებული მზით, ხანძრის ბოლითა და მტვერის კორიანტელით, ღრუბლებივით რომ გამდგარიყო გზებში, რომელთაც ხან აქ, ხან იქ ბომბავდა და უშენდა. გერმანელი,—მთელი ქვეყანა ოთხივე მხრით თავისუფალი და გზახსნილი ეჩვენებოდათ.

ისინი გზადაგზა ისეთ რამეებზე საუბრობდნენ, რასაც არავითარი კავშირი არ ჰქონდა იმასთან, რაც გარშემო ხდებოდა.

— მაინც რატომ ფიქრობ, რომ იურისტობა საინტერესო არ არის ჩვენს დროში? — ეკითხებოდა ვანია ყრუ და ბოხი ხმით.

— იმიტომ, რომ, ვიდრე ომია, სამხედრო უნდა იყო, ხოლო, როცა ომი გათავდება,—ინჟინერი, რომ მეურნეობა აღადგინო, იურისტობა ახლა მთავარი რამ როდია,—ამბობდა ჟორა მსჯელობის იმ მკაფიობითა და გარკვეულობით, რაც მას სჩვეოდა, მიუხედავად იმისა, რომ სულ ჩვიდმეტი წლისა იყო.

— ჰო, რა თქმა უნდა, სანამ ომია, მინდა სამხედრო ვიყო, მაგრამ ჯარში არ მივყავართ,—თვალების გამო. როცა შენ ცოტა განზე დადგები, რაღაც ბუნდოვან აყლაყუდად და შავად მეჩვენები,—ღიმილით უთხრა ვანიამ.— ინჟინრობა, რა თქმა უნდა, ძალიან სასარგებლოა, მაგრამ აქ საქმე მიდრეკილებაა, მე კი, როგორც იცი, უფრო პოეზიისკენ მაქვს მიდრეკილება.

— მაშინ უმაღლეს ლიტერატურულ სასწავლებელში უნდა შეხვიდე,— მეტად ნათლად და მკაფიოდ დაასკვნა ჟორამ, თან მაიორს გადახედა, რადგან მხოლოდ იგი მიაჩნდა ერთადერთ კაცად, რომელსაც შეეძლო გაეგო, თუ რამდენად მართალი იყო იგი, ჟორა. მაგრამ მაიორი სრულიადაც არ გამოეხმაურა მის სიტყვებს.

— აი, სწორედ ეს არ მინდა მე,—მიუგო ვანიამ,—არც პუშკინს, არც ტიუტჩევს არ გაუვლიათ უმაღლესი ლიტერატურული სასწავლებელი, თუმცა ასეთი რამ არც კი არსებობდა მაშინ, და საერთოდ შეუძლებელია სასწავლებელში პოეტობა ისწავლო.

— ყველაფრის შესწავლა შეიძლება, — უპასუხა ჟორამ.

— არა, პოეტობის შესწავლა სასწავლებელში სისულელეა. ყოველი კაცი უნდა სწავლობდეს და იწყებდეს ცხოვრებას უბრალო პროფესიით,— ხოლო თუ კი იგი ბუნებისაგან დაჯილდოვებულია პოეტური ნიჭით, ეს ნიჭი თვითგანვითარების გზით გაიშლება და მხოლოდ მაშინ, ვფიქრობ, შეიძლება გამოხვიდე პროფესიით მწერალი. მაგალითად, ტიუტჩევი იყო დიპლომატი, გარინი—ინჟინერი, ჩეხოვი—ექიმი, ტოლსტოი—მემამულე...

— ხელსაყრელი პროფესიაა!—წარმოსთქვა ჟორამ, თან ეშმაკურად გადახედა ვანიას სომხური იერის შავი თვალებით.

ორივემ გაიცინა. მაიორმაც ჩაიღიმა ულვაშებში.

— იურისტი თუ იყო ვინმე?—საქმიანად იკითხა ჟორამ.

ბოლოს და ბოლოს თუ რომელიმე მწერალი იყო იურისტი, ჟორას ეს სავსებით დასაშვებად მიაჩნდა ვანიას მიმართაც.

— ეს არ ვიცი, მაგრამ იურიდიული განათლება ისეთი რამ არის, რომ იგი იძლევა მწერლისათვის საჭირო მეცნიერულ ცოდნას,—საზოგადოებრივ მეცნიერებათა, უფლებისა და ლიტერატურის დარგებში...

— წარმოიდგინე, რომ ეს დისციპლინები,—ცოტა არ იყოს თავმომწონედ წამოიწყო ჟორამ,—უმჯობესია გაიარო უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებელში...

— მე კი პედაგოგობა არ მინდა, თუმცა თქვენ იქ პროფესორიც კი შემარქვით...

— ვექილობა მაინც სისულელეა, მაგალითად, ჩვენს სასამართლოში, — უთხრა ჟორამ,—მაგალითად, გახსოვს იმ არამზადა მავნებელთა პროცესი? მე ყოველთვის ვფიქრობ ვექილებზე. სულელურ მდგომარეობაში კი არიან, არა?—ჟორამ კვლავ გაიცინა და თეთრად მოელვარე კბილები გამოაჩინა.

— რა თქმა უნდა, ჩვენში იურისტად ყოფნა საინტერესო არ არის, ჩვენი სასამართლო სახალხოა, მაგრამ გამომძიებლად ყოფნა, მგონია, ძალიან საინტერესოა, ბევრი სხვადასხვა ადამიანის გაცნობა შეიძლება.

— ბრალმდებელი ყველას სჯობია, — წარმოსთქვა ჟორამ,—გახსოვს ვიშინსკი? აი, მესმის! თუმცა, მე პირადად მაინც არ გავხდებოდი იურისტი.

— ლენინი იურისტი იყო,—თქვა ჟორამ.

— მაშინ სხვა დრო იყო.

— მე კიდევ გამოგედავებოდი, მაგრამ ჩემთვის ცხადია, რომ კამათი თემაზე, თუ ვინ უნდა იყო—უსარგებლო და სისულელეა,—ღიმილით წარმოსთქვა ვანიამ.—განათლებული, საქმის მცოდნე, შრომისმოყვარე კაცი უნდა იყო, და თუ იმავე დროს პოეტური ნიჭიც გაქვს, იგი თავს იჩენს.

— იცი, ვანია, მე ყოველთვის სიამოვნებით ვკითხულობდი შენს ლექსებს, როგორც კედლის გაზეთში, ისე ჟურნალ „პარუსში“, რომელსაც კოშევოისთან ერთად სცემდით.

— შენ წაგიკითხავს ეს ჟურნალი?—მკვირცხლად შეეკითხა იგი.

— წამიკითხავს, — აღფრთოვანებით მიუგო ჟორამ. — მე ვკითხულობდი ჩვენ სასკოლო „კროკოდილს“, თვალყურს ვადევნებდი ყველაფერს, რაც კი გამოდიოდა ჩვენს სკოლაში,—სთქვა მან თვითკმაყოფილებით,—და გადაჭრით უნდა გითხრა, შენ გაქვს ნიჭი!

— ნიჭი კი არა... — დარცხვენით ჩაილაპარაკა ვანიამ, მაიორს გადახედა და თავის გაქნევით უკან გადაიყარა ჩამოშლილი გრძელი თმა.—ჯერჯერო-

ბით ასეა, ვჯღაბნი ლექსებს... პუშკინი კი, აი,—მესმის, იგი ჩვენ ღმერთია...

— არა, მახსოვს, რა ზორბად გაწკეპლე ლენკა პოზდნიშევა, სულ სარკის წინ ტრიალებსო... ჰა, ჰა, ჰა!.. ძალიან ზორბად, ღმერთმანი?—ეკითხა ეშმაკმჩნევი სომხური კილოთი წარმოსთქვა ჟორამ,—როგორ იყო, როგორ? „ტურფა ბაგეს აღებდაო“... ჰა, ჰა!..

— რაღაც სისულელე იყო,—ბოხი ხმით დარცხვენით წარმოსთქვა ვანიამ.

— ყური მიგდე, შენ სატრფიალო ლექსები არა გაქვს? — საიდუმლოდ წასჩურჩულა ჟორამ.—წაიკითხე რამე, სატრფიალო, გესმის?—და ჟორამ თვალი ჩაუკრა მაიორს.

— რა სატრფიალო ლექსები, შენც ერთი!—მთლად დაიბნა ვანია.

მას ჰქონდა კლავასადმი მიძღვნილი ლექსები, ისევე დასათაურებულნი, როგორც პუშკინს: „კ...ს.“ სწორედ ასე ეწერა, დიდი ასო „კ“ და მრავალწერტილი ჰქონდა დასმული. ახლა ვანიას ისევ მოაგონდა ყველაფერი, რაც მისსა და კლავას შორის მოხდა. მოაგონდა მთელი თავისი ოცნება, გატაცება. იგი ბედნიერი იყო. დიაღ, ბედნიერი იყო ამ საერთო უბედურებაში, მაგრამ განა მას შეეძლო ეს გაეზიარებინა ჟორასთვის?

— არა, უეჭველად გაქვს! წაიკითხე, თუ ღმერთი გწამს!—ბავშვურად აბრიალებდა სომხური იერის თვალებს და ემუდარებოდა ჟორა.

— თავი დაანებე სულელურ ლაპარაკს...

— ნუთუ მართლა არა სწერ!—ჟორა უცებ დადინჯდა და მის ხმაში წინანდელი მასწავლებლური კილო მოისმა.—სწორადაც იქცევი, განა ახლა სატრფიალო ლექსების წერის დროა, როგორც ამას სიმონოვი სჩადის? როცა ხალხი უნდა აღზარდო მტრისადმი შეურიგებელი სიძულვილის გრძნობით? საჭიროა პოლიტიკური ლექსების წერა! მაიაკოვსკი, სურკოვი, არა? აი, ეს მესმის!

— საქმე ეს კი არ არის, წერა ყველაფერზე შეიძლება,—დაფიქრებით წარმოსთქვა ვანიამ. — რაკი ჩვენ ამ ქვეყნად დავიბადეთ და ვცხოვრობთ ისეთი ცხოვრებით, რომელზედაც, იქნებ საუკეთესო ადამიანთა მთელი თაობანი ოცნებობდნენ და იბრძოდნენ მისთვის, ჩვენ შეგვიძლია, უფლება გვაქვს ვწეროთ ყველაფერზე, რითაც ვცხოვრობთ, რითაც ვსულდგმულობთ, ყოველივე ეს მნიშვნელოვანი და განუმეორებელია.

— ღმერთმანი, მოდი რა, წაიკითხე რამე,—შეევედრა ჟორა.

აუტანელი სიცხე იდგა ჰაერში. ისინი განაგრძობდნენ სიარულს. ხან იცინოდნენ, ხან ყვიროდნენ, ხან კიდევ ინტიმურ-გულითად კილოზე საუბრობდნენ. მიდიოდნენ ხელების ქნევით, საბარგო ტომრების ქვეშ ზურგი ორივეს სველი ჰქონდა; სახეზე მტვერი ედებოდათ და როცა ოფლს მოიწმენდდნენ ხოლმე, ერთიანად ითხუპნიდნენ პირს, და ორივე ზანგივით შავი, ჟორაც და ვანიაც, ჩამოგრძელებული სახითა და მზედაკრული, მკრთალი ფერით, თვით ულვაშა მაიორიც კი ბუხრისმწმენდელს გვანდნენ. მაგრამ ამ წუთს მთელი ქვეყანა, არა მარტო მათთვის,—სრულიადაც არ ეეჭვებოდათ, რომ მაიორისთვისაც,—მოქცეული იყო იმაში, რაზედაც ისინი ლაპარაკობდნენ.

— რა გაეწყობა, წავიკითხავ...

ვანიამ აუღელვებლად, დინჯად და ყრუ ხმით წაიკითხა:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არა, არ ვნაღვლობთ, არა გვწყინდება,
არ გვაიფოთეიეხ ცხოვრეიის გზეიი,
ღალატის უცხო გახცდას არ ვიცხობთ,
არ გვაღელვებენ მისი მიზნები.

მიჰქრის წარმტაცი და მოელვარე
ახალგაზრდობის განცდა ულევი.
დაუცხრომლობით, მჩქეფარე ფიქრით
მუდამ სავსეა ჩვენი გულები.

უცხოა ჩვენთვის ცხოვრების გმობა,
უცხოა ჩვენთვის ტანჯვის ნაღველი,
და სიჭაბუკე — უნაყოფობის
სიცარიელის გამომსახველი.

გვხიბლავს სამყაროს დიადი ლტოლვა,
მივქრით უშიშრად ამაყი სახით;
გავსცქერით მარად მაღალ მწვერვალებს,
სადაც კომუნა გვიხმობს, გვეძახის.

— დიდებულია! სავსებით გარკვეული ნიჭი გაქვს!—წამოიძახა ჟორამ, თან გულითადი აღფრთოვანებით მიაჩერდა უფროსს ამხანაგს.

ამ დროს მაიორმა რაღაც უცნაური ხმა ამოუშვა ყელიდან, ვანიამაც და ჟორამაც მისკენ მიიხედეს.

— თქვენ, ყმაწვილებო... თქვენ არც კი იცით, თუ როგორი ხართ! — ხრინწიანად წარმოსთქვა მაიორმა, თან აღელვებით შესცქეროდა მათ ძირს ჩამოწოლილი წარბების ქვეშ ღრმად ჩამჯდარი წყლიანი თვალებით.— არა-ა, ასეთი სახელმწიფო ცოცხლობდა და იცოცხლებს კიდეც!—უცებ წარმოსთქვა მან და მოკლე შავი თითით მრისხანედ დაემუქრა სივრცეში ვიღაცას. — მას ჰგონია სიცოცხლე მოგვისპო! — დამცინავი ხმით განაგრძო მაიორმა.—არა, ძმობილო, გეშლება! ცხოვრება მიმდინარეობს, და ჩვენი ბავშვები შენზე ფიქრობენ, როგორც ჭირზე, როგორც ხოლერაზე. მოსულხარ, და წახვალ, ცხოვრება კი თავისი გზით წავა, სწავლაში, შრომაში! ის კი სხვაგვარად ფიქრობდა!—ნიშნს უგებდა მაიორი.—ჩვენი ცხოვრება სამარადისოა, ის კი—ვინ არის! ერთი მუწუკი, ამოაგდე და გაჰქრა!.. არაფერია! მე იმ წყეულ ჰოსპიტალში კინაღამ სულით დავეცი,—ნუთუ მის დასაძლევად ძალა არა გვყოფნის-მეთქი, მაგრამ რაც თქვენ შემოგეკედლეთ, ბიჭებო, და თქვენთან ერთად მოვდივარ, სრულიად განმიახლდა სული... მგონი ბევრი გვწყევლის ახლა ჩვენ, არმიელებს, მაგრამ ეს განა შეიძლება? მართალია, უკან ვიხევთ, მაგრამ ერთი ისიც იკითხეთ, რა ძალა მოგვაყარა! აბა, დაფიქრდით, რა სულიერი სიმტკიცეა! ღმერთო, ჩემო! ეს ხომ ბედნიერებაა, დადგე და უკან არ დაიხიო, სიცოცხლე შესწირო,—ენდეთ ჩემს სინდისს, მე თვითონ დიდ ბედნიერებად მივიჩნევდი სიცოცხლე გამეწირა, გამეწირა სიცოცხლე ისეთი ყმაწვილებისათვის, როგორიც თქვენა ხართ!—და მღელვარების გამო ცახცახებდა მისი მსუბუქი, გამხდარი ტანი.

ვანია და ჟორა გაჩუმდნენ, გულკეთილი და დაბნეული გამომეტყველებით შესცქეროდნენ მას.

მაიორმა წარმოთქვა, რაც სათქმელი ჰქონდა. თვალები ააფახურა, ბუჭყიანი ცხვირსახოცით ულვაშები მოიწმინდა და გაჩუმდა, ასე [illegible] ბინდებამდე. ღამით მაიორი უეცარი ენერგიითა და გამმაგებ[illegible] რათა „სადინარი" მიეცა, როგორც თითონ ამბობდა, მანქანებისა, საზიდებისა და საარტილერიო აღალისაგან შექმნილი გიგანტური „საცობისათვის" და ვანიასა და ჟორას სამუდამოდ თვალთაგან მიეფარა. მათაც უმალვე დაივიწყეს იგი.

ლიხაიამდე მისვლას ორი დღე და ღამე მოუნდნენ. ამ ხნის განმავლობაში უკვე ცხადი გახდა, რომ გერმანელებმა კამენსკი დაიკავეს. სამხრეთით ბრძოლები სწარმოებდა ნოვოჩერკასკის მახლობლად, ხოლო დონეცის გაღმა, ცხელ ტრამალებში, დონეცსა და დონ შუა მოქმედებდნენ გერმანელთა შემოჭრილი სატანკო და მოტორიზებული ნაწილები. მაგრამ, როგორც ამბობდნენ, ბელოკალიტვენსკაიასთან დონეცზე გადასასვლელი ჩვენს ხელთ იყო და ტრამალის შარაგზებით ჯერ კიდევ თავისუფლად შეიძლებოდა დონის ნაპირზე მისვლა და გაღმა გადასვლა.

უკანასკნელ ღამეს, რამდენიმე დღე პაპანაქება სიცხეში მგზავრობით გასავათებული ვანია და ჟორა ფეხმოკვეთილივით დასაძინებლად მიეგდნენ თავანზე, რომელიღაც ხუტორში. ისინი გამოაღვიძა ბომბების გრიალმა. ზვინებს რომ არყევდა.

მზე არც თუ ისე მაღლა იდგა ტრამალზე, მაგრამ პურის ყანების მთელს თვალმისაწვდენ სივრცეზე მაინც ელვარებდა ოქრონარევი მტრედისფერი ალმური, როცა ვანია და ჟორა უახლოვდებოდნენ მანქანების, ადამიანებისა და საზიდრების ერთად თავმოყრილ გიგანტურ ურდოს, რომელიც გაშლილიყო დონეცის აქეთა მხარეზე, ვრცელ ქალაქ-სტანიცას ცოტა ქვემოდ, მდინარის ჯაღმა, სადაც მოსჩანდა ამწვანებული ბაღები, მოვარობის, საავჭრო დაწესებულებათა და სკოლების ქვიტკირის შენობები, რომელთა მეტიწილი ჰაერიდან დაბომბვით ნანგრევებად იყო ქცეული და ჯერ კიდევ ბოლავდა.

მთელი ეს გიგანტური ურდო, დენადი თავისი შემადგენლობით, მაგრამ რომელსაც თავისი მკვიდრნიც ყავდა, მთელი ეს ურდო, ხელახლა რომ ივსებოდა ახალი ადამიანებითა და ტრანსპორტით, ორიოდე კვირის წინ წარმოიშვა აქ და ცხოვრობდა თავისი განსაკუთრებული, განუმეორებელი ყოფით.

ეს იყო სამხედრო განაყოფთა, წარმოება-დაწესებულებათა კოლექტივების ნაშთების ნარევი, ყველა სახის ტრანსპორტის, ყოველგვარი სოციალური კატეგორიის, ყველა ასაკისა და ოჯახური მდგომარეობის ლტოლვილთა ნარევი. ამ ადამიანთა ცდა, მთელი მათი გულისყური, მთელი მათი საქმიანობა მიმართული იყო იქით, რათა რაც კი შეიძლებოდა უფრო ახლოს მისულიყვნენ მდინარესთან, მიახლოვებოდნენ დონეცზე მცურავ ხიდის ვიწრო ზოლს.

მაგრამ თუ ურდოში თავმოყრილ ადამიანთა მთელი ღონისძიება მიმართული იყო იქით, რომ მოხვედროდნენ ხიდზე, იმ სამხედრო პირთა ყოველი ღონისძიებანი, რომლებიც ამ გადასასვლელს განაგებდნენ, იმაში მდგო-

მარეობდა, რომ ეს ადამიანები კი არ მიეშვათ ხიდთან, არამედ პირველ რიგში გაეტარებინათ წითელი არმიის უკანდახეული განაყოფები, რომელთა ერთი ნაწილი მიდიოდა სამხრეთის არმიების ჩრდილო საფარის დასახმარებლად, ხოლო სხვებს კი სასწრაფოდ უნდა დაეხიათ უკან, დონს გაღმა.

ამ ინდივიდუალური და კერძო სურვილის, სამხედრო და სახელმწიფოებრივი საჭიროების ბრძოლაში, ისეთს ვითარებაში, როცა მტერს ყოველ წუთს შეეძლო გამოჩენილიყო დონეცის როგორც ერთს, ისე მეორე ნაპირზე, როცა სულ უფრო და უფრო საშინელი ხმები ამძაფრებდნენ ერთიმეორის საწინააღმდეგო გრძნობებსა და ღონისძიებებს, — ამ ბრძოლაში მიმდინარეობდა ურდოს ყოველდღიური ცხოვრება.

ზოგიერთი ორგანიზაცია, გადასვლის მოლოდინში, ისე დიდხანს იდგა აქ, რომ მათ თავშესაფარი ხვრელების ამოთხრაც კი მოასწრეს. ზოგიერთმა კარვები გაშალეს, დროებითი კერებიც გამართეს, ცეცხლი დაანთეს და საჭმელის ხარშვა დაიწყეს. ურდო სავსე იყო ბავშვებით. დონეცზე გადასვლით დღედაღამე მიემართებოდა მანქანების, ადამიანებისა და საზიდრების ნიაღვრის ვიწრო ზოლი, რომლის ორივე მხარეზე ტივებითა და ნავებით გადადიოდნენ ადამიანები. ათასობით სული საქონელი ზმუილითა და ბღავილით ჯგუფდებოდა ნაპირზე და ცურვით გადიოდა გაღმა.

გადასასვლელს ყოველ დღე რამდენჯერმე ბომბავდნენ და თვითმფრინავიდან უშენდნენ გერმანელები. და მაშინვე იწყებდა სროლას გადასასვლელის მცველი საზენიტო არტილერია. კაკანებდნენ საზენიტო ტყვიამფრქვევები. მაშინ მთელი ურდო უმალვე გაიშლებოდა ხოლმე ტრამალზე. მაგრამ როგორც კი გადაიქროლებდნენ თვითმფრინავები, ყველანი უკანვე მობრუნდებოდნენ თავიანთ ადგილზე.

მოკლულებისათვის უკვე არავინ ზრუნავდა, არავის გაჰქონდა ისინი, არ მარხავდნენ, მთელი დღეების განმავლობაში იქვე ეყარნენ და მზეზე იხრწნებოდნენ.

ამ ურდოში მოხვედრის წუთიდან ვანიას მხოლოდ ერთი მიზანი ჰქონდა, როგორმე მოენახა მანქანა, რომლითაც მიემგზავრებოდნენ კოვალიოვები. მასში ორი გრძნობა იბრძოდა: უკვე ესმოდა, თუ რამდენად დიდი იყო საფრთხე, ამიტომ უნდოდა კლავა მისი მშობლებიანად ყოფილიყო არა მარტო დონეცის, არამედ დონს გაღმაც. იმავე დროს ბედნიერად ჩასთვლიდა თავს, თუ აქავე შეხვდებოდა კლავას.

ვანია და ჟორა მთელს ურდოს უვლიდნენ, ეძებდნენ თავიანთ კრასნოდონელებს. ამ დროს ერთ-ერთ საზიდრიდან უცებ დაუძახეს მათ. ეს იყო ოლეგ კოშევოი, მათი სკოლის ამხანაგი, მზედაკრული, მაგრამ, როგორც ყოველთვის, მკვირცხლი და კოხტა. იგი უაღრესად საქმიანი გამომეტყველებით დატრიალდა მთელი თავისი მსუბუქი აგებულობით, განიერი მხარბეჭით და ოქროსფერი წამწამების ციმციმით.—თავისი დიდრონი ღონიერი ხელები მოჰხვია ამხანაგებს და მაგრად დაუწყო კოცნა ტუჩებში.

ისინი წააწყდნენ № 1-ბის მაღაროს მანქანას, რომელშიც ისხდნენ ვალკო და შევცოვი, საზიდრებს, რომლითაც მოდიოდნენ კოშევოის ნათესავები და ულია, საბავშვო სახლს, რომელმაც ვანიას და ჟორას დახმარებით ძლივს გააღწია თავი კრასნოდონიდან და საბავშვო სახლის გამგე ქალს, რომელმაც ახლა ვერც კი იცნო ისინი.

თავი მეათე

ურდოს მთელს იმ ნაწილში, სადაც გავიდნენ ვანია და ეორა და სადაც მბრძანებლობდა № 1-ბის მაღაროს დირექტორის ვალკოს შავგვრემანი ლამაზი ხელი, უკვე წესრიგი იყო: მანქანები და საზიდრები ცალკე ადგილებზე, მწკრივზე გაჭიმულნი. ყველგან ამოთხრილი იყო თავშესაფარი ხვრელები. მაღაროს საბარგო მანქანის მახლობლად მარაგად ეყარა ხუტორის ღობის წკნელის რამდენიმე მეტრი შეშა. ძალუა მარინე და ულია ახალი კომბოსტოს წვნიანს ხარშავდნენ.

ეს ბებერი ბოშა ვალკო ნაშდვილი სამეურნეო კაცი იყო. შეუგროვებია თავისი მუშები და ხუთიოდე კომკავშირელი ჭაბუკი, შეზრდილი შავი წარბებიდან ისე მკაცრად გამოიყურება, რომ ხალხი გზას უტევს. ვალკო ახლა მძიმე ნაბიჯით მიდის გადასასვლელისაკენ, იმ იმედით, რომ ხელი მოჰკიდოს მთელს ამ საქმეს.

ისე, როგორც მეურნეობის ბევრი სხვა დიდი მოღვაწე, თანამედროვე უდიდესი მასშტაბის სრულყოფილ წარმოებათა ხელმძღვანელები, რომელთაც ისწავლეს თავიანთ მოღვაწეობის გზაზე ყოველგვარ დაბრკოლებათა გადალახვა, სამხრეთის ფრონტზე უკანდახევას, რომლის მსხვერპლი კინაღამ თითონაც გახდა, ვალკო თავის გულში ხსნიდა არა მარტო იმით, რომ გერმანელებმა აქ თავი მოუყარეს ჯარისკაცების, თვითმფრინავებისა და ტანკების ჭარბ ძალებს, არამედ იმითაც, რომ სამხედრო ადამიანებმა ფრონტზე ჯერ კიდევ ვერ ისწავლეს მათს განკარგულებაში გადაცემული, გაუმჯობესებული მანქანებისა და წარმოებაში მომზადებული ადამიანების გამოყენება. ვალკო ამავე მიზეზით ხსნიდა იმასაც, რომ გადასასვლელთან თავი მოეყარა რამდენიმე ათას ადამიანს, მანქანებსა და საზიდრებს, და იყო ასეთი უწესრიგობა. და იმ წუთიდან, რაც აქ მოხვდა, ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ წესრიგი დაემყარებინა.

იმავე წუთიდან, რაც ვალკო შეუდგა წესრიგის დამყარებას, ოლეგი ისევე იყო მასზე შეყვარებული, როგორც რამდენიმე ხნის წინათ კაიუტკინზე, ხოლო უფრო ადრე კი—ულიაზე.

უჩვეულო წყურვილი საქმიანობისა, სურვილი მთლიანად თავის გამოვლინებისა, სურვილი ადამიანთა ცხოვრებაზე, მათს მოქმედებაში ჩარევისა, იმ ვარაუდით, რომ შეეტანა მასში რაღაც საკუთარი, უფრო სრულყოფილი, სწრაფმოქმედი და ახალი შინაარსით აღსავსე,—ეს, ჯერ კიდევ არასავსებით გააზრებული, მაგრამ მთელი არსების მომცველი და მისი ბუნების საფუძვლის შემადგენელი სულიერი ძალა, დაეუფლა ოლეგს.

— ვაჰ, რა კა-არგია, ივანე, რომ ერთმანეთს შე-ევხვდით!—ენის ოდნავ ბორძიკით მხიარულად ეუბნებოდა ოლეგი, თან ზემნუხოვის გვერდით ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ვალკოს.—კარგია, რომ ერთმანეთს შევხვდით, რადგან, ხომ ხედავ, უშენოდ მოწყენილი ვიყავი! შენ კი თურმე მხიარულად ყოფილხარ! უ-უ, ძმაო!..—ოლეგმა თვალითა და საჩვენებელი თითით ვალკოს ზურგზე ანიშნა.—დიაღ, ჩემო ძმაო, ამქვეყნად მთავარი ძალა ორგანიზაციის ძალაა,—ამბობდა იგი და თან ოქროსფერ წამწამების ქვეშ აბრიალებდა თვალებს.—უიმისოდ, ალბათ, ყველაზე საჭირო და კარგი საქმეც

ისე დაიშლება, როგორც აი ქსოვილი გაიცრიცება სადმე და ირღვევა ცალკე ძაფებად. მაგრამ საკმარისია ხელი მოჰკიდო და ნებისყოფა გამოიჩინო...

— გაიხედავ და შენვე ცხვირპირს დაგინაყავენ!—უკანმოუხედავად წარმოსთქვა ვალკომ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმაწვილებმა დამსახურებულად შეაფასეს მისი პირქუში ხუმრობა.

ისე, როგორც ფრონტზე, არმიის მეორე ეშელონში მოხვედრისას, ძნელია წარმოიდგინო წინა ხაზზე წარმოებული ბრძოლების მოცულობა და მათი სიმძაფრე, ასევე შეუძლებელია მდინარის გადასასვლელზე, მის ღრმა ზურგში, უკანასკნელ რიგში ყოფნისას, იმსჯელო უბედურების ნამდვილი ოდენობის შესახებ.

რაც უფრო უახლოვდებოდნენ ისინი გადასასვლელს, მით უფრო არეული, გამოუსწორებელი ხდებოდა გადამსვლელთა მდგომარეობა, მით უფრო მწვავდებოდა საერთო გააფთრება, რომელიც უკვე იმდენად ფესვგადგმული და იმდენად გამძაფრებული იყო, რომ შეიარაღებული ძალის ჩარევის გარდა სხვა რამეს ძნელად თუ შეეძლო მისი დაშოშმინება. სცდილობდნენ, რაც შეიძლებოდა ახლოს მისულიყვნენ მცურავ ხიდთან, წინა მანქანებზე უკანა მანქანების მიძალებისა და მათ შორის ადამიანთა მასის მოძრაობის შედეგად, ყველა სახის ტრანსპორტი ისე მჭიდროდ და გამოუსწორებლად იყო ერთიმეორეში არეული, ყოვლად წარმოუდგენელ მდგომარეობაში შეჩრილი, რომ უკვე არავითარი საშუალება აღარ იყო მათი სხვაგვარ წესრიგზე მოსაყვანად, თუ არა კვლავ თანდათანობით წინ წაწევა.

აუტანელ სიცხეში, რასაც კიდევ უფრო აძლიერებდა ეს შეჯგუფება, ადამიანები ოფლში იწურებოდნენ და სწყევლიდნენ ერთიმეორეს, და იმ ზომამდე იყვნენ გაცეცხლებულნი, თითქოს ერთმანეთის მიკარებით შესაძლოა აფეთქდნენო. ჰაერში ტრიალებდა გაშმაგებული ლანძღვა-გინება, გამოურკვეველი იყო, ვინ ვის ლანძღავდა და აგინებდა.

სამხედრო ადამიანებს, რომლებიც ამ გადასასვლელს განაგებდნენ, უკვე რამდენიმე დღე და ღამის განმავლობაში არ სძინებიათ. გაშავებულნი უძილობისა და მზისაგან, რომელზედაც დილიდან საღამომდე იხრაკებოდნენ, ათასობით ფეხისა და თვლების განუწყვეტელი მოძრაობით ამდგარი მტვერისაგან, ხმაჩახლეჩილნი ლანძღვა-გინებისაგან, აღგზნებული ქუთუთოებითა და ოფლიანი შავი ხელებით, ისინი მისულიყვნენ ნერვული დაღლილობის იმ ზომამდე, როცა უკვე ვეღარაფერს იჭერდნენ ამ ხელებში,—მაგრამ მაინც განაგრძობდნენ თავიანთ არაადამიანურ სამუშაოს.

სავსებით ცხადი იყო, რომ უფრო მეტის გაკეთება, ვიდრე ეს ადამიანები აკეთებდნენ, ყოვლად შეუძლებელი იყო, მაგრამ ვალკო მაინც წავიდა ხიდის თავზე და მისი ჩახლეჩილი ხმა უკვე დაიკარგა სხვა ხმებსა და მანქანების ხმაურში.

ოლეგმა თავის ამხანაგებთან ერთად ძლივს გააღწია ნაპირამდე. ახლა იგი იდგა აქ და მოზრდილი ბავშვის დაძაბული ყურადღებით, გულგრილი და გაოცებული გამომეტყველებით შესცქეროდა ამ მტვერსა და სიცხეში ჩაშვავებულსა და საოცარ მასად ჩაზელილ ნაპირს, სადაც ერთიმეორეზე მიძვრებოდნენ პირთამდე დატვირთული საბარგო მანქანები და საზიდრები, და სადაც განუწყვეტლივ მიდიოდნენ და მიდიოდნენ გაოფლიანებული, ჭუჭყიანი, გაბრაზებული, დამცირებული ადამიანები...

და მხოლოდ დონეცი, ეს ბავშვობიდან საყვარელი მდინარე, რომლის შუა წელზე მრავალჯერ გამგზავრებულან მოსწავლე ყმაწვილები საბანაოდ და სათევზაოდ, მხოლოდ დონეცი—ამ ადგილებში განიერი და მდორე, წინანდებურადვე მიაქანებდა თავის თბილსა და მომღვრიო წყალს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, მაინც კი მინდა რომ ვინმეს ცხვირპირი დავუნაყო!—უცებ წარმოსთქვა ვიქტორ პეტროვმა, რომელიც გაბედული თვალების ნაღვლიანი გამომეტყველებით შესცქეროდა არა გადასასვლელს, არამედ მდინარეს; იგი ხუტორ პოგორელოედან იყო, ამ მდინარის ნაპირზე გაიზარდა.

— სწორედ ეგ არის, უკვე მეორე ნაპირზე ხარ!—იოხუნჯა ვანიამ.

ყმაწვილებმა ჩაიფრუტუნეს.

— დარტყმა აქ კი არა, იქ უნდა!—ცივად წარმოსთქვა ანატოლიმ, თან უზბეკური ქუდიანი თავი დასავლეთით გაიქნია.

— სრული სიმართლეა!—დაემოწმა ჟორა.

თითქმის იმავე წუთას, როგორც ეს წარმოსთქვა, ყვირილი გაისმა:

— ჰაერი!

და უეცრად დაიგრიალეს საზენიტო ქვემეხებმა, დაიკაკანეს ტყვიამფრქვევებმა, ცაში გაისმა მოტორების გუგუნი და გადმოყრილი ბომბების გამაყრუებელი მზარდი ჭუილი.

ყმაწვილები მიწას გაენართხნენ. მახლობელმა და უფრო შორეულმა აფეთქებამ ირგვლივ ყველაფერი შეარყია, გადმოცვივდა მიწის გოროხები და ნაფოტები, თვითმფრინავების პირველ წყებას ერთბაშად მოჰყვა მეორე, მესამე წყება, და წვიმამ, ზუზუნმა, გრუხუნმა, აფეთქებული ბომბების ზრიალმა, საზენიტო ქვემეხებისა და ტყვიამფრქვევების ცეცხლმა თითქოს მთელი სივრცე აავსეს მიწიდან ცამდე.

თვითმფრინავებმა გადაიქროლეს, ადამიანებმა დაიწყეს წამოდგომა და ამ დროს საიდანღაც, არც თუ ისე შორიდან, ხუტორის მხრივ, სადაც ღამე გაათიეს ჟორამ და ვანიამ, ზარბაზნების გახშირებული სროლა გაისმა, წუთის შემდეგ შიგ შუა ურდოში სკდებოდა ყუმბარები და ჰაერში აიმართნენ მიწისა და ნაფოტის სვეტები.

წამომდგარი ადამიანები, ზოგი ისევ ძირს დაეშვა, ზოგმა კი პირი იბრუნა სწორედ იქითკენ, სადაც ყუმბარები სკდებოდნენ და იმავე დროს თვალს არ აშორებდნენ გადასასვლელს. გადასასვლელის განმგებელი სამხედროების სახის გამომეტყველებითა და მათი საქციელის მიხედვით ადამიანები მიხვდნენ, რომ აქ რაღაც გამოუსწორებელი რამ მოხდა.

გადასასვლელის გამგე სამხედროებმა ერთიმეორეს გადახედეს, წუთით შედგნენ, თითქოს ყურს უგდებდნენ. უეცრად ერთი მათგანი სირბილით შეიჭრა პონტონის თავთან ამოთხრილ ბლინდაჟში, მეორემ ხმამაღლა გადასძახა სანაპიროს და რაზმს მოუხმო.

წუთის შემდეგ სამხედრო სირბილით გამოვარდა ბლინდაჟიდან, მკლავზე ორი ფარაჯა გადაეკიდებინა, მეორე ხელით კი საბარგო ტომრებს მოათრევდა ღვედებით; ორივე სამხედრო და საკომენდანტოს რაზმის მებრძოლები, უმწკრივოდ, სირბილით შეიჭრნენ მცურავ ხიდზე, წინ უსწრებდნენ ხიდზე და ხიდის მიმართულებით ხელახლა დაძრულ მანქანებს.

ის, რაც ამას მოჰყვა, ისე მოულოდნელად და სტიქიურად მოხდა, რომ არავის შეეძლო ეთქვა, თუ რით დაიწყო ყოველივე ეს. ვიღაცები ფეხდაფეხ

ყვირილით მიჰყვნენ სამხედროებს. რაღაც არევ-დარევა მოხდა მანქანებს შორის ზედ ხიდის თავზე: რამდენიმე მანქანა ერთბაშად შეეჯახა პონტონზე, ერთიმეორეს დაეტაკნენ, გაისმა ჯახანი; თუმცა ამის იქით გზა აშკარად გაჭედილი იყო მანქანებით, მაგრამ უკანა მანქანები წინა მანქანებს ეძალებოდნენ და მოტორების საშინელი ღრიანცელით განაგრძობდნენ ერთიმეორეზე თავდასხმას ამ პონტონზე შეჯგუფული მანქანების ჯახანში. ერთი მანქანა წყალში გადავარდა, მას მიჰყვა მეორე, მესამე უკვე გადასავარდნად იყო, მაგრამ წამყვანმა ხელის ძლიერი მოძრაობით მუხრუჭით ერთ ადგილზე გააქვავა.

ვანია ზემნუხოვმა, რომელიც ბეცი თვალებით განცვიფრებული შესცქეროდა ამ მანქანებს, უცებ წამოიყვირა:

— კლავა!

იგი უმალვე ხიდის თავისკენ გაიჭრა.

დიაღ, ეს მესამე მანქანა, რომელიც კინაღამ გადაეშვა წყალში, იყო კოვალიოვის მანქანა, რომელშიც ნივთებზე ისხდნენ თვითონ კოვალიოვი, მისი ცოლი, ქალიშვილი და კიდევ ვიღაც სხვები.

— კლავა!—ისევ დაიყვირა ვანიამ, რომელიც არავინ იცის, თუ როგორ გაჩნდა მანქანასთან.

ადამიანები ხტებოდნენ მანქანიდან, ვანიამ ხელი გაუწოდა და კლავაც გადმოხტა.

— მორჩა!... ჯანდაბას!... — ისე წარმოსთქვა კოვალიოვმა, რომ ვანიას გული გადუცივდა.

კლავა, რომლის ხელის დაჭერა დიდხანს ვერ გაბედა, თუმცა არა ხედავდა, მაინც ცერად შესცქეროდა ვანიას და ჰკანკალებდა.

— სიარული თუ შეგიძლია? სთქვი, შეგიძლია?—მომტირალი ხმით ეკითხებოდა კოვალიოვი თავის ცოლს, რომელსაც გულზე ეჭირა ხელი და პირდაღებული, თევზივით ძლივს იჭერდა ჰაერს.

— დაგვტოვე, ჩვენ, დაგვტოვე... გაიქეცი... ისინი მოგკლავენ, — ლუღლუღებდა გულამომჯდარი ქალი.

— რა იყო, რა მოხდა?—შეეკითხა ვანია.

— გერმანელები!—წარმოსთქვა კოვალიოვმა.

— გაიქეცი, გაიქეცი, ჩვენ დაგვტოვე!—იმეორებდა კლავას დედა.

კოვალიოვს ცრემლი წასქდა და ხელი ჩაავლო ვანიას.

— ვანია!—ტირილით წარმოსთქვა მან,—უშველე ამათ, ნუ მიატოვებ... თუ ცოცხალი დარჩით — ქვემოალექსანდროვკაში წადით, იქ ნათესავები გვყვანან... ვანია! შენი იმედი...

ზედ ხიდის თავზე მიძალებულ შეჯგუფულ მანქანებში გასქდა ყუმბარა. ნაპირიდან დაძრული სამხედრო და სამოქალაქო ადამიანები უხმოდ მიაწყდნენ პონტონს.

კოვალიოვმა ხელი გაუშვა ვანიას, სწრაფად მიბრუნდა ცოლისკენ, მერე ქალიშვილისკენ, ეტყობოდა უნდოდა გამომშვიდობებოდა მათ, მაგრამ გონდაკარგულმა უცებ ორივე ხელი ჩაიქნია და სხვებთან ერთად სირბილით გაიჭრა მცურავ ხიდზე.

ოლეგი ნაპირიდან ეძახოდა ზემნუხოვს, მაგრამ ვანიას არაფერი ესმოდა.

— წავიდეთ, ვიდრე დაგვამტვრევენ,—მკაცრად, დინჯად უთხრა მან კლა-

ვას დედას და მკლავზე ხელი მოჰკიდა.—წავიდეთ იმ ბლინდაჟში. გესმის? კლავა, მომყევით, გესმის?—მკაცრად და ნაზი ხმით ეუბნებოდა ეგი.

სანამ ბლინდაჟში ჩავიდოდნენ, ერთხელ კიდევ შეასწრეს თვალი, როგორ გამალებით ფუსფუსებდნენ მებრძოლები ქვემეხების ახლოს, როგორ მოხსნეს ლულებს რაღაც მძიმე ნაწილები, აიღეს, სირბილით გაიტანეს ხიდზე და რამდენიმე ხნის შემდეგ წყალში გადაყარეს. მდინარის მთელ სიგრძეზე, ხიდის ზემო და ქვემო მხარეზე ცურვით გადადიოდნენ ადამიანები და საქონელი, მაგრამ ვანია ამას ვეღარ ხედავდა.

მისი ამხანაგები, რომლებმაც მხედველობიდან დაჰკარგეს თვითონ ვანიაცა და ვალკოც, ცდილობდნენ არ მოხვედრილიყვნენ მათს პირისპირ დაძრულ ადამიანთა ნიაღვარში და გარბოდნენ იმ ადგილისაკენ, სადაც თავისი საზიდრები დასტოვეს.

— ერთად იყავით, ჩვენც ერთად უნდა ვიყოთ!—ოლეგი თავისი ღონიერი, განიერი მხარბეჭით ყველაზე წინ მიარღვევდა შეჯგუფებულ ხალხს, თან ჰყვიროდა, ყმაწვილებისკენ იცქირებოდა ანთებული, ბრაზმორეული და ამ სიბრაზისაგან ჩაყვითლებული თვალებით.

მთელი ბანაკი აირია და უკვე იშლებოდა: მანქანები მოტორების თუხთუხით გვერდით მისდევდნენ ერთმანეთს, ხოლო ის მანქანები, რომლებმაც უკვე მოასწრეს აქედან გაძრომა, ნაპირის გასწვრივ, მდინარის ქვემო მხარისაკენ გაექანენ.

იმ დროს, როცა თვითმფრინავებმა გადმოიქროლეს, ძალუა მარინა ჩაცუცქულიყო, ცეცხლს უკეთებდა გამხმარ ფიჩხს, რასაც ძია კოლია საარტილერიო ხანჯლით ჩეხდა. ულია კი იქვე, გვერდით იჯდა ბალახზე, და ისეთ ფიქრს მისცემოდა, რომ მის სახეზე, სადღაც ტუჩების კუთხეებთან და ნესტოების თხელ ჭრილებში, საშინელი ძალის ხაზები ისახებოდნენ. ახლა ულია შესცქეროდა მანქანის გვერდზე მჯდომ გრიგოლ ილიას-ძეს, რომელიც გადაჰხვევოდა ცისფერთვალა გოგონას; იგი წელან რძეს ასმევდა ამ გოგონას, რაღაცას ეჩურჩულებოდა ყურში და აცინებდა. მანქანა, რომლის გარშემო აღმზრდელთა მეთვალყურეობით თამაშობდნენ ბავშვები და რომლის მახლობლად იჯდა ყველაფრისადმი გულგრილი დამოკიდებულებით გამომზირალი, საბავშვო სახლის გამგე ქალი, სულ ოცდაათიოდე მეტრი მანძილით იყო დაშორებული იმ ადგილს, სადაც კოცონი იყო გაჩაღებული. საბავშვო სახლი, ისე, როგორც პეტროვისა და კოშევოის საზიდრები, სხვა საზიდრების მწკრივში იდგნენ.

თვითმფრინავებმა ისე მოულოდნელად გადმოიქროლეს, რომ ვერავინ მოასწრო ჩახტომა ღია თავშესაფარში, ყველანი იქვე, მიწაზე დაეცნენ. მიწაზე დაცემულმა ულიამ გაიგონა ჩამოვარდნილი ბომბის თითქოს ზემოდან ქვემოდ განფენილი, ქარიშხალივით მზარდი ზრიალი; იმავე წუთას გაისმა ჭექა-ქუხილი მკვეთრი გრიალით, თითქოს ეს მომხდარიყოს არა ულიას თავზე, არამედ მის სხეულში. ჰაერმა სტვენით გადაუქროლა თავზე და მიწა მიეყარა ზურგზე. ულიას ესმოდა ცაში მოტორების გუგუნი. კვლავ ეს ზუზუნი, მაგრამ უკვე უფრო შორეული, და სულ ასე იწვა, მიწაზე გართხმული.

არ ახსოვდა როდის წამოდგა, ან რამ უკარნახა, რომ საჭირო იყო და შეიძლებოდა ადგომა. უეცრად დაინახა მის გარშემო გაშლილი ქვეყანა — და სულის სიღრმიდან აღმოხდა რაღაც ვნებიანი, მხეცური კვნესა.

მის წინ უკვე აღარ იყო არც № 1-ბის მაღაროს მანქანა, არც გრიგოლ ილიას-ძე, არც ის ცისფერთვალა გოგონა. ისინი მახლობლად არსად არა სჩანდნენ. იმ ადგილას, სადაც მანქანა იდგა, მოსჩანდა გადმობრუნებული, დამწვარი შავი მიწის ორმო. ხოლო ამ ორმოს გარშემო სხვადასხვა ადგილას ეყარა მანქანის შერუჯული ნაწილები, ბავშვთა დასახიჩრებული გვამები. ულიადან რამდენიმე ნაბიჯზე ინძრეოდა მიწაში ამოვლებული წითელხილაბანდიანი უცნაური ნაგლეჯი. ამ ნაგლეჯში ულიამ შეიცნო საბავშვო სახლის გამგე ქალის ტანის ზედა ნაწილი, ქვედა ნაწილი კი პირდაპირ წინდებზე ჩაცმული რეზინის ბოტებიანად არსად ჩანდა,—იგი საერთოდ აღარსად იყო.

რვა წლის ბიჭს საშინელი ჭინთვით თავი მიწაში ჩაერგო, ხელები კი ზურგზე შემოედო, თითქოს უნდა ისკუპოსო, ერთ ადგილას ტრიალებდა, ფეხებს აბაკუნებდა და წიოდა.

ულია თავდავიწყებით მიიჭრა ყმაწვილთან, უნდოდა მოხვევოდა, მაგრამ ყმაწვილი საშინელი წივილით აფართქალდა მის ხელებში. ულიამ მაღლა აუწია თავი და ნახა, რომ სახე ბებერასავით შეშუპებოდა და ამოვარდნილი თეთრი თვალები უპეებზე დაჰკიდებოდა.

ულია მიწაზე დაეშვა და აქვითინდა.

ყველაფერი გარბოდა გარშემო, მაგრამ ულია უკვე ვერაფერს ხედავდა, არც არაფერი ესმოდა. იგრძნო მხოლოდ ის, რომ მის გვერდით გაჩნდა ოლეგ კოშევოი. იგი რაღაცას ამბობდა და თან თავის დიდრონ ხელებს თმაზე უსვამდა ულიას, თითქოს ცდილობდა ფეხზე წამოეყენებინა, ულიას კი სახეზე ხელები მიეფარებინა და ქვითინებდა. ზარბაზნების ბრიალის, ყუმბარების სკდომისა და ტყვიამფრქვევთა შორეული კაკანი ესმოდა ულიას, მაგრამ ყოველივე ეს ახლა უკვე სულერთი იყო მისთვის.

უცებ მოესმა ოლეგის ძალზე ჭაბუკური, მთრთოლვარე, მკვეთრი ხმა:

— გერმანელები!..

ეს კი მისწვდა ულიას გონებას, ტირილი შესწყვიტა და უცბად გასწორდა. წუთში იგრძნო გვერდით მდგომი ოლეგი და ყველა თავისი ამხანაგი, ვიქტორის მამა, ძია კოლია, მარინა ბავშვებით ხელში, თვით პაპაც კი, რომელსაც მოჰყავდა ოლეგი და მისი ნათესავები,—არ იყვნენ მხოლოდ ვანია ზემნუხოვი და ვალკო.

ყველა ეს ადამიანები უცნაური გამომეტყველებით დაძაბულად გასცქეროდნენ ერთი მიმართულებით, ულიამაც გაიხედა იმავე მიმართულებით.

იმ მხარეზე, რაიმე ნასახიც კი არ იყო ურდოსი, რომელიც სულ რამდენიმე ხნის წინათ გარს ეხვია მათ. ახლა მათ წინ გავარვარებული ცის ქვეშ გადაშლილიყო ელვარე მზის შუქით მომუქო-თეთრად გადაქათქათებული ტრამალი. ჰაერის ამ მომუქო-თეთრ ბრწყინვაში, გაქათქათებული ტრამალით მათს პირდაპირ მოემართებოდნენ ვასაკისფერად შეღებილი გერმანელთა მწვანე ტანკები.



გერმანელებმა ვოროშილოვგრადი დაიკავეს 17 ივლისს, ნაშუადღევის 2 საათზე, სასოფლო-სამეურნეო საცდელ მინდორში გამართული ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ. სამხრეთის ერთ-ერთ არმიას აქ დაუხებული ჰყავდა საფარი, რომლის ორი მესამედი მტრის ჭარბმა ძალებმა ამოსწყვიტეს ამ ბრძოლაში. ეს გადარჩენილი ერთი მესამედი რკინიგზის ლიანდაგის გასწვრივ თითქმის სადგურ ვერხნედუვანაიამდე ბრძოლით იხევდნენ უკან, ვიდრე უკანასკნელი ჯარისკაცი არ დაეცა დონეცის მიწაზე.

ყველა ისინი, ვისაც უნდოდა და შეეძლო წასვლა კრასნოდონისა და მისი მახლობელი რაიონებიდან—წავიდა, ან გაემგზავრა აღმოსავლეთით. მაგრამ საქმის ვითარების უცოდინარობისა და ტრანსპორტის უქონლობის გამო შორეულ ბელოვოდსკაიას რაიონში დარჩა კრასნოდონის მაქსიმ გორკის სახელობის სკოლის მერვე და მეცხრე კლასის მოსწავლეთა დიდი ჯგუფი, რომელიც მინდვრის სამუშაოზე იყო ამ რაიონში.

სახალხო განათლების განყოფილებამ ჯგუფის გამოყვანა დაავალა ამავე სკოლის რუსული ლიტერატურის მასწავლებელს მარიამ ანდრიას-ასულ ბორცს, ენერგიულ დონბასელ ქალს, რომელიც კარგად იცნობდა ადგილობრივ პირობებს და პირადად იყო დაინტერესებული ამ საქმის წარმატებით, ვინაიდან ამ მოსწავლეთა შორის მისი ქალიშვილი ვალიაც იყო.

მოსწავლეთა ამ ჯგუფის გამოყვანას სჭირდებოდა მხოლოდ ერთი საბარგო მანქანა, მაგრამ მარიამ ანდრიას-ასულმა ეს დავალება მიიღო სწორედ მაშინ, როცა უკვე არავითარი ტრანსპორტი აღარ იშოვებოდა. ათასი ხიფათი შეემთხვა გზაში, ვიდრე საბჭოთა მეურნეობამდე მიაღწევდა, მთელ დღე და ღამეზე მეტი ხანი მოანდომა ამას. მძიმე მგზავრობითა და თავისი კომკავშირელი გოგონასა და სხვა მოსწავლეთა ბედის გამო სულიერი ტკივილით გატანჯული ეს ზნეობრივად განსაკუთრებით მტკიცე, მაგრამ ყელზე მომდგარი მღელვარებითა და მადლობის გრძნობით გულაჩუყებული ქალი, აქვითინდა, როცა ლანძღვა-გინებით ხმაჩახლეჩილმა, რამდენიმე დღის განმავლობაში უძინარმა და გაუპარსავმა საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა, მიუხედავად მეურნეობის ქონების ევაკუაციით მთელი ტრანსპორტის უჩვეულოდ გადატვირთვისა, მარიამ ანდრიას-ასულს მაინც უყოყმანოდ მისცა უკანასკნელი საბარგო მანქანა.

მიუხედავად იმისა, რომ ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის სიმძიმე კარგად იცოდნენ ბელოვოდსკაიას რაიონში, მარიამ ანდრიას-ასულის ჩასვლამდე მოსწავლეები, ჭაბუკობისათვის ჩვეული უდარდელობით ატარებდნენ დროს, იმედი ჰქონდათ, უფროსები დროზე დაიჭერენ თადარიგსო და ისეთ აღტაცებულ, მხიარულ გუნებაზე იყვნენ, რაც ყოველთვის იქმნება ხოლმე მაშინ, როცა ახალგაზრდა ადამიანები ერთად შეიყრებიან—თავისუფალ, წარმტაც ბუნების წიაღში, რაც განსაკუთრებით ხელს უწყობს მათს შორის ბუნებრივ რომანტიულ დამოკიდებულებათა დამკვიდრებას.

მაგრამ მარიამ ანდრიას-ასულმა წინასწარ ხასიათი არ გაუფუჭა ყმაწვილებს და დაუმალა საქმის ნამდვილი ვითარება. მაგრამ მისი შეშფოთებული ნერვული მდგომარეობის, აგრეთვე იმ საერთო აჩქარების მიხედვით, რომლითაც თავს უყრიდნენ მათ შინ გასამგზავრებლად, ყმაწვილები მიხვდნენ,

რომ რაღაც სერიოზული და ცუდი ამბავი უნდა მომხდარიყო. უცებ გაუფუჭდათ გუნება, თავში უტრიალებდათ ფიქრი ოჯახზე და იმაზე, თუ რა ბედი ეწეოდათ თვით მათ.

ვალია ბორცი ადრე დაქალიშვილდა, მას ოქროსფერი ქიშმიშივით ჰქონდა დაფარული მზედაკრული ხელები და ფეხები, რომლებსაც ჯერ კიდევ ბავშვური იერი გადაჰკრავდა. ვალიას ჰქონდა მუქწამწამებიანი, მუქ-ჭროღა, დამოუკიდებელი და ოდნავ ცივად გამომეტყველი თვალები, ღია ქერა ოქროსფერი ნაწნავები, სქელი, წითელი და თავმოყვარულად დაწყობილი ტუჩები. საბჭოთა მეურნეობაში მუშაობის დროს ვალია დაუმეგობრდა მისი სკოლის თანამოსწავლეს—პატარა, თეთრთავა, პაჭუაცხვირიან, სახეჭორფლიან, მკვირცხლსა და, როგორც იტყვიან ხოლმე, გონიერთვალებიან ბიჭს—სტიოპა საფონოვს.

ვალია მეცხრე კლასში იყო, სტიოპა — მერვეში, შეიძლება ეს ყოფილიყო მათი დაახლოების ხელისშემშლელი მიზეზი, რომ ვალიას მეგობრობა ჰქონდა ქალიშვილებთან, ან ბიჭებში ყოფილიყო ისეთი ვინმე, რომელიც მას მოსწონდა, მაგრამ ვალია არც ქალიშვილებთან მეგობრობდა და მას არც ბიჭებში მოსწონდა ვინმე. ვალია ძალიან ნაკითხი ქალიშვილი იყო, კარგად უკრავდა პიანინოზე. თავისი განვითარებით იგი გამოირჩეოდა მეგობრებში, თვითონაც კარგად გრძნობდა ამას, ამიტომ მიჩვეული იყო თანატოლი ჭაბუკების თაყვანისცემას მის მიმართ. სტიოპა საფონოვი დაუახლოვდა არა იმიტომ, რომ მას მოსწონდა ვალია, არამედ იმიტომ, რომ ართობდა მას. სტიოპა მართლაც გონიერი და გულითადი ყმაწვილი იყო, რასაც ჰფარავდა მისი ბიჭური ანგლობა. სტიოპა იყო ერთგული ამხანაგი და საშინელი მოლაყბე. სწორედ იმიტომ, რომ თვითონ ვალია არ იყო მოლაყბე,—გარდა საკუთარი დღიურისა, არავის არ გაანდობდა თავის საიდუმლოებას,—იგი ოცნებობდა საგმირო საქმეზე, ისე, როგორც ყველას, მასაც უნდოდა ყოფილიყო მფრინავი,—თავისი ცხოვრების თანამგზავრიც საგმირო საქმეების კაცად ჰყავდა წარმოდგენილი. სტიოპა საფონოვი თავისი ლაყბობითა და დაუსრულებელი გამოგონებით ართობდა ვალიას.

ვალიამ პირველად გაბედა მასთან სერიოზული საუბარი, პირდაპირ დაუსვა კითხვა,—რას იზამ, კრასნოდონში რომ გერმანელები აღმოჩნდნენო.

ვალია ცივად, მეტად დინჯად და გამომცდელად შესცქეროდა მას თავისი მუქ-ჭროღა, მიუკარებელი თვალებით, სტიოპამ კი — უდარდელმა ბიჭმა, რომელიც გატაცებული იყო მხოლოდ ზოოლოგიითა და ბოტანიკით, რომელიც ყოველთვის ოცნებობდა, სახელგანთქმული მეცნიერი ვიქნებიო, და რომელსაც არასოდეს არ უფიქრია იმაზე, რას გააკეთებდა, თუ გერმანელები მოვიდოდნენ, ასევე დაუფიქრებლად მიუგო: გერმანელების წინააღმდეგ შეურიგებელ ფარულ მუშაობას გავაჩაღებო.

— ეს ლაყბობა არ არის? მართალია?—ცივად შეეკითხა ვალია.

— რატომ არის ლაყბობა? რა თქმა უნდა, სიმართლეა!—დაუფიქრებლად მიუგო სტიოპამ.

— დაიფიცე...

— გეფიცები... რა თქმა უნდა, გეფიცები... მაშ რაღა უნდა ვქნათ? ჩვენ ხომ კომკავშირელები ვართ?—გაკვირვებით მაღლა ასწია წარბები და ისე შეეკითხა თეთრთავა სტიოპა, რომელიც მხოლოდ ბოლოს ჩაუფიქრდა, თუ

რასაც ეკითხებოდნენ.—შენ კი რას იზამ?—ცნობისმოყვარეობით შეეკითხა სტიოპა.

ვალიამ ყურთან ახლოს მიუტანა ტუჩები და საშინელი ჩურჩულით წარმოსთქვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვფიც-ა-ააავ...

მერმე ზედ ყურზე მიადო ტუჩები, უეცრად ცხენივით დაიფრუტუნა ისე, რომ კინაღამ ყურის აპკი გაუხეთქა, და წარმოთქვა:

— მაინც სულელი ხარ, სტიოპა! სულელი და მოლაყბე! — სთქვა და ტაიქცა.

ისინი ღამით გაემგზავრნენ. ჩაწეული ფარნებიდან მკრთალი სინათლის ლაქა გარბოდა მანქანის წინ, ტრამალში. მათ ზემოთ გადაშლილიყო მუქი და ვარსკვლავებიანი უსაზღვრო ცა, ტრამალიდან სიგრილე მოჰქონდა,— გარს იკმეოდა თივის, მწიფობაში შესული პურის, თაფლისა და აბზინდის სურნელება. მაგარი და თბილი ქარი სახეზე სცემდათ, ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ შეიძლებოდა შინ გერმანელები დახვედროდნენ. საბარგო მანქანა ყმაწვილებით სავსე იყო. სხვა დრო რომ ყოფილიყო, მთელი ღამე იმღერებდნენ, იერიამულებდნენ ტრამალში, იცინებდნენ, დაკოცნიდნენ ერთმანეთს—სადმე, ფარულ ჩირგვებში. ახლა კი ყველანი ერთად მიემგზავრებოდნენ—მოკუნტულნი, გაჩუმებულნი, ხოლო ხანგამოშვებით თუ გაესიტყვებოდნენ ერთმანეთს, ისიც ჩურჩულით. ყმაწვილების უმრავლესობას ჩქარა ჩასთვლიმა თავის მცირე ბარგზე. მიკვროდნენ ერთმანეთს და ოღროებზე მანქანის გადარბენის დროს აქეთ-იქით აქნევდნენ თავს.

ვალია და სტიოპა ყველაზე უკან ისხდნენ მანქანაში—მორიგეებად იყვნენ გამოყოფილნი. სტიოპამაც დაიწყო თვლემა, ვალია კი იჯდა თავის რიუკზაკზე და სულ წინ გასცქეროდა ტრამალში გაშლილ სიბნელეს. ახლა, როცა არავინ უყურებდა მას, მსხვილი და თავმოყვარულად დაწყობილი ტუჩები ბავშვურად, ნაღვლიანად და გაბუტულად მოეკუმა.

საფრენოსნო სკოლაში არ მიიღეს. რამდენჯერ სცადა, მაინც უარი უთხრეს, ბრიყვებმა. არ გაუმართლა ცხოვრებამ. -რა მოელის ახლა? სტიოპა—მოლაყბეა. რა თქმა უნდა, იმუშავებდა ფარულად, მაგრამ როგორ უნდა გაკეთდეს ეს, ან ვინ განაგებს ამ საქმეს? ან რა დაემართება მამას?—ვალიას მამა ებრაელი იყო,—რა მოუვა სკოლას? რამდენი ძალაა მის სულში და ისიც კი ვერ მოასწრო, რომ ვინმე შეყვარებოდა, და აი, როგორია ახლა შედეგი ამ ცხოვრებისა. რა თქმა უნდა, არ გაუმართლდა ცხოვრებაში. ვეღარ მოახერხებს ხალხის წინაშე თავის გამოჩენას, სახელისა და დიდების მოხვეჭას, ადამიანთა თაყვანისცემის მოპოებას. თავმოყვარეობით გამოწვეული ცრემლით აევსო თვალები. მაინც კარგი იყო ეს ცრემლი,— ვალია ახლა ჩვიდმეტი წლისა იყო,—ეს გულქვაობისა და სიამაყისა კი არა, ძლიერი ბუნების ადამიანის უანგარო და ქალწულებრივი ოცნება იყო.

უცნაური ხმა შემოესმა ზურგიდან, თითქოს კატამ ისკუპა და მანქანის უკანა კიდეს ჩაებღაუჭაო.

ვალიამ სწრაფად მიიხედა და ოდნავ შეკრთა.

ბიჭი, თუ ჩია ტანის კეპიანი, გამხდარი, მარდი ჭაბუკი ორივე ხელით ჩასჭიდებოდა მანქანის უკანა კიდეს, უკვე გადმოხოხებულიყო მუცლით და ახლა ფეხების გადმობიჯებას ლამობდა, რომ სულ გადმოფორთხებულიყო

მანქანის ძარაში, თან ყველაფერს აკვირდებოდა სიბნელეში მოელვარე თვალებით.

რამე უნდა დაითრიოს? რა უნდა, კაცმა რომ სთქვას? ვალიამ ინსტინქტურად გაიქნია ხელი, რომ მანქანიდან ჩამოეგდო იგი, მერმე გადაუსვა, აყალმაყალს მოერიდა, და გადასწყვიტა სტიოპა გაეღვიძებინა.

მაგრამ ეს მოძრაობაში არაჩვეულებრივად სწრაფი და მოხერხებული ბიჭი, თუ ჭაბუკი, უკვე მანქანაში იყო. იგი უკვე ვალიას გვერდით იჯდა, მომღიმართვალებიანი სახე ზედ ქალიშვილის სახეს მიუახლოვა და ტუჩებზე თითი მიიდო. ყმაწვილმა ალბათ არ იცოდა, ვისთან ჰქონდა საქმე. კიდევ წუთი და ძალიან ცუდი საქმე შეემთხვეოდა, მაგრამ სწორედ ამ დროს ვალიამ უკვე მოასწრო მისი ჩათვალიერება. ეს იყო ვალიას ტოლა ყმაწვილი, კეპი კეფაზე ჰქონდა მოგდებული, პირი დიდი ხნის დაუბანელი, მაგრამ ბავშვური, კეთილშობილური თავდადების გამომეტყველებით აღსავსე, სიბნელეში მოციმციმე, მოელვარე თვალებით გამოიყურებოდა. ამ ერთმა წამმა, რომლის განმავლობაშიც ვალიამ შეათვალიერა იგი, საქმე ყმაწვილის სასარგებლოდ გადასწყვიტა.

ვალია არ განძრეულა, ხმაც კი არ ამოუღია, შესცქეროდა მას იმ დამოუკიდებელი, მოცივო გამომეტყველებით, რაც ყოველთვის ემჩნეოდა ხოლმე სახეზე, თუ მარტო არ იყო.

— ეს რა მანქანაა?—ჩურჩულით იკითხა ყმაწვილმა და ვალიას სახისკენ გადაიხარა.

ვალიას ახლა უკეთ შეეძლო მისი შეთვალიერება. როგორც ეტყობოდა, ყმაწვილი ოდნავ თმახუჭუჭა იყო, თხელსა და ცოტათი წინწამოწეულ ტუჩებზე, ძლიერი, ცოტა უხეში ნაკეცებიც ემჩნეოდა, თითქოს ტუჩებს ქვემოთ შესიებული აქვსო.

— რაო? ის არ მოგართვეს, რომელსაც ელოდი?—ცივად, ჩურჩულითვე მიუგო ვალიამ.

ყმაწვილს გაეღიმა.

— ჩემი მანქანა კაპიტალურ რემონტზე დგას, ისე დავიღალე, რომ...— ხელი ჩაიქნია და ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს სთქვა: „ჩემთვის სულერთიაო“.

— ბოდიში, დასაძინებელი ადგილები სულ დაკავებულია,—უთხრა ვალიამ.

— ექვსი დღე და ღამე თვალი არ მომიხუჭავს, ერთ საათსაც გავძლებ!— წარმოსთქვა ისეთი გულახდილობით, რომ არც კი გაჯავრებულა ვალიას სიტყვაზე.

ამავე დროს ყმაწვილი სწრაფად აკვირდებოდა ყველაფერს, რასაც კი თვალს მიატანდა, ცდილობდა ამ სიბნელეში გაერჩია სახეები.

მანქანის ძარა გზადაგზა ირყეოდა. ვალია და ეს ყმაწვილი იძულებული იყვნენ ხშირად ჩასჭიდებოდნენ მანქანის კიდეს. ერთხელ ვალიას ხელი მოხვდა მის ხელს, მაგრამ ვალიამ უმალვე მოაშორა, ყმაწვილმა თავი ასწია და გაკვირვებით ჩააცქერდა.

— ეს ვინ არის, რომ სძინავს?—იკითხა ყმაწვილმა და ახლოს დააკვირდა მანქანის მოძრაობის დროს სტიოპას აქეთ-იქით მოქანავე ქერა თავს.— სტიოპა საფონოვია!—წამოიძახა არა ჩურჩულით, არამედ მთელი ხმით.—

ახლა კი ვიცი, რა მანქანაც არის, გორკის სკოლაა, არა? ბელოვოდსკაია-დას ძოდიხართ, ხომ?

— შენ საიდან იცნობ სტიოპა საფონოვს?

— ჩვენ ღელესთან, ხევში გავეცაითო ერთმანეთს.

ვალიამ დაუცადა, იქნებ გახაგოთოსო, ბაგრამ ყმაწვილმა მეტი არაფერი სთქვა.

— რას აკეთებდით ღელესთან, ხევში?—იკითხა ვალიამ.

— ბაყაყებს ვიჭერდით.

— ბაყაყებს?

— დიალ!

— რად გინდოდათ?

— თავდაპირველად მეგონა ალბათ ლოქოების საჭერად თუ უნდა მეთქი, თურმე ნუ იტყვი, განკვეთისათვის სდომებია.—სთქვა ყმაწვილმა და სტიოპა საფონოვის უცნაურ საქმიანობაზე აშკარა დაცინვით გაიღიმა.

— მერმე?—იკითხა ქალმა.

— დავითანხმე, ლოქოების საჭერად წავიდეთ-მეთქი, მართლაც, მთელი ღამით წამომყვა, მე ორი დავიჭირე, ერთი პატარა იყო,—გირვანქა თუ გამოვიდოდა, მეტი არა, მეორეს კი არა უშავდა რა, უფრო მოზრდილი იყო,—სტიოპამ კი ვერც ერთი ვერ დაიჭირა.

— მერმე?

— დილით ადრე ვიბანაოთ-მეთქი, ამაზეც დამყვა, სულ ერთიანად გალურჯებული ამოვიდა წყლიდან და მეუბნება:—გაბტყვნილი ბარტყივით გავიყინე, ყურებიც ცივი წყლით ამევსოო. — ვასწავლე, როგორ უნდა გამთბარიყო და ყურიდან წყალი გამოედინა.

— როგორ?

— ცალ ყურში თითი უნდა დაიცო, იხტუნო ცალ ფეხზე, თან უნდა იძახო:—„კატერინა ლამაზი ხარ—გოგონების თვალი, ჩქარა მოდი, ამომისხი ყურებიდან წყალი“... მერმე მეორე ყურშიც უნდა დაიცო თითი, და ასე იძახო.

— ახლა კი მესმის, როგორ დამეგობრებულხართ!—უთხრა ვალიამ და ოდნავ შეატოკა წარბები.

ყმაწვილმა ვერ გაიგო მის სიტყვებში შეპარებული ირონია, ანაზდად დინჯი გამომეტყველება მიიღო და წინ გაჰხედა სიბნელეში.

— დაგვიანებით კი მიდიხართ,—სთქვა მან.

— როგორ?

— ვფიქრობ ამაღამ თუ არა, ხვალ დილით მაინც კრასნოდონში იქნებიან გერმანელები.

— მერმე რა ვუყოთ, რომ იქნებიან?—შეეკითხა ვალია.

უნდოდა გამოეცადა ეს ყმაწვილი თუ ეჩვენებინა მისთვის—გერმანელებისა არ მეშინიანო,—თვითონაც არ იცოდა, რატომ უთხრა ასე. ყმაწვილმა პირდაპირი და თამამი გამომეტყველებით უეცრად შეავლო ნათელი თვალები და კვლავ უსიტყვოდ ძირს დახარა. არაფერი უთხრა.

ამ ყმაწვილის მიმართ რაღაც მტრულმა გრძნობამ გაჰკრა ვალიას გულში. საკვირველი საქმე მოხდა,—ყმაწვილი მიუხვდა ამას და შემარიგებლად სთქვა:

— გასაძრომიც არსად არის!

— რატომ უნდა გავძვრეთ?—ჯიბრით უთხრა ვალიამ.

ყმაწვილს არასგზით არ უნდოდა მტრულ დამოკიდებულებაში ყოფილიყო მასთან და კვლავ შემარიგებლად მიუგო:

— ესეც მართალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყმაწვილს პირდაპირ უნდა ეთქვა თავისი ვინაობა, დაეკმაყოფილებინა ქალიშვილის ცნობისმოყვარეობა,—ამით კი მაშინვე მოგვარდებოდა მათი ურთიერთობა, მაგრამ იგი ან ვერ ხვდებოდა ამას, ან არ უნდოდა გაემხილა თავისი ვინაობა.

ვალია ამაყად სდუმდა. ყმაწვილს ჩაეძინა, მაგრამ მანქანის ყოველ შერყევაზე, ან ვალიას ყოველ ნებითს, თუ უნებლიე განძრევაზე—შეკრთებოდა. მაღლა შეაქანებდა ხოლმე თავს.

სიბნელეში გამოჩნდნენ კრასნოდონის გარეუბნის ნაგებობანი. ვიდრე პარკს მიუახლოვდებოდნენ, პირველსავე გადასავალთან დაამუხრუჭეს მანქანა. რკინიგზის გადასავალს არავინ იცავდა, შლაგბაუმი აწეული იყო, არც ფარნები ენთო. მიწაყრილზე აგრიალდა მანქანა, რელსებმა გაიწკრიალეს. ყმაწვილი გამოფხიზლდა, ხელი მოისვა ულაზათოდ ჩაცმულ ჯუბას ქვეშ ჰუჰყიან და ღილავარდნილ ხალათზე. მერმე სთქვა:

— აქედან კი მივალ... მადლობელი ვარ პატივისცემისათვის.

ყმაწვილმა წამოიწია თუ არა, ვალიას მოეჩვენა, რომ ჯუბისა და შარვლის გამობურთულ ჯიბეებში რაღაც მძიმე საგნები ედო.

— არ მინდოდა გამეღვიძებინა სტიოპა,—წარმოსთქვა ყმაწვილმა და კვლავ მიუახლოვა ვალიას მოღიმარი, გაბედული თვალები.—როცა გაიღვიძებს, უთხარით: სერგი ტიულენინმა გთხოვა შემოიარე-თქო.

— მე საფოსტო კანტორა არა ვარ, არც სატელეფონო სადგური,— უთხრა ვალიამ.

გულახდილი სინანული გამომჟღავნდა სერგი ტიულენინის სახეზე. ისე დაღონდა, არ იცოდა რა ეპასუხნა, სიტყვები არ ეყო, თითქოს კიდევ უფრო შეუსივდა ტუჩები. არც ერთი სიტყვა არა სთქვა, ისე გადახტა მანქანიდან და სიბნელეში გაჰქრა.

ვალიამაც უცებ მოიწყინა იმის გამო, რომ ასე დაანაღვლიანა იგი. ყველაზე უფრო საწყენი ის იყო, რომ მას შემდეგ, რაც ასე მოექცა ამ ყმაწვილს, მართლაც აღარ შეეძლო ეთქვა ეს ამბავი სტიოპასთვის და გამოესწორებინა უსამართლო საქციელი, რომელიც მან ჩაიდინა ამ მოულოდნელად გამოჩენილ და მოულოდნელადვე გამქრალი მამაცი ყმაწვილის მიმართ. ვალიას დაამახსოვრდა ეს თითქოს შესიებულტუჩებიანი ყმაწვილი, რომლის მოღიმარი და გაბედული თვალები დანაღვლიანდნენ მისი უკანასკნელი სიტყვების გამო.

მთელი ქალაქი სიბნელეში იყო, არსად—არც ერთ ფანჯარაში, არც მაღაროებში ჩასასვლელ ჯიხურებში, არც გადასასვლელებზე, ოდნავი შუქიც კი არ მოსჩანდა. აცივებულ ჰაერში აშკარად იგრძნობოდა ჯერ კიდევ აბოლებულ მაღაროებიდან მომდინარე ჩანაცრებული ნახშირის სუნი. ქუჩებში კაცის ჭაჭანებაც არ იყო. უცნაურად ეჩვენა: მაღაროების რაიონებსა და რკინიგზის ლიანდაგებზე რომ არსად ისმოდა შრომის ჩვეულებრივი ხმაური. მხოლოდ ძაღლები-ღა ჰყეფდნენ.

სერიოჟა ტიულენინი უხმაუროდ, კატის სწრაფი ნაბიჯით მიდიოდა რკინიგზის ლიანდაგის გასწვრივ, გაუთანაბრდა უზარმაზარ უშენ, ტრიალ ად-

გილს, სადაც ჩვეულებრივ დროს ბაზრობა იყო ხოლმე გამართული, შეძოუარა ამ ადგილს, ახლო ჩაუქროლა ფიჭასავით ერთი-მეორეზე მიბრუნულს, ალუბლებით გარშემორტყმულ ლი ფან-ჩას თიხის შელესილ ქოხძახებს, ხელა მივიდა მამის ქოხთან, რომელიც თეთრად მოსჩანდა ასეთსავე [illegible] მორუხო, ისლით გადახურულ, ერთი-მეორეზე მიშენებულ [illegible] საცხოვრებელ პატარა ქოხმახთა შორის.

შევიდა თუ არა ეზოში, უხმაუროდ მიიხურა ჭიშკარი, ირგვლივ მიმოავლო თვალი, მერმე სწრაფად შევარდა საკუჭნაოში, ბარი გამოიტანა,—ამ სიბნელეშიც კარგად ერკვეოდა მამის მეურნეობაში,—წუთის შემდეგ უკვე ბოსტანში იყო, ღობის მახლობლად მუქად აქოჩრილი აკაციის ბუჩქების ძირში.

ორ ბუჩქს შორის საკმაოდ ღრმა ორმო ამოთხარა,—ყამირი ფხვიერი იყო,—შარვლისა და ჯუბის ჯიბეებიდან ამოიღო რამდენიმე ცალი ლიმონისებური გრანატი, ორი „ბრაუნინგის“ სისტემის რევოლვერი თავის ვაზნებიანად და ორმოს ფსკერზე დააწყო. ყოველი საგანი ცალცალკე იყო შეხვეული ჩვარში, ყმაწვილმა ასევე ჩვარში გახვეული ჩასდო ისინი ორმოში. მერმე მიწა მიაყარა, გააფხვიერა ხელით, გაასწორა, რათა დილის მზეს მოეშრო ზედაპირი, დაემალა მისი ღამეული ნამუშევრის კვალი, ბარი კარგად გასწმინდა ჯუბის კალთით, დაბრუნდა ეზოში, ბარი ისევ თავის ალაგას მიაყუდა და ნელა დააკაკუნა ქოხის კარზე.

წინა ოთახიდან პარმაღზე გამოსასვლელი კარის ურდულმა დაიჭრიალა,—მძიმე ნაბიჯის ხმაზე მიხვდა, რომ დედა მოდიოდა, სოხანეზე შიშველი ფეხების ფლატუნით მოვიდა იგი კართან.

— ვინ არის?—იკითხა მან ნამძინარევი, შეშფოთებული ხმით.

— გააღე,—ნელა მიუგო ყმაწვილმა.

— ღმერთო ჩემო!—წყნარად და აღელვებით წარმოთქვა დედამ. ყმაწვილს ესმოდა, რომ დედა აღელვების გამო აკანკალებული ხელის ფათურით ვეღარ ჰპოულობდა კარის რაზას. მაგრამ, აი კარი უკვე გაიღო.

სერიოჟკამ, გადააბიჯა თუ არა ზღურბლზე, სიბნელეში იგრძნო დედის ნამძინარევი სხეულის თბილი სუნი, შემოეხვია მის მშობლიურს დიდ ტანს და თავით მხრებზე მიეყრდნო. რამდენიმე ხანს ასე უსიტყვოდ იდგნენ ისინი პარმაღში ერთმანეთს გადახვეულნი.

— სად დაჰქროდი?—ვფიქრობდით—ევაკუაციაში წავიდა, ან მოკლესო. ყველანი დაბრუნდნენ, შენ კი არა სჩანდი. დაგებარებინა მაინც ვინმესთვის შენი ამბავი,—ჩურჩულით აბუზღუნდა დედა.

ისე როგორც ოლქის სხვა რაიონებიდან, რამდენიმე კვირის წინათ სხვა მრავალ მოზარდ ყმაწვილებსა და გოგონებთან ერთად, სერიოჟკაც გააგზავნეს ვოროშილოვგრადის მისადგომებთან სანგრების სათხრელად და სიმაგრეთა მშენებლობაზე სამუშაოდ. ერთი კვირის წინათ ყველა კრასნოდონელი დაბრუნდა,—სერიოჟკა კი არ ჩანდა, არც არავის დააბარა, რა დაემართა, ან სად იყო.—ამაზე ლაპარაკობდა ახლა დედა.

— ვოროშილოვგრადში შემაგვიანდა,—თავისი ჩვეულებრივი ხმით უთხრა დედას სერიოჟკამ.

— ჩუმად... პაპას გაეღვიძება,—გაბრაზებით სთქვა დედამ. ღრმა მოხუცებულობის გამო ქმარს,—სერიოჟას მამას, პაპას ეძახოდა. მათ თერთმეტ

შვილში, სერიოჟკას ასაკის შვილიშვილებიც კი ჰყავდათ,—შენს სეირს გიჩვენებს!..

სერიოჟკამ ყურიც არ ათხოვა ამ შენიშვნას: იცოდა, რომ მამა არაფოდეს არ დასჯიდა, არ დატუქსავდა. მამამისი იყო ძველი მნგრეველი [illegible] ელ სასიკვდილოდ დაიმტვრა ანენსკის მაღაროს ალმაზნაიას სადგურ[illegible] ში ერთ-ერთ [illegible] ში ერთ-ერთ [illegible] ში ერთ-ერთ [

კოს ეტყვის ყველაფერს, რა თქმა უნდა, იმ შემთხვევაში, თუ იგი არ წასულა... ძაგრამ რატომ უნდა იცადოს ხვალამდე, ყველაფერი, თითქმის ყველაფერი, ახლავე ძეუძლია უამბოს თავის დას, ნადიას!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერიოჟკა სწრაფად გადმოხტა ტახტიდან და პურიანად დიდ ... გაჩნდა.

— ნადია...—წყნარად წარმოსთქვა დის საწოლთან ახლოს მიმჯდარმა და თითი ჰკრა მხარზე.

— ა?.. რა იყო?..—შეშინებით შეეკითხა მძინარე ნადია.

— სსს...—სერიოჟკამ თავისი დაუბანელი თითი ტუჩზე მიადო მას.

მაგრამ ნადიამ უკვე იცნო იგი, სწრაფად წამოდგა, შემოჰხვია შიშველი, ცხელი მკლავები და აკოცა სადღაც ყურის ძირში.

— სერიოჟკა... ცოცხალი ხარ... საყვარელო ძამიკო... ცოცხალი ხარ...— გაბედნიერებული ადამიანის ხმით ჩურჩულებდა ნადია. სახე არ უჩანდა, მაგრამ სერიოჟკას მაინც ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი მისი მოღიმარი, ძილში შეწითლებული, შავგვრემანი, პატარა ყვრიმალიანი სახე.

— ნადია! ცამეტი რიცხვიდან არა ვწოლილვარ, ცამეტი რიცხვის დილიდან დღეს საღამომდე სულ ბრძოლაში ვარ,—აღელვებით ამბობდა სერიოჟკა და თან სიბნელეში ღეჭდა პურს.

— რას ამბობ!—ჩურჩულით გაიკვირვა ნადიამ, ხელი შეახო და საღამური პერანგის ამარა ფეხმორთხმით წამოჯდა ლოგინზე.

— ჩვენები ყველანი დაიხოცნენ, მე კი წამოვედი... არა, ყველა კი არა, როცა მოვდიოდი, თუთხმეტიოდე ცოცხალი იყო. პოლკოვნიკმა მითხრა: „წადი, შენ რისთვის უნდა დაიღუპოო“. თვითონ კი ბევრგან ჰქონდა ჭრილობა: სახე, ხელები, ფეხები, ზურგი, სულ შეხვეული ჰქონდა, სისხლიანი... „ჩვენო,—მითხრა,—სულერთია, უნდა დავიღუპოთ, შენ კი რისთვის იღუპებიო?“ მეც ავდექი და წამოვედი... ახლა კი ალბათ არც ერთი მათგანი ცოცხალი აღარ არის.

— ოი, რას ამბობ!..—თავზარდაცემით წაიჩურჩულა ნადიამ.

— წამოსვლის წინ ავიღე მესანგრეთა ნიჩაბი, სანგრებში მკვდრებს შაშხანები ავაცალე, ვერხნედუვანაიას ზემოთ ორი მომაღლო ბორცვი და ტყეა, ხელმარცხნივ, ადვილად დასამახსოვრებელი ადგილია,—იქ მივზიდე შაშხანები, გრანატები, რევოლვერები, ვაზნები და ყველაფერი მიწაში ჩავფალი, მერმე წამოვედი. პოლკოვნიკმა მაკოცა და მითხრა: „დაიმახსოვრე ჩემი სახელი, გერმანელები წავლენ, თუ შენ მოხვდები ჩვენებთან, სულერთია, მისწერე ქალაქ გორკის სამხედრო კომისარიატს, რათა აცნობონ ჩემს ოჯახს, ან ვისაც ჯერ არს,—ღირსეულად დაიღუპა-თქო...“—მე ვეუბნები...

— ოი, რას ამბობ...—გულამოჯდომით ატირდა ნადია.

ღიახ, ეტყობოდა ბევრი რამ განეცადა მის პატარა ძმას.

ნადიას არც კი ახსოვდა ახლა, როდის სტიროდა მისი ძამიკო,—ეს იყო მაშინ, როცა იგი შვიდი წლისა იყო, პატარა ბღარტი.

— შენ როგორ მოხვდი მათთან?—შეეკითხა ნადია.

— აი როგორ,—წამოიწყო მან, ისევ გამოცოცხლდა და ფეხებიანად აძვრა დის საწოლზე,—მოვათავეთ თუ არა სიმაგრეების მშენებლობა, ლისიჩანსკის მიდამოებიდან უკან დაიხიეს ჩვენმა ნაწილებმა და იქ დაიკავეს თავდაცვა. ჩვენი კრასნოდონელები შინ დაბრუნდნენ, მე კი ერთ უფროს ლეიტენანტთან, ასეულის მეთაურთან მივედი,—ვთხოვე ნაწილში ჩამრიცხე-მეთქი.

მითხრა: „პოლკის მეთაურის უნებართვოდ არ შემიძლიაო“. ვეუბნები: დამეხმარეთ მასთან-მეთქი. ძალიან შევეხვეწე, იქვე მხარი დამიჭირა ერთმა ზემდეგმა, მებრძოლებმა სიცილი დაიწყეს,—ის კი მეხმარებოდა. ვიდრე ჩვენ იქ ვდაობდით, გერმანელთა არტილერიამ უკვე სროლა დაიწყო. უმალვე მებრძოლთა ბლინდაჟებს მივაშურე: დაღამებამდე არ გაიმეტეს, მებრძოლეს, ღამით კი მიბრძანეს წავსულიყავი, ბლინდაჟიდან ამოვხოხდი და სანგრის მახლობლად მიწაზე გავწექი. დილით გერმანელები შეტევაზე გადმოვიდნენ, ისევ სანგარში ჩავძვერი, მოკლულ მებრძოლს შაშხანა ავართვი და სხვებივით მეც დავსცხე. აქ რამდენიმე დღე და ღამე ვიგერიებდით გერმანელთა შემოტევას, ახლა უკვე არავინ მერეკებოდა. მერმე პოლკოვნიკმა მიცნო და მითხრა: „ჩვენ თვითონ რომ სასიკვდილოდ განწირული არ ვიყოთ, კიდევ ჰო, მაგრამ შენ რიღასთვის იღუპები, ცოდვა ხარ, შენ ჯერ კიდევ დიდ ხანს, დიდ ხანს უნდა იცოცხლოო“. მერმე გაიცინა და დასძინა: „პარტიზანად იგულისხმე შენი თავიო“. ასე ვიხევდი მათთან ერთად, ვერხნედუვანიამდე. ისე მინახავს ფრიცები, როგორც აი შენ გხედავ ახლა,—წარმოსთქვა სერიოჟკამ მეტად დაწეული მსტვენი ჩურჩულით.—ორი მე პირადად მოვკალი... იქნებ მეტიც კი, მაგრამ ორი რომ ნამდვილად მოვკალი,—ეს ცხადია,—სთქვა და ოდნავ მოღრიცა თხელი ტუჩები.—მე იმ ქვეწარმავალებს, სადაც კი წავაწყდები, ახლა ყველგან მოვკლავ, დაიმახსოვრე ჩემი სიტყვები.

ნადიამ კარგად იცოდა, რომ სერიოჟკა მართალს ამბობდა. სჯეროდა, ორი მოვკალიო, რომ სთქვა, ისიც სჯეროდა, აწიც მოვკლავო, რომ სთქვა...

— დაიღუპები,—შეშინებული ხმით უთხრა ნადიამ.

— უმჯობესია დაიღუპო, ვიდრე მათი ჩექმები ლოკო,—ან ასე ეთრიო ქვეყანაზე.

— ვაი, ვაი, რა დღე მოგველის!—სასოწარკვეთით წარმოსთქვა ნადიამ და ახალი ძლიერებით წარმოიდგინა, თუ რა საშინელი ამბავი მოელოდა მათ ხვალ, ან იქნებ ამაღამიდანაც კი.—ჩვენს ჰოსპიტალში ასამდე ისეთი დაჭრილი წევს, რომელთაც სიარული აღარ შეუძლიათ. მათთან დარჩა ექიმიც, თევდორე თევდორეს-ძე. ჩვენ სულ ვტრიალებთ მათს გარშემო და შიშით ვკანკალებთ,—ამოხოცავენ გერმანელები!—ნაღვლიანად წარმოსთქვა ნადიამ.

— მცხოვრებლებმა უნდა შეიფარონ. ასე როგორ-ღა აყოვნებთ?—აღელდა სერიოჟკა.

— მცხოვრებლები! ვინ იცის, ვინ რითი სუნთქავს ახლა? ამბობენ—ჩვენთან, აქვე, შანხაიში ეგნატე ფომინთან ვიღაც უცნობი კაცი იმალებაო. ვინ იცის, ვინ არის იგი, რა კაცია? იქნებ გერმანელების მიერ შემოგზავნილიც კი იყოს, იქნებ ყველაფერს უთვალთვალებს? ფომინი კარგ კაცს არ შეიფარებდა.

ფომინი იყო ერთ-ერთი მაღაროელი, თავისი მუშაობისათვის არაერთგზის პრემირებული და გაზეთებში გაწერილი. მაგრამ აქ, გარეუბანში, სადაც ცხოვრობდნენ განსაკუთრებით მაღაროებში მომუშავე ადამიანები, რომელთა შორის საკმაოდ იყვნენ სტახანოველები, ეგნატე ფომინი ითვლებოდა ბნელ და მეტიჩარა კაცად. იგი აქ გამოჩნდა ოცდაათიან წლებში, მაშინ, როცა მრავალი უცნობი ადამიანი გაჩნდა კრასნოდონში, ისე როგორც ეს მოხდა მთელს დონბასში. ისინი დასახლდნენ შანხაიში. ათასგვარი ჭორი დადიოდა ფომინის შესახებ. ნადიაც სწორედ ამაზე ამბობდა ახლა.

სერიოჟკამ დაამთქნარა. ახლა, როცა ყველაფერი სთქვა და პურიც მოათავა, უკვე საბოლოოდ შინ იგრძნო თავი და ძილი მოუნდა:

— ნადია, დაწექი...

— ახლა აღარ დამეძინება.

— მე კი დავიძინებ,—უთხრა სერიოჟკამ და თავის ტახტზე გადავარდა.

ის იყო, მისდო თუ არა თავი ბალიშზე, წინ დაესახა მანქანაზე მჯდომი ქალიშვილის თვალები. „სულერთია, მაინც გიპოვნი",—უთხრა მას სერიოჟკამ, გაიღიმა და ყველაფერი მის წინ და თვით ბთელი მისი არსება წყვდიადში შთაინთქა.

თავი მეთოერმეტე

მკითხველო, როგორ მოიქცეოდი ცხოვრებაში, თუ შეუპოვრობით, მამაცობითა და გმირობის ჩადენის წყურვილით აღსავსე არწივის გული გაქვს, მაგრამ ჯერხნობით პატარა ხარ, დარბიხარ ფეხშიშველა, ფეხები დაკორძილი გაქვს და ყველაფერში, თითქმის ყველაფერში, რისკენაც კი მიილტვის შენი სული, ჯერჯერობით გაუგებარი ხარ კაცობრიობისათვის?

სერიოჟკა ტიულენინი ყველაზე უმცროსი იყო ოჯახში და ისე იზრდებოდა, როგორც ბალახი ველზე. მამამისი წარმოშობით ტულიდან იყო. იგი ჯერ კიდევ პატარა ბიჭი იყო, როცა დონბასში ჩამოვიდა ფულის საშოვნელად. ორმოც წელიწადს მაღაროელად მუშაობის განმავლობაში თავისი პროფესიის გამო შეისისხლხორცა ის გულუბრყვილო თვითკმაყოფილი და დესპოტური ამაყური თვისებანი, რაიც არც ერთი პროფესიის ადამიანებს იმ ზომამდე არა სჩვევიათ, როგორც მაღაროელებსა და მეზღვაურებს. თვით მას შემდეგაც კი, რაც მუშაობას სრულიად მიანება თავი, გაბრიელ პეტრეს-ძეს ეგონა, რომ ოჯახში ყველას უფროსი ისევ თვითონ იყო. დილაობით ყველას აღვიძებდა, რადგან მაღაროელთა ძველი ჩვეულებისამებრ გათენებამდე დგებოდა და მარტო ყოფნა სწყინდებოდა. მოწყენილიც რომ არ ყოფილიყო, სულერთია მაინც გააღვიძებდა ყველას, რადგან სწორედ ამ დროს აუტყდებოდა ხოლმე ხველება, რომლის გამო პირდაპირ იხრჩობოდა. გამოღვიძების წუთიდან თითქმის მთელი საათის განმავლობაში ახველებდა, აღრჩობდა ეს ხველება, ნახველს იღებდა, აფურთხებდა და მოშლილ ფისჰარმონიასავით რაღაც უცნაურად უსტვენდა, ხიხინებდა და ბუყბუყებდა მის მკერდში.

ამის შემდეგ კი მთელი დღე იჯდა ტყავგადაკრულ, რქიან ყავარჯენზე ბზრით დაყრდნობილი; იჯდა ძვალტყავა და ჩამომხმარი, გრძელი, ცხვირკეხიანი, რომელიც ოდესღაც დიდი და ხორციანი იყო, ახლა კი ისე ჩამოწვრილებოდა, რომ იმით წიგნის გაჭრაც კი შეიძლებოდა, ჯაგარისებური შეჭაღარავებული წვერით შეფიფქული ლოყები სიგამხდრის გამო ღრმად ჩავარდნოდა, მისი ძლიერი, სწორი, მხედრული ულვაშები, რომლებსაც ნესტოებთან ჯერ კიდევ შერჩენოდათ პირვანდელი ლაზათი, თანდათან უკვე გადადიოდა ცალი ღერი თმის უწვრილეს ზღვრულ დრეკადობაზე და შუბებივით სხვადასხვა მხრით გაეფარჩხა, ბუჩქებივით სქლად გადმოფენილი წამწამების ქვეშ გამოხუნებული, გამსჭვალავი თვალებით გამოიყურებოდა. ასე იჯდა იგი ხან ტახტზე, ხან ქოხის ზღურბლზე, ხან კუნძზე—ფარდულთან,

ყავარჯენზე დაყრდნობილი და იძლეოდა განკარგულებას, ასწავლიდა ყველას, უთითებდა ყველას, მკაცრად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, მრისხანედ, ხან ძ.ე გადააკვდებოდა ხველებას, რომ მთელს შანხაიში გაისმოდა ხოლმე მისი მკერდიდან მომსკდარი სტვენა, ხროტინი და ბუყბუყი.

როდესაც ადამიანი ხანდაზმულობის ასაკში შესვლამდე ცხოვრობდა, ჰკარგავს შრომის უნარს, ხოლო მერმე კი ასეთ მდგომარეობაში ჩავარდება, კეთილ ინებეთ და ერთი სცადეთ, თუ რა ძნელია აღზარდო, ხელობა შეასწავლო და საქმეზე დააყენო სამი ვაჟი და რვა ქალიშვილი, სულ თერთმეტი სული!

საეჭვოა, რომ ეს საქმე დაეძლია და მოეგვარებინა გაბრიელ პეტრეს-ძეს, რომ გვერდით არა ჰყოლოდა მეუღლე, ალექსანდრა ვასილის ასული, ეს ჯანმაგარი, ორიოლელი გლეხი ქალი, ერთ-ერთი იმ გლეხქალთაგანი, რომელთაც რუსეთში „აშარ ქალს"—ნამდვილ მართა პოსადნიცას ეძახიან ხოლმე. იგი ახლაც მაგარი, ჯანგაუტეხელი ქალი იყო და ავადმყოფობისა არა იცოდა რა. მართალია, წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ თუ დასჭირდებოდა, იყო მრისხანეცა და ეშმაკიც, ჩუმიცა და მოლაპარაკეც, მლიქვნელიცა და პირმოთნეც, და თუ კი ვინმე, მისი გამოუცდელობით მასთან დავაში ჩაებმებოდა, იგი ძალიან ჩქარა დარწმუნდებოდა, რა ხათაბალაც გადაიკიდა.

მათი შვილებიდან ათივე საქმეზე იყო დამდგარი, სერიოჟკა კი—ყველაზე უმცროსი, თუმცა ჯერ კიდევ სწავლობდა, მაგრამ ველის ბალახივით იზრდებოდა: მან არ იცოდა, თუ რა იყო საკუთარი ტანისამოსი, ან ფეხსაცმელი,—ყოველივე ეს ჰქონდა არა ახალი, არამედ გადანაკეთები. როცა უფროსები კარგა ლაზათიანად მოცვითავდნენ ტანისამოსს, მისთვის მეათეჯერ გადააკეთებდნენ და მიაკერ-მოაკერებდნენ ხოლმე, ისე იყო გამობრძმედილი მზესა და ქარში, წვიმასა და ყინვაში, ტერფების კანი აქლემსავით დაკორძებოდა და რაგინდ ჭრილობა, ან ზიანი მიეყენებინა მისთვის ცხოვრებას, ზღაპრულ გოლიათივით ყველაფრისაგან ადვილად იკურნებოდა ხოლმე.

მამამისს კი, რომელიც ხროტინებდა, ხიხინებდა, და რომელიც თავის შვილებში ყველაზე უფრო მას ებუზღუნებოდა, სხვა დანარჩენებზე .უფრო მეტად მაინც იგი უყვარდა.

— რა აშარია, ა?—სიამოვნებით ამბობდა ბერიკაცი, თან ხელს ისვამდა საშინელ ულვაშებზე.—ხომ მართალია, შურკა, ა? — შურკა—ალექსანდრა ვასილის ასული იყო მისი სიცოცხლის სამოცი წლის მეგობარი.—აბა, ერთი შეხედე, გეთაყვა, ა? არავითარი ბრძოლისა არ ეშინია! სულ მე მგავს, მეც ასეთი ვიყავი პატარაობისას, ა? კხა, კხა, კხა, კხა...—კვლავ ახველებდა, ხროტინებდა და ხიხინებდა გონების დაკარგვამდე.

შენ არწივის გული გაქვს, მაგრამ პატარა ხარ, ცუდად გაცვია, ფეხები დაკორძილი გაქვს. მკითხველო, როგორღა მოიქცეოდი შენ ცხოვრებაში? რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა, შენ ჩაიდენდი გმირობას? ბავშობისას ვინ არ ოცნებობს გმირობაზე, მაგრამ ყოველთვის როდი ხერხდება მისი ჩადენა.

თუ შენ მეოთხე კლასის მოსწავლე ხარ და არითმეტიკის გაკვეთილზე მერხის უჯრიდან ბელურებს აფრენ, ამით შენ ვერ მოიხვეჭ ქება-დიდებას. ეს რამდენჯერაა, რაც სკოლის დირექტორმა გამოიძახა შენი შშობლები, ესე იგი—სამოცი წლის დედა-შურკა. გაბრიელ პეტრეს-ძე, რომელსაც ალექსანდრა ვასილის ასულის კარგი ადამიანობის წყალობით, შვილები პაპას ეძახიან,—ხიხინებს, ხროტინებს, ბუზღუნებს და მოხარული იქნებოდა ერთი

მაგრად წაგითაქებდეს კისერში, მაგრამ არ შეუძლია მოგწვდეს, ბრაზმორევით მხოლოდ მიწაზე უბაკუნებს ყავარჯენს, რომელსაც ვერც კი გესროლ. ვინაიდან მისი მეშვეობით იმაგრებს ქანცმილეულს, გამხდარ სხეულს. სამაგიეროდ სკოლიდან დაბრუნებისას დედა-შურკა გთავაზობს ლაზათიან სადილს, რომლის შემდეგ რამდენიმე დღე და ღამის განმავლობაში — [illegible] გეწვის ლოყები და ყურები.—წლოვანებასთან ერთად შურკა-დედას ძალღონეც ემატება.

ამხანაგები? რის ამხანაგები! ტყუილუბრალოდ როდი ამბობენ ხოლმე, დიდება ბოლიაო. უკვე ხვალ ბეღურებთან შენი გმირობის ამბავი დავიწყებულია.

ზაფხულში, თავისუფალი დროის განმავლობაში, ყველაზე უფრო შეგიძლია გაშავდე, შეგიძლია ყველაზე უკეთ იყვინთო, იცურო, ყველაზე უფრო მარდად იჭირო ჭიჭყინები ჯილეებში. შენიშნავ თუ არა მდინარის ნაპირას ჯარად მიმავალ გოგონებს, შეგიძლია გაექანო, გადაეშვა კლდოვან ნაპირზე, მერცხალივით გაშავებულმა გადაუქროლო წყალს, ჩაყვინთო და იმავე წუთას, როცა ერთი შეხედვით გოგონები თითქოს არ გიცქერიან, ნამდვილად კი თვალდაცეცებით გაკვირდებიან, ცნობისმოყვარეობით ელოდებიან, თუ როდის ამოყოფ თავს წყლის ზედაპირზე, რათა დაინახონ, თუ როგორ ამოცურდები მაღლა, წყალქვეშ ნიფხავს ჩაიწევ და უეცრად გამოაჩენ მოთეთრო, ვარდისფერ უკანალს, ამ ერთად-ერთ მზედაუკრავ ნაწილს შენი სხეულისას.

შენ წუთიერ სიამოვნებას განიცდი, როცა თვალს შეასწრებ თითქოს ქარისაგან აბორიალებულ, ასკინკილითა და ტაშისკვრით მოფრთხიალე გოგონებს, რომელთა ქუსლები პრიალებენ ქვიშაზე გაქცევის დროს. შენ მოგეცემა შესაძლებლობა აგდებულად მოისმინო შენთან ერთად მზეში ცხელ ქვიშაზე გაწოლილი შენივე ტოლი ბიჭების აღტაცება. შენ სამუდამოდ დაიმსახურებ თაყვანისცემას სულ პატარა ბიჭებისას, რომლებიც ჯარად გამოგედევნებიან უკან, მოგბაძავენ ყველაფერში, დაემორჩილებიან შენს ყოველ სიტყვას, თითის ყოველ დაქნევას. დიდი ხანია წავიდა რომაელ კეისართა დრო, მაგრამ ბიჭები მაინც გაღმერთებენ შენ.

ყოველივე ეს მაინც ცოტაა შენთვის. ერთ მშვენიერ დღეს, რომელიც არაფრით არ განსხვავდება შენი ცხოვრების სხვა დღეებისაგან, მოულოდნელად ხტები სკოლის შენობის მეორე სართულიდან პირდაპირ ეზოში, სადაც დასვენების დროს ყოველი მოსწავლე ეძლევა ჩვეულებრივ უწყინარ გართობას. ამ ჩაფრენისას, და თვით ჩაფრენით, ამ ველური საშინელებით აღსავსე, იმავე დროს ქვეყნად თავის გამოჩენის სურვილითა და პირველიდან მეცხრე კლასის ასაკამდე მოსწავლე გოგონების აწივლებით, შენ განიცდი ხანმოკლე, წამიერ, გამსჭვალავ სიამეს. ყოველივე დანარჩენს შენთვის მხოლოდ გულგატეხილობა და გაჭირვება მოაქვს.

მეტად სამძიმოა დირექტორთან საუბარი. საქმე აშკარად ეხება სკოლიდან შენს გარიცხვას, იძულებული ხარ უხეში იყო დირექტორის მიმართ, რადგან დამნაშავე ხარ. თავდაპირველად დირექტორი თვითონ მოვიდა შანხაიში — შენი მშობლების ქოხში.

— მინდა ვიცოდე ამ ყმაწვილის ცხოვრების პირობები. ბოლოსდაბოლოს მინდა გავიგო მიზეზი ყოველივე ამისა,—ამბობს იგი დინჯად და თავაზია-

ნად, ვით უცხოელი. შენი მშობლების მიმართ საყვედურის კილო მოესმის მის ხმაში.

მშობლები! აი დედა, რბილი, რგვალხელებიანი; დედამ აღარ იცის სად დამალოს ეს ხელები, რადგან ეს-ეს არის ღუმელიდან გამოიღებდა ფუჭის ქვაბი, ერთიანად გამურულია, წინსაფარიც კი არ აქვს, რომ ზედ შეახოცოს ეს ჭუჭყიანი ხელები. აი, მამაც, ბერიკაცი საშინლად დაბნეულია, ხმას ვერ იღებს, გაჩუმებულია, ცდილობს ყავარჯენზე დაყრდნობით ფეხზე წამოდგეს დირექტორის წინაშე,—მშობლები ისე შეჰყურებენ დირექტორს, თითქოს ყველაფერში ისინი იყონ დამნაშავენი.

დირექტორის წასვლის შემდეგ თავდაპირველად არავინ გაგინებს, თითქოს ზურგი შეგაქცია ყველამ. პაპა ისე ზის, რომ ზედაც აღარ გიყურებს, მხოლოდ ხანგამოშვებით კრუსუნებს იგი, ახლა ულვაშებიც სრულიად არა მხედრული, არამედ ცხოვრებისაგან მოტეხილი და მოთენთილი კაცისა აქვს. დედა კი სულ ოჯახს უტრიალებს, შიშველი ფეხებით დაფლატუნობს სოხანეზე, უკაკუნებს ხან აქ, ხან იქ, და აი, როცა იგი დაიხარა რუსული ღუმელის კარისკენ, შენ, ანაზდად, თვალი შეასწარი ასეთ სურათს: დედამ თვალში ამოისვა თავისი მშვენიერი, ბებრული, მურით დასვრილი ხელი და ნამალევად მოიწმინდა ცრემლი. ისინი, დედა და მამა, მთელი თავიანთი გარეგნული შეხედულებით, თითქოს გეუბნებიან: „ერთი შემოგვხედე, შემოგვხედე კარგად, აბა დააკვირდი, რანი ვართ, როგორი ვართ ჩვენ ახლა!..“

პირველად ამჩნევ, რომ შენს მოხუც მშობლებს უკვე დიდი ხანია არ გაუჩნიათ საგარეო ტანისამოსი. თითქმის მთელი სიცოცხლის განმავლობაში ისინი არა სხდებიან სადილად საერთო სუფრაზე, ბავშვებთან ერთად, სჭამენ ცალკე, განმარტოებით, რომ სხვებმა არ დაინახონ. ისიც გარდა შავი პურისა, კართოფილისა და უგრეხელის ფაფისა არაფერს ეკარებიან. ეს იმიტომ, რომ მოაღონიერონ ბავშვები, ფეხზე წამოაყენონ ისინი, ოღონდ შენ, მთელს ოჯახში ყველაზე უმცროსი—გამოხვიდე ნასწავლი კაცი, ნამდვილი ადამიანი.

გულს გიგმირავს დედის ცრემლები. მამაშენის სახეც პირველად გეჩვენება დაძაბული და აგრე ნაღვლიანი. ის ამბავი, რომ იგი ხიხინებს და სტვენს, სასაცილო კი არა, მთელი ტრაგედიაა.

დებს კი მრისხანება და სიძულვილი ესახებათ ცხვირის ნესტოებზე, როცა ხან ერთი, ხან მეორე უცებ თვალს შეგასწრებს, შენ უხეში ხარ მშობლების მიმართ, უხეში ხარ დედის მიმართ, ღამით ვერ იძინებ, ერთსა და იმავე დროს შენ გახრჩობს შეურაცხყოფისა და შენი დანაშაულის შეგრძნობის განცდა და ჭუჭყიანი პატარა ხელისგულით უსიტყვოდ, ჩუმად იწმენდ პანიას, მაგარ ყვრიმალებზე ჩამოვარდნილს ორიოდე ცრემლს.

ამ ღამის შემდეგ თურმე წამოიზარდე შენ.

საერთო დუმილისა და გაკილვის მთელი რიგი მწუხარე დღეების შემდეგ შენს მოჯადოებულ თვალწინ იშლება გასაოცარი საზღაპრო გმირობით სავსე ქვეყანა.

ადამიანები ოცდაათ ათას ლიეს მისცურავენ წყალქვეშ, ახალი მიწების აღმოჩენას ახდენენ, ისინი ხვდებიან უდაბურ კუნძულებზე და ყველაფერს ხელახლა აკეთებენ საკუთარი ხელით. ადიან მსოფლიოში ყველაზე უმაღლეს მწვერვალზე. ადამიანები მთვარეზედაც კი ადიან. იბრძვიან საშინელ

ოკეანეში, ქარისაგან შერყეულ გემის ანძის წვერზე მიძვრებიან მარსებითა და სალინგებით. თავიანთი გემებით ისინი მოხერხებულად მისრიალებენ ყინულის ვეება მცურავ კლდეებს შუა, და მოდგაფუნე ტალღებზე კასრებით ანთხევენ ზიპს; წყურვილით გახელებული ადამიანები, გამშრალი და დასიებული ენით პირში ატრიალებენ ტყვიას და ასე ტივით გადადიან ოკეანეზე. უდაბნოებში უმკლავდებიან სამუმს, ებრძვიან მახრჩობელა გველებს, იაგუარებს, ნიანგებს, ლომებს, სპილოებს და ამარცხებენ მათ. ადამიანები სჩადიან ამ გმირობას მოგებისათვის, ან იმისათვის, რომ უკეთ მოაწყონ საკუთარი ცხოვრება, ან სათავგადასავლო ამბებით გატაცების გამო, ან კიდევ ამხანაგური გრძნობის, ერთგული მეგობრობის გამო, განსაცდელში ჩავარდნილი საყვარელი ქალიშვილის გამოსახსნელად, ან კიდევ სრულიად უანგაროდ—კაცობრიობის კეთილდღეობისათვის, სამშობლოს დიდებისათვის, იმისათვის, რომ სამარადჟამოდ ბრწყინავდეს დედამიწაზე მეცნიერების დიადი შუქი: ლივინგსტონი, ამუნდსენი, სედოვი და ნეველსკი.

ხოლო რა გმირობას სჩადიან ადამიანები ომში! ათას წლობით ომობენ ადამიანები, ათასობით ადამიანებმა სამარადისოდ უკვდავჰყვეს თავიანთი სახელი ამ ომებში. ბედნიერი ხარ შენ, რადგან ისეთ დროს დაიბადე, როცა ომი არ არის. შენ ისეთ ადგილებში ცხოვრობ, სადაც ჭალარა ბალახით დაფარულან საძმო საფლავები იმ მებრძოლთა, რომელთაც სიცოცხლე გასწირეს იმისათვის, რომ შენ ბედნიერად გეცხოვრა. დღემდე გაისმის იმ დიადი წლების სახელოვანი მხედართმთავრების დიდების ამბავი. მსგავსად ლაშქრობაში წარმოთქმული სიმღერისა, რაღაც ვაჟკაცური და უაღრესად შთაგონებული რამ ხმიანობს შენს სულში, როცა, გავიწყდება რა გვიანი ღამეული ჟამი—შეუსვენებლივ მიჰქრი მათი ბრწყინვალე ბიოგრაფიის ფურცლებზე. შენ კვალად და კვალად გინდა დაუბრუნდე მათ, გინდა გულში აღიბეჭდო ამ ადამიანთა ნათელი სახე, შენ ხატავ კიდეც მათს პორტრეტებს,—არა, რა საჭიროა სიცრუე, კი არ ხატავ,—მინის დახმარებით ქაღალდზე გადაგაქვს მათი პორტრეტები, შემდეგ კი, შენი შესაძლებლობის მიხედვით, რბილი, შავი ფანქრით ალამაზებ მათ, უფრო მეტი სიძლიერისა და გამოსახულების მისაცემად, იმგვარად, რომ მუშაობის დასრულებისას ენა სულ ერთიანად ისე გაშავებული გაქვს, რომ მისი მოშორება თირითაც კი აღარ შეგიძლია. ეს პორტრეტები დღემდე ჰკიდია კედელზე შენს საწოლთან.

ამ ადამიანთა გმირობამ და საქმიანობამ უზრუნველჰყვეს შენი თაობის სიცოცხლე, და ამიტომ ისინი სამარადისოდ დარჩებიან კაცობრიობის მეწსიერებაში. მიუხედავად ამისა, ესენი ისეთი უბრალო ადამიანები არიან, როგორიც შენა ხარ. მიხეილ ფრუნზე, კლიმ ვოროშილოვი, სერგო ორჯონიკიძე, სერგი კიროვი, სერგი ტიულენინი... დიაღ, ვინ იცის, შეიძლება მისი სახელი, ამ რიგითი კომკავშირელისა, დამდგარიყო ამ დიდ სახელთა გვერდით, რომ თავის გამოჩენა დასცლოდა მას. მართლაც და, რა მიმზიდველი და უჩვეულო იყო ამ ადამიანთა სიცოცხლე! მათ გამოიარეს მეფის ჯურღმულები, ჭერქვეშეთი, მათ უთვალთვალებდნენ, ამწყვდევდნენ საპატიმროებში, აგზავნიდნენ ჩრდილოეთში, ციმბირში, მაგრამ ისევ და ისევ გამორბოდნენ იქიდან, კვლავ ებმებოდნენ ბრძოლაში. სერგო ორჯონიკიძე გამოიქცა გადასახლებიდან, მიხეილ ფრუნზე ორჯერ გამოიქცა, სტალინი ექვსჯერ გამოიქცა გადასახლებიდან. თავდაპირველად მათ მიჰყვებოდნენ

ერთეულები, მერმე ასეულები, შემდეგ ასეული ათასები, მერმე მილიონობით ადამიანები.

სერგი ტიულენინი დაიბადა იმ დროს, როცა იატაკქვეშ სამუშაოდ წასვლა საჭირო აღარ იყო. იგი არსაიდან არ გამოქცეულა, არც [illegible] ექმნ[illegible] გასაქცევი. მხოლოდ სკოლის შენობის მეორე სართულიდან [illegible] და, როგორც ახლა საბოლოოდ გამოირკვა, ეს პირდაპირ სისულელე იყო. მას ცხოვრებაში ფეხდაფეხ მიჰყვება მხოლოდ ვიტკა ლუკიანჩენკო.

მაგრამ არ შეიძლება იმედის დაკარგვა. უძლიერესმა ყინულმა, რომელმაც მაგრად შეჰკრა ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის სივრცე, გაჭეჭყა „ჩელუსკინის“ კორპუსი. საშინელი იყო ამ გემის ღამეული ჭრიალი, რომელიც მთელს ჩვენს ქვეყანას მოედო. მაგრამ ადამიანები არ დაღუპულან, ისინი ყინულზე გადმოსხდნენ. მთელი მსოფლიო გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს, გადაარჩენდნენ თუ არა მათ. გადაარჩინეს კიდეც. არიან ამქვეყნად არწივის გულისა და გმირობით აღსავსე ადამიანები. ესენი ისეთი უბრალო ადამიანები არიან, როგორიც შენა ხარ. ქარბუქსა და ქარყინვაში მიჰქრიან დაზარალებულებთან, გამოჰყავთ ისინი თვითმფრინავების ფრთებქვეშ ამოკრულნი,—ესენი არიან საბჭოთა კავშირის პირველი გმირები.

ჩკალოვი! იგი ისეთივე უბრალო ადამიანია, როგორც შენ, მაგრამ მისი სახელი მოწოდებასავით გაისმის მთელს მსოფლოში. ჩრდილო პოლუსით ამერიკაში გადაფრენა—ეს იყო კაცობრიობის ოცნება! ჩკალოვი, გრომოვი! ხოლო პაპანინელები ყინულზე?

ასე მიმდინარეობს ცხოვრება, სავსე ოცნებითა და ჩვეულებრივი შრომით! მთელს საბჭოთა კავშირსა და თვით კრასნოდონშიც ცოტანი როდი არიან შენისთანა უბრალო ადამიანები, მაგრამ უკვე სახელმოხვეჭილნი გმირობითა და დიდებით,—ისეთები, რომელთა შესახებ წინათ არა სწერდნენ წიგნებში. დონბასში, და არა მარტო დონბასში, ყოველმა კაცმა კარგად იცის სახელი ნიკიტა იზოტოვისა, სტახანოვისა. ყოველ პიონერს შეუძლია გითხრას, ვინ არის პაშა ანგელინა, ვინ არის კრივონოსი, ვინ არის მაკარ მაზაი. ყოველი ადამიანი პატივისცემით ეპყრობა მათ, მამამისიც ხშირად სთხოვს წაუკითხოს ხოლმე გაზეთებში ის ადგილები, სადაც ლაპარაკია ამ ადამიანებზე, მერმე კი დიდხანს და გაუგებრად ხიხინებს და ბუზღუნებს, ეტყობა, ნაღვლობს იმის გამო, რომ მოხუცია და თან ვაგონეტმაც დააზიანა. დიალ, დიდი ჯაფა გადაუტანია თავისი მხრებით „პაპა“ გაბრიელ ტიულენინს, ახლა სერიოჟამ უკვე იცის რა ძნელი ასატანია პაპასთვის ის ამბავი, რომ მას არ შეუძლია ჩადგეს იმ ადამიანთა რიგებში.

ამ ადამიანთა დიდება ნამდვილი დიდებაა. მაგრამ სერიოჟკა ჯერხნობით პატარაა, მან უნდა ისწავლოს. ყველა ამას იგი შეესწრება მერმე, იქ, როცა წამოიზრდება, ხოლო რაც შეეხება ჩკალოვის, ან გრომოვის მიერ ჩადენილ გმირობას, სერიოჟკა მზად არის ახლაც კი ჩაიდინოს ასეთი გმირობა, ამისათვის თავს მომწიფებულად გრძნობს, გულით გრძნობს, რომ იგი სავსებით მომწიფებულია ამისათვის. უბედურება ისაა, რომ ეს მხოლოდ მას ესმის ამქვეყნად, სხვას არავის. მთელს კაცობრიობაში იგი მარტოდ-მარტოა ამ შეგრძნობით. ზოგჯერ ასეთ გამომეტყველებასაც კი ამჩნევს ხოლმე სხვებს: ეს ცქვიტი ბიჭი ჯიბეში არ ჩამიძვრესო.

ასეთს მოუსწრო მას ომმა. ზედიზედ ცდილობს მოხვდეს სპეციალურ საზღვრო სკოლაში, — მფრინავი უნდა გახდეს, მაგრამ არ იღებენ.

მოსწავლეები ყველანი მინდვრის სამუშაოზე მიდიან, სერიოჟკა მეტად ნაწყენია და ამიტომ მაღაროში მიდის სამუშაოდ, ორიოდე კვირის შემდეგ უკვე ინგრევაში ჩადგა და მოზრდილების თანაბრად იწყო ნახშირის მონგრევა.

მისდა შეუმჩნეველად ადამიანები მაღალ შეფასებას აძლევდნენ მას. მაღაროში ჩასასვლელი გალიიდან ნახშირით მოთხუპნული გამოდიოდა, ტანსაცმელ შავს სახეზე მხოლოდ ცისფერი თვალები და პატარა თეთრი კბილები პრიალებდნენ. სხვებივით დინჯად, სხვებივით ტანის რხევით მოდიოდა მოზრდილთა გვერდით, დგებოდა შხაპის ქვეშ, ფრუტუნებდა, მამასავით კრუსუნებდა, მერმე კი აუჩქარებლივ ფეხშიშველი მიდიოდა შინ, რადგან ფეხსაცმელი სახაზინო ჰქონდა.

შინ გვიან ბრუნდებოდა, ამ დროს ყველანი უკვე ნასადილევი იყვნენ, — მას კი ცალკე ასადილებდნენ. უკვე მოზრდილი იყო, მამაკაცი, მუშაკი.

ალექსანდრა ვასილის ასულს ღუმელიდან გამოჰქონდა ბორშჩით სავსე თუჯის ქვაბი და ჯამს პირთამდე უვსებდა; ბორშჩს პირდაპირ ქვაბიდან ასხამდა; ქვაბი ცხელი იყო, ამიტომ ორივე ხელში ჩვრები ეჭირა, რომ არ დათუთქულიყო. ორთქლი ასდიოდა ბორშჩს, არასოდეს ისე ტკბილად არ მოჩვენებია ეს შინ გამომცხვარი ხორბლის პური, როგორც ახლა. მამა შესცქეროდა შვილს, ბუჩქივით გრუზად გადმოფენილი წარბების ქვეშ აბრიალებდა გამსჭვალავ გამოხუნებულ თვალებს და თან ულვაშებს აცმაცუნებდა. არ ხიხინებდა, არც ახველებდა, დინჯად ესაუბრებოდა შვილს, როგორც მოზრდილ მუშაკს. მამას ყველაფერი აინტერესებდა, კითხულობდა, თუ როგორ მიდიოდა საქმეები მაღაროში, ვინ რამდენი მოანგრია? მამა ეკითხებოდა აგრეთვე ხელსაწყოებისა და სპეცტანისამოსის შესახებ. ისე ლაპარაკობდა ჰორიზონტების, საბრჯენების, ლავის, ნგრევის, გეზენკების, შტრეკების შესახებ, როგორც თავისი საკუთარი ბინის ოთახების, დერეფნისა და საკუჭნაოს შესახებ. ბერიკაცი მართლაც რაიონის თითქმის ყველა მაღაროში მუშაობდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ველარ შესძლო მუშაობა და თავი მიანება, ყველაფერი იცოდა ამხანაგების მეშვეობით. იცოდა, რა მიმართულებით და როგორი წარმატებით მიმდინარეობდა გამომუშავება, თავის გრძელი, გამხდარი თითით ჰაერში ხაზის გავლებით შეეძლო ყოველი კაცისთვის აეხსნა გამომუშავებათა განლაგება მიწის ქვეშ და აგრეთვე ყველაფერი, რაც კი ამ მიწის ქვეშ ხდებოდა.

ზამთრობით, სკოლიდან დაბრუნებისთანავე, სერიოჟკა უჭმელ-უსმელი პირდაპირ გარბოდა, გარბოდა რომელიმე მეგობართან — არტილერისტთან, მესანგრესთან, მენალმესთან, ან მფრინავთან. ღამის მეთერთმეტე საათზე, უკვე მთვლემარე ამზადებდა გაკვეთილებს, ხოლო დილის ხუთ საათზე უკვე სასროლ მოედანზე იყო, სადაც რომელიმე მორიგი მეგობარი სერჟანტი თავის მებრძოლებთან ერთად ასწავლიდა მას შაშხანის, ან ხელის ტყვიამფრქვევის სროლას. მართლაც, არც ერთ მებრძოლზე ნაკლებად არ ისროდა არც შაშხანას, არც ნაგანს, არც მაუზერს, არც „ტე-ტეს“, არც დექტიარევის ხელის ტყვიამფრქვევს, არც „მაქსიმს“, არც პპშ-ას, იმავე დროს კარგად სტყორცნიდა გრანატსა და ფეთქად სითხიან ბოთლს, იცოდა ჩასანგვრა, სტენიდა ნალმს, შეეძლო ადგილის დანალმვა და განალმვა, იცოდა ყველა ქვეყნის თვითმფრინავთა მოწყობილობა და შეეძლო ავიაბომბის გამუხტვა,—მასთან ერთად ყველაფერ ამას აკეთებდა ვიტკა ლუკიანჩენკოც, რომელიც ყოველგან თან დაჰყავდა და, რომელიც მას დაახლოებით ისე ეპყრობოდა, როგორც თვით სერიოჟკა ეპყრობოდა სერგო ორჯონიკიძეს, ან სერგი კიროვს.

ამ ზაფხულში მან ერთხელ კიდევ მიმართა ერთს მეტად თავზეხელაღებულ ცდას, რათა მოხვედრილიყო არა მოზარდთა სპეციალურ სკოლაში, არამედ პირდაპირ მოზრდილთა საფრენოსნო სკოლაში. მაგრამ კვლავ დამარცხდა. უთხრეს: ახალგაზრდა ხარ, გაისად მოდიო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიაღ, ეს იყო საშინელი დამარცხება, — საფრენოსნო სკოლაში წასვლის ნაცვლად ვოროშილოვგრადის მისადგომებთან სიმაგრეთა მშენებლობაზე სამუშაოდ წასვლა. მაგრამ გადასწყვიტა, შინ არ დაბრუნდებიო.

რამდენი იჩალიჩა, რამდენი სცადა, როგორმე ჩაერიცხათ ნაწილში! ერთი მეასედიც კი არ უთხრა ნადიას იმ გაძრომ-გამოძრომასა და დამცირებაზე, რაც მან გამოიარა. ახლა კი უკვე იცოდა, თუ რა არის ბრძოლა, რა არის სიკვდილი და რა არის შიში.

სერიოჟკას ისე მაგრად ეძინა, რომ თვით მამის ხველებამაც ვერ გამოაღვიძა დილით. გაეღვიძა მაშინ, როცა მზე უკვე მაღლა იყო წამოწეული. ოთახში დარაბები ჩაკეტილი იყო, მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ როგორ ეცემოდა ოთახში საგნებსა და იატაკზე, ფანჯრის დარაბების ჭიჭიტაში ოქროსფერ ზოლებად შემოჭრილი მზის შუქი, ყოველთვის არკვევდა რა დროც იყო. გაიღვიძა თუ არა, უმალვე მიხვდა, რომ გერმანელები ჯერაც არ იყვნენ შემოსულნი.

ეზოში გავიდა, ხელპირი დაიბანა და უმალვე თვალი შეასწრო კუნძზე ჩაცომჯდარ პაპას, ხოლო მის მახლობლად კი ვიტკა ლუკიანჩენკოს. ამ დროს დედა უკვე ბოსტანში მუშაობდა, ხოლო დები სამუშაოზე იყვნენ წასულნი.

— აჰა! გამარჯობა მეომარო! ანიკა! კხა, კხა, კხა, კხარაკხაა...—მიესალმა პაპა. — ცოცხალი ხარ? ახლანდელ დროში ეს ყველაზე მთავარია. ჰე-ჰე! შენი მეგობარი კი გარიჟრაჟიდან გიცდის, გელოდებოდა, ვიდრე გაიღვიძებდი! — სთქვა „პაპამ“ და თან მეტად ალერსიანად მიაქანა ულვაშები იმ მხარეზე, სადაც ვიტკა ლუკიანჩენკო იჯდა. ვიტკა მუქი და ხავერდოვანი თვალებით დინჯად, მორიდებითა და უძრავად შესცქეროდა თავისი მარადვე მეგობრის ნამძინარევ, ყვრიმალიან და მოქმედების წყურვილით აღგზნებულ სახეს. — ეს კარგი მეგობარი გყავს, — განაგრძობდა პაპა. — ყოველ ღილით, ინათებს თუ არა, აქ არის: „სერიოჟკა მოვიდა? სერიოჟკა დაბრუნდა?“ — კითხულობს, — სერიოჟკაა ერთად-ერთი სხივი... კხა, კხა, კხა... ბრს სარკმელში შეჭრილი!—სიამოვნებით ამბობდა პაპა.

ამგვარად პაპას პირით დასტურდებოდა მათი მეგობრული ერთგულება.

ისინი ორივენი ერთად იყვნენ მიწის სამუშაოებზე ვოროშილოვგრადის მისადგომებთან. ვიტკას, რომელიც ყველაფერში ემორჩილებოდა სერიოჟკას, როგორც მეგობარს, — ძალიან უნდოდა მასთან ერთად დარჩენა, რათა სამხედრო ნაწილში შესულიყო. მაგრამ სერიოჟკამ ძალად დააბრუნა შინ, არა იმიტომ, რომ ენანებოდა ვიტკა, მით უფრო მისი მშობლები, არ მედ იმიტომ, რომ დარწმუნებული იყო, ისინი ორივე ერთად არა თუ მოახერხებდნენ სამხედრო ნაწილში შესვლას, პირიქით, ვიტკას იქ ყოფნა ხელსაც კი შეუშლიდა სერიოჟას ნაწილში მოწყობისათვის. ამრიგად, თავისი დესპოტი მეგობრისაგან მეტად ნაწყენი და შეურაცხყოფილი ვიტკა იძულებული გახდა შინ წასულიყო. და არა მარტო იძულებული გახდა წასულიყო—დაიფიცა კიდეც, რომ არც ჩემს მშობლებს, არც სერიოჟკას მშობლებს, და საერთოდ, არავის ქვეყანაზე არაფერს არ ვეტყვი სერიოჟკას გეგმების შესახებ: ამას მოითხოვდა სერიოჟკას თავმოყვარეობა საქმის წარუმატებლობის შემთხვევაში.

პაპას ნაამბობის მიხედვით ამკარა იყო, რომ ვიტკამ პირნათლად შეასრულა თავისი სიტყვა.

სერიოჟკა და ვიტკა ლუკიანჩენკო ისხდნენ ქოხის უკან, ჭუჭყიან, ლელით მოდებული ღელის ნაპირას, რომლის გაღმა იყო ნახირის გასაღები. ბიჭი იქით კი — განმარტოებით იდგა ახლახან დამთავრებული, მაგრამ ჯერ კიდევ აუმუშავებელი აბანოს დიდი შენობა. ისინი ისხდნენ ხევის პირას, თამბაქოს ეწეოდნენ და ერთიმეორეს უზიარებდნენ ახალ ამბებს.

ორივენი სწავლობდნენ ვოროშილოვის სახელობის სკოლაში, — მათი სკოლის ამხანაგებიდან ამჟამად ქალაქში დარჩენილი იყვნენ: ტოლია ორლოვი, ვალოდია ოსმუხინი და ლუბკა შევცოვა, რომელიც, ვიტკას თქმით, მისთვის შეუფერებლად ცხოვრობდა: შინიდან არსად არ გადიოდა და არსად არა სჩანდა. ლუბკა შევცოვაც ვოროშილოვის სახელობის სკოლაში სწავლობდა, მაგრამ, დაამთავრა თუ არა შვიდი კლასი, სკოლიდან ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე გავიდა: გადასწყვიტა, გამხდარიყო მსახიობი და სიმღერითა და ცეკვით გამოდიოდა რაიონის თეატრებსა და კლუბებში. ლუბას დარჩენა ქალაქში განსაკუთრებით ესიამოვნა სერიოჟკას: ლუბკა აშარი გოგონა იყო, პირდაპირ თავზეხელაღებული. ლუბკა შევცოვა ნამდვილი კაბაგადაცმული სერგი ტიულენინი იყო.

ჯერ კიდევ ვიტკამ წასჩურჩულა ყურში სერიოჟას ის ამბავი, რაც მან უკვე იცოდა: სახელდობრ, ეგნატე ფომინთან ვიღაც უცნობი კაცი იმალებაო, მთელს შანხაიში თავს იმტვრევენ — ვინ არის ეს კაცი, და ძალიან ეშინიათ ამ კაცისო. ხოლო სენიაკების რაიონში, იქ სადაც იმყოფება საბრძოლო საჭურველთა საწყობები, სრულიად ღია სარდაფებში, დარჩენილიყო ფეთქებადსითხიანი რამდენიმე ათეული ბოთლი, რომლებიც, ეტყობოდა, სიჩქარის გამო იყო მიტოვებული.

ვიტკამ გაუბედავად მოაგონა სერიოჟკას, ურიგო არ იქნება ამ ბოთლებს შევინახავდეთო, მაგრამ მას რაღაცა მოაგონდა ახლა, მრისხანე სახის გამომეტყველება მიიღო და წარმოსთქვა: ახლავე, დაუყოვნებლივ სამხედრო ჰოსპიტალში უნდა წავიდეთო.

თავი მეცამეტე

მას შემდეგ, რაც ფრონტი დონბასს მიუახლოვდა და კრასნოდონში გამოჩნდნენ პირველი დაჭრილები, ნადია ტიულენინა მოხალისედ შევიდა სამედიცინო დების კურსებზე, ახლა იგი უკვე მეორე წელი იყო, რაც მუშაობდა სამხედრო ჰოსპიტალში, რომელსაც დათმობილი ჰქონდა ქალაქის საავადმყოფოს მთელი ქვემო სართული.

მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო ჰოსპიტლის მთელი საექიმო პერსონალი, ექიმ თევდორე თევდორეს-ძის გარდა, უკვე რამდენიმე დღის წინათ წავიდა ევაკუაციაში და საავადმყოფოს სამედიცინო მუშაკთა დიდი უმრავლესობაც, უფროსი ექიმის მეთაურობით აღმოსავლეთში წავიდა, საავადმყოფო წინანდელი განაწესით მუშაობდა. ამიტომ სერიოჟკაცა და ვიტკაც უმალვე განიმსჭვალნენ ამ დაწესებულებისადმი პატივისცემით, როცა ისინი მისაღებ ოთახში შეაჩერა მორიგე მომვლელმა ქალმა, წინადადება მისცა ფეხები გაესუფთავებინათ სველ ტილოზე და დაეცადნათ ვესტიბიულში, ვიდრე ფვითონ გაიქცეოდა ნადიასთან, რომელიც ამჟამად უფროს დადმუშაობდა ჰოსპიტალში.

რამდენიმე წუთში მომვლელი ქალის თანხლებით მათთან გამოვიდა ნა-

დია, მაგრამ ეს უკვე არა ჰგავდა იმ ნადიას, რომელთანაც წინა ღამით მის საწოლზე საუბრობდა სერიოჟკა: ნადიას პატარა ყვრიმალებიან, გამოქნილ წარბებიან სახეზე, ისე როგორც მომვლელი ქალის კეთილს, ნაზს და ნაოჭებიან სახეზე, რაღაც ახალი, მეტად სერიოზული, მკაცრი ეტყობოდა. ამ-მეტყველება იხატებოდა.

ბიბლიოთეკა

— ნადია, — ხელებში კეპის სრესით, დის წინაშე რატომღაც შემკრთალი ჩურჩულით წარმოსთქვა სერიოჟკამ. — ნადია, უნდა დავეხმაროთ ბიჭებს, შენ უნდა გესმოდეს... ჩვენ, მე და ვიტკას შეგვიძლია ჩამოვუაროთ ბინებს, უთხარი თევდორე თევდორეს-ძეს.

ნადია ერთხანს ჩაფიქრდა და უსიტყვოდ შესცქეროდა სერიოჟას. მერმე უნდობლად გაიქნია თავი.

— დაუძახე, დაუძახე ექიმს, ან ჩვენ შეგვიყვანე მასთან!—მოწყენით სთქვა სერიოჟკამ.

— ლუშა, ხალათები მიეცი ყმაწვილებს, — წარმოსთქვა ნადიამ.

მომვლელმა ქალმა თეთრი ზეთის საღებავით შეღებილ გრძელ კარადიდან გამოიღო ხალათები; ყმაწვილებს, ჩვეულებისამებრ, ხელითაც კი დაუჭირა, რომ უფრო ადვილად გაეყარათ მკლავები.

— ყმაწვილი მართალს ამბობს, — მოულოდნელად წარმოსთქვა დეიდა ლუშამ ბებრული ტუჩების სწრაფი ატოკებით, მერმე ნადიას გადაჰხედა მთელი თავისი დარჩენილი სიცოცხლისათვის დამშვიდებული თვალებით.— ხალხი აიყვანს. ერთს მეც კი ავიყვან. ვის არ შეებრალებიან ეს ბიჭები? მე მარტო ვარ, შვილები ფრონტზე არიან, მარტო მე და ჩემი ქალიშვილი ვართ შინ. სახიზნოში ვცხოვრობთ. თუ გერმანელები მოვიდნენ, ვეტყვი, შვილია-მეთქი. ყველანი უნდა გავაფრთხილოთ, მშობლები ვართო, სთქვან.

— შენ არ იცნობ გერმანელებს, — წარმოსთქვა ნადიამ.

— მართალია, გერმანელებს არ ვიცნობ, სამაგიეროდ ჩვენებს ვიცნობ.— სახიზნოში მე გიჩვენებთ კარგ ხალხს.

ნადიამ ყმაწვილები წაიყვანა ნათელი დერეფნით, რომლის ფანჯრები ქალაქს გადასცქეროდნენ. ჩირქოვან ჭრილობათა და ჭუჭყიანი საცვლების მძიმე სუნი, თბილი სუნი, რომელიც თვით წამლების სუნსაც კი ველარ გაექარვებინა, ცხვირში ეცემოდათ ყოველთვის, როცა გაივლიდნენ ხოლმე პალატების ღია კარების წინ. საავადმყოფოს ამ ღია ფანჯრებიდან უეცრად გაბრწყინებულად, მყუდროდ, მშვიდად და გამართულად მოეჩვენათ მზის შუქით მოციმციმე მშობლიური ქალაქი.

საავადმყოფოში დარჩენილი დაჭრილები ყველანი მწოლიარენი იყვნენ და ყველას, ახალგაზრდებს, ხანშესულებს, პირმოპარსულებსა და მრავალ დღის განმავლობაში ჯარისკაცული ჯაგრით პირშეფიფქულებს ისეთივე სერიოზული, ღრმა გამომეტყველება ჰქონდათ, როგორიც თვით ნადიასა და დეიდა ლუშას.

როგორც კი ყმაწვილების ფეხის ხმა გაისმა, დერეფანში მწოლიარე დაჭრილებმა უმალვე გაოცებითა და იმედიანად წამოსწიეს თავი მაღლა, ხოლო ყავარჯნიანები უსიტყვოდ, მაგრამ იმავდროულად სახეზე ბუნდოვანი, დაბნეული გამომეტყველების გამოხატულებით მიაჩერდნენ ამ ორს, ხალათიან ყმაწვილს და დინჯი და მკაცრი სახის გამომეტყველებით წინ მიმავალ, მათთვის კარგად ნაცნობ ნადიას.

ისინი მიუახლოვდნენ დერეფნის ბოლოში ერთად-ერთ დაკეტილ კარს ნადიამ არც კი დააკაკუნა, მკვირცხლად ჰკრა პატარა, კოხტა ხელი და კარი შეაღო.

— თევდორე თევდორეს-ძევ, თქვენთან არიან, — წარმოსთქვა მან და ყმაწვილები გაატარა.

სერიოჟკა და ვიტკა, ცოტა არ იყოს, დარცხვენით შევიდნენ კაბინეტში. ძალ მისაგებებლად წამოდგა მაღალი, მხარ-ბეჭიანი, ხმელ-ხმელი, ღონიერი, სუფთად პირგაპარსული, შეჭაღარავებული, მუქად მოლაბალი, ... დაკრულ სახეზე გრძელნაოჭებიანი, მკვეთრყვრიმალიანი, ცხვრ...ა კუთ...ნიკაპიანი მოხუცი კაცი. მოხუცი თითქოს მთლიანი სპილენძისაგან იყო გამოკვეთილი. იგი წამოდგა მაგიდიდან, რომლის მახლობლადაც იჯდა, და იმის გამო, რომ იგი მარტო იყო კაბინეტში, იმის გამო, რომ მაგიდაზე არ ელაგა არც წიგნები, არც გაზეთები, არც წამლები და მთელი კაბინეტი ცარიელი იყო, — ყმაწვილები მიხვდნენ, რომ ექიმი არაფერს არ აკეთებდა ამ კაბინეტში და ფიქრობდა ისეთ რამეებზე, რომლებიც ღმერთმა თავიდან აშოროს ყოველ ადამიანს. ყმაწვილები ამას იმითაც მიხვდნენ, რომ ექიმს ეცვა არა სამხედრო ფორმა, არამედ სამოქალაქო ტანისამოსი: რუხი ფიჯაკი, რომლის საყელოს ნაპირი მოსჩანდა ყელთან შეკრული ხალათიდან, ეცვა აგრეთვე რუხი შარვალი და გაუწმენდელი, როგორც ეტყობოდა, ნასხვისარი საცვეთები.

გაუკვირვებლად, იმავე დროს მეტად დინჯად, ისე როგორც ნადია და ლუშა, ისევე, როგორც პალატებში მოთავსებული დაჭრილები,—შესცქეროდა ყმაწვილებს.

— თევდორე თევდორეს-ძევ, მოვედით იმისთვის, რომ დაგეხმაროთ კერძო ბინებზე დაჭრილთა მოთავსებაში, — წარმოსთქვა სერიოჟკამ, მაგრამ უმალვე მიხვდა, რომ ამ კაცთან, სხვა არაფერი იყო სათქმელი.

— მიიღებენ კი? — იკითხა მან.

— გამოინახებიან ასეთი ადამიანები, თევდორე თევდორეს-ძევ, — გაბმული ხმით მიუგო ნადიამ. — ლუშა, საავადმყოფოს მომვლელი ქალი, თანახმაა შეიფაროს ერთი დაჭრილი, თანაც შეგვპირდა — სხვებსაც გიშოვნითო, ყმაწვილებიც მოიკითხავენ, მეც დავეხმარები, არც სხვები, ჩვენი კრასნოდონელები იტყვიან უარს. ჩვენ, ტიულენინებიც კი ავიყვანდით, მაგრამ ბინა არა გვაქვს, — წარმოსთქვა ნადიამ და ისე აილეწა სახეზე, რომ სიწითლე სქლად გადაეფინა პატარა ყვრიმალებზე. ანაზდად სერიოჟაც აწითლდა, მიუხედავად იმისა, რომ ნადიამ სიმართლე სთქვა.

— დამიძახეთ ნატალია ალექსის ასულს, — წარმოსთქვა თევდორე თევდორეს-ძემ.

ნატალია ალექსის ასული საავადმყოფოს ახალგაზრდა ექიმი იყო. იგი არ გაჰყვა საექიმო პერსონალს თავისი ავადმყოფი მარტოხელა დედის სიბრალულის გამო, რომელიც ცხოვრობდა არა ქალაქში, არამედ თერამეტი კილომეტრის დაშორებით, მაღაროელთა დაბა კრასნოდონში, და რამდენადაც საავადმყოფოში კიდევ რჩებოდნენ ავადმყოფები და საავადმყოფოს ქონება, წამლები და ხელსაწყოები. ნატალია ალექსის ასულმა, რომელსაც სცხვენოდა თანამოსამსახურეთა წინაშე იმის გამო, რომ არსად არ მიდიოდა და გერმანელებთან რჩებოდა, ნებაყოფლობით იკისრა საავადმყოფოს მთავარი ექიმობა.

ნადია კაბინეტიდან გავიდა.

თევდორე თევდორეს-ძე თავის ადგილზე დაჯდა მაგიდასთან, ფიჯაკის ჯიბიდან ამოიღო სათუთუნე და დაჭმუჭნილი ძველი გაზეთი,—კუთხურად წაახია გაზეთს, და ცალი—დიდი, ძარღვიანი ხელისა და ტუჩების მეტად

ჩქარი მოძრაობით თხის ფეხისებურად შეახვია, უმალვე აავსო სათუთუნეში ამოღებული წეკოთი და გააბოლა.

— დიაღ, ეს ნამდვილი გამოსავალია,—სთქვა თევდორე თევდორეს-ძემ და უღიმილოდ გადახედა დივანზე წყნარად ჩამომჯდარ ყმაწვილებს.

მან სერიოჟკადან ვიტკაზე გადაიტანა მზერა, მერმე ისევ სერიოჟკას შეაჩერდა, თითქოს მიხვდაო, რომ სერიოჟკა იყო მთავარი. ვიტკა მიხვდა ამ გადმოხედვის მნიშვნელობას, მაგრამ სრულიად არა სწყენია, ვინაიდან თვითონაც იცოდა, რომ სერიოჟკა იყო მთავარი, უნდოდა კიდეც, რომ სწორედ სერიოჟკა ყოფილიყო მთავარი და ამაყობდა სერიოჟკას მაგივრად.

ნადიას თანხლებით კაბინეტში შემოვიდა ოცდარვა წლის პატარა ტანის ქალი, რომელიც ბავშვსა ჰგავდა იმის გამო, რომ მის პატარა სახეს, ხელებს, ფეხებს სილბოსა და სინაზის ის ბავშვური იერი ჰქონდათ, რასაც ხშირად შევყავართ ხოლმე შეცდომაში ქალთა შეფასებისას და გვაიძულებს ვივარაუდოთ, რომ ისინი თითქოს თანაბარი ხასიათისანი არიან. ამ პატარა, ფუნთუშა ფეხებით, თავის დროზე, როცა მამამისს არ სურდა, რომ ქალიშვილს განეგრძო სწავლა სამედიცინო ინსტიტუტში — ნატალია ალექსის ასულმა კრასნოდონიდან ხარკოვამდე გზა ფეხით გაიარა, ამ პატარა ფუნთუშა ხელებით ჰკერავდა და რეცხავდა და ასე შოულობდა ლუკმა პურს, ოღონდ კი ესწავლა, ოღონდ კი ცოდნა შეეძინა, ხოლო მერმე, როცა მამა გარდაეცვალა, ამავე ხელების იმედით თავის კმაყოფაზე აიყვანა რვა სულისაგან შემდგარი ოჯახი; ახლა კი ამ ოჯახის წევრთა ერთი ნაწილი უკვე ფრონტებზე იბრძოდა, მეორე ნაწილი მუშაობდა სხვადასხვა ქალაქებში, მესამე კი მოწყობილი იყო სასწავლებლებში. ამავე ხელებით იგი უშიშრად აკეთებდა ისეთ ოპერაციებს, რომელთა გაკეთებასაც ვერ ჰბედავდნენ თვით უფრო დიდი პრაქტიკის მქონე, უფროსი ასაკის მამაკაცი ექიმები; ნატალია ალექსის ასულის ბავშვურ სახეს ამშვენებდნენ ისეთი პირდაპირი, ძლიერი, შეუბრალებელი, პრაქტიკული გამომეტყველების თვალები, რომლებიც სავსებით შეშურდებოდა რომელიმე საკავშირო დაწესებულების საქმეთა მმართველს.

თევდორე თევდორეს-ძე წამოდგა მის მისაგებებლად.

— ნუ სწუხდებით, ყველაფერი ვიცი, — უთხრა ქალმა, თან ფუნთუშა ხელი მკერდზე მიიდო ისეთი მოძრაობით, რომელიც სრულიად ეწინააღმდეგებოდა ახლა ამ საქმიანი, პრაქტიკული გამომეტყველებით გამომზირალ თვალებსა და მის სავსებით ზუსტსა და, ცოტა არ იყოს, ლაპარაკის ერთგვარ მშრალ კილოს. — მე ყველაფერი ვიცი. რა თქმა უნდა, ყოველივე ეს გონივრულია,—წარმოსთქვა მან და გადაჰხედა სერიოჟკასა და ვიტკას, მათ მიმართ რაიმე პირადი დამოკიდებულების გარეშე, აგრეთვე მათი პრაქტიკულად გამოყენების შესაძლებლობის დამადასტურებელი გამომეტყველებით. მერმე ისევ თევდორე თევდორეს-ძეს შეხედა,—თქვენ კი?— იკითხა ქალმა.

ექიმი მყის მიუხვდა.

— ჩემთვის, როგორც ადგილობრივი ექიმისათვის, ყველაზე უფრო ხელსაყრელია თქვენს საავადმყოფოში დარჩენა. მაშინ ყოველგვარ პირობებში შემეძლება დავეხმარო მათ. — ყველა მიხვდა, რომ ამ „მათით“ ექიმი ჰგულისხმობდა დაჭრილებს.—ეს შესაძლებელია?

— შესაძლებელია, — წარმოსთქვა ნატალია ალექსის-ასულმა.

— თქვენს საავადმყოფოში მე არ გამცემენ?

— ჩვენს საავადმყოფოში თქვენ არ გაგცემენ, — მიუგო ნატალია ალექსის ასულმა და მკერდზე მიიდო ფუნთუშა ხელები.

— მადლობელი, მადლობელი ვარ თქვენი. — თევდორე თევდორეს-ძემ ახლა პირველად გაიღიმა მარტო თვალებით და თავისი ლონიერი ხელებიანი, დიდი ხელი გაუწოდა ჯერ სერიოჟკას, შემდეგ ვიტკა ლუკიანჩენკოს.

— თევდორე თევდორეს-ძევ, — წარმოსთქვა სერიოჟკამ და პირდაპირ სახეში მიაჩერდა ექიმს თავისი მტკიცე ჭროღა თვალებით, რომლებშიც ისახებოდა: „თქვენ და ყველა სხვას შეგიძლიათ, როგორც გნებავთ, ისე შეაფასოთ ეს, მაგრამ მე მაინც ვიტყვი ამას იმიტომ, რომ ეს ჩემს მოვალეობად მიმაჩნია“. — თევდორე თევდორეს-ძევ, მხედველობაში იქონიეთ, რომ თქვენ ყოველთვის შეგიძლიათ გვენდოთ მე და ჩემს ამხანაგს — ვიტკა ლუკიანჩენკოს, ყოველთვის. ხოლო ჩვენთან კავშირი კი შეგიძლიათ იქონიოთ ნადიას საშუალებით. კიდევ მინდა გითხრათ ჩემი და ჩემი ამხანაგის — ვიტკა ლუკიანჩენკოს სახელით, რომ თქვენი საქციელი, ის რომ თქვენ ასეთ დროს დარჩით დაჭრილებთან, თქვენი ასეთი საქციელი, ჩვენ კეთილშობილურ საქციელად მიგვაჩნია, — წარმოსთქვა სერიოჟკამ და შუბლი გაუოფლიანდა.

— მადლობელი ვარ, — მიუგო თევდორე თევდორეს-ძემ, — რაკი თქვენ ამაზე ჩამოაგდეთ სიტყვა, მეც გეტყვით: ადამიანს, რა პროფესიისაც უნდა იყოს იგი, ყოველგვარი პროფესიის ადამიანს, შეიძლება ცხოვრებაში შეექმნას ისეთი პირობები, როცა მისთვის არა თუ შესაძლებელია, არამედ აუცილებლივ უნდა დასტოვოს ადამიანები, რომლებიც დამოკიდებულნი იყვნენ მასზე, ან რომელთაც მეთაურობდა იგი და მისი იმედი ჰქონდათ. დიაღ, შეიძლება შეიქნას ისეთი მდგომარეობა, როცა მისთვის უფრო მიზანშეწონილია დასტოვოს ისინი და თავი გაარიდოს, წავიდეს. არის ხოლმე უმაღლესი მიზანშეწონილობა. ვიმეორებ, თითქმის ყველა პროფესიის ადამიანს, თვით მხედართმთავრებსა და პოლიტიკურ მოღვაწეებსაც კი, გარდა ერთი პროფესიის კაცისა, ექიმისა, განსაკუთრებით სამხედრო ექიმისა — შეიძლება შეექმნას ასეთი მდგომარეობა. ექიმი დაჭრილებთან უნდა იყოს. ყოველთვის, რაც უნდა მოხდეს. არა არის რა ამ მოვალეობაზე უფრო დიდი მიზანშეწონილობა. თვით სამხედრო დისციპლინა, ბრძანებაც კი შესაძლოა დარღვეულ იქნას, უკეთუ ის ეწინააღმდეგება ამ მოვალეობას. ჩემთვის რომ თვით ფრონტის სარდალსაც კი ებრძანებინა: მიატოვე დაჭრილები და წადი, არ დავეთანხმებოდი. ამხანაგ სტალინს რომ ეთქვა ჩემთვის: „მხედველობაში ვიღებ რა შექმნილ მდგომარეობას, ნება გეძლევათ წახვიდეთო“, — არ წავიდოდი. მაგრამ იგი არასოდეს არ იტყოდა ამას, ვინაიდან მას ყველაზე უკეთ ესმის ეს. მთელს დედამიწაზე იგი ერთადერთი კაცია, რომელსაც არავითარი პირობების დროს არა აქვს უფლება წავიდეს, მხოლოდ მას და ექიმს არ შეუძლია ეს... მადლობელი, მადლობელი ვარ, — წარმოსთქვა თევდორე თევდორეს-ძემ და ყმაწვილების წინაშე დაბლა დახარა თითქოს სპილენძისაგან გამოკვეთილი, მუქად ბრწყინავი სახე და ჭაღარა თავი.

ნატალია ალექსის ასულმა ჩუმად დაიწყო მკერდზე ფუნთუშა ხელები. თევდორე თევდორეს-ძისადმი მიპყრობილ მის პრაქტიკულ თვალებში საზეიმო განწყობილება ისახებოდა.

ვესტიბიულში გამართულ თათბირზე, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ სერიოჟკა, ნადია, დეიდა ლუშა და ვიტკა ლუკიანჩენკო, და რომელიც

ამ მეოთხედი საუკუნის მანძილზე ყველა თათბირზე ხანმოკლე იყო, კინაიდან მას სწორედ იმდენი დრო მოუნდა, რამდენიც ყმაწვილების მიერ ხალათის გახდას,—უკვე დასახეს სამოქმედო გეგმა. ყმაწვილებს უკვე აღარ შეეძლოთ თავის შეკავება, ტყვიასავით გაიჭრნენ საავადმყოფოს ოთახებში, თვალებში მოხვდათ ივლისის შუადღის თვალისმომჭრელი ქათქათი. მთელ მათს არსებას ავსებდა ახლა რაღაც აუხსნელი აღფრთოვანება, საკუთარი თავისა და მთელი კაცობრიობის მაგიერ სიამაყის შეგრძნობა და მოქმედების უჩვეულო წყურვილი.

— აი, ადამიანი! ნამდვილი ადამიანი! არა? — წარმოსთქვა სერიოჟამ და აღგზნებით შეხედა თავის ამხანაგს.

— სწორია! — მიუგო ვიტკა ლუკიანჩენკომ და თვალი ააფახურა.

— ახლავე გავიგებ, ვინ იმალება ეგნატე ფომინისას.—ყოველგვარი კავშირის გარეშე იმასთან, რაზედაც ისინი საუბრობდნენ და რასაც ახლა განიცდიდნენ, წარმოსთქვა სერიოჟკამ.

— როგორ გაიგებ?

— წინადადებას მივცემ დაჭრილი შეიფაროს ოჯახში.

— გასცემს! — მეტად დამაჯერებლად წარმოსთქვა ვიტკამ.

— მე კი განა სიმართლეს ვეტყვი! ოღონდ ფეხი შევდგა ქოხში, სხვა არაფერი მინდა, — თვალებისა და კბილების ეშმაკურად და მხიარულად პრიალით გაიცინა სერიოჟკამ. ეს აზრი უკვე იმდენად დაეუფლა, რომ დარწმუნებული იყო, შეასრულებდა კიდეც.

სერიოჟა ახლა იდგა ბაზრიდან კარგა დაშორებულ შანხაის გარეუბანში, ეგნატე ფომინის ქოხის კარის მახლობლად, სადაც ფანჯარასთან გადმოხრილი იყო საცერის ოდენა სქელი მზისუმზირა.

კაკუნზე დიდ ხანს პასუხს არავინ იძლეოდა. სერიოჟკა მიხვდა, რომ ფანჯარაში ათვალიერებდნენ მას, ამიტომ განზრახ დადგა ასე ახლოს კართან, რომ შეუძლებელი ყოფილიყო მისი დანახვა. ბოლოს კარი გაიღო. ეგნატე ფომინი ხელიდან არ უშვებდა კარის რაზას, მეორე ხელით კი წირთხლს დაყრდნობოდა, თავი ძირს დაეღუნა. იგი ჭიაყელასავით წაგრძელებული კაცი იყო, — კანის სხვადასხვანაირ, მრავალრიცხოვან ნაოჭებში ღრმად ჩამჯდარი, პატარა ნაცრისფერი თვალებით, გულწრფელი ცნობისმოყვარეობით შესცქეროდა სერიოჟკას.

— მადლობელი ვარ, — წარმოსთქვა სერიოჟკამ, და თითქოს კარი სწორედ იმისთვის გააღეს, რომ შიგ შესულიყო, წირთხლზე დაყრდნობილი ეგნატე ფომინის მკლავქვეშ მშვიდად გაჰყო თავი და შევიდა არა მარტო პარმაღში, არამედ უკვე ოთახის კარს აღებდა; ეგნატე ფომინმა გაკვირვებაც კი ვერ მოასწრო ჭაბუკის საქციელის გამო, ისე სწრაფად დაედევნა უკან.

— უკაცრავად, მოქალაქე, — ეს უკვე ოთახში წარმოსთქვა სერიოჟკამ და თავი დაბლა დახარა ეგნატე ფომინის წინაშე. ფომინს ეცვა უჯრედებიანი ფიჯაკი და ასეთივე შარვალი, მუცელზე ედო ჟილეტის საოილეში გაყრილი მოოქროვილი მძიმე ძეწკვი, ვაქსით გაკრიალებული ჩექმ-ს ყელზე შარვალი გადმოეკიცა და ასე იდგა,—ზომაზე მეტად მაღალი,—საჭურისის თვინიერი, ჩამოგრძელებული სახით, რომელმაც ბოლოს გაკვირვებული და რამოდენადმე მრისხანე გამომეტყველება მიიღო.

— რა გინდა? — ჰკითხა მას ეგნატე ფომინმა. ოდნავ მაღლა ასწია შეთხელებული წარბები და მისი თვალების ირგვლივ მრავალრიცხოვანი და

მრავალგვარი ნაოჭები მეტად რთულად ამოძრავდნენ, თითქოს ცემას აპირებენო.

— მოქალაქევ! — როგორც პირადად მისთვის, ისე ეგნატე ფომინისთვისაც სრულიად მოულოდნელად მიიღო საფრანგეთის რევოლუციონერული დელი კონვენტის წევრის პოზა და პათოსით წარმოსთქვა სერიოჟკამ, — მოქალაქევ! გადაარჩინეთ დაჭრილი მებრძოლი!

ეგნატე ფომინის თვალების გარშემო ნაოჭებმა უცბად შესწყვიტეს მოძრაობა და სერიოჟკასკენ მიპყრობილი თვალები თოჯინის თვალებივით გაქვავდნენ.

— არა, მე კი არა ვარ დაჭრილი! — წარმოსთქვა სერიოჟკამ, როცა მიუხვდა, თუ რამ გააშეშა აგრე ეგნატე ფომინი.—მებრძოლებმა უკან დაიხიეს, დაჭრილები პირდაპირ ქუჩაში დასტოვეს, ბაზართან. ჩვენ, ყმაწვილებმა დავინახეთ და პირდაპირ თქვენთან გამოვექანეთ.

ეგნატე ფომინის ჩამოგრძელებულსა და თვინიერ სახეზე უცებ აღიბეჭდა მთელს მის არსებაში დატრიალებული მშფოთვარე განცდა და თავისდა უნებურად ცალი თვალი მიატანა მეორე ოთახის მიხურულ კარს.

— არ მესმის, რატომ პირდაპირ ჩემთან მოხვედით? — ჩურჩულით იკითხა მან, თან ბრაზმორევით თვალი თვალში გაუყარა სერიოჟკას. ახლა მისი თვალების ირგვლივ თავმოყრილმა ნაოჭებმა კვლავ დაიწყეს მეტად რთული და დაუსრულებელი მოძრაობა.

— მაშ ვისთან, თუ არა თქვენთან, ეგნატე სიმონის-ძევ! მთელმა ქალაქმა იცის, რომ თქვენ ჩვენი პირველი სტახანოველი ხართ, — უთხრა სერიოჟკამ, თან არაჩვეულებრივი სპეტაკი თვალების შუბები დაუნდობლად დააძგერა ეგნატე ფომინს.

— ვისი ხართ თქვენ? — ჰკითხა თანდათან სულ უფრო დაბნეულმა და აკვირვებულმა ეგნატე ფომინმა.

— თქვენი კარგი ნაცნობის პროხორ ლიუბეზნოვის შვილი ვარ, ისიც სტახანოველია, — მიუგო სერიოჟკამ ისეთის დარწმუნებით, როგორი დარწმუნებითაც იცოდა ის, რომ ნამდვილად არავითარი პროხორ ლიუბეზნოვი არ არსებობდა ამქვეყნად.

— მე არ ვიცნობ პროხორ ლიუბეზნოვს. აი რა უნდა გითხრა, ჩემო ძმაო, — მოვიდა თუ არა გონს, ფუსფუსითა და გრძელი ხელების უაზრო ნაკვეთით მიუგო ეგნატე ფომინმა, — მე ადგილიც კი არა მაქვს შენი მებრძოლისათვის, — ცოლი მყავს ავად, ამავე დროს შენ, ჩემო ძმაო...—თუმცა არა საისებით გაბედულად, მაგრამ მაინც გასასვლელ კარისაკენ ანიშნებდა ყმაწვილს...

— საკმაოდ უცნაურად იქცევით, მოქალაქევ, ყველამ იცის, რომ თქვენ ჰეორე ოთახიც გაქვთ, — სერიოჟკას ხმაში ახლა მის მიმართ გაკიცხვის კილო გაისმა, თან პირდაპირ მიაჩერდა ფომინს მოელვარე, ბავშვური აშარი თვალებით.

ფომინმა ვერც კი მოასწრო კიდევ ერთხელ ხელის გაქნევა, ვერც ხმის ამოღება, რომ სერიოჟკა მძიმედ, არც თუ ისე აჩქარებული ნაბიჯით მივიდა მეზობელი ოთახის კართან, შეაღო და შიგ შევიდა.

ამ ნახევრადმიხურულ დარაბებიან — ავეჯითა და კასრებში ჩარგულ ფიკუსებით მორთულს, სუფთა და კოხტად მილაგებულ ოთახში მაგიდასთან იდგა ხელოსნის ტანისამოსით გამოწყობილი, ღონიერი, მრგვალბარბეჭიანი, მაგარი, დიდთავა, თმაშეკრეჭილი, შეჭაღარავებული, სახედაწინწ-

ძლული კაცი. მან თავი მაღლა ასწია და სრულიად დამშვიდებით შეხედა ახლად შემოსულ სერიოჟკას.

სერიოჟკა უმალვე მიხვდა, რომ მის წინ იჯდა უბრალო, კარგი, ლონიერი და მშვიდი კაცი. მიხვდა თუ არა ამას, იმავე დროს, ანაზღაურებულ უცნაურმა და ველურმა შიშმა აიტანა ყმაწვილი. იოტის ოდენა გმირობაც კი ვერ შეერჩა მის არწივისებურ გულს. იმდენად შეშინდა, რომ კრინტიც ვერ დასძრა, განძრევაც კი ვერ მოახერხა. ამ დროს კარებში გამოჩნდა ეგნატე ფომინის უსაზღვროდ სასოწარკვეთილი და შეშინებული სახე.

— მოიცა, ნათლიმამ, — მშვიდად უთხრა ეგნატე ფომინს მაგიდასთან მჯდომმა უცნობმა კაცმა, თან სერიოჟკასკენ მიიწია, — რატომ, ვთქვათ, თქვენსას არ წაიყვანეთ ის დაჭრილი მებრძოლი?

სერიოჟკა სდუმდა.

— მამაშენი აქ არის თუ ევაკუაციაში წავიდა?

— ევაკუაციაში, — მიუგო მთლად ალეწილმა სერიოჟკამ.

— დედა?

— დედა, შინ არის.

— რატომ პირველად მასთან არ მიდით?

სერიოჟკა სდუმდა.

— ისეთი ქალია, რომ არ მიიღებს?

საშინლად გრძნობაარეულმა სერიოჟკამ თავი დაუქნია, იმ წუთიდან, რაც სიტყვების „მამასა“ და „დედას“ გარშემო თამაში დასრულდა, იგი უკვე ხედავდა ნამდვილ მამასა და დედას და, ამიტომ საშინლად სცხვენოდა მათ შესახებ ასე უტიფრად სიცრუის თქმისა.

მაგრამ, ეტყობოდა, ამ კაცს სჯეროდა სერიოჟკას ნათქვამი.

— მაშ, ასე, — წარმოსთქვა უცნობმა და სერიოჟკა აათვალიერა.—ეგნატე ფომინმა მართალი გითხრათ, მას არ შეუძლია დაჭრილი მებრძოლის მიღება, — წარმოსთქვა მან ჩაფიქრებით, — მაგრამ იპოვნით ისეთ კაცს, რომელიც მიიღებს და შეიფარებს. ეს კარგი საქმეა. ყოჩაღი ყოფილხარ, — ამას კი გეტყვი. მოსძებნე და იპოვნი. ოღონდ გახსოვდეს, ეს საიდუმლო საქმეა, შემთხვევითს ხალხს ნუ ენდობი, ნუ მიმართავ. თუ კი არსად არ მიიღეს, ჩემთან მოდი. და თუ მიიღონ — ნუ მოხვალ, — უმჯობესია, მისამართი მომეცი, საჭიროების დროს მე თვით მოგნახავ.

და სერიოჟკას აქ თავისი თავშეუკავებლობა მისთვის მეტად საწყენი და სამწუხარო სახით უნდა აენაზღაურებინა. სწორედ ახლა, როცა სერიოჟკას სულითა და გულით უნდოდა მიეცა ამ კაცისათვის თავისი ნამდვილი მისამართი, იძულებული გახდა აქვე, ნაჩქარევად, სახელდახელოდ მოეფიქრებინა რაიმე სხვა მისამართი და ამით სამუდამოდ მოესპო თავისთვის ამ კაცთან ურთიერთობის საშუალება.

კვლავ ქუჩაში გაჩნდა. იგი დაბნეული და დარცხვენილი იყო. ეჭვს გარეშე იყო, რომ ის კაცი, რომელიც ეგნატე ფომინთან იმალებოდა, ნამდვილად დიდი კაცი იყო. ეჭვს გარეშე იყო აგრეთვე ისიც, რომ, ყოველ შემთხვევაში, ეგნატე ფომინი არც თუ ისე კარგი კაცი იყო. მაგრამ იმ უცნობსა და ეგნატე ფომინს ერთმანეთთან კავშირი ჰქონდათ. ეს კი მისთვის გაუგებარი და საიდუმლოებით მოცული იყო.

(გაგრძელება იქნება)

თარგმანი **პოლიო აბრამიასი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ირ. ხანთაძე

სტალინის ენის თავისებურებანი და გადმოცემის ხერხები

(წერილი მესამე) *

სტალინის ენის თავისებურებათა შესწავლისათვის საჭიროა გავეცნოთ სტალინის ლექსიკას, სტალინის საყვარელ და სპეციფიკურ გამოთქმებს.

სტალინი, მებრძოლი მოაზროვნეა. მან, როგორც რევოლუციის ვეტერანმა, არ იცის თუ რაა შიში და სიძნელეთა წინაშე უკანდახევა. დაბრკოლებები იმისათვის არსებობს, რომ იგი გადავლახოთო, იცის ხოლმე თქმა სტალინმა, და მართლაც ყოველთვის, როცა ამას მოითხოვს ვითარება, როცა ამას მოითხოვს პარტიისა და ხალხის ინტერესები, ამხანაგი სტალინი მდინარების წინააღმდეგ მედგრად მიაპობს ტალღებს და, თან მიჰყავს მილიონიანი მასები.

ბრძოლა — სტალინის სტიქიაა. სტალინის საბრძოლო სულისკვეთება და აგრეთვე ის, რომ სტალინი ბევრს მუშაობდა და მუშაობს სამხედრო საკითხებზე, აღბეჭდილია მის ენაში, მის გამოთქმებსა და ლექსიკაში. მაშინაც კი, როცა სტალინი ლაპარაკობს სამეურნეო საქმიანობაზე, მის ნაწერებსა და გამოსვლებში, ვხვდებით წმინდა საბრძოლო-საომარ თერმინებს, როგორიცაა: „შეტევა", „ფრონტი", „დაკვრა", „გარღვევა", „გამარჯვება", „უკანდახევა", „ძალთა გადაჯგუფება", „დაპყრობილი პოზიციების შენარჩუნება", „რეზერვები" და ა. შ. ეს წმინდა სამხედრო თერმინები სტალინის ენას აძლევენ უფრო მეტს, საბრძოლო, ენერგიულ ხასიათს.

საბრძოლო, ენერგიული ხასიათი და გამარჯვების ურყევი რწმენა იგრძნობა სტალინის დამახასიათებელ მგზნებარე გამოთქმებში, რომელთაც ჩვენ ვხვდებით მის ფურცლებსა და პროკლამაციებში.

„დიახ, დროა დავანგრიოთ მეფის მთავრობა და ჩვენ დავანგრევთ მას".

„მუშათა ხალხს დემოკრატიული რესპუბლიკა უნდა, და ის მოიპოვებს მას".

„თვითმპყრობელობა, რომელმაც ყველა ეს შემაძრწუნებელი საშინელება შეჰქმნა, უნდა მოისპოს, და ის მოისპობა კიდეც".

სტალინის ენისა და მეტყველების ზედმიწევნით შესწავლა გვიჩვენებს, რომ სტალინი ფრთხილი და ანგარიშიანია, როცა საჭიროა გადაწყვეტილე-

* იხ. „მნათობი", № 7-8 1945 წ.

7. „მნათობი" — № 8.

ბის მიღება, მაგრამ სტალინი გაბედული, მამაცი და ულმობელია, როცა საკითხი გადაჭრილია და საჭიროა მოქმედება. რაკი მიზანი დასახულია და მისთვის ბრძოლა დაწყებულია, — არავითარი განზეგადახრა, ძალებისა და ყურადღების არავითარი დაქსაქსვა არ უნდა მოხდეს, ვიდრე მიღწეული არ არის მთავარი მიზანი, ვიდრე უზრუნველყოფილი არ არის ამ-ბიერ-ბიერ-ობა.

თავის შემდგომს შრომებსა და გამოსვლებში ამხანაგი სტალინი ღრმა მარქსისტულ-ლენინური ანალიზის საფუძველზე წინასწარ სჭვრეტს მოვლენათა მსვლელობას და, ზედმიწევნით სისწორით ითვალისწინებს რა ყოველგვარ შესაძლებელ კომბინაციებს, რომლებიც დააბრკოლებენ ან ხელს შეუწყობენ მოვლენათა განვითარების მსვლელობას, უსახავს ხალხს და პარტიას მორიგ საბრძოლო ამოცანებს, რომელთა განხორციელება ობიექტურად შესაძლებელია და უნდა გაკეთდეს. და რაკი სტალინმა იცის, რომ მოცემული ამოცანის განხორციელება შესაძლებელია, — მტკიცედ და ენერგიულად გამოთქვამს მას, ყოველგვარი შეეჭვებისა და მერყეობის გარეშე. დიდი სამამულო ომის პერიოდში, სტალინის გამოსვლები აღსავსეა ურყევი გადაწყვეტილებათა გამომხატველი, მკვეთრი და კატეგორიული ხასიათის გამოთქმებით, როგორიცაა:

„ჩვენ შეგვიძლია შევასრულოთ ეს ამოცანა და ჩვენ უნდა შევასრულოთ იგი, რადაც უნდა დაგვიჯდეს“.

„განა შეიძლება ეჭვი შეგვეპაროს იმაში, რომ ჩვენ შეგვიძლია გავიმარჯვოთ და კიდეც უნდა გავიმარჯვოთ გერმანელ დამპყრობლებზე“.

„ჰიტლერული არმიის მოსპობა შესაძლებელია და იგი კიდევაც უნდა მოვსპოთ“, და ა. შ.

სტალინის ბაგეთაგან ეს გამოთქმები გაისმის არა მარტო, როგორც მოწოდება, პროპაგანდა, აგიტაცია, არამედ ეს არის აგრეთვე დირექტივაც, განკარგულებაც, მოქმედებისათვის ბრძანებაც.

პერსპექტივის სიცხადე, პროლეტარიატის გამარჯვებისა და სოციალიზმის აშენების ურყევი რწმენა, — აი ის, რაც სტალინის ენას აძლევს საბრძოლო, ენერგიულ ხასიათს. აი რატომაა, რომ სტალინის გამოსვლებში, სტალინის თვითეულ წინადადებაში, გამოთქმებსა და ლექსიკაში იგრძნობა ნებისყოფა, სიმტკიცე და მიზანსწრაფულობა.

სტალინური სიტყვის ენერგიულობაზე, სიმტკიცესა და სიცხადეზე მჭერმეტყველურად ლაპარაკობს აგრეთვე დილემის სახით დასმული კითხვები, რომელთაც ჩვენ ვხვდებით სტალინის ნაწერებში:

„ორში ერთი: ან ლენინიზმში მთავარია გლეხთა საკითხი... ან ლენინიზმში მთავარია პროლეტარიატის დიქტატურა...“

„ორში ერთი: ან რევოლუციის გამარჯვება და ხალხის თვითმპყრობელობა, ან კონტრრევოლუციის გამარჯვება და მეფის თვითმპყრობელობა“.

„ან ერთი გზა, ან მეორე, ან უკან — კაპიტალიზმისაკენ, ან წინ — სოციალიზმისაკენ... მესამე გზა არ არსებობს“.

„ან წინ, მაღლა—ახალ საკოლმეურნეო წყობილებისაკენ, ან უკან, თავქვე, — ძველი კულაკურ-კაპიტალისტური წყობილებისაკენ, მესამე გზა არ არსებობს“... და ა. შ.

საკითხის ამგვარად დაყენებით, სტალინი არკვევს მკითხველს გარემო

პირობებში, აძლევს მას ორიენტაციის სიცხადეს და თან თითქოს ეუბნება: ნუ ყოყმანობ, სხვა გზა არ არის. აირჩიე ან ერთი გზა, ან მეორე.

ყოველ დიდ ორატორს, პოლიტიკურ მოღვაწეს, აქვს თავისი საყვარელი აზრი, რომელსაც, როცა უბრუნდება, ყოველთვის ერთნაირი სიტყვებით გამოხატავს. მიგნება, გამონახვა ამ სიტყვებისა, ხშირად ნიშნავს ორატორის სტილის დამახასიათებელ თავისებურებაზე მითითებას. სტალინის ერთ-ერთი საყვარელი აზრი, რომელსაც ის თითქმის ყოველთვის ერთნაირი სიტყვებით გამოხატავს, არის აზრი ხალხის უკვდავებაზე. სტალინის ნაწერებში ხშირად შეხვდებით ფრაზას: „კერძო ადამიანები მოდიან და მიდიან, ხალხი კი რჩება“. „მინისტრები მოდიან და მიდიან, ხალხი კი — რჩება“. „ჰიტლერები მოდიან და მიდიან, გერმანელი ხალხი კი — რჩება“. სტალინის ამ საყვარელ გამოთქმაში ცხადდება ბელადის ხალხურობა, მისი პოლიტიკური მრწამსი, მთელი მისი დემოკრატიული პრინციპები.

თავის ნაწერებსა და გამოსვლებში სტალინი დიდი ხელოვნებით და უხვად იყენებს მწერლების სპეციფიკურსა და სახიერ გამოთქმებსაც. მის ტექსტში ნახავთ გოგოლის „მკვდარი სულებიდან“ ჩიჩიკოვის გამოთქმას — „и пошла писать губерния“; შჩედრინის — „Блудят языком“, „Разбойники пера“, „Сиденье меж двух стульев“, უსპენსკის — „Тащить и не пушать“, მხატვარ ვერეშჩაგინის — „На шибке все спокойно“, გორკის — „Если враг не сдается — его уничтожают“, მისივე — „Безумству храбрых“. პუშკინის — „Властитель дум“, რუსთაველის — „არ ახალია, ძველია“, „შუა უზის დიდი ზღვარი“, „საქმენი საგმირონი“, ჭავჭავაძის — „წაჯექ-უკუჯექობა“, და ა. შ.

მოკლედ გავეცნოთ სტალინის პოლემიკურ ხერხებსაც და იმ ეპითეტებს, რომლითაც იგი უმასპინძლდება თავის მოპირდაპირეებს.

როცა სტალინის პოლემიკურ გამოსვლებს ეცნობით, თქვენ მასში ხედავთ იმასვე, რასაც ვ. ლიბკნეხტი ხედავდა მარქსში, და რასაც განუხრელად მისდევდა ლენინი: „მეთოდურად დალაგებული ფაქტები, დინჯად შემფასებელი მეცნიერი და მრისხანე, მაგრამ თვითონ მრისხანებაში გონიერების შემრჩენი პოლიტიკოსი“.

გადაიკითხეთ სტალინის რევოლუციამდელი დროის პოლემიკური სტატიები ძენშევიკების, ანარქისტების, ბურჟუაზიული ნაციონალისტებისა და ყოველგვარი ოპორტუნისტების წინააღმდეგ, გაეცანით მის ოქტომბრის წინადღეების სტატიებსაც, მის პოლიტიკურ და თეორიულ შეტაკებებს მათთან, რომლებიც ცდილობდნენ პარტიაში რეაქციული შემობრუნება გამოეწვიათ, და თქვენ თვალნათლივ დაინახავთ, თუ როგორ უმწეოდ წრუწუნებენ რევოლუციის მტრები და მოღალატენი სტალინის უძლეველი ლოგიკის მარწუხებში, როგორ უბადრუკ კაცუნებად გეჩვენებათ ისინი, როცა სტალინი ამხელს და ანადგურებს მათ.

სტალინი ჯერ მოკლედ, მაგრამ ზუსტად იძლევა მოწინააღმდეგის თეორიული და პოლიტიკური პოზიციის მთავარ დებულებას. რამდენიმე ფრაზით ცხადჰყოფს მის მცდარობას, მის სიბეცეს და მავნებლობას. პოლემიკური ხერხების ვირტუოზული გამოყენებით ამწყვდევს მოპირდაპირეს ჩიხში და შეუბრალებლად სპობს მას. „თუ მტერი არ ნებდება, მას სპობენ“. პოლიტიკური მტრების მიმართ სტალინმა არ იცის თეთრი ხელთათმანებით ბრძოლა, იგი მკაცრი და ულმობელია.

სტალინის არგუმენტაცია მუდამ ცხოველ ინტერესს იწვევს იმიტომ, რომ იგი დაფუძნებულია არა ზოგად თეორიულ მსჯელობებზე, არამედ ისტორიული სინამდვილის ფაქტებზე და ამ ფაქტების ანალიზსა და გაგებაზე.

პოლემიკურ შეტაკებებში განსაკუთრებით აღსანიშნავია სტალინის ხელში ოსტატურად მომარჯვებული ფაქტები, რომლითაც იგი თავზარს სცემს მოწინააღმდეგეს, აბათილებს მის მოსაზრებებს. ყველას როდი აქვს ფაქტის, როგორც მტრის მომსპობი იარაღის, სტალინური გამოყენების უნარი. სტალინის ხელში ფაქტი — ეს ხმალია, რომელიც ანადგურებს მოწინააღმდეგეს.

გერმანული ოფიციოზის „დეიტშე დიპლომატიშ პოლიტიშე კორესპონდენციის" მესვეურებს, რომლებიც 1937 წელს გაჰყვიროდნენ, რომ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტი სხვა არაფერია, თუ არა ცარიელი დაპირებაო, ამხანაგი სტალინი ფაქტების უძლეველი სიცხადით სპობდა. სტალინი ჩამოთვლის საბჭოთა კავშირის საყოველთაოდ ცნობილი მიღწევების ფაქტებს და თვითეულ ამ ფაქტის აღნიშვნის შემდეგ, მიუთითებს: „ეს — ფაქტია და არა დაპირება", „ეს — ფაქტია და არა დაპირებანი". სტალინის ბაგეთაგან რამდენჯერმე გამეორებული ფრაზა „ეს ფაქტია და არა დაპირება", ისე გაისმის, თითქოს იგი ფრაზა კი არა, სახრე იყოს, რომლითაც სტალინი ცხვირპირში სცემდეს „დეიტშე დიპლომატიშ პოლიტიშე კორესპონდენციის" მესვეურებს და თან თვითეულ დარტყმაზე, დასძენდეს — „აჰა, ესეც შენო!"

გადაიკითხეთ სტალინის შრომა „ოქტომბრის გზებზე", გაეცანით მის სხვა პოლემიკურ სტატიებსაც ოპოზიციის წინააღმდეგ და დაინახავთ, თუ რა სასწაულებს ახდენენ სტალინის ხელში მომარჯვებული ფაქტები, როგორ იბრძვიან ეს ფაქტები ბოლშევიკების სასარგებლოდ.

კიდევ უფრო გამანადგურებელია სტალინის პოლემიკური სტატიების ის ადგილები, სადაც იგი ფაქტების ღრმა ანალიზისა და გააზრების შედეგად იძლევა თავის რევოლუციურ დასკვნებს (გაიხსენეთ სტალინის ჩამოთვლა „პირველი დასკვნა", „მეორე დასკვნა", „მესამე დასკვნა" და ა. შ.). სტალინური სტრიქონების ყველაზე დიდი ძალა, სწორედ ამ დასკვნებშია.

ზოგჯერ სტალინი ხელს ჩასჭიდებს ისევ იმ ფაქტს, რომლითაც მოპირდაპირე ცდილობდა თავისი მოსაზრებების გამაგრებას. იხილავს ამ ფაქტს ახლებურად, აჰყავს იგი პრინციპულ სიმაღლემდე და იმავე ფაქტის ანალიზისა და გააზრების საფუძველზე აკეთებს მოპირდაპირისათვის სრულიად მოულოდნელ, მომსპობ და გამანადგურებელ დასკვნას.

პოლემიკურ ხერხებს შორის სტალინი ოსტატურად იყენებს პარალელებისა და დაპირისპირების ხერხებს, რომლითაც იგი აშიშვლებს მოპირდაპირის არასწორ პოზიციას და მკვეთრად წარმოგვიდგენს მთელ მის პოლიტიკურ და თეორიულ სიბეჩავეს. რომ უფრო თვალსაჩინოდ წარმოედგინა, ხალხის მტრის, ტროცკის ანტილენინური პოზიცია, პროლეტარიატის დიქტატურის საკითხში, სტალინი, ტროცკის ანტილენინურ შეხედულებებს, ამ შეხედულებების ლენინურ შეხედულებებთან დაპირისპირებისა და პარალელის გაკლების გზით ააშკარავებს.

ზოგჯერ სტალინი მოპირდაპირის მსჯელობაში არსებულ შეუსაბამო აზრებს, ამავე აზრების დაპირისპირების გზით ავლენს. მაგალითად, არჩევს რა

ბაუერის წიგნს „ნაციონალური საკითხი და სოციალ-დემოკრატია“, სტალინი წერს:

...წიგნის დასაწყისში იგი (ბაუერი, ი. ხ.) გადაჭრით აცხადებს, რომ ებრაელებს სრულიად არა აქვთ საერთო ენა და, მიუხედავად ამისა, ისინი ერს შეადგენენ. მაგრამ ვერც კი ასწრებს ასოცდაათ გვერდამდე მისვლას, რომ უკვე ფრონტს იცვლის და კვლავ გადაჭრით აცხადებს: „ეჭვს გარეშეა, რომ არავითარი ერი არ შეიძლება არსებობდეს საერთო ენის გარეშე“.

ასე არღვევს თვითონვე თავისთავს იდეალისტური ძაფით ნაკერი თეორია“ (ი. ბ. სტალინი, „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“, გვ. 14).

პოლემიკურ გამოსვლებში სტალინი გენიალურად იყენებს ხერხს, რომელსაც Redictio ad abcurdum ეწოდება. ამ ხერხის არსება იმაში მდგომარეობს, რომ სტალინი, თანამიმდევრად ავითარებს რა მოწინააღმდეგის მსჯელობას, მიჰყავს იგი აბსურდულ დასკვნამდე, რომელიც ამ მსჯელობიდან ლოგიკურად გამომდინარეობს. მაგალითად, მოჰყავდა რა ზინოვიევის დებულება, სადაც იგი, ზინოვიევი, ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის დაშვებას, ნაციონალურ შეზღუდულობად თვლიდა, სტალინი ამბობდა:

„ამრიგად, ზინოვიევის აზრით გამოდის, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის აღიარება, ნიშნავს ნაციონალური შეზღუდულობის თვალსაზრისზე დადგომას, ხოლო ასეთი შესაძლებლობის უარყოფა ნიშნავს ინტერნაციონალიზმის თვალსაზრისზე დადგომას.

მაგრამ თუ ეს მართალია, განა ღირს საერთოდ ბრძოლა ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტურ ელემენტებზე გასამარჯვებლად? განა აქედან არ გამომდინარეობს, რომ ასეთი გამარჯვება შეუძლებელია?

კაპიტულაცია ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტურ ელემენტების წინაშე — აი სადამდე მივყევართ ზინოვიევის არგუმენტაციის შინაგან ლოგიკას“... „არ უნდა აგვეღო ძალაუფლება 1917 წ. ოქტომბერში, — აი რა დასკვნამდე მივყევართ ზინოვიევის არგუმენტაციის შინაგან ლოგიკას“.

„... და ამ შეუსაბამობას, რომელსაც ლენინიზმთან საერთო არაფერი აქვს, ზინოვიევი გვაწვდის როგორც „ინტერნაციონალიზმს“, როგორც „ასპროცენტიან ლენინიზმს“.[1]

ზოგჯერ, მოწინააღმდეგის დებულებას, სტალინი აყენებს ახალ მოსალოდნელ სიტუაციაში, ახალ გარემოში და მით ააშკარავებს მის სრულ უნიადაგობას და უაზრობას. მაგალითად, მოჰყავს რა ტროცკის დებულება იმის შესახებ, რომ რევოლუცია საჭირო ძალებს იღებს არა რუსეთის მუშათა და გლეხთა შორის, არამედ მხოლოდ „პროლეტარიატის მსოფლიო რევოლუციის ასპარეზზე“, — სტალინი კითხულობს:

„როგორღა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, საერთაშორისო რევოლუციას რომ მოუგვიანდეს? არის თუ არა რაიმე ნათელი წერტილი ჩვენი რევოლუციისათვის? ტროცკი არავითარ ნათელ წერტილს არ იძლევა, ვინაიდან „მუშური მთავრობის მდგომარეობის წინააღმდეგობანი... შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ... პროლეტარიატის მსოფლიო რევოლუციის ასპარეზზე“. „ამ გეგმის მიხედვით, — განაგრძობს სტალინი, — ჩვენი რევოლუციისათვის რჩება მხო-

[1]. „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 179 — 181. ქართ. გამოც.

ლოდ ერთი პერსპექტივა: ვაივაგლახობდეს თავის საკუთარ წინააღმდეგობათა რკალში და ზეზეურად ლპებოდეს მსოფლიო რევოლუციის მოლოდინში". („ლენინიზმის საკ." გვ. 108, მე-11 ქართ. გამოც.).

სტალინის პოლემიკურ ხერხებს შორის თვალსაჩინო ადგილს იკავებს ე. წ. კონკრეტიზაციას, ე. ი. როცა მოპირდაპირის დებულებას სტალინი ამოწმებს კონკრეტული პირობების თვალსაზრისით და ამ გზით ააშკარავებს მის უვარგისობას.

შეუძლებელია შეუმჩნეველი დაგრჩეთ სტალინის პოლემიკური სტატიების ის ადგილები, როცა იგი მოპირდაპირეს მიუთითებს მისი პოზიციის მთავარ, ძირითად შეცდომაზე და ამ ძირითადი შეცდომიდან გამოჰყავს ყველა დანარჩენი შეცდომები, რომლებიც იმ ძირითადი შეცდომიდან ლოგიკურად გამომდინარეობენ.

საჭიროა აქვე აღინიშნოს, რომ სტალინი არასოდეს არ კმაყოფილდება მოპირდაპირის პოზიციაში არსებულ შეცდომათა მითითებით, არამედ მიუთითებს იმ მიზეზებზეც, რომლებიც ამ შეცდომებს იწვევენ, იმ წყაროზე, რომლებიც მათ წარმოშობენ.

პოლემიკურ გამოსვლებში სტალინი ზოგჯერ არღვევს მოწინააღმდეგის ძირითად დებულებას, ზოგჯერ, მის მოსაზრებებს (დასაბუთებას), ზოგჯერაც — მის დასკვნებს. ხდება ისიც, რომ სტალინი მართებულად სთვლის მოპირდაპირის დასკვნებს, მაგრამ უვარგისად მიიჩნევს მათ დასაბუთებას. სტატიაში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი" მენშევიკ ნ-ს შესახებ, რომელიც კავკასიის ხალხთათვის საოლქო ავტონომიას მოითხოვდა, სტალინი წერდა:

„თუ უყურადღებოთ დავტოვებთ ნ-ს დასაბუთებას, რომელიც რამდენიმედ არეული და დაუწყობელია, უნდა ვაღიაროთ, რომ მისი დასკვნა მართებულია".[1]

მოპირდაპირის ძირითადი დებულებების საფუძვლიან დარღვევას სტალინი ახდენს მაშინ, როცა აყენებს საწინააღმდეგო თეზისს და მისთვის ჩვეული დამაჯერებლობით და სიცხადით ავითარებს და ასაბუთებს მას.

სტალინის დამრღვევ კრიტიკას — მოსდევს შემოქმედებითი ნაწილი. მის კრიტიკულ დამანგრეველ ნაწილს — დადებითი შემოქმედებითი ნაწილი. ამ-ხანაგი სტალინის გრანდიოზულ კრიტიკულსა და შემოქმედებითს მუშაობას ერთი იდეა ასულდგმულებს: მტკიცედ და ურყევად დაიცვას მუშათა კლასის ინტერესები, დაუნდობლად ამხილოს და გაანადგუროს სოციალისტური რევოლუციის კლასობრივი მტრები, ჩვენი სამშობლოს გამცემლები და მოღალატენი.

მტრის განადგურებისათვის, არ კმარა მხოლოდ მიზანში სწორად ამოღება, საჭიროა მიზანში მაგარი დარტყმა.

სტალინის შეურიგებელი ბრძოლების ისტორია მენშევიკების, ანარქისტების, ფედერალისტებისა და ყოველგვარი ჯურის ოპორტუნისტების წინააღმდეგ, მისი პოლიტიკური და თეორიული შეტაკებანი, ოპოზიციის ლიდერებთან ახასიათებენ სტალინს, როგორც შეუდარებელ პოლემისტს, რომელიც არა მარტო ხედავს მოწინააღმდეგის სუსტ ადგილებს, არამედ იცის ისიც, თუ თვითეულ კონკრეტულ შემთხვევაში როგორ და რა ხერხებით

[1] ი. სტალინი. „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი", გვ. 42. ქართ. გამოც.

უნდა ამხილოს მტერი, რომელიც ზოგჯერ რევოლუციური ფრაზებით და ფარისევლური მანევრებით ინიღბავს თავს.

აი რამდენიმე მაგალითი იმისა, თუ თვითეულ კონკრეტულ შემთხვევაში როგორ ააშკარავებს სტალინი კლასობრივ მტერს, მოღალატეს, ოპორტუნისტს, როგორ აგლეჯს იგი მათ თვალთმაქცურ ნიღაბს, ამხელს მათ ორიგინალურ ბაზობას.

როცა სტალინის უძლეველი ლოგიკის ძალით გაცამტვერებული იქნა ხალხის უსაზიზღრესი მტრის, ტროცკის მიერ წამოყენებული ეგრედწოდებული „პერმანენტული რევოლუციის თეორია“, ხოლო შემდეგ, ოქტომბრის რევოლუციის ძლევამოსილმა მსვლელობამ ამ „თეორიიდან“ მის ავტორს ჩლიქები და რქებიც კი არ დაუტოვა, ქვეწარმავალი ტროცკი იხტიბარს მაინც არ იტეხდა და ავითარებდა აზრს, რომ თითქოს „პერმანენტული რევოლუციის“ თეორიის მხოლოდ ზოგიერთი მხარე მოძველდა.

გენიალურად ამხელდა რა გაიძვერა ტროცკის ორაზროვან, მიკიბულ-მოკიბულსა და ფარისევლურ მანევრს, სტალინი დაცინვით ამბობდა: „... განა პერმანენტული რევოლუციის თეორია შეხედულებათა მთლიან სისტემას არ წარმოადგენს? განა შეიძლება განვიხილოთ პერმანენტული რევოლუციის თეორია, როგორც ყუთი, რომლის ორი კუთხე, ვთქვათ დალპა, ხოლო ორი დანარჩენი კი დაუზიანებელი დარჩა? ტროცკი ლაპარაკობს პერმანენტული რევოლუციის ზოგიერთ ნაკლზე, მაგრამ, სახელდობრ, რომელი ნაკლი აქვს მას მხედველობაში და რომელი მხარეები ამ თეორიისა მას მიაჩნია სწორად — ამის შესახებ მას კრინტიც არ დაუძრავს... ტროცკი ამ შემთხვევაში მოიქცა ისე, როგორც ძველ დროს ზოგიერთი მოხერხებული ორაკულები იქცეოდნენ, როცა ისინი ხალხს თავიდან იშორებდნენ ორაზროვანი პასუხით, როგორც, მაგალითად: „მდინარეზე გასვლის დროს დამარცხდება დიდი ჯარი“. რომელ მდინარეზე, ვისი ჯარი დამარცხდება — მოდით და გაიგეთ“ („კიდევ სოც. დემოკ. გადახრაზე ჩვენს პარტიაში“, გვ. 64).

როგორც ხედავთ, ძველი ორაკულის გამოთქმა ოსტატურად გამოიყენა სტალინმა იმისათვის, რომ თვალნათლივ ეჩვენებინა ქვეწარმავალ ტროცკის სოფისტური გამოსვლები და თვალთმაქცური მანევრები.

პოლიტიკურ ბრძოლაში სტალინი გასაოცარი ოსტატობით ახერხებს თვით მათემატიკური ფორმულების მომარჯვებასაც, ისე, რომ ხანგრძლივ სიცილსა და ტაშს იწვევს მსმენელებში. დაუვიწყარია ამ მხრივ სტალინის ერთ-ერთი მოხსენების ის ადგილი, სადაც იგი არითმეტიკისა და ალგებრის ფორმულების დაპირისპირების გზით გვიხსნის ანტიპარტიული ბლოკის პოლიტიკურად გახრწნის მიზეზებს. ცნობილია, რომ 1926 წელს, როცა პარტიის ცენტრალური კომიტეტი გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდა სოციალ-დემოკრატიულ გადახრებთან, ამ ბრძოლაში ლენინური პარტიის წინააღმდეგ გაერთიანდნენ „ძველი“ და „ახალი“ დამარცხებული ოპოზიციის ძალები. ოპოზიცია ფიქრობდა, რომ ანტიპარტიულ ბლოკში გაერთიანებულ ძალებით შესძლებდა ძირგამომთხრელი მუშაობა ეწარმოებია პარტიის წინააღმდეგ, თავისი ოპორტუნიზმით და უპრინციპობით გახრწნიდა პარტიას, დაშლიდა მის რიგებს. ანტიპარტიულ ბლოკს თითქოს ჰქონდა ერთგვარი საბუთი ასეთი წარმოდგენა შეექმნა თავის ბლოკზე, რამდენადაც ოპოზიციის დაჯგუფებათა ერთ ბანაკში გაერთიანება გაზრდიდა მის არმიას და გაუადვილებდა

ბრძოლას პარტიის წინააღმდეგ. მაგრამ სინამდვილეში ანტიპარტიული ბლოკის ჩამოყალიბებამ არამც თუ გააძლიერა ოპოზიციის ძალები პარტიის წინააღმდეგ, არამედ უფრო დაასუსტა იგი და გახრწნის გზაზე დააყენა. თითქოს გაუგებარია, მაგრამ მაინც ფაქტია და ფაქტი, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა ახსნას. და აი, თავის მოხსენებაში 1926 წლის [illegible] (ბ) კონფერენციაზე სტალინი მათემატიკური ფორმულების მომარჯვებით იძლევა ამ ფაქტის ისეთი სიცხადით ახსნას, რომ იგი დიდიხნით არ დაავიწყდებათ მსმენელებს.

„ამგვარად — ამბობს სტალინი ოპოზიციონერების შესახებ — გამოდის, რომ მართალია, მათ ბლოკი დიდი ამბით ჩამოაყალიბეს, მაგრამ შედეგი მიიღეს იმის საწინააღმდეგო, რასაც ისინი ამ ბლოკისაგან მოელოდნენ. გამოდის, რომ არითმეტიკის თვალსაზრისით მათ უნდა მიეღოთ პლიუსი, ვინაიდან ძალების შეკრება იძლევა პლიუსს, მაგრამ მათ მხედველობიდან გაუშვეს ის, რომ არითმეტიკის გარდა არსებობს კიდევ ალგებრა, რომ ძალების ყოველგვარი შეკრება არ იძლევა პლიუსს (სიცილი), ვინაიდან აქ საქმე დამოკიდებულია არა მხოლოდ ძალების შეკრებაზე, არამედ იმაზეც, თუ რა ნიშნებია შესაკრებების წინ (ხანგრძლივი ტაში), გამოვიდა ის, რომ ისინი, ძლიერნი არითმეტიკის დარგში, სუსტნი აღმოჩნდნენ ალგებრის დარგში, ამასთან, ძალების შეკრებით მათ არამც თუ გაზარდეს თავისი არმია, არამედ, პირიქით დაიყვანეს იგი მინიმუმამდე, მიიყვანეს იგი დაშლამდე.

რით იყო ძლიერი ზინოვიევის ჯგუფი?

იმით, რომ იგი ეწეოდა გარდამწყვეტ ბრძოლას ტროცკიზმის წინააღმდეგ. და როგორც კი ზინოვიევის ჯგუფმა უარი სთქვა ტროცკიზმთან თავის ბრძოლაზე, მან ასე ვთქვათ, დაისაჭურისა თავი, დაიუძლურა თავი.

რით იყო ძლიერი ტროცკის ჯგუფი?

იმით, რომ იგი 1917 წლის ოქტომბერში... გადამწყვეტ ბრძოლას ეწეოდა ზინოვიევისა და კამენევის შეცდომების წინააღმდეგ... მაგრამ როგორც კი ამ ჯგუფმა უარი სთქა ზინოვიევისა და კამენევის გადახრებთან ბრძოლაზე, მან დაისაჭურისა თავი, დაიუძლურა თავი.

გამოვიდა დასაჭურისებული ძალების შეკრება (სიცილი. ხანგრძლივი ტაში). ცხადია, რომ აქედან არ შეიძლებოდა რამის მიღება, გარდა კონფუზისა“.

აი კიდევ, ერთი შესანიშნავი ნიმუში იმისა, თუ როგორ ამხელდა ამხანაგი სტალინი მემარჯვენე ოპოზიციის ლიდერებს, რომლებიც პარტიის პოლიტიკიდან „გადახვევებზე“ ხმაურით ცდილობდნენ პარტიის სწორი პოლიტიკის გაუქმებას.

ცნობილია, რომ მემარჯვენე ოპოზიციის რიგებში, ბუხარინის ჯგუფის რიგებში, ერთ დროს ყველაზე მოდური სიტყვას წარმოადგენდა სიტყვა „გადახვევები“. ყოველ გზაჯვარედინზე ხსენებული ოპოზიციონერები გაცხარებით გაჰყვიროდნენ „გადახვევებზე“ უმთავრესად პურის დამზადების საკითხში. ერთის შეხედვით თითქოს ამ სიტყვაში არაფერი არ უნდა იყოს ცუდი. პირიქით, გამოდის რომ მემარჯვენეებს გული შეტკივთ იმაზე, რომ აღგილი აქვს სწორი ხაზიდან გადახვევებს. მაგრამ სტალინი მიუხვდა მემარჯვენე ოპოზიციის თვალთმაქცურ მანევრებს, მიუხვდა თუ რაში მდგომარეობდა მათი „გადახვევებზე“ ლაყბობის ქვენიადაგი და შემდეგი სიტყვებით ამხილა ესინი:

„ამ სიტყვას (სიტყვა „გადახვევებს“, ი. ხ.) მათ შორის — ამბობდა სტალინი, — ყველაზე მეტი გასავალი აქვს, რადგან იგი შველის მათ დაჰფარონ თავიანთი საკუთარი ხაზი. როცა მათ უნდათ დაჰფარონ საკუთარი ხაზი, მაშინ ისინი ჩვეულებრივ ლაპარაკობენ: „ჩვენ, რა თქმა უნდა, კულაკებზე დაწნევის წინააღმდეგი არა ვართ, მაგრამ ჩვენ წინააღმდეგი ვართ გადახვევებისა, რომლებსაც უშვებენ ამ სფეროში და რომლებიც ლახავენ საშუალო გლეხის ინტერესებს. შემდეგ მოჰყვებიან ამბებს იმ გადახვევების საშინელებათა შესახებ, კითხულობენ „გლეხების“ წერილებს, კითხულობენ ამხანაგების, როგორიც არის, მაგალითად, მარკოვი, პანიკურ წერილებს და, ბოლოს, გამოჰყავთ დასკვნა: უნდა გაუქმდეს კულაკობაზე დაწნევის პოლიტიკა. როგორ მოგწონთ: რადგან სწორი პოლიტიკის გატარებაში გადახვევებია, ამიტომ, თურმე ნუ იტყვით, საჭიროა თვით ამ სწორი პოლიტიკის გაუქმება. ასეთია ოპორტუნისტების ჩვეულებრივი ხერხი: სწორი ხაზის გატარებისას გადახვევების დაშვების გამო — გაუქმდეს ეს ხაზი და შეიცვალოს იგი ოპორტუნისტული ხაზით..

რა თქმა უნდა, ჩვენ ყველანი ამ გადახვევების წინააღმდეგი ვართ. — ეს ცხადია და ამაში არ შეიძლება არავითარი ეჭვის შეტანა. მაგრამ გადაჭრით წინააღმდეგი ვართ იმისა, რომ გადახვევებზე ლაყბობით, რასაც გულმოდგინეთ ეწევა ბუხარინის ჯგუფი, გავაუქმოთ ჩვენი პარტიის რევოლუციური პოლიტიკა და შევცვალოთ იგი ბუხარინის ჯგუფის ოპორტუნისტული პოლიტიკით. არა, ეს ნომერი თქვენ არ გაგივათ“ („ლენ. საკ.“ გვ. 328).

მტრების მიმართ როგორც მარქსი და ენგელსი, ასევე ლენინი და სტალინი დაუნდობელნი არიან. მტრის მიმართ დაუნდობლობა ჰქონდა მხედველობაში მერინგს, როცა ამბობდა, რომ „მარქსს და ენგელსს „კარგი ტონის“ ცოტა რამ ესმოდათო“. „ულმობელობა — კრიტიკის უპირველესი პირობაა“, იტყოდა მარქსი. „მტრის ყოველ დარტყმაზე, — წერდა ენგელსი, — საჭიროა ორმაგი, სამმაგი დარტყმა, ასეთი იყო ჩვენი პრაქტიკა იმთავითვე და ვფიქრობ... ჩვენ საკმაოდ კარგად ვამარცხებდით მტერს“.

მოწინააღმდეგის მიმართ როგორც მარქსი და ენგელსი, ისე ლენინი და სტალინი არ ერიდებიან არავითარ უხეშსა და ტლანქ სიტყვას, თუ კი ამ სიტყვით უფრო სრულად გამოხატავენ მის არსებას.

გადაიკითხეთ ლენინის სტატია „გრაფ გეიდენის შესახებ“, სადაც ავტორი არ ერიდება არავითარ მაგარსა და მკვახე სიტყვას, რათა სათანადოდ შეამკოს მონური სულისკვეთების მქონე ბურჟუაზიული ლაქიები და პოლიტიკური პირმოთნეები:

„თქვენ გონებას უჩლუნგებთ რუს ხალხს და ნერგავთ მასში ქედმოხრილობისა და მონობის მიაზმებს ასჯერ . უფრო მეტად, ვიდრე ამას სჩადიან ყბადაღებული შავრაზმელები... თქვენ მხოლოდ მოწუწუნე სულელები ხართ, თქვენი ლიბერალური ღვთისგლახობით ჰფარავთ თქვენსავე უუნარობას გახდეთ სხვა რამ, ვიდრე იმავე მემამულეთა კლასის კულტურული ლაქიები. თქვენი სიტყვები თავისუფლებისა და დემოკრატიის შესახებ ნიღაბია, გაზეპირებული ფრაზებია, მოდის შესაფერი ლაყბობა ანუ პირმოთნეობაა. ეს შეფერადებული აბრაა. ხოლო თავისთავად თქვენ შეთითხნილი კუბოები ხართ. თქვენი სული მთლიანად ხეპრულია, ხოლო მთელი თქვენი განათლებულობა, კულტურულობა და განსწავლულობა კვალიფიციურ პროსტიტუციის ერთ-ერთი სახეობაა, ვინაიდან თქვენ ჰყიდით საკუთარ

ხულს და ჰყიდით მას არა მარტო იმიტომ, რომ გიჭირთ, არამედ ნელოვნების სიყვარულით".[1]

„მოწუწუნე სულელები", „ლიბერალური ღვთისგლახაკები", „[illegible]", „ფრაზიორები", „მოლაყბეები", „პირმოთნეები", „შეთითხნილ[illegible]", „ხეპრეები", „კვალიფიციური პროსტიტუტკები", „საკუთარი სულის მოვაჭრენი". აი ეპითეტები, რომლითაც ლენინი ზემოდმოყვანილ ამონაწერში უმასპინძლდება გაზ. „Товарищ"-ში მოთავსებულ ნეკროლოგის ავტორებს, რომლებიც მონური სულისკვეთებით ქებათა-ქებას უმღერდნენ გრაფ გეიდენის ხსოვნას.

პრინციპულ ბრძოლაში სტალინი დაუნდობლად ანადგურებს არა მარტო იმათ, რომლებიც ბარიკადების იქით იბრძვიან, სტალინი დაუზოგავია იმ გუშინდელი „ავტორიტეტების" მიმართაც, რომლებიც ბოლომდის ვერ იჩენენ საკმაო პრინციპულობას, გადამწყვეტ ბრძოლის მძიმე წუთებში დგებიან განზე და იწყებენ წუწუნს და სენტიმენტალური შემარიგებლობის ქადაგებას. ასეთების მიმართ, თუნდ ისინი „მეტად კეთილი განზრახვით" იყვნენ გამსჭვალულნი, სტალინი თითქოს იმეორებს მარქსის სიტყვებს: „მე ვაფურთხებ ყოველგვარ კეთილ განზრახვასო". მტრის მიმართ დაუნდობლობაზე მჭერმეტყველურად ლაპარაკობს ჯერ მარტო ის გამანადგურებელი ეპითეტები, რომლითაც სტალინი უმასპინძლდება რევოლუციის მტრებს და მოღალატეთ.

სტალინის თვალში ზოგი დონ-კიხოტია, სანჩო-პანსა, პომპადური, პრეშიბეევი, ზოგიც ლიაპკინ-ტიაპკინი, ფუტლარის კაცი, ტარტარენ ტარასკონელი. ზოგ შემთხვევაში სტალინის ეპითეტი არ იწვევს ლიტერატურულ ასოციაციებს და მოწინააღმდეგეს თვითონ აძლევს იმ სახელს, რომელიც მას შეფერის და მის ბუნებას გამოჰხატავს. თავის აზრებს და შეხედულებებს სტალინი გამოსთქვამს „მკვეთრად და მაგრად, მაგრამ პატიოსნად და გულმართლად, შეუღამაზებლად, ისე, როგორც იცოდა ლაპარაკი ლენინმა". სტალინისათვის სინამდვილის შეფერადება ნიშნავს იმას, რომ ზიანი მიაყენო მას, ამ სინამდვილეს. სტალინი არ ერიდება აღშფოთების გამომხატველ ყველაზე მაგარსა და მკვახე სიტყვებს და აშკარად და უშიშრად უწოდებს საგანს თავის სახელს, თუნდ ეს სახელი ძალზე უხეში და ტლანქი იყოს მოსასმენად. ასე, მაგალითად, მენშევიკები სტალინის თვალში ეს „მეორე ინტერნაციონალის მედავითნეებია", „დიპლომირებული ლაქიები", „ქვეყნის მხსნელები" ფრჩხილებში, „კონტრრევოლუციონერები", „ასოკირკიტები", „რენეგატები" და სხვ.

თვითმპყრობელ მეფის მიმართ სტალინის პროკლამაციაში ვხვდებით ეპითეტებს:

„ნიკოლოზ ტვინთხელი", „ნიკოლოზ სისხლიანი", „ნიკოლოზ უკანასკნელი", „გვირგვინოსანი ჯალათი", „სრულიად რუსეთის ჯალათი", „ტირანი მეფე", „შხამიანი გველი", „სულთამხუთავი", „ნამუსგარეცხილი", „ბინძური", „ტვინგამოლაყებული", „გათახსირებული", „უტიფარი", „ცბიერი", „სულელი მეფე".

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. კრებ. ტ. XII, გვ. 5—7

ზოგჯერ სტალინი ირონიული გაზვიადებით მეფის მიმართ ამბობს: „ყოვლად მოწყალე გული მონარქისა“ და ა. შ.

თვითმპყრობელობის მიმართ სტალინის ტექსტში შეხვდებით ეპითეტებს: „საზიზღარი ორთავიანი ურჩხული“, „რეაქციის საბუდარი“, „დალაქავებული ტახტი“, „თვითმპყრობელობის გველეშაპი“, „სისხლისმსმელი მხეცი“, „სისხლით გაუმაძღარი ორთავიანი არწივი“, „ძირგამომპალი რუსეთის ბასტილია“ და ა. შ.

სახელმწიფო სათათბიროს სტალინმა დაარქვა:

„პეტერბურგის კანცელარიათა ნაბუშარი“.

ჰიტლერელთა პარტიას სტალინი უწოდებს „პარტია შუასაუკუნოებრივი რეაქციისა - და შავრაზმული რბევა-აწიოკებისა“. ფაშისტების მიმართ სტალინის ტექსტში შეხვდებით ეპითეტებს: „მუხანათები“, „ვერაგები“, „გარეული მხეცები“, „თავშეყვარებული ჰიტლერელი ბრიყვები“, „ავაზაკები“, „ავანტურისტები“, „ფაშისტი ყაჩაღები“, „ქოფაკი ძაღლები“, „გათავხედებული მატყუარები“, „საზიზღარი მტრები“, „არამზადები“ და ა. შ.

აქვე საჭიროა ითქვას, რომ სტალინის არც ერთი ეპითეტი არ არის ჰაერში გასროლილი ზოგადი ფრაზა. თვითეული მისი ეპითეტი ისეთ აზრობრივ გარემოშია გამოთქმული, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მოპირდაპირის თვისებას მოცემულ კონკრეტულ ვითარებაში. როცა, მაგალითად, მეფის მიმართ, სტალინი ირონიულად ამბობს: „ყოვლად მოწყალე გული მონარქისა“, ამით ეხება მეფის იმ მხარეს, სადაც იგი ცდილობს ხალხს დაუმტკიცოს თავისი გულმოწყალეობა. როცა სტალინი იმავე მეფის მიმართ ამბობს — „ცბიერი“, ან „სულელი მეფე“—ამ სიტყვებით იგი გამოხატავს მეფის იმ მხარეს, როცა იგი ავლენს თავის ცბიერებას ან სისულელეს.

ამასთან, უნდა ვიცოდეთ, რომ მიუხედავად იმ სიმკაცრისა და ულმობელობისა, რომელსაც სტალინი იჩენს მტერთან ბრძოლაში, სტალინი იმავე მტრის მიმართ უაღრესად კეთილსინდისიერია. სტალინის მოქნეული ხმალი ყოველთვის მოზომილია იქამდის, რომ, როცა რომელიმე ეპითეტი, სურათი, ანალოგია ან მაგალითი, რომელიც მას მოჰყავს მოპირდაპირის დასახასიათებლად, რამდენიმედ გაზვიადებულია და ზუსტად ვერ გამოხატავს სტალინურ აზრს, სტალინი საჭიროდ სთვლის იქვე მიუთითოს ამ გარემოებაზე.

სტალინის კეთილსინდისიერებაზე გარკვევით ლაპარაკობს აგრეთვე სტალინური ციტაციები. ამ კეთილსინდისიერებას იჩენდა სტალინი ბრძოლაში ისეთ ვერაგ მტერთანაც კი, როგორიც იყო ტროცკი.

სტატიაში „ოქტომბრის რევოლუცია და რუსეთის კომუნისტების ტაქტიკა“ სტალინი, არკვევს რა ტროცკის ანტილენინურ შეხედულებებს პროლეტარული რევოლუციის თეორიის საკითხში, მოჰყავს სათანადო ციტატა ტროცკის ბროშურიდან „ჩვენი რევოლუცია“ (1906 წ.), სადაც იგი, ტროცკი, წინააღმდეგ პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორიისა, გარკვევით გამოთქვამს აზრს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობის შესახებ. მაგრამ სტალინი არ კმაყოფილდება ტროცკის მხოლოდ ხსენებულ ბროშურაში გამოთქმული აზრით და განაგრძობს:

„მაგრამ დავუშვათ, რომ ტროცკის ეს ბროშურა, გამოცემული 1906 წელს, როდესაც ძნელი იყო ჩვენი რევოლუციის ხასიათის გამორკვევა, შეიცავს უნებლიე შეცდომებს და სავსებით არ შეეფერება ტროცკის მერ-

მინდელი პერიოდის შეხედულებებს. გავარჩიოთ ტროცკის მეორე ბროშურა, მისი „ზავის პროგრამა“, რომელიც გამოქვეყნდა 1917 წელს ოქტომბრის რევოლუციის წინ და ხელახლა დაიბეჭდა (1924 წელს) წიგნში: „1917“. ამ ბროშურიდანაც სტალინს მოჰყავს სათანადო ციტატა, სადაც ტროცკი წინააღმდეგ პროლეტარული რევოლუციის ლენინური თეორიისა აგრეთვე ისევ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შეუძლებლობაზე ლაპარაკობს. მოყვანილი ფაქტები თითქოს სავსებით საკმარისი უნდა ყოფილიყო იმისათვის, რომ ტროცკის ანტილენინურ შეხედულებებზე საბოლოო აზრი დაგვედგინა. მაგრამ სტალინი უფრო ფრთხილია. მისი მკაცრი მეცნიერული და ლიტერატურული სინიდისისათვის, ეს ფაქტები კიდევ საკმარისი არ არის. მას არ შეუძლია საბოლოო მსჯავრი გამოიტანოს, თუ სავსებით დარწმუნებული არ არის იმ ბრალდებაში, რომელსაც ის მოპირდაპირეს უყენებს. ტროცკის ანტილენინურ შეხედულებათა საბოლოო დადგენისათვის სტალინს საჭიროდ მიაჩნია მოიყვანოს კიდევ ერთი ფაქტი. ქვევით, სტალინი განაგრძობს:

„მაგრამ, იქნება, ტროცკის ეს ბროშურაც მოძველდა და იგი, ამათუიმ მიზეზით, აღარ შეეფერება მის ახლანდელ შეხედულებებს? ავიღოთ ტროცკის სულ მერმინდელი ნაშრომი, დაწერილი მას შემდეგ, რაც პროლეტარულმა რევოლუციამ გაიმარჯვა ერთ ქვეყანაში, რუსეთში. ავიღოთ, მაგალითად, ბროშურა „ზავის პროგრამის“ ახალი გამოცემის „ბოლოსიტყვაობა“, დაწერილი ტროცკის მიერ 1922 წელს“. ამ ბროშურის „ბოლოსიტყვაობიდანაც“ სტალინს მოჰყავს სათანადო ციტატა, სადაც ტროცკი თავის ძველ შეხედულებებს ისევ მტკიცედ იმეორებს და მხოლოდ ამის შემდეგ ფაქტების ზედმიწევნით შესწავლის შემდეგ, სტალინს გამოაქვს საბოლოო აზრი ტროცკის ანტილენინური შეხედულებების შესახებ.

რათა ესა თუ ის აზრი დაიყვანოს მოსაუბრემდე, სტალინი უხვად სარგებლობს მოსწრებული ჰუმორით.

მტრების მიმართ სასტიკი და მომსპობი დარტყმებისათვის სტალინი დიდი ხელოვნებით იყენებს ისეთ მახვილ საშუალებებს, როგორიცაა ირონია, დაცინვა, სარკაზმი. სტალინის პოლიტიკურ მტრებთან დამოკიდებულებას შესანიშნავად გამოჰხატავს პოეტის სიტყვები, რომლის განმეორება უყვარდა ენგელსს:

„არა არის რა მშვენიერი ამ ქვეყნად, ვიდრე
გესლიან ისრით საკუთარი მტრების დაკოდვა“.

დაცინვა, როგორც მტრის განმგმირავი საშუალება, სტალინს გამოყენებული აქვს ლენინიზმის მტრების წინააღმდეგ, თანამედროვე ობივატელების, „უბრძნესი პესკარების“, „პომპადურების“, „დონკიხოტების“, „უპრინციპო საქმოსნების“, „ფუტლარის კაცების“, მოლაყბეებისა და სხვათა მიმართ.

თუ მოპირდაპირე უსუსური და არასერიოზულია, სტალინი არ სთვლის ღირსად მას კამათში გაჰყვეს და მხოლოდ დაცინვით სპობს მას. უცხოელ მუშათა დელეგაციიდან იყო მეცხრე შეკითხვა სტალინისადმი. აი ამ კითხვის შინაარსი:

„მართალია თუ არა აზრი, რომელსაც რუტფიშერი და მასლოვი ავრცელებენ გერმანიაში იმის შესახებ, რომ კომინტერნი და რუსეთის პარტიის

ახლანდელი ხელმძღვანელობა მუშებს ხელში უგდებს კონტრრევოლუციას?"

ამხანაგმა სტალინმა ამ შეკითხვას გამანადგურებელი დაცინვით უპასუხა. ეს პასუხი:

„უნდა ვიფიქროთ, რომ მართალია. უნდა ვიფიქროთ, რომ კომუნისტური და საკავშირო კომპარტია საბჭოთა კავშირის მუშათა კლასს ხელში უგდებენ ყველა ქვეყნის კონტრრევოლუციონერებს. კიდევ მეტი, მე შემიძლია გაცნობოთ, კომინტერნმა და საკ. კომპარტიამ ამ დღეებში გადასწყვიტეს დაბრუნონ საბჭოთა კავშირში ჩვენი ქვეყნიდან გაძევებული ყველა მემამულე და კაპიტალისტი და დაუბრუნონ მათ ფაბრიკები და ქარხნები. ეს კიდევ ყველაფერი არ არის. კომინტერნი და საკ. კომპარტია უფრო შორს წავიდნენ და გადასწყვიტეს, რომ დადგა დრო, როცა ბოლშევიკებმა უნდა დაიწყონ ადამიანის ხორცის ჭამა, ბოლოს, ჩვენ გვაქვს გადაწყვეტილება მოვახდინოთ ყველა ქალის ნაციონალიზაცია და პრაქტიკაში შემოვიღოთ საკუთარი დების გაუპატიურება (საერთო სიცილი), ვის შეეძლო ასეთი კითხვის მოცემა? მე ვხედავ, რომ თქვენ იცინით. შესაძლოა, რომ ვინმე თქვენგანმა იფიქროს, რომ მე კითხვას არასერიოზულად ვეკიდები. დიახ, ამხანაგებო, შეუძლებელია სერიოზულად უპასუხო ასეთ კითხვას. მე ვფიქრობ, რომ ასეთ კითხვებზე შეიძლება პასუხის გაცემა დაცინვით (მქუხარე ტაში)." („ლენინიზმის საკითხები", მე-9 გამოცემა, გვ. 353).

დაცინვის გესლით მომსპობი სტალინის საშუალებანი საფუძვლიან შესწავლას მოითხოვენ. ზოგ შემთხვევაში სტალინი მოპირდაპირეს მოსაკლავად არ იმეტებს, — ზოგს წკიპურტს სცემს, თითქოს აფრთხილებს, ტუქსავს, აწითლებს; ზოგჯერ, — თუ მოპირდაპირე გამოუსწორებელია, — სტალინი თავისი ლოგიკის მარწუხებში ახრჩობს და ამით რომ არ კმაყოფილდება, მომაკვდინებელი სარკაზმის გესლით სპობს. ყველას, ვინც რისი ღირსია — იმას მიუზღავს. ზოგჯერ გგონია, რომ სტალინი მხოლოდ წკიპურტს სცემს, მაგრამ ეს წკიპურტი ისეთი ძალისაა, რომ მოწინააღმდეგეს სპობს და ანადგურებს. ზოგჯერ გამანადგურებელია სტალინის ირონიული ბრჭყალები და ირონიული შეძახილები.

სტატიაში „მუნიციპალური კამპანია" („პრავდა № 63. 1917 წ. 26 მაისი) სტალინი ობორონცების („ედინსტვას", ბუნდის, ესერების, მენშევიკების, ტრუდოვიკების) კადეტურ ბუნებას ირონიული შეძახილებით ამხელს:

„მაგრამ რამ გააერთიანა ერთ ბლოკში ეს სხვა და სხვა ჯურის ჯგუფები? რამ და იმან, რომ ისინი უნდობლად, მაგრამ გადაკიდებით მიჩანჩალებენ კადეტების კვალს, რომ მათ ერთიანად გარკვეეთ არ უყვართ ჩვენი პარტია. ყველა ისინი, როგორც კადეტები, მომხრე არიან ომის, მაგრამ არა დაპყრობისათვის (ღმერთმა ნუ ქნას!), არამედ... უანექსიო და უკონტრიბუციო ზავისათვის, ომი ზავისათვის... ყველა ისინი, როგორც კადეტები, მომხრე არიან „რკინისებური დისციპლინის", მაგრამ არა ჯარისკაცების დამორჩილებისათვის, (რასაკვირველია, არა!), არამედ ისევ ჯარისკაცთა ინტერესებისათვის...

ყველა ისინი, როგორც კადეტები, მომხრე არიან შეტევის, მაგრამ არა ინგლის-საფრანგეთის ბანკირთა ინტერესებისათვის (ღმერთმა დაიფაროს!), არამედ „ჩვენი ნორჩი თავისუფლების"... ინტერესებისათვის.

ყველა ისინი, როგორც კადეტები, წინააღმდეგი არიან მუშების ანარქის-

ტული მისწრაფებისა, ხელში ჩაიგდონ ფაბრიკები და ქარხნები (იხ. „რაბოჩაია გაზეთა“ 21 მაისი), მაგრამ არა კაპიტალისტთა ინტერესებისათვის (რა საშიხელებაა!), არამედ იმისათვის, რომ რევოლუციით არ დაფრთხონ კაპიტალისტები, ე. ი. რევოლუციის ინტერესებისათვის...

საერთოდ ყველა ისინი რევოლუციის მომხრე არიან, [illegible] (იმდენად!), რამდენადაც იგი საშიში არ იქნება კაპიტალისტებისა და მემამულეებისათვის, რამდენად ის უკანასკნელთა ინტერესების წინააღმდეგ არ იქნება მიმართული“.

როგორც ამ ამონაწერიდან სჩანს, შეძახილები „ღმერთმა ნუ ქნას!“, „ღმერთმა დაიფაროს!“, „რასაკვირველია, არა!“, „რა საშინელებაა!“ — მწარე ირონიული სახრეა, ობოროხცების ზურგზე გადარტყმული.

სტატიაში „თათბირის შედეგები“ („პროლეტარიი“, № 4, 1917 წ. 17/30 აგვისტო), ამხანაგი სტალინი გადმოგვცემს იმ თათბირის შინაარსს, სადაც კადეტები „სოციალისტ“ ობორონცების ხელებით ანხორციელებდნენ თავიანთ კონტრრევოლუციურ ზრახვებს და მათთან ერთად ხმაშეწყობილად სწყვეტდნენ ბოლშევიზმის განადგურების საკითხს. ამ სტატიაში სტალინ• გამანადგურებელი ირონიული ბრჭყალებით დასცინის იმ „ბრძოლას“, რომელსაც ვითომდა ხსენებულ თათბირზე ობორონცები აწარმოებდნენ კადეტების წინააღმდეგ.

აი პირველი სტრიქონები ამ სტატიისა:

„დაიხურა მოსკოვის თათბირი.“

„ორი მოწინააღმდეგე ბანაკის მძაფრი შეჯახების“ შემდეგ, მილიუკოვის და წერეთლის „სისხლიანი ბრძოლის“ შემდეგ, იმის შემდეგ, რაც „ბრძოლა“ დამთავრდა, დაჭრილები აკრეფილია — შეიძლება იკითხოთ: რით დაბოლოვდა მოსკოვის „ბრძოლა“, ვინ მოიგო, ვინ წააგო?“

სტალინის სტატიიდან მთელი ეს ამონაწერი, ამ ამონაწერის ბრჭყალებში ჩასმული ყოველი სიტყვა მწარე ირონიული შოლტია, რომელიც ცხვირპირში სცემს ობორონცებს, თავიანთი შემთანხმებლური პოლიტიკით რომ ჰყიდდნენ რევოლუციას.

გაიძვერა ტროცკის მიერ ლენინიზმის „განსაზღვრაზე“, სტალინი ირონიული თავაზიანობით შენიშნავდა: „ყოველივე ეს, ძალზე მშვენიერია, მუსიკალური და, თუ გნებავთ, დიდებულიც, აკლია მხოლოდ „წვრილმანი“ — უბრალო და ადამიანური განსაზღვრა ლენინიზმისა“. (ი. სტალინი. სოციალდემოკრატიულ გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში, გვ. 54).

სტალინის მთელი ამ წინადადების ღრმად დამცინავი შინაარსი შეერთებულია გარეგნულად თავაზიან ტონთან, თვითეული სიტყვა არის დაცინვა. რომელიც ერთდროულად ამხელს ტროცკის მიერ მოცემული ლენინიზმის „განსაზღვრის“ სრულ სიბეჩავეს და უსუსურობას. აქ გამოყენებულია, როგორც ი რ ო ნ ი უ ლ ი გ ა ზ ვ ი ა დ ე ბ ა, („მშვენიერია, მუსიკალური და თუ გნებავთ დიდებულიც“), ისე, ი რ ო ნ ი უ ლ ი დ ა კ ნ ი ნ ე ბ ა: („აკლია მხოლოდ „წვრილმანი“ — უბრალო და ადამიანური განსაზღვრა ლენინიზმისა“).

თავის მოხსენებაში „მემარჯვენე გადახრის შესახებ საკავშირო კომუნისტურ პარტიაში“, ეხებოდა რა ხალხის მტერს ბუხარინს, და მის პოზიციას სახელმწიფოს უარყოფისა კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ გარდამავალ პერიოდში—სტალინი ამბობდა: „ბუხარინს აქ გამოეპარა „წვრილმანი“, სა-

ხელდობრ მას გამოეპარა მთელი გარდამავალი პერიოდი, როცა მუშათა კლასი ვერ გასძლებს თავისი საკუთარი სახელმწიფოს გარეშე, თუ მას ნამდვილად სურს ბურჟუაზიის დათრგუნვა და სოციალიზმის აშენება“ („ლენინიზმის საკითხები“, გვ. 326).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტალინის ირონიული ბრჭყალების მათრახები მწვავედ ეცემა ტროცკისტებს, მტერს ზინოვიევსაც.

შრომაში „სოციალდემოკრატიული გადახრის შესახებ ჩვენს პარტიაში“ სტალინი ზინოვიევისა და მისი ჯგუფის მიმართ ამბობდა:

„ზინოვიევი ერთ დროს ტრაბახობდა, რომ მას შეუძლია ყური დაადოს მიწას (სიცილი) და როცა ის ყურს ადებს მიწაზე, მას ესმის ისტორიის ნაბიჯები. ადვილი შესაძლებელია, რომ ეს ნამდვილად ასეც იყოს, მაგრამ ერთი მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ ზინოვიევს, რომელსაც შეუძლია ყურის მიწაზე დადებით მოისმინოს ისტორიის ნაბიჯები, ზოგჯერ არ ესმის „წვრილმანი“... შესაძლოა, ოპოზიციას მართლაც შეუძლია მიწაზე ყურის დადებით ესმოდეს ისეთი საუცხოო ხმები, როგორიცაა ისტორიის ნაბიჯები, მაგრამ არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ მან, აქვს რა უნარი მოისმინოს ასეთი საუცხოო რამ, მაინც ვერ შესძლო მოესმინა ის „წვრილმანი“, რომ პარტიამ დიდი ხანია ზურგი იბრუნა ოპოზიციისაგან და ოპოზიცია დარჩა რიყეზე. ეს მათ არ მოუსმენიათ (ხმები: „სწორია!“).

რა გამოდის აქედან? აქედან გამოდის ის, რომ ოპოზიციას ეტყობა ყურები წესრიგში არა აქვს მოყვანილი (სიცილი). აქედან ჩემი რჩევაა: ... იმკურნალეთ ყურები!“.

გარდა ბრჭყალებით საკითხის ირონიულად დაკნინებისა, სტალინის ტექსტში შეხვდებით ირონიულად გაზვიადების ადგილებს, როცა, მაგალითად, რუსეთის ყოფილ მეფის მიმართ სტალინი ამბობს: „ყოვლად მოწყალე გული მონარქისა“ ან ცნობილი მენშევიკის ჟორდანიას მიმართ: „მოწყალეო ხელმწიფევ!“, „ღირსეულო კრიტიკოსო!“ და ა. შ.

სტალინის დაცინვის იარაღთა არსენალში ნახავთ ირონიულ ხაზგასმასაც. იმ მოლაყბე ოპოზიციონერის მიმართ, რომელიც ათასგვარ ჭორებს და ცილისწამებას ავრცელებდა პარტიის გენერალური ხაზის წინააღმდეგ, სტალინი წერდა: „ბ ო ლ შ ე ვ ი კ ს ვუილოვიჩს ჩვენ არ ვიცნობთ, ვფიქრობთ, რომ იგი ისეთივეა, როგორც შოლემა, რომელსაც აგრეთვე არ ვიცნობთ“. მოყვანილ წინადადებაში სიტყვა „ბოლშევიკს“ სტალინის მიერ ვუილოვიჩის მიმართ დაცინვით არის ხაზგასმული და ეს ხაზგასმა ირონიული ბრჭყალების მაგიერობას ასრულებს.

ზოგჯერ, თუმცა იშვიათად, დაცინვას სტალინი სიტყვის რომელიმე ბგერის გაძლიერებული გამოთქმით გამოხატავს ისე, რომ არ შეიძლება მწვავედ არ იგრძნოს მან, ვის წინააღმდეგაც ის არის მიმართული. სტალინის ტექსტში, მაგალითად, შეხვდებით ასეთ ადგილს:

„... ჩვენი პარტიის არცერთ ოპოზიციურ მიმართულებას არ შეუძლია ისე მარჯვედ და მოხერხებულად დაფაროს თავისი ოპორტუნიზმი, „მემარცხენე“ და რრრრევოლუციური ფრაზებით, როგორც ტროცკიზმს (სიცილი)“.

ამ კონტექსტში, როგორც ხედავთ, სიტყვა „რრრრევოლუციური“ (თანხმოვან რ-ს გაძლიერება) ირონიულია და იგი ირონიული ბრჭყალების მაგიერობას ასრულებს. სიტყვა „რრრრევოლუციურით“ სტალინი თითქოს თვალსა-

ჩინოდ გადმოგვცემს იმას, რომ ტროცკიზმი მხოლოდ ხმაურობს ამ ფრაზით, რომ მით დაფაროს თავისი ოპორტუნიზმი[1].

ცნობილია, რომ ლენინის სიკვდილის ერთი წლის შემდეგ, ხალხის მტერი — ბუხარინი სახელმწიფოს მარქსისტული თეორიის შემქმნელად ცხადებდა არა ლენინს, არამედ თავისთავს, რომ თითქოს ის, — ბუხარინი ადრევე ნათლად ხედავდა პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობას, როცა თითქოს ამ საკითხებში ლენინს კიდევ არ ჰქონდა სწორი წარმოდგენა და მხოლოდ შემდეგში ამ საკითხზე მუშაობის დროს ლენინი თითქოს მივიდა იმავე დასკვნამდე. ამხანაგი სტალინი ბუხარინის ასეთ თავხედურ პრეტენზიებს ასეთი დაცინვით უპასუხებს:

„დღემდე ჩვენ თავს ვთვლიდით და დღესაც ვთვლით ლენინელებად. ახლა კი გამოდის, რომ თურმე ლენინიც და ჩვენც მისი მოწაფეები, ბუხარინელები ვყოფილვართ. ცოტა არ იყოს სასაცილოა, ამხანაგებო, მაგრამ რას გააწყობ, როცა საქმე გვაქვს ბუხარინის გაბერილ პრეტენციოზობასთან“.[2]

ასეთია სტალინის დაცინვის გესლიანი ისრები, რომლებიც პირდაპირ გულში ხვდებიან მოწინააღმდეგეს.

სტალინის ნაწერები და სიტყვები ღრმა შინაგანი პათოსით არიან გამთბარნი და თვითეული მათგანი უაღრესად ემოციურია. სტალინური სიტყვის ემოციურობაზე მიგვითითებს სტრიქონებს შორის ჩართული ნიშნები: ? !, !!! !?.. რომლებიც გაკვირვებას, გაოცებას, შეეჭვებას, რისხვას, გულისწყრომას, აღტაცებას და სხვა ემოციებს გამოხატავენ.

როცა სტალინის შრომებს, მის სტატიებს და სიტყვებს ეცნობით, თქვენს წინ დგას აზრისა და კალმის გოლიათი, რომლის მიუდგომელი მეცნიერული ანალიზი გამთბარია მებრძოლი რევოლუციონერის მგზნებარე გრძნობებით. ყოველ თავის გამოსვლაში სტალინი გადმოგვცემს არა მარტო ა ხ ა ლ აზრებს, არამედ ა ხ ა ლ გრძნობებს, ა ხ ა ლ განწყობილებებს და მით აქეზებს მსმენელს ახალი საგმირო საქმეებისათვის.

ავიღოთ სტალინის კლასიკური ნაწარმოები, — „ლენინიზმის საფუძვლების შესახებ“. გადავშალოთ ის ადგილი, სადაც იგი ეხება მეორე ინტერნაციონალის მეთოდს: „დახავსებული დოგმები“, „ფრთხილი პოლიტიკანობა“, „უილაჯო ფილისტერობა“, „რენეგატობა“, „სოციალ-ფაშიზმი“, „სოციალ-პაციფიზმი“, „გონებრივი სიჩლუნგე“ და სხვ., აი ის სიტყვები, რომლითაც ამხანაგი სტალინი იძლევა მეორე ინტერნაციონალის მეთოდის დახასიათებას. აქ თვითეული ეპითეტი არა მხოლოდ ამდიდრებს ჩვენს ცოდნას მეორე ინტერნაციონალის მეთოდის შესახებ, არამედ ერთდროულად აგრეთვე აღძრავს ჩვენში გარკვეულ ემოციებს ამ მეთოდის მიმართ. „დახავსებული დოგმები“ — ეს ეპითეტი მომაკვდინებელი სარკაზმით ელერს სტალინის ტექსტში.

---

[1] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი — „კიდევ სოციალ-დემოკრატიულ გადახრაზე ჩვენს პარტიაში“, გვ. 12. სტალინის ამ შრომის ქართულად მთარგმნელს, როგორც სჩანს, ვერ გაუგია წინადადებაში სიტყვა „ررررევოლუციურ“-ის ირონიული მნიშვნელობა. ეს ერთი მეორეზე წაბმული ررررر-ეები მას, ალბათ, კორექტურულ „შეცდომად“ ჩაუთვლია. თარგმანში ეს „შეცდომა“ „გაუსწორებია“ და ჩვეულებრივად უბრალოდ ჩაუწერია „რევოლუციური“, რაც უდაოდ დიდი შეცდომაა. მოყვანილი წინადადების დასასრულს ფრჩხილებში ვკითხულობთ „სიცილი“. მაგრამ ქართველი მკითხველისათვის სრულიად გაუგებარია, რისთვის იცინიან მსმენელები. საერთოდ, სტალინის ზემოხსენებული შრომის ქართული თარგმანი ძალზე ცუდადაა შესრულებული. გამოტოვებულია ადგილები, დამახინჯებულია ტექსტი.

[2] „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 330.

ება, რა ფასი აქვს დოგმებს, რომლებიც დახავსებულან. „უილაჯო ფილისტერობა", — ჯერ ფილისტერობა თავისთავად რას წარმოადგენს, ხოლო როცა, მას „უილაჯო" ემატება, ამით ხომ სრულიად ცხადი და თვალსაჩინო ხდება მთელი მისი საზიზღრობა; „ფრთხილი პოლიტიკანობა" (Трезвенное политиканство), ეს არის გაიძვერობა პოლიტიკაში. მლიქნელობა და ფარისევლურად თავისშენიღბვა, რომელიც თავის მიმართ აგრეთვე გარკვეულ უარყოფით ემოციებს იწვევს მკითხველში.

სტალინის მებრძოლი ტექსტი არა მარტო მოსაზრებების ძალით, არამედ თავისი დამაჯერებლობის, პირდაპირობის და გულმართლობის ძალითაც გვატყვევებს. სიტყვა, თუ მასში არ იგრძნობა გულწრფელობა, როგორი მჭერმეტყველურიც არ უნდა იყოს იგი, გაგაოცებს, გაგაკვირვებს, მაგრამ ვერასოდეს ვერ დაგარწმუნებს. არ გჯერა მისი. ასეთი სიტყვით შეიძლება გავლენა მოახდინო, მაგრამ ვერასოდეს ვერ გახდები ავტორიტეტი.

სტალინის თხრობაში, მის გამოსვლებსა და საუბრებში პირველყოვლისა თვალში გეცემათ სტალინური სიმართლე და გულწრფელობა.

სტალინის ყოველ სტატიას შეიძლება ეპიგრაფად წაემძღვაროს ლ. ტოლსტოის სიტყვები, რომელსაც ის წერდა „სევასტოპოლის მოთხრობის" ფურცლებზე:

„ჩემი თხრობის გმირი, რომელიც მთელი ჩემი არსებით მიყვარს, რომელსაც ვცდილობ გამოვსახო მთელი თავისი სიმშვენიერით და რომელიც მუდამ იყო, არის და იქნება მშვენიერი — არის სიმართლე".

სტალინი სასტიკად კიცხავს იმ ორატორებს, რომელთა სიტყვაში გაისმის სიყალბე. იგი ვერ ითმენს დიპლომატიურ სიტყვებს და დაუხდობლად ამხელს მათ, სადაც წაეწევა.

რკპ (ბ) ც. კ-ის მეოთხე თათბირზე გამოსული ზოგიერთი ორატორის შესახებ სტალინი ამბობდა:

„მე ყურს ვუგდებდი რისკულოვს, და უნდა ვთქვა, რომ მისი სიტყვა მთლად გულწრფელი არ იყო. იგი ნახევრად დიპლომატიური იყო... და საზოგადოდ მისი სიტყვა ჩემზე მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდა".

„ენბაევმაც დიპლომატიური, არაგულწრფელი სიტყვა წარმოსთქვა".

„ფირდევსკის სიტყვა მთლად დიპლომატია იყო თავიდან ბოლომდე". (ი. სტალინი. „მარქსიზმი და ნაციონალურ-კოლონიალური საკითხი", გვ. 177).

უცხოელებიც კი, რომელთაც ჰქონიათ სტალინთან შეხვედრის შემთხვევა, აღნიშნავენ სტალინში ამ მხარეს. ერიკ ჯონსტონი გადმოგვცემს: „ის ვერ ითმენს ნატიფ და ორჭოფულ დიპლომატიურ სიტყვებს. საუბარში ის პირდაპირია და გულწრფელი და ამასვე მოითხოვს თანამოსაუბრისაგანაც". („იზვესტია", 10 სექტ. № 215. 1944 წ.)

ხალხისადმი სამსახურის კეთილშობილი გრძნობები და იდეები, რომლითაც შთაგონებულია სტალინის მთელი არსება, მის ენასაც აძლევენ განსაკუთრებულ ძალას და მიმზიდველობას, რომელსაც ვერ შეედრება ვერავითარი მჭერმეტყველება. სტალინის მიერ უზადო გულწრფელობით დაწერილ ფურცლებსა და პროკლამაციებში დღემდის შენახულია ცეცხლი და მგზნებარება, რომელიც ჟრჟოლას იწვევს მკითხველში. ავიღოთ თუნდ სტალინის პროკლამაციის შემდეგი სტრიქონები, რომლებიც მეფის მთავრობისადმი უზომ-უძირო მრისხანების, ბრძოლაში გამოწვევისა და შურისძიების ცეცხლსა ჰყრიან:

„სისხლი და შურისძიება იმ მთავრობას, რომელიც უღირსად ჰქელავს ჩვენს მოქალაქობრივობას. სისხლი იმ სამართალს, რომელიც ცდილობს ჩვენს დამონებას და სულის შეხუთვას“.

ამ სტრიქონებში გაისმის ავტორის გულისცემა. როგორც ... ეს სიტყვა „სისხლი“, ეს თავისთავად უწყინარი ბიოლოგიური ... ახალ შინაარსს იღებს. სტალინის ბაგეთაგან იგი ეღერს, როგორც რიხანა, მუქარა, გამოწვევა. შეუძლებელია, რომ ეს ცეცხლოვანი სიტყვები მარტო ცივი გონების ნაყოფი იყოს და იგი ავტორის მთელი არსების, მისი გულის, ნერვებისა და თვით სისხლისაგან არ იყოს ნაკარნახევი. ამიტომაცაა, რომ სტალინის სიტყვები ანდამატივით იზიდავს მილიონების გულს.

გულწრფელი რისხვა და აღშფოთება სტალინური პროკლამაციების სტრიქონებს აძლევენ მეტ დამაჯერებლობას.

აი როგორი მუქარით და რისხვით ეღერენ სტალინის პროკლამაციიდან შემდეგი სიტყვები:

— „ვაი თქვენ გამცემლებო, ჯალათებო და სისხლის მსმელებო! ხალხის მსჯავრი აუცილებლად სასტიკად და ულმობლად გაგასამართლებთ. ჯალათებს ჰგონიათ, რომ დახვრეტით, სახრჩობელით, საპყრობილეებით და შიმშილით გასტეხს გაღვიძებული ხალხის ძალას, რომელიც სინათლისაკენ და სიმართლისაკენ მიიწევს. ვერა, მზეს უკან ვერ შეატრიალებენ, ცეცხლს ზეთით ვერ ჩააქრობენ“[1].

ამ სიტყვებში იგრძნობა ავტორის უშუალობა. საკმარისია წარმოვიდგინოთ შეუდრეკელი და უშიშარი რევოლუციონერის სახე, რომლის ბაგეთაგან მეტყველებენ ეს გამარჯვების ურყევი რწმენის გამომხატველი სიტყვები, რომ მასში იცნოთ „მგზნებარე კოლხიდელი“. სტალინის რევოლუციური პათოსით დაწერილი ფურცლები და პროკლამაციები, რომელთა თვითეული სტრიქონი, თვითეული ასოც კი წარმოადგენს მეფის მთავრობის წინააღმდეგ, ოქტომბრის წინა მღელვარე დღეებში სტალინის მრისხანე გამოსვლები, სადაც იგი დაუნდობლად ამხელს და თავზარს სცემს რევოლუციის ყოველგვარი სახის მტრებს — მდიდარ მასალას წარმოადგენს ფერწერის ოსტატებისათვის მკვეთრად და თვალსაჩინოდ გვიჩვენონ „მგზნებარე კოლხიდელის“ სახე, მისი შეუდრეკელი ბრძოლების მთავარ მომენტებში.

როგორც რეაქციის სუსხიან წლებში, ისე გადამწყვეტი ბრძოლების მძიმე წუთებში, როცა გარკვეული დროის მონაკვეთზე გამარჯვების სასწორი კონტრრევოლუციის მხარეზე იხრებოდა და ბევრი, ამ გარემოებით დამფრთხალნი სოროებში იმალებოდნენ „მსგავსად იმ კეთილგონიერი ვირთაგვებისა, რომლებიც პირველნი სტოვებენ გემს, დასაღუპად განწირულს“ (სტალინის სიტყვებია), სწორედ ასეთ მძიმე წუთებში, სტალინის რევოლუციური მრისხანება განვითარების უმაღლეს წერტილს აღწევს. ოქტომბრის წინადღეებში სტალინი გაასკეცებული ენერგიით თავს ესხმის კონტრრევოლუციას და ამსხვრევს მისი საბოლოო გამარჯვების იმედებს:

„და თქვენ, ბ. ბ. კაპიტალისტებო და მემამულეებო, ბანკირებო და სპეკულიანტებო, ხუცებო და კონტრმზვერავებო, ყველა თქვენ, ხალხთა ბორკილის მჭედლებო,—ძალზე ნაადრევად ზეიმობთ თქვენს გამარჯვებას. ძალზე ნაადრევად შეუდექით თქვენ დიდი რუსეთის რევოლუციის დასამარებას.

[1] „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების პროკლამაციები“, 1904 — 1906 წ. წ. გვ. 209

რევოლუცია ცოცხლობს, და იგი კიდევ გაცნობებთ თავს, ბ. ბ. მესაფლავეებო“.

„... არა ბატონო კონტრრევოლუციონერებო, რევოლუცია არ მომკვდარა, იგი მხოლოდ მიყუჩდა იმისათვის, რომ შემოიკრიბოს ახალი მომავალი განახლებული ძალით ეკვეთოს მტერს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჩვენ ცოცხალი ვართ და ალისფერი სისხლი ჩვენი სდუღს დაუშრეტელი ცეცხლის ძალებით!“ (ი. სტალინი, „ოქტომბრის გზებზე“. გვ. 76—77).

შეუძლებელია ამ სიტყვების უგულოდ წარმოთქმა ისევე, როგორც შეუძლებელია ამ სტრიქონების აუღელვებლად მოსმენა.

ასეთივე აღშფოთებისა და მრისხანების ცეცხლს აფრქვევს სტალინის ნამხილებელი სიტყვები ოპოზიციის „ბელადების“ მიმართ, რომელთაც რევოლუციონერებად და ინტერნაციონალისტებად მოჰქონდათ თავი: „უკვე დროა გავიგოთ, — ამბობდა სტალინი ოპოზიციის „ბელადების“ მისამართით, — რომ თქვენ ხართ არა რევოლუციონერები და ინტერნაციონალისტები, არამედ ხართ ყბედები რევოლუციიდან და ინტერნაციონალიზმიდან. დროა გაიგოთ, რომ თქვენ ხართ არა საქმის რევოლუციონერები, არამედ მყვირალა ფრაზებისა და კინომატოგრაფიული ლენტის რევოლუციონერები. დროა გაიგოთ, რომ თქვენ ხართ არა საქმის რევოლუციონერები, არამედ კინორევოლუციონერები“.

როგორც ხედავთ ამ მამხილებელ წინადადებაში რამდენჯერმე განმეორებული სიტყვები „დროა გაიგოთ“ — აადვილებს სტალინური გრძნობების აღმავალ გრადაციას. ამ სიტყვების თვითეული განმეორებით ორატორი თანმიმდევრობით იწევს მაღლა იმისათვის, რომ იქიდან მთელი ძალით და რისხვით თავს დაატყდეს მოწინააღმდეგეთ.

ბოლოს, ავიღოთ სტალინის შრომა „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“. ეს უძვირფასესი საუნჯე მარქსისტულ-ლენინური ლიტერატურის საგანძურში, წიგნი, სადაც სტალინური მეტყველების ყველა დამახასიათებელი თავისებურებებით, დიადი უბრალოებით და სიცხადით ახლებურად გადაწყვეტილია მეორე სამამულო ომთან დაკავშირებული მთელი რიგი პრობლემები, სადაც მოცემულია წითელი არმიისა და მთელი საბჭოთა ხალხის გაშლილი საბრძოლო პროგრამა, ყოველივე ის, რაც აუცილებელია მტერზე გამარჯვებისათვის.

კოლოსალურია ამ წიგნის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, განუზომელია მისი ემოციური ზემოქმედების ძალა, მისი მაორგანიზებელი და დამრაზმავი მნიშვნელობა საბჭოთა ხალხებისათვის. დაუფასებელია ის ისტორიული დამსახურება, რომელიც ამ წიგნმა გაუწია და უწევს საბჭოთა ხალხებს მისი გამათავისუფლებელი ბრძოლის საქმეში. თვითეული სიტყვა, თვითეული წინადადება ამ წიგნისა მძლავრ მუშტად კუმშავს საბჭოთა ხალხებს, რისხვის ახალ ზვირთებს იწვევს მათ პატრიოტული გრძნობების ზღვაზე, ნერგავს საბჭოთა ადამიანებში ჩვენი სამართლიანი საქმისადმი გამარჯვების რწმენას, აღაფრთოვანებს, ახალ ძალას და ენერგიას ჰმატებს ჩვენს მეომრებს, ზრდის მათში მამაცობის, გულადობისა და უშიშროების გრძნობას. დაუვიწყარია ამ წიგნის ის ადგილები, სადაც მიმდინარე სამამულო ომში წითელი არმიის დიად კეთილშობილ მიზნებსა და ამოცანებზეა ლაპარაკი.

ამაღელვებელია და ღრმად იჭრება საბჭოთა ადამიანების გულში

სტალინის პატრიოტული გზნებით გამსჭვალული ცეცხლოვანი სიტყვები, როცა იგი თავის ერთ-ერთ გამოსვლაში აღადგენს ჩვენ დიად წინაპართა მამაც სახეებს და მიმართავს წითელი არმიის მებრძოლებს და მეთაურებს:

„...დაე ამ ომში თქვენ აღგაფრთოვანებდეთ ჩვენი დიდი წინაპრების — ალექსანდრე ნეველის, დიმიტრი დონსკოის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაცური სახე! დაე გფარავდეთ თქვენ დიდი ლენინის ძლევამოსილი დროშა".[1]

თავისი ღრმა და ნათელი აზრებით ამხანაგი სტალინი არა მარტო გვიმტკიცებს ფაშისტ დამპყრობლების განადგურების გარდუვალობას, არამედ გვარწმუნებს. მისი სიტყვები მარტო გონებას კი არ ატყვევებს, არამედ ნებისყოფასაც და გრძნობებსაც სჭვალავს და აღგზნებისა და აღტყინების ჩაუქრობელ ცეცხლს აჩენს მკითხველის გულში.

შედარებით მშვიდობიან წლებში სტალინის ტექსტი ნელია, დინჯი, აუჩქარებელი, ღრმა ნაკადივით რომ მიდის თავის რიგად და თან მეთოდურად გარკვევს, გასწავლის, გარწმუნებს, დიადი ბრძოლებისათვის გამზადებს.

მუშათა მოძრაობის აღმავლობის წლებში სტალინის ტექსტი ხან შუქურაა, რომელიც გვინათებს გზას და გვაძლევს პერსპექტივას, ხან—გამამხნევებელი საბრძოლო ყიჟინა, რომელიც რაზმავს და კრებს ძალებს, აძლევს მათ მეტს ცეცხლსა და მგზნებარებას; ხან კიდევ ქარქაშიდან ამოწვდილი მოელვარე ხმალია, რომელიც დაუნდობლად ჰკვეთს მოწინააღმდეგეს და მიჰქრის წინ უფრო სწრაფად, ვიდრე თვით ბრძოლა.

მიუხედავად ამ სხვადასხვაობისა, სტალინის ენაში, მის ყოველ გამოსვლაში ვლინდება ერთიანობა დიადი პიროვნებისა, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვაგვარად იჩენს თავს. სტალინის მკვეთრ ენასა და სტილში, როგორც სარკეში, ისე მოსჩანს მისი ავტორი. ამ სტილში იგრძნობა ხალხთა ბელადის მთელი სიდიადე, სიცხადე, უბრალოება, სიმართლე, მიზანსწრაფულობა, ძლიერი შინაგანი პათოსი... სტალინის ენაში, მის მებრძოლ სტილში გაისმის ნაბიჯის ხმა, მაჯის ცემა და რიტმი იმ რევოლუციური კლასისა, რომლის მებრძოლ მილიონიან კოლონებს წინ მიუძღვის თვითონ სტალინი. სხვაგან ნუ ეძებთ სტალინის ენისა და სტილის თავისებურებების მიზეზებს, იგი, ეს სტილი გადამწყვეტ კლასობრივი ბრძოლების ქარცეცხლშია გამოჭედილი, გამობრძმედილი და გამოკვეთილი. სტალინის პუბლიცისტურ ენასა და სტილში აღბეჭდილია ჩვენი სოციალისტური ეპოქის მთელი სიდიადე, ეპოქის, რომლის შემოქმედი თვითონ სტალინია და სამართლიანად სტალინური ეპოქის სახელით არის ცნობილი.

ასეთია სტალინური სტრიქონების ძალა, ასეთია სტალინის ენისა და მეტყველების თავისებურებანი.

---

[1]. აღსანიშნავია, რომ მეფის მთავრობის მიმართაც, როცა საჭირო იყო რისხვისა და ულმობელობის გამოჩენა, სტალინი აღადგენს ბრძოლაში დაღუპულ სახელოვან ამხანაგთა აჩრდილებს, რომლებიც შურისძიებისაკენ მოუხმობენ აჯანყებულებს.

1905 წლის რევოლუციის დროს, როცა რევოლუციით შეშფოთებული მეფის მთავრობა სთხოვდა ხალხს შერიგებას და მცირეოდენი დაპირებებით ცდილობდა მისი გულის მოგებას, ამხანაგი სტალინი შემდეგი ცეცხლოვანი სიტყვებით მიმართავდა კავკასიის მუშებს:

... გესმით ამხანაგებო! ის გვთხოვს დავივიწყოთ მათრახის წივილი და ტყვიის ზუზუნი, ასობით დახოცილი გმირი ამხანაგები, მათი სახელოვანი აჩრდილები, რომლებიც ბორგავენ ჩვენს გარშემო და ჩაგვჩურჩულებენ „შური იძიეთო". თვითმპყრობელობა უსირცხვილოდ გვიწვდის სისხლიან ხელებს და გვირჩევს შერიგებას... ძველი ყაჩაღები!.." (პროკლამაცია „კავკასიის მუშებო, დროა შური ვიძიოთ", 1905 წ.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ. ტივაძე

სამცხე-საათაბაგო „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით

გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, რომელიც შეიცავს ოსმალთა მიერ დაპყრობილი სამცხე-საათაბაგოს (მესხეთის ქვეყნების) სტატისტიკურ აღწერილობას, შედგენილია ოსმალეთის ხელისუფლების მიერ ჰიჯრიდან[1] 1003 წელს ჯუმად-ილ-ეეველის თვის დასაწყისში, რაც ჩვენი წელთაღრიცხვით უდრის 1595 წელს. აღნიშნული თარიღი მოხსენებულია კანონთა კრებულის ტექსტში, რომელიც დართული აქვს დავთრის ხელნაწერს. ამგვარად დავთარი ასახავს სამცხე-საათაბაგოს იმ სოციალურ-ეკონომიურ ვითარებას, რომელიც შექმნილი იყო ამ მხარეში მე-16 საუკუნის დასასრულისათვის.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ მოიცავს იმ დროის საქართველოდან ჩამოცილებულ სამცხე-საათაბაგოს არა ყველა პროვინციას, არამედ მხოლოდ მის იმ ნაწილს, რომელიც მოთავსებულია მდინარე მტკვრის აუზში (სამცხე, ჯავახეთი, არტაანი, პალაკაციო, კოლა) და ტაოს პროვინციების ნაწილს, რომელიც შედის ჭოროხის აუზში მდინარე ოლთისის წყლის ხეობით. ძველი ადმინისტრატიული დაყოფით ესაა თბილისის გუბერნიის ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები და ყარსის მხარის არდაგანისა და ოლთისის ოლქები.

1595 წლისათვის ოსმალეთს, აქ ჩამოთვლილი პროვინციების გარდა, საქართველოს სხვა ნაწილები არ ჰქონდა საბოლოოდ დამორჩილებული და ამიტომ ბუნებრივია, რომ ისინი დავთარში ვერ მოჰყვებოდნენ. აჭარა და სამცხე-საათაბაგოს სხვა მთიანი ადგილები ჯერ კიდევ განაგრძობდნენ შეუპოვარ ბრძოლებს ოსმალ დამპყრობელთა წინააღმდეგ. მეორეს მხრივ, დავთარში შესული პროვინციების არა ყველა რაიონი და სოფელი გატარდა დავთრის საგადასახადო სიებში. ასე, მაგალითად: დავთრის მიხედვით, დაპყრობილ ადგილებიდან 53 სოფელი არ არის დაქვემდებარებული ოსმალურ საგადასახადო სისტემისადმი, მათზე არ ვრცელდება თურქულ კანონთა წიგნით გათვალისწინებული წესები, და როგორც დავთარშია ნათქვამი, ისინი „დავთრის გარეშეა“ დარჩენილი.

---

[1] ჰ ი ჯ რ ა — გადასახლება, ემიგრაცია, რაც დაკავშირებულია ქ. მექიდან ქ. მედინაში მაჰმადისა და მისი მიმდევრების გაქცევასთან. გადმოცემის მიხედვით ეს მოხდა 622 წლის 20 სექტემბერს. მუსლიმანური სარწმუნოების ხალხებისათვის ჰიჯრა იყო აგრეთვე წელთაღრიცხვის დასაწყისიც.

აღნიშნული სოფლების შესახებ დავთარში მოცემულია მხოლოდ მათი დასახელება და სხვა ცნობები კი, დანარჩენ სოფლებისაგან განსხვავებით, არაა შედგენილი. ეს აიხსნება იმ გარემოებით, რომ დავთრის გარეშე მყოფი სოფლები ოსმალთა დაპყრობის შემდეგაც კვლავ დარჩენ ქართველ ფეოდალებს, რომელთაც სულთანისაგან „წყალობის“ სახით ებოძათ ისინი. ამის გამო ამ სოფლების შემოსავალი ქართველ თავადაზნაურობის ერთი ჯგუფის საკუთრებას წარმოადგენდა და ამ სოფლებში მოქმედებდა გარკვეულ დროის მანძილზე სათანადო იმუნიტეტით უზრუნველყოფილი ქართული კანონმდებლობა.

მონაცემებიდან სჩანს, რომ დავთრის გარეშე დარჩენილ იმ სოფლების დიდი ნაწილი, რომელიც ხელუხლებლად დარჩათ პირვანდელ მეპატრონე ფეოდალებს, მოთავსებულია ფანაკისა და დიდი-არტაანის ლივაში. ეს ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ მუსლიმანობა და საერთოდ ოსმალეთის „ორიენტაცია“ პირველყოვლისა ამ ადგილების თავადაზნაურობამ მიიღო. ამ აზრის სასარგებლოდ ლაპარაკობს აგრეთვე ის, რომ დავთრის მიხედვით ამ რაიონების თავად-აზნაურობის ზოგიერთი პირი ოსმალეთის სამხედრო ვალდებულად ითვლებიან, რაც სხვა დაპყრობილ პროვინციებისათვს სრულებით არაა დამახასიათებელი.

ხსენებული დოკუმენტის მიხედვით სამხედრო ვალდებულნი ფანაკისა და დიდარტაანის ლივაში დასახელებულია 15 კაცი. ასეთი სამხედრო ვალდებულების შესახებ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ ნათქვამია: „მამული ერთი და ერთი ნაკვეთი ვენახი, წისქვილი, სამი კაცი ისფენჯი და ამ (სამი კაცის) გამოსაღები ცხვარზე გიორგი სოს(?)ის ძის მფლობელობაში (ა). ჩაწერილია ძველი დავთრის თანახმად, რომ ლაშქრობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გამოდის სამხედრო სამსახურში“[1]. მაგრამ გარდა ასეთი ხასიათის მონაცემისა, გამუსლიმანებულ სამხედრო პირთა შესახებ სხვა ხასიათის ცნობა დავთარში არ მოიპოება.

სამაგიეროდ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ იძლევა მეტად მნიშვნელოვან მასალას იმდროინდელ სამცხე-საათაბაგოს ყველა იმ პროვინციებზე, რომლებიც აღწერილნი იქმნენ დავთრის შედგენისას ოსმალეთის სახელმწიფოს წარმომადგენლების მიერ.

*
* *

როგორც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრიდან“ სჩანს, ოსმალ-დამპყრობლებმა სამცხე-საათაბაგო მისი საქართველოდან მოწყვეტის შემდეგ გამოაცხადეს ოსმალეთის ვილაიეთად[2] და დაჰყვეს 8 საადმინისტრაციო-სამმართველო ერთეულად, ანუ, როგორც დავთარშია ნათქვამი, ლივად. თვითეული მათგანი თავის მხრივ იყოფოდა რაიონებად. უნდა ითქვას, რომ ცალკე ლივაში შემავალი რაიონები არ იყვნენ თანაბარი რაოდენობისა და ეს ლივები სხვა და სხვა მოსაზრებით ერთი-მეორეზე მეტ-ნაკლებად შემავალ რაიონებით განისაზღვრებოდნენ.

---

[1] „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, გვ. 363. ხაზი ჩემია. გ. ტ.

[2] ვ ი ლ ა ი ე თ ი — პროვინცია, საგუბერნატორო.

I. ახალციხის ლივა შეიცავდა შემდეგ რაიონებს: მზვარეს რაიონი, ჩრდილის რაიონი, უდის რაიონი, ქვაბლიანის რაიონი, ასპინძის რაიონი, ოცხეს რაიონი, ჭაჭარაქის რაიონი და ხერთვისის რაიონი.

II. ხერთვისის ლივა: ტყიანი ჯავახეთის რაიონი და ბუზმარეთის რაიონი.

III. ახალქალაქის ლივა: აკშეჰირის რაიონი, თმოგვის რაიონი და ნიალისყურის რაიონი.

IV. ჩალდირის ლივა: ჯანბაზის რაიონი, ქანარბელის რაიონი და მგელციხის რაიონი.

V. ფოცხოვის ლივა: მზვარეს რაიონი და ჩრდილის რაიონი.

VI. პეტრეს ლივა: პეტრეს რაიონი და ქაშვეთის რაიონი.

VII. ფანაკის ლივა: ფანაკის რაიონი, ქიამხისის რაიონი და ფანასკერტის რაიონი.

VIII. დიდი-ართაანის ლივა: მზვარეს რაიონი, ჩრდილის რაიონი და ტყიანი რაიონი.

ზემოთჩამოთვლილი 8 ლივა თავისი 26 რაიონით სულ 1160 სოფელს შეიცავდა. აღსანიშნავია, რომ სამცხე-საათაბაგოს ქალაქებიც (ახალციხე, ახალქალაქი და სხვ.) სოფლებად არიან აღრიცხულნი და დავთრის მიხედვით მათი გადასახადებიც თითქმის ისეთივე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სახეებით განისაზღვრება, როგორც ჩვეულებრივ სოფლებზე შეწერილი გადასახადების სახეობანი.

რომ უფრო ნათელი წარმოდგენა გვქონდეს იმდროინდელ სოფელთა განლაგებაზე ტერიტორიალური და მათი რაოდენობის თვალსაზრისით, მოგვყავს სტატისტიკური ცნობები რაიონების დასახელებით.

I. ახალციხის ლივა:

1. მზვარეს რაიონი — 31 სოფელი, 2. ჩრდილის რაიონი — 28 სოფელი, 3. უდის რაიონი — 58 სოფელი, 4. ქვაბლიანის რაიონი — 17 სოფელი, 5. აწყურის რაიონი — 61 სოფელი, 6. ალთუნყალას რაიონი — 17 სოფელი, 7. ოცხეს რაიონი — 25 სოფელი, 8. ასპინძის რაიონი — 43 სოფელი, 9. ჭაჭარაქის რაიონი — 62 სოფელი, 10. ხერთვისის რაიონი — 38 სოფელი. სულ — 380 სოფელი.

II. ხერთვისის ლივა:

1. ტყიან ჯავახეთის რაიონი—69 სოფელი, 2. ბუზმარეთის რაიონი — 12 სოფელი. სულ — 81 სოფელი.

III. ახალქალაქის ლივა:

1. აკშეჰირის რაიონი — 83 სოფელი, 2. თმოგვის რაიონი — 22 სოფელი, 3. ნიალისყურის რაიონი — 33 სოფელი. სულ — 138 სოფელი.

IV. ჩალდირის ლივა:

1. ჯანბაზის რაიონი — 51 სოფელი, 2. ქანარბელის რაიონი — 33 სოფელი, 3. მგელციხის რაიონი — 16 სოფელი. სულ — 100 სოფელი.

V. ფოცხოვის ლივა.

1. მზვარეს რაიონი — 49 სოფელი, 2. ჩრდილის რაიონი — 32 სოფელი. სულ—81 სოფელი.

VI. პეტრეს ლივა:

1. პეტრეს რაიონი — 38 სოფელი, 2. ჭაშვეთის რაიონი — 11 სოფელი. სულ — 49 სოფელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

VII. ფანაკის ლივა:

1. ფანაკის რაიონი — 55 სოფელი, 2. ქიამხისის რაიონი — 16 სოფელი, 3. ფანასკერტის რაიონი — 38 სოფელი. სულ — 109 სოფელი.

VIII. დიდი არტაანის ლივა:

1. მზვარეს რაიონი — 67 სოფელი, 2. ჩრდილის რაიონი — 36 სოფელი, 3. ტყიანი რაიონი — 119 სოფელი. სულ — 222 სოფელი.

დავთარში მოცემულია ამ სოფლების კომლთა უფროსების სახელობითი სია. აქედან სჩანს, თუ რამდენი კომლი იყო დასახლებული თვითეულ მათგანში. ამ ცნობების მიხედვით სულ მხარეში ითვლებოდა 12,370 კომლი; აქედან:

1. ახალციხის ლივაში	3622	კომლი
2. ხერთვისის ლივაში	432	„
3. ახალქალაქის ლივაში	1033	„
4. ჩალდირის ლივაში	979	„
5. ფოცხოვის ლივაში	807	„
6. პეტრეს ლივაში	27	„
7. ფანაკის ლივაში	1904	„
8. დიდი არტაანის ლივაში	3566	„

თუ თვითეულ კომლზე ვივარაუდებთ საშუალოდ 5 სულს, უნდა დაუშვათ, რომ მოსახლეობა სამცხე-საათაბაგოს იმ ადგილებისა, რომლებიც დაპყრობილ იქნა ოსმალების მიერ, სულ შეადგენდა დაახლოვებით 61,850 სულს. მაგრამ ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ რიცხვში არ შედის იმ 53 სოფლის მოსახლეობა, რომელიც აქ მოყვანილ სოფლების საერთო რიცხვშია შესული, ხოლო დავთრის გარეშე დარჩენის გამო, არაა სიაში გატარებული. მოსახლეობის ამ რიცხვში არ უნდა იქნეს გათვალისწინებული ამ რაიონებში მყოფი არც ის ქართველი თავად-აზნაურობა, რომლებსაც დამპყრობლებმა შეუნარჩუნეს პირვანდელი მდგომარეობა, და არც თურქი მოხელეები. როგორც წესი, დავთრის სიებში შეყვანილ იქმნენ მხოლოდ რაიები (გლეხობა).

ზემოთმოყვანილ ცხრილში ყურადღებას იპყრობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება. მოსახლეობის ყველაზე ნაკლები რაოდენობა მოცემულია პეტრეს ლივაში. ეს იმითი უნდა აიხსნას, რომ ამ მხარეების დაპყრობისას თურქებმა მოსახლეობის დიდი ნაწილი ფიზიკურად მოსპეს, მნიშვნელოვანი ნაწილი კი ოსმალთა ბატონობას ვერ შეეგუა და გაიქცა საქართველოს შიგა რაიონებში. ცხადია, გაქცევას ამ შემთხვევაში უფრო მეტად შესძლებდა სამცხე-საათაბაგოს ის ნაწილი, რომელიც საქართველოს შიგა რაიონებთან ტერიტორიულად ახლო იყო და საქართველოსთან კავშირი ძირითადად ოსმალთა დაპყრობის შემდეგაც არ შეუწყვეტნია.

პეტრეს რაიონი მდებარეობდა ბორჯომის ხეობაში. მასში შემავალი სოფლები იყვნენ: ლიკანი, ყვიბისი, ციხისჯვარი, ჭობისხევი, წაღვერი, ფაფა, კორტანეთი, ბაკურიანი, ქვიშხეთი, ეშმაკთუბანი და ბევრი სხვაც. რო-

გორც აღნიშნული იყო, პეტრეს ლივაში მდებარეობდა 49 სოფელი. დავთრის ცნობების მიხედვით ამ 49 სოფლიდან „ცარიელი იყო რაიასაგან“ 43 სოფელი. ამგვარად პეტრეს ლივას მოსახლეობის გაქცევის შემდეგ ოსმალეთის ბატონობის ქვეშ დარჩა მხოლოდ 6 სოფელი 27 კომლით. მაგრამ არა მარტო პეტრეს ლივა აღმოჩნდა ასეთ მდგომარეობაში. სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ან ფიზიკურად განადგურდა, ანდა გაიქცა მთელ რიგ სხვა რაიონებიდანაც. ამის თვალსაჩინო სურათს იძლევა ქვემოთმოყვანილი ცნობები სამცხე-საათაბაგოს სოფლების მოსახლეობაზე. როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ სიების მიხედვით სულ აღრიცხული იყო 1160 სოფელი. აქედან, ითვლებოდა:

151-დან 201	კომლამდე	3 სოფელში
101-დან 151	„	5 „
51-დან 101	„	22 „
11-დან 51	„	370 „
1-დან 11	„	343 „
მთლად ცარიელი	. . . .	296 „

სოფლები, რომლებშიაც დავთრის მიხედვით არავინაა დასახლებული, მხოლოდ მათზე არც პირდაპირაა ნათქვამი (როგორც ეს წინამავალ სოფლების ჯგუფზე იყო აღნიშნული), რომ ისინი ცარიელნი არიან რაისაგან— 68; სოფლები, რომლებიც დარჩნენ დავთრის გარეშე — 53.

თუ აღნიშნულ 68 სოფელს ჩავთვლით მოსახლეობისაგან გაცარიელებულ ადგილებად (სხვანაირად ეს წარმოუდგენელიცაა, რადგან დავთარში არ არის მოცემული ამ სოფლების მოსახლეთა სახელობითი სიები), გამოვა, რომ სამცხე-საათაბაგოში ამ დროისათვის დაცარიელებული იყო არანაკლებ 364 სოფლისა. ამ მხრივ საქმე უფრო შორსაც არის წასული. ცნობაში აღნიშნული სხვა 343 სოფელი, რომელიც ითვლის 1-დან 11 კომლამდე, არსებითად აღარ წარმოადგენს სოფელს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით და უფრო გაპარტახებული ნასოფლარია.

სოფლების მცხოვრებთა სახელობითი სიებიდან (თუმცა მათში არაა მოცემული გვარები ცალკე პირებისა) თვალსაჩინოდ ირკვევა სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობაც. როგორც დავთრის მონაცემებიდან სჩანს, 12,370 კომლის ხელმძღვანელ პირთაგან მხოლოდ რამდენიმე ასეული პირია თურქული სახელის მატარებელი, ხოლო, რადგან ბევრი მათგანის მამისა და პაპის სახელები ქართულია, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ წარმოშობით ისინიც ქართველები არიან. ამ აზრს ადასტურებს ის გარემოება, რომ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით ყველა მათგანზე შეწერილია ისფენჯის გადასახადი, რომელსაც მუსლიმანები არ იხდიდნენ, იქნებოდნენ ეს უკანასკნელნი თურქული წარმოშობისა თუ სხვა ეროვნებიდან მიიღებდნენ მუსლიმანობას.

ქრისტიანული სარწმუნოების მაღიარებელთა შორის, გარდა ქართველებისა, მცირე რაოდენობით იყვნენ აგრეთვე სომხებიც, რომელთაც რამდენიმე სოფელი ეკავათ. ქართველ ებრაელთა სახელები მოცემულია ასევე მცირე რაოდენობით, ისიც მსხვილ დასახლებულ სოფლებში, სადაც უნდა ვიგულისხმოთ, რომ სწარმოებდა ერთგვარი ვაჭრობა-აღებ-მიცემა (ახალციხე, ხერთვისი, ახალქალაქი და სხვ.). გამუსლიმანებული ქართველობა,

რომელთა რაოდენობაც ჯერ კიდევ მცირეა, თავის მხრივ რამდენიმე ფენადაა დაყოფილი. გამუსლიმანებულთა ერთი ფენა საერთო გადასახადებისაგან გამოყოფილია და იხდის ეგრედწოდებულ ბენაქს, ხოლო მეორე ფენა უკვე გადაქცეულია სამხედრო მოვალეობის აღმასრულებლად, და გარდა სამხედრო სამსახურისა, მათ არაფერი ევალებათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*

* *

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარიც", აღწერს რა დეტალურად ქვეყანაში არსებულ ეკონომიურ ვითარებას, ჩამოსთვლის იმ დროს არსებული გადასახადების ყოველგვარ სახეობას. გადასახადების გაწერა მომხდარა ცალკეულ სოფლებზე. ყველა სოფლისათვის შედგენილია მისი მოსახლეობის სახელობითი სიები, შემდეგ ჩამოთვლილია ის, თუ რაზე უნდა გადაიხადოს მოსახლეობამ გამოსაღები და მოცემულია გადასახადების საერთო ჯამი (ცალკეულ სოფლის მიხედვით), გადაყვანილი ახჩებში.[1]

სოფლის გამოსაღებთა საერთო ჯამში შეტანილია აგრეთვე მიწების (უმთავრესად ბაღ-ვენახების) იმ ნაკვეთების გადასახადები, რომლებიც გაცემულნი არიან იჯარის წესით. თვით მოიჯარადრეები არ არიან შეტანილი სოფლის მოსახლეობის სიაში, და მაშასადამე, გარდა იჯარისა არ იხდიან არც ისფენჯს, არც მურახასიეს, არც ბადჰავასა და საქორწინო გადასახადს. ყველა მოიჯარადრე წარმოშობით თურქია და რომელიმე თანამდებობის მქონე პირს წარმოადგენს.

მოიჯარადრის მიერ იჯარის გადახდა გათვალისწინებულია მხოლოდ ახჩების სახით, მაშასადამე, ფულადად, იმ დროს, როცა რაიამ გადასახადი უნდა გადაიხადოს, როგორც ფულადად, ისე ნატურის სახით. ეს გარემოება ჩანს იქიდან, რომ საგადასახადო სიაში ნათქვამია, თუ რამდენი გადასახადი უნდა გაღებულ იქნეს მეურნეობის სხვა და სხვა კულტურებზე, მაგალითად: ხორბალი—10 ქილე 120 ახჩეს ღირებულებით, ფეტვი—5 ქილე 50 ახჩეს ღირებულებით და სხვა. პროდუქტების გვერდით მათი ღირებულების მოცემისას, სჩანს, ითვალისწინებდნენ ან თვით პროდუქტის გაღებას, ან არა და მისი ღირებულების ახჩებით გაღებას. დამპყრობელთათვის გადასახადების ასეთი გაღების წესი მეტად ხელსაყრელი იყო, რადგან სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაძვირების შემთხვევაში გადასახადებს ჰკრეფდნენ პროდუქტის სახით, ხოლო, წინააღმდეგ შემთხვევაში—ფულადად.

სოფლების მოსახლეობის სიაში არ არიან შეყვანილნი აგრეთვე ის თურქი მოხელეები, რომელთა განკარგულებაშიც გადაცემულია მიწის ესა თუ ის ნაკვეთი. დოკუმენტიდან სჩანს, რომ ასეთი მიწის ნაკვეთები არაა გაცემული იჯარით. ეტყობა, რომ აღნიშნული მიწები დროებით მფლობელობაში იმყოფება და მათზე გაიღება არა საიჯარო ქირა, არამედ ბეჰრე, რაც შემოსავლის ერთ მეხუთედს უდრიდა. იმ ხანებში ჩვეულებრივ ბეჰრეს არ ურევდნენ რაიას გადასახადებში, და მაშასადამე, ის არ შედიოდა სოფლის გადასახადების საერთო ჯამშიც. ქვევით, სადაც გვექნება ლაპარაკი სამცხე-საათაბაგოში ყოველწლიურად ანაკრებ გამოსაღებთა საერთო ჯამზე, უნდა გვახსოვდეს, რომ იგი შედგენილია ბეჰრეს გარეშე და არ მოიცავს იმ მა-

---

[1] ა ხ ჩ ა — ფული, ფულის ნიშანი, წვრილი მონეტა, ასპერი.

მულებისა, წისქვილებისა და სხვა მეურნეობათა გამოსაღებებს, რომლებიც გაცემულნი იყვნენ დროებით მფლობელობაში. გარდა ამისა, აღსანიშნავია ის, რომ, როგორც მოიჯარადრეები, ისე თურქი დროებითი მიწადმფლობელნი საიჯარო ქირასა და ბეჭრეს იხდიდნენ ინდივიდუალურად, ანუ, რაიები კი — სოფლების მიხედვით. სხვანაირად რომ ვსთქვათ, გადასახადები (გარდა ისფენჯისა და მურახასიესი) შეწერილი იყო მთლიანად სოფელზე და მხოლოდ შემდეგში ხდებოდა სასოფლო მმართველობის მიერ გლეხობაზე სოფლის საერთო გადასახადის განაწილება.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით სამცხე-საათაბაგოს ყოველწლიურად უნდა გადაეხადა 9,672,516 ახჩა, ანდა მისი ღირებულების შემცველი სხვადასხვა სახის სოფლის მეურნეობის პროდუქცია. ამ ღირებულების ოდენობის გათვალისწინებისათვის ავიღოთ ხორბლის იმდროინდელი ფასი. ეს თანხა უდრის 806.043 ქილე ხორბალის ღირებულებას, (1 ქილე შეიცავდა 40 ლიტრას, ხოლო 1 ქილე ხორბალი ღირდა 12 ახჩა). ამგვარად თურქ დამპყრობლებს სამცხე-საათაბაგოდან დავთრის მიხედვით ყოველწლიურად გაჰქონდათ არანაკლებ 2,015,107 ფუთისა და 8 კილოგრამი ხორბლის ღირებულება.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიერ გადასახადები მოცემულია შემდეგი სახისა: ისფენჯი, გადასახადი ხორბლის, ქერის, ჭვავის, ფეტვის, შირა, გამოსაღები იონჯასა და თივაზე, ფუტკარზე, ღორზე, ბოსტანზე, ცხვარზე, სელზე, ხილზე, კაკალზე, მურახასიე, თაფუ და დეშთიბანი, იალაღაზე, იათაღზე, ბადჰავა და საქორწინო, წისქვილზე, თევზის ჭერაზე და სხვა. რა თქმა უნდა, ყველა სოფელს არ აწერია ყველა ამ სახის გადასახადი. ზოგ სოფელში არაა დასახელებული კაკალი, ზოგში შირა, ზოგში სელი და ასე შემდეგ. გადასახადთა სხვა და სხვა სახეობიდან შესაძლებელი ხდება გარკვევა იმისა, თუ სოფლის მეურნეობის როგორი კულტურებით. განისაზღვრებოდა სამცხე-საათაბაგოს ესათუის რაიონი.

ის გადასახადებში, რომლებსაც სამცხე-საათაბაგო იხდიდა ოსმალ დამპყრობთა სასარგებლოდ, გადასახადი შირაზე (შირა ყურძნის წვენიდან დამზადებული ტკბილი სასმელია) საკმაოდ მნიშვნელოვან ადგილს იჭერდა. შირაზე გადასახადის საერთო ჯამი, რომელშიც არ შედიოდა დროებითს მფლობელობაში გაცემული ვენახების ბეჭრე, უდრიდა 176,050 ახჩეს. ეს გარემოება საკმაოდ თვალსაჩინოდ მეტყველებს იმაზე, რომ სამცხე-საათაბაგოს შესაბამ რაიონებში ფართოდ იყო გავრცელებული მევენახეობა და ამასთან ერთად საკმაოდ განვითარებულიც. მაგრამ სამცხე-საათაბაგოში XVI საუკუნის ნახევარში მევენახეობის გავრცელებას ადასტურებს არა მარტო შირაზე გადასახადი, არამედ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ თითქმის ყოველი ფურცელი, სადაც პირდაპირაა ნათქვამი ვენახებზე, მათ ძველ მეპატრონეებსა და იმ პირებზე, რომლებიც დავთრის შედგენისას აღრიცხულნი იყვნენ ახალ მფლობელებად.

რადგან მევენახეობის აღდგენის საქმეს მესხეთის პროვინციებში ამჟამად დიდი ყურადღება ექცევა, ამიტომ ზემოთ მოგვყავს სია იმ რაიონებისა და სოფლებისა, რომლებიც ძველად ცნობილი იყვნენ მევენახეობით.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ ცნობების თანახმად ვენახის მოშენებას მისდევდნენ შემდეგ სოფლებში:

I. ახალციხის ლივის მზვარეს რაიონის სოფლებში: ახალციხის ციხის რაბათი, წყროთი, შორაბადი, ტატანისი, ზემო და ქვემო ხუმა, წირა, ძირი, ლალუტი, კლდე და შურდო.

II. ახალციხის ლივის ჩრდილის რაიონის სოფლებში: ვალე, საძელი, არყისციხე, ზემო-სხივილისი ქვემო-სხივილისიანად, ქვემო-პამაჯი, დიდი-მერეკი, ქვემო-მარდა, ზემო-მარდა და ზემო-ნიოხრები.

III. ახალციხის ლივის უდის რაიონის სოფლებში: უდის ციხის რაბათი, მეიდანი, ზემო და ქვემო ორჭოშანი, სოფელი ირქა, ბოლაჯური, სოფელი არალი, ხურაბა [illegible]

IV. ახალციხის ლივის აწყურის რაიონის სოფლებში: აწყურის ციხის [illegible], ბლორძა, ხიდეთი, კვირიკეწმინდა, ტყემლოვანი, საყუნეთი, დვირი, მოქცევი, ზღუდერი, ზიკილია, წინუბანი (სოფელ გურკელთან), ფერსა, გიორგიწმინდა, სოფელი ჩოხთა, მუგარეთი, ზერზანა, წრიოხი, გურკელი (სოფელ წინუბანთან), წოხთები, სლესა და ზორეთი.

V. ახალციხის ლივის ალთუნყალას[1] რაიონის სოფლებში: პატარა სმადა, შოლაფერი, ადიგენი და წრე.

VI. ახალციხის ლივის ოცხეს რაიონის სოფელ უნწაში.

VII. ახალციხის ლივის ასპინძის რაიონის სოფლებში: ასპინძის ციხის რაბათი, ზემო-ზურზელი, ღობიეთი, სახუთაბელი, ახალშენი, ონღორა, სოფელი ფერისციხე — სოფელ წყალთბილასთან, ხვილიშა, სოფელი ღამზა, იდუმალა, ინდუსა, ვარნეთი, რუსთავი, წყალთბილა, ინწყორა, ზემო-ოშორა, ქვემო-ოშორა, აგარა, ოთა, ზირ (?) და მლაშისხევი.

VIII. ახალციხის ლივის ჭაჭარაქის რაიონის სოფლებში: ზემო-ჭაჭარაქი, გიორგიწმინდა, ტობა, ურაველი, კისათიბი, წყორძა, სოფელი მონასტერი, ფუღა, ანდრიაწმინდა, ახთილა, ბაბასხევი, კაკლიორი, ზემო-მამაჭიხეთი და მლაშისხევი. სოფელ ურაველში და სოფელ წყორძაში ვენახების რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ თვითეული მათგანი შირაზე გადასახადს იხდიდა 4000 ახჩეს რაოდენობით.

IX. ახალციხის ლივის ხერთვისის რაიონის სოფლებში: ხერთვისი, ალჯუა, როკეთი, დადეში, აწგვიტა, ტოლოში, ნიჯღორი, ქუნცა, ბნელა, კვარშა, ალანძია, გელსუნდა, სარო, ოსკერია, შოდირვანი და ფია. სოფელი ხერთვისი და ნიჯღორი შირაზე გადასახადს იხდიდნენ თვითეული 4000 ახჩეს რაოდენობით, ხოლო სოფლები ტოლოში და ფია თორმეტ-თორმეტი ათასი ახჩეს რაოდენობით.

X. ახალქალაქის ლივის აკშეჰირის რაიონის სოფლებში: აფნია და ნაქალაქევი.

XI. ახალქალაქის ლივის თმოგვის რაიონის სოფლებში: მირაშხანი, თმოგვი, წუნდა, ჭაჭკარი, გოგაშენი და სოფელი ვანის ქვაბი.

XII. ახალქალაქის ლივის ნიალისყურის რაიონის სოფელ აღჩია-ქუნცა(?)-ში.

XIII. ჩალდირის ლივის ჯანარბელის რაიონის სოფელ ოლოდაში.

XIV. ფოცხოვის ლივის მზვარეს რაიონის სოფლებში: სტეფანწმინდა-ჩადისმან (?) და ბადელა.

XV. ფოცხოვის ლივის ჩრდილის რაიონის სოფლებში: წყალთბილა, ოდრიას რაბათი და ქვემო-ოდრია.

XVI. პეტრეს ლივის პეტრეს რაიონის სოფლებში: ნახუცართ უბანი — მელქუათუბანი და სერსემი (?). ამ ლივაში ვენახების სიმცირე აიხსნება არა იმით, რომ აქ არსებობდა არა ხელსაყრელი კლიმატიური პირობები, არამედ იმით, რომ, როგორც ზევით იყო აღნიშნული, ამ ლივის მოსახლეობიდან თითქმის აღარავინ დარჩა. ხშირი ბრძოლების გამო ამ ადგილებში განადგურდა საერთოდ მეურნეობა ყველა თავისი დარგებით.

XVII. ფანაკის ლივის ფანაკის რაიონის სოფლებში: სოფ. ფანაკის რაბათი, ბარიქი, კოსარი, მუხრელი, თახთი, იღნაქი, აკრიაკი, ეკესორი, კარყული, კოთიქი და კარკლუხი.

XVIII. ფანაკის ლივის ქიამხისის რაიონის სოფლებში: ქიამხისის რაბათი და ყაბანი.

XIX. ფანაკის ლივის ფანასკერტის რაიონის სოფლებში: ურეკი, ქვემო ჯულაკარი, ქამრასორი, ოლორი, ნორბერთი, სევკარი, კარნავარი და სოფელ ხოშვანი; სოფელ ნორბეთის გადასახადი შირაზე აღწევდა 6360 ახჩეს.

დანარჩენ რაიონებზე, სახელდობრ: ქვაბლიანის რაიონი (ახალციხის ლივა), ტყიანი ჯავახეთის რაიონი (ხერთვისის ლივა), ბუზმარეთის რაიონი (ხერთვისის ლივა), ჯანბაზის რაიონი (ჩალდირის ლივა), მგელციხის რაიონი (ჩალდირის ლივა), ქაშვეთის რაიონი (პეტრეს ლივა), მზვარეს რაიონი (დიდი არტაანის ლივა), ჩრდილის რაიონი (დიდი არტაანის ლივა) და ტყიანი რაიონი (დიდი არტაანის ლივა)—დავთრის საგადასახადო სიებში შირაზე გა-

[1] ალთუნყალა — ოქროს ციხე.

დასახადი არ არის შეწერილი. გარდა ამისა, რადგან ამ რაიონებში არც ცალკე არის ნახსენები ვენახები, უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ ადგილებში (ქაშვეთის რაიონის გამოკლებით) მევენახეობას ხელს არ უწყობდა ადგილმდებარეობის სიმაღლე ზღვის დონიდან და საერთოდ კლიმატიური პირობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამწუხაროდ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ არ იძლევა ცნობებს არსებულ ვაზების ჯიშების შესახებ. ხოლო თავისთავად ის ფაქტი, რომ სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა ბატონობის უკანასკნელ პერიოდისათვის ამ ძვირფას კულტურიდან ნატამალიც კი აღარ დარჩა, ადასტურებს დამპყრობლების მიერ ჩატარებულ მტაცებლურ ექსპლოატაციას, რამაც ქვეყანა გაპარტახებამდე მიყვანა, ისე, რომ XX საუკუნის დასაწყისისათვის გაველურებული ვაზის ნაშთები მხოლოდ აქა-იქ-ღა მოიპოებოდა (ახალციხე, სარო, ტოლოში, დადეში).

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ საგადასახადო სიებში არანაკლები ადგილი უკავია მებაღეობას და მებოსტნეობას. ყველა სოფელსა და რაიონში, სადაც კი მოშენებული იყო ვაზი, მებაღეობაც ფართოდ იყო გაშლილი და სჭარბობდა კიდეც მევენახეობას. დავთარში აღწერილ მთელ რიგ სოფლებში, სადაც ბუნებრივი პირობების გამო ვაზი არ ხარობდა, მებაღეობა მაინც ფეხმოკიდებული იყო. როგორც სჩანს, მებაღეობას არ მისდევდნენ ჯავახეთის ზოგიერთ მაღლობ ადგილებში და დიდი-არტაანის მნიშვნელოვან ნაწილში.

*
* *

ბაღ-ვენახების მოშენებას და მებოსტნეობის განვითარებას მნიშვნელოვნად ხელს უწყობდა ოსმალთა გაბატონებამდე სამცხე-საათაბაგოში არსებული ფართო ირრიგაცია. მთელ რიგ რაიონებსა და სოფლებში დიდი შრომის დახარჯვის შედეგად სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობას გაყვანილი ჰქონდა სარწყავი არხები, რომლებიც მორიგეობით იმყოფებოდნენ რამდენიმე სოფლის განკარგულებაში: მორწყვის პრობლემა იმდენად მნიშვნელოვანი იყო მოსახლეობისათვის, რომ ხშირად ამ საკითხზე სოფლებს შორის იწყებოდა დავა. ეს ითქმის განსაკუთრებით იმ პერიოდზე, როცა დამპყრობლებმა ხელთიგდეს სამცხე-საათაბაგოს ტერიტორია; ამ დროს ძველად არსებული ირრიგაციის წესები დაირღვა, ხოლო ახალი წესები ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული.

რადგან ამ გარემოებამ დიდი ზიანი მიაყენა სოფლის მეურნეობას, სამცხე-საათაბაგოს მეორეჯერ აღწერის დროს ოსმალები იძულებული გახდნენ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრით“ კვლავ აღედგინათ წყლით სარგებლობის ძველი წესები. „ვინაიდან მცოდნე პირნი იუწყებიან, — ნათქვამია დავთარში, — რომ მდინარე ბორბალოდან მომდინარე წყალი, რომელიც სოფ. ორალიდან მოდის, ძველი დროიდანვე სოფ. ვალეს საზღვარზე მდებარე ადგილების, ვენახისა და ბაღის სარწყავი წყალი იყო, ამიტომ (ეს გარემოება) განმარტებულის შესაბამისად ჩაიწერა ახალ დავთარში.

ვინაიდან მცოდნე პირნი იუწყებიან, რომ მდინარე წყალთბილიდან მოშ-

დინარე წყლის ნახევარი ძველი დროიდანვე სოფ. ვალეს სარწყავი წყალი იყო, ამიტომ (ეს გარემოება ასევე) ჩაიწერა ახალ დავთარში".[1]

მაგრამ მდინარე ბორბალო რწყავდა არა მარტო სოფელ ვალეს ბაღ-ვენახებს, იგი ემსახურებოდა აგრეთვე ზემო და ქვემო სხვიტორს. დავთარში მის შესახებ ნათქვამია: „ვინაიდან მცოდნე პირნი იუწყებენ, რომ მდინარე ბორბალოდან მომდინარე წყლის მესამედი ძველი დროიდანვე ხსენებული სოფლის საზღვარზე მდებარე მიწების, ვენახისა და ბაღის სარწყავი იყო, ამიტომ (ეს გარემოება) მათი მოწმობის საფუძველზე და განმარტებულის შესაბამისად ჩაწერილ იქნა ახალ დავთარში".[2]

სოფელ ორალიდან მომდინარე წყლის შესახებ (რომელიც აგრეთვე ემსახურებოდა სოფელ ვალეს) დავთარში აღნიშნულია: „ვინაიდან მცოდნე პირნი გვაუწყებენ, რომ სოფელ ორალიდან სოფელ ვალეში მომდინარე წყლის მესამედი ძველი დროიდანვე ხსენებული სოფლის (ლაპარაკია სოფელ ქვემო-პამაჯზე) საზღვარზე მდებარე მიწის, ვენახისა და ბაღის სარწყავი იყო, ამიტომ (ეს გარემოება) განმარტებულის მიხედვით შეტანილ იქნა ახალ დავთარში".[3]

მდინარე წყალთბილის წყალი გარდა სოფელ ვალესი ემსახურებოდა სოფელს ზემო-ნიოხრებს ქვემო-ნიოხრების ადგილიანად. ამის შესახებ დავთარში ნათქვამია: „მორიგეობა (მოსარწყავ) წყალზე. უფლება მდინარე წყალთბილას წყალზე ხსენებულ სოფელში მდებარე ადგილებს, ვენახებსა და ბაღებსა აქვთ. ერთი კვირის (განმავლობაში) ხსენებული სოფელი რწყავს, (ხოლო) ორ კვირას სოფელი ვალე. ვინაიდან მცოდნე პირნი გვაუწყებენ, რომ ამ მდინარით ძველი დროიდანვე, ასეთი წესით სარგებლობდნენ, (ასევე) ჩაიწერა ახალ დავთარშიც".[4]

სოფელ ორჭოშანიდან მომდინარე წყლით ირწყოდა სოფელი ირაქი, რომელიც მდებარეობდა უდეს რაიონში და ფართოდ მისდევდა მებაღეობასა და მებოსტნეობას. წყარო, სახელად კასიქი... რწყავდა სოფელ ფხეროს (ალთუნყალას რაიონი). სოფელ ოშორიდან მომდინარე წყლით ირწყოდა სოფელი იდუმალა. საკუთარი სარწყავი არხი ჰქონდა სოფელ წრეს (ალთუნყალას რაიონი). ტაძლახად წოდებულ სოფლიდან გამოყვანილ არხით ირწყოდა სოფელი სტეფანწმინდა (მზვარეს რაიონი, ფოცხოვის ლივა). საკუთარი არხი ჰქონდათ აგრეთვე სოფლებს ზემო და ქვემო-აღთათაბსა და ურექს (ფანასკერტის რაიონი). ცნობილი იყო აგრეთვე ფანასკერტის რაიონის სოფელ ჰავდოსის არხი. დიდი არტაანის ლივას ტყიან რაიონში გაყვანილი იყო მნიშვნელოვანი არხი „ველად" წოდებული, რომელიც მომსახურებას უწევდა აღნიშნულ რაიონის სოფლებს: გუგუბას, ზემო-ბორქისს და სოფელ ველს.

ამ მხრივ კიდევ ბევრის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ სამცხე-საათაბაგოში ჩასებულ ირრიგაციის ფართო ქსელის წარმოდგენისათვის ზემოაღნიშნულიც საკმაოდ უნდა ჩაითვალოს, ოღონდ ამ შემთხვევაში ისიც უნდა დავსძინოთ, რომ დამპყრობლების მიერ ამ მხარის აოხრებამდე წყლის ძალა ასევე კარგად გამოყენებული იყო მეწისქვილეობის საქმეში. მარტო „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრით" აღრიცხულია 692 თვალი წისქვი-

---

[1] „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი", გვ. 39.
[2] „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი", გვ. 42.
[3] „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი", გვ. 45.
[4] „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი", გვ. 51.

ლი. თითო თვალ წისქვილზე გადასახადი გაიღებოდა იმისდა მიხედვით, თუ რამდენ თვეს აგრძელებდა წისქვილი მუშაობას. დავთრის ამ ცნობებიდან სჩანს, რომ 412 წისქვილამდე მუშაობდა უმთავრესად მხოლოდ ექვსი თვე განმავლობაში. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამ წისქვილების მამოძრავებლად უფრო მეტად გამოყენებულნი იყვნენ ნაკადულები, რომლებიც ზაფხულობით შრებოდნენ და წისქვილების ნაწილის მუშაობაც დროებით ჩერდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება დანარჩენ წისქვილებს, ისინი განუწყვეტლივ მოქმედებდნენ და მფლობელები მათზე წლიურად იხდიდნენ წისქვილის გადასახადს (რესუმი დეგირმან) 60 ახჩეს. წისქვილების ერთი ნაწილი იჯარით იყო გაცემული ისლამის მაღიარებლებზე, მეორეს—ფლობდნენ კერძო პირები ადგილობრივ მოსახლეობიდან სათანადო გადასახადების გაღებით, ხოლო წისქვილების მესამე ჯგუფი სოფლების საერთო სარგებლობაში რჩებოდა აგრეთვე სათანადო გადასახადების გაღებით.

წყლები და მდინარეები ხელსაყრელ პირობებს ჰქმნიდნენ მეთევზეობისათვის. მდინარე მტკვარზე, დაწყებული ნიალის საზღვრიდან სოფელ ტობის საზღვრამდე თევზისჭერა სისტემატურ ხასიათს ატარებდა. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ ცნობებით, ამ ადგილებში შემოღებული იყო სპეციალური გადასახადი თევზზე, რომლის მიხედვით დაჭერილი თევზის მეათედი დამპყრობელთა განკარგულებაში გადადიოდა. ასეთივე გადასახადი შეწერილი იყო მდინარე დიდი ხორანიას თევზზე (ბუზმარეთის რაიონი), მდინარეზე, რომელიც ჩაუდიოდა სოფელ ჭალა-აღჯაყალას.[1] ჯაყის წყალზე ბადელის წყლამდე და სხვა.

მეთევზეობისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჯავახეთ-არტაანის შინაგან ტბებს. ამ უკანასკნელთა შორის აღსანიშნავია საღამოს ტბა. ყოველწლიურად საღამოს ტბაზე დაჭერილ თევზზე შეწერილი იყო გადასახადი 10,000 ახჩეს რაოდენობით. ისკუნდრიეს ტბაში დაჭერილ თევზე იხდიდნენ 2633 ახჩეს, ხოლო ხანჩერიეს ტბის თევზზე 3500 ახჩეს. მეთევზეობაში არანაკლები მნიშვნლობისა იყო ჩალდირის ტბა ხელოვნური არხებით. მისი გადასახადი 30.000 ახჩეს აღწევდა. იყვნენ შედარებით უფრო პატარა ტბებიც, როგორც, მაგალითად, სოფელ ქორეთთან (ჯანბაზის რაიონი) სოფელ ლავაშის ტბა და სხვა. ყველა ეს სიმდიდრე, თურქების ბატონობის პერიოდში, მტაცებლური ექსპლოატაციის შედეგად დაინგრა და განადგურდა. დამპყრობლებმა არამც თუ რაიმე ახალი წარმოქმნეს სამცხე-საათაბაგოს საკეთილდღეოდ, არამედ კულტურისადმი ბარბაროსული დამოკიდებულებით ქართველი ხალხის ესოდენ დიდი შრომა და ამაგი იავარყვეს.

* * *

სამცხე-საათაბაგო ძირითადად მემინდვრეობას მისდევდა. დიდი რაოდენობით მოჰყავდათ ხორბალი, ქერი და საერთოდ მარცვლეული კულტურა. (ჭვავი, ფეტვი, მუხუდო, ოსპი, ცერცვი და სხვა). აღსანიშნავია ამას გარდა, რომ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ საკმაო რაოდენობით არის დასახელებული ბეზირხანები, რაც სიტყვა-სიტყვით ნიშნავს ზეთის-

[1] თეთრი ციხე.

სახდელ ქარხანას; ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს სელის კულტურის გავრცელებას, განსაკუთრებით — ჯავახეთის რაიონებში.

არანაკლები ყურადღება ექცეოდა თივის აკრეფას და, საერთოდ, საქონლის საკვების დამზადებას. სპეციალური გადასახადები, რომლებიც „დავთრის მიხედვით, გაწერილია იონჯასა და თივაზე, გვაფიქრებინებს, რომ სამცხე-საათაბაგოში არ კმაყოფილდებოდნენ ბუნებრივი ჭალების გათიბვით, არამედ მისდევდნენ საქონლის საკვები ბალახების ხელოვნურ დათესვას. ეს ქმნიდა საუკეთესო ბაზას როგორც მსხვილფეხა, ისე წვრილფეხა საქონლის მოშენებისათვის.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ სრულებით არაფერს არ ლაპარაკობს მსხვილფეხა საქონელზე. როგორც საგადასახადო ობიექტი, იგი არც ერთ სიაში არ გვხვდება. საქმე იმაშია, რომ ოსმალური კანონმდებლობის მიხედვით რაიას (გლეხს) არ ჰქონდა უფლება ესარგებლნა ცხენით. თვით თურქები ამ გარემოებას იმით ასაბუთებდნენ, რომ ისლამის სარწმუნოება გიაურებს (ურწმუნოებს) არ ათანაბრებს ისლამის მაღიარებელ მორწმუნეებთან, და ამიტომ პირველთ უკრძალავს ყველაფრით სარგებლობას, რაც გამოყენებულია ისლამის მიმდევრების მიერ, სახელდობრ: ცხენი, იარაღი, მუსლიმანური ტანსაცმელი და სხვაო.

ნამდვილად კი ეს უნდა აიხსნას იმ გარემოებით, რომ საშუალო საუკუნეებში სამხედრო-ფეოდალური ოსმალეთის სახელმწიფო შეიარაღებულ ძალთა შორის უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ცხენოსან რაზმებს და ამიტომ დაპყრობილ ქვეყნებში პირველყოვლისა ახდენდა ცხენების კონფისკაციას. ჯერ ერთი, ოსმალეთი ამით აძლიერებდა საკუთარ ჯარებს და მეორეც, დაპყრობილი მოსახლეობა, უცხენოდ ჰკარგავდა მტერთან წინააღმდეგობის გაწევის უნარს. აი რა აზრს გამოსთქვამდა ამ საკითხზე XVII საუკუნის თურქი პოლიტიკური მოღვაწე კოჩუბეი გომურჯოელი.

„...მეორე მხრით, როცა რაია (გლეხი) ეჩვევა ცხენზე ჯდომას და ხმლის ტარებას, ეს სიამოვნება ისე ჩაუჯდება თავში, რომ შემდეგ უკვე არაფრისათვის კვლავ არ გახდება რაიად. ჯარშიც ხომ არ ვარგა და, ბოლოსდაბოლოს, შეუერთდება არამზადების ბრბოს და სხვადასხვა ბოროტმოქმედებას და უწესოებას ჩადისო“.[1]

სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობასაც მთლიანად ჩამოერთვა ცხენები, და მაშასადამე, საგადასახადო სიებში ცხენი აღარ იქნებოდა დასახელებული. დაპყრობილი გლეხობა ტვირთს ურმით ეზიდებოდა და, სადაც მისი გამოყენება შეუძლებელი იყო, ხარებს იყენებდა, და ამ შემთხვევაში არა როგორც გამწევ ძალას, არამედ როგორც სასაპალნე ცხოველს.

რაც შეეხება სხვა მსხვილფეხ ცხოველებს (ხარი, ძროხა და სხვ.), ისინიც არ არიან ნახსენები საგადასახადო სიებში. მაგრამ, რასაკვირველია, მოსახლეობა მაინც მისდევდა მათს მოშენებას და თუ საგადასახადო ობიექტებში ისინი არ მოჰყვნენ, ამ შემთხვევაში დამპყრობლები სულ სხვა მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ მსხვილფეხ საქონელზე გადასახადების გაღება ოსმალური წესებით იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა. სამაგიეროდ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“

---

[1] В. Д. Смирнов — Кочубей Гомюрджинский и другие османские писатели XVII века о причинах упадка Турции, გვ. 77 — 78.

მიხედვით სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობას უნდა გაეღო ცხვარზე გადასახადი არა ნაკლებ 147,635 ახჩისა. კანონით დადგენილი იყო, რომ გადასახადნათ ორ ცხვარზე 1 ახჩა. ამგვარად გამოდის, რომ ამ დროისათვის ამ ადგილების მეცხვარეობა ითვლიდა არა ნაკლებ 295,270 თავს.

ცხვრის გადასახადის შესახებ გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა წიგნში ნათქვამი იყო:

„დაკანონებულია, რომ ცხვარი და ბატკანი ორივე ერთად ითვლებოდეს ერთ(მთელ)ად, დაკანონებულია (აგრეთვე), რომ ცხვრის გამოსაღები აღებულ იქნას აპრილის თვეში. თუ მას შემდეგ, რაც ვილაიეთის აღწერის დროს ცარიელად აღრიცხულს სოფელში, გარეშე რეყაადან (გლეხობიდან) მოვიდა ვინმე და ცხვარი მოაშენა, მაშინ, თუ ცხვრის გამოსაღები მისგან არაა მიწერილი სხვა სიფაჰიზე,[1] ის (გამოსაღები) აიღება ისე, როგორც ჩაწერილია და იმის სასარგებლოდ, ვისთვისაც ეს გამოსაღები განკუთვნილია ამ ვილაიეთში“[2].

ამ კანონის მიხედვით გამოდის, რომ ბატკანი არ შედის დასაბეგრავ ობიექტებში, მაშასადამე ზემოთმოყვანილი ცხვრის გადასახადის საერთო ჯამი, ნაანგარიშევი ორ ცხვარზე ერთი ახჩიდან, არ გამოხატავს ცხვრის საერთო რაოდენობას ბატკნის სახით და ჩვენს მიერ ნავარაუდევი ცხვრის საერთო სულადობის რაოდენობაც, სამცხე-საათაბაგოში არსებულ მეცხვარეობის მხოლოდ ნაწილობრივი აღმსახველია. ცხვრის სულადობის ზემოხსენებული რაოდენობა რომ სრული იქნეს, მაშინ საჭიროა რიცხვს 295,270-ს მიემატოს ბატკნის რაოდენობაც, რომელთა შესახებაც სამწუხაროდ დავთარში არაა მოცემული ცნობები.

ამასთან ერთად საჭიროა აღინიშნოს შემდეგიც: თუ მევენახეობა სამცხე-საათაბაგოს არა ყველა რაიონისათვის და სოფლისათვის იყო დამახასიათებელი, მეცხვარეობა, ისე როგორც მეღორეობა, გავრცელებული იყო ამ მხარის ყველა კუთხეში თითქმის გამოუკლებლივ.

ღორზე გამოსაღების საერთო ჯამი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრით“ აღწევდა 81,865 ახჩას, მაგრამ თუ ცხვრის შესახებ დავთარში განსაზღვრული იყო, თუ რამდენ ცხვარზე—რამდენი ახჩა უნდა აღებულიყო და ეს კი იძლევა შესაძლებლობას სამცხე-საათაბაგოში ცხვრის სულადობის დადგენისას, ღორების შესახებ არავითარი მსგავსი რამ არ მოგვეპოება. ამ საკითხში მხოლოდ დაახლოებითი წარმოდგენაა შესაძლებელი — ცალკე სოფლებში ღორზე გაწერილ გადასახადების ერთიმეორესთან დაპირისპირების საშუალებით.

მაგალითად, სოფელი ღრელი იხდის ღორზე გამოსაღებს—50 ახჩეს, სოფელი ზემო-მამაჭიხეთი ქვემო-მამაჭიხეთს ადგილიანად — 100 ახჩეს, სოფელი ორცები — 150, სოფელი ცხეკნელი — 200, სოფელი დილცქა—300, სოფელი კვარშა — 180, სოფელი გომი — 10, სოფელი ნაისა — 20, სოფელი ფია — 30, სოფელი ორჯუა — 250, და ა. შ. გარდა ამისა ვხვდებით ისეთ სოფლებსაც, სადაც ღორზე გამოსაღები ყველაზე დაბალ ციფრს შეადგენს და განისაზღვრება 5 ახჩეთი.

ყველა ზემოდჩამოთვლილი ციფრი უნაშთოდ იყოფა ხუთზე. ეს გარემოება გვაფიქრებინებს იმას, რომ, როგორც სჩანს, ღორის დაბეგვრაში ძირი-

---

[1] სიფაი — მიწადმფლობელი, ოსმალეთის სამხედრო წოდების წევრი, რომელიც რაინდობის ანალოგიურად ადგენდა ოსმალეთის არმიის სპეციალურ ცხენოსან რაზმებს.

[2] „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, გვ. 2—3, ხაზი ჩემია. ბ. ტ.

თად საზომ ერთეულად აღებულია ციფრი ხუთი. მაგრამ ამ „ხუთში“ შეიძლება ვიგულისხმოთ როგორც ახჩე (ძაშინ უნდა დავასკვნათ, რომ თითო ღორზე ახდევინებდნენ ხუთ ახჩეს), ისე ღორი (ამ შემთხვევაში სჩანს ხუთ ღორზე ახდევინებდნენ ერთ ახჩეს). თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ოსმალთა მმართველობა ფრიად დაინტერესებულა ღორის სწრაფი მოსპობით[1] სამცხე-საათაბაგოს ფარგლებში, თვალსაჩინო გახდება პირველი დებულების სისწორე და მაშინ ღორის სულადობის დადგენისათვის საერთო გადასახადის ჯამი (81,865 ახჩა) უნდა გაიყოს ხუთზე, რაც მოგვცემს 16,373 თავს.

სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როცა ვიხილავთ მეფუტკრეობის საკითხს. ამის შესახებ გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა წიგნში პირდაპირ ნათქვამია: „თითო სკის თაფლზე ყუშურის[2] ნაცვლად აიღება ორ-ორი ახჩა. ვილაიეთის აღწერის შემდეგ გაჩენილი ფუტკრისა, ცხვრისა, ვენახისა და ბაღის ყუშური და გამოსაღები თიმარის მფლობელს ეკუთვნისო“[3]. აქედან, ფუტკარზე გადასახადის საერთო ჯამის (93134) ახჩა 2-ზე გაყოფით სკების საერთო რაოდენობას განვსაზღვრავთ 46,567 სკით. როგორც აქედან ჩანს სამცხე-საათაბაგოს მინდორ-ველები, უხვი ბაღ-ვენახები და ხშირი ტყეები ჰქმნიდნენ საუკეთესო პირობებს მეფუტკრეობის განვითარებისათვის. სამცხე-საათაბაგოს თაფლი განთქმული იყო ყველგან. მაგრამ ოსმალთა ბატონობის პერიოდში ამ დარგმაც არანაკლები ზიანი განიცადა, ვინემ მევენახეობამ და მეღორეობამ.

* * *

აქ ჩვენ ცალკე შევჩერდებით სამცხე-საათაბაგოში არსებული გადასახადების სხვადასხვა სახეობაზე.

თანზიმათამდე[4] ოსმალეთის საგადასახადო სისტემა დამყარებული იყო ორ ძირითად საფუძველზე. პირველ მათგანს ეკუთვნოდა ყურანისა და შერის ანუ რელიგიოზური კანონმდებლობა, ხოლო მეორეს—სახელმწიფოებრივ დადგენილებებით დაწესებული სამხედრო ხასიათის გადასახადები. შარიათით დადგენილი გადასახადების სახეობანი ზოგიერთის გამოანგარიშებით (აბდურახმან თევფიკბეი: „tekâlif kavaidi“) ოთხმოცამდე აღწევდა, ხოლო მათი ძირითადი სახეობანი იყვნენ: ხარაჯი-გადასახადი, რომელიც უნდა გაღებულიყო ქრისტიან მოსახლეობის მიერ ჯარში არგაწვევის სამაგიეროს სახით და მეათედი, რომელიც ზოგ შემთხვევაში აღწევდა 1/5-ს და რომელიც უნდა გაღებულიყო ყველას მიერ.

რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ დადგენილ გადასახადებს, ისინი თავის მხრივ ორად იყოფოდნენ: „ადიე“, რომელიც გაიწერებოდა სამხედრო სა-

---

[1] საერთოდ ოსმალეთის იმპერიაში ღორზე გამოსაღები—ეგრედწოდებული ბიდაათ ხინზირი ნებისმიერს წარმოადგენდა და დროში განუსაზღვრელი იყო. ხშირად ამ გადასახადს ჰკრეფდნენ წელიწადში რამდენიმეჯერ

[2] როგორც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ სხვა ადგილებიდანაც ირკვევა, ოურქები „ყუშურს“ უწოდებდნენ საერთოდ გადასახადს პროდუქტიული (და არა ფულადი) სახით.

[3] „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, გვ. 3.

[4] თანზიმათი — გარდაქმნები, რეფორმები, ახალი წესების შემოღება.

ჭიროებისათვის და „შაკკე“, რომელიც ნებისმიერი იყო და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, საჭიროების მიხედვით, სახელმწიფოებრივ აპარატს შეეძლო გაეზარდნა, როგორც გადასახადის ახალი სახეობის შემოღებით, ისე გადასახადების არსებულ სახეობათა გაფართოებით. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გადასახადების სხვა და სხვა სახეობათა არსებობა დამოკიდებული იყო ოსმალეთის მიერ დაპყრობილ ქვეყნების თავისებურებებზე. იქ სადაც ჯერ კიდევ სრულად არ იყო დამკვიდრებული თიმარიოტული სისტემა, გადასახადები უფრო მეტად ხარკის ხასიათის მატარებელნი იყვნენ.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ შედგენისას სამცხე-საათაბაგოში თიმარიოტული სისტემა ჯერ კიდევ წარმოქმნის პროცესში იმყოფებოდა. ამის დამადასტურებელია თუნდაც ის გარემოება, რომ დავთარში აქაიქ აღნიშნული თიმარები[1], ზიამათები[2] და სხვ. უმრავლეს შემთხვევაში უფრო გვიანდელი პერიოდისაა, ვინემ დავთრის შედგენის თარიღი (1595 წელი). ამრიგად სამცხე-საათაბაგოს გადასახადები დავთრის მიხედვით შეიძლება ძირითადად დაყოფილ იქნას ორ ნაწილად. პირველ შემთხვევაში გადასახადები გაწერილია გლეხობაზე ინდივიდუალურად. ეს შეეხება უმთავრესად შემდეგ გადასახადებს: ისფენჯი და მურახასჯე; ხოლო გადასახადები: ხორბალზე, ქერზე, ბაღზე, ბოსტანზე, და სხვ., გაწერილია ცალკე სოფლებზე მთლიანად აღებული; აქედან გამოდის, რომ ასეთი გადასახადების აკრება-ჩაბარებაზე პასუხისმგებელი იყო არა ცალკე პიროვნებანი, არამედ მთელი სოფელი—სოფლის თემი. ამგვარად ეს გადასახადები უფრო ხარკის ხასიათს ღებულობდნენ.

სამცხე-საათაბაგოში არსებულ გადასახადებიდან ჩვენს ყურადღებას უპირველეს ყოვლისა იპყრობს ეგრედწოდებული თაფუ. მის შესახებ გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა წიგნში ნათქვამია: „... თუ მას (გარდაცვალებულ მეურნეს) შვილი არ ჰყავს (მიწა) მის ძმაზე არ გადადის, თაფუს წესებს დაექვემდებარება, მაგრამ თუ მისი ძმა გადაიხდის თაფუს იმ გამოსაღებს, რომელსაც სხვა იძლევა, მაშინ (მიწა) სხვას არ გადაეცემა“[3]. როგორც ამ ამონაწერიდან სჩანს, თაფუს გადასახადი უშუალოდ დაკავშირებული იყო გლეხის მფლობელობაში მყოფ მიწის ნაკვეთთან.

ფიქრობენ, რომ თერმინი „თაფუ“ წარმოშობილია სიტყვა—topos-იდან. რაც ბერძნულად ადგილს ნიშნავს და ბიზანტიაში იხმარებოდა გლეხური მეურნეობის აღმსახველად. მაგრამ ოსმალური თაფუ და ბიზანტიური topos ერთი მეორისაგან მაინც არსებით სხვაობაში იმყოფებოდნენ. თაფუ სინამდვილეში არ წარმოადგენდა პირდაპირ გადასახადს მიწაზე. ამ შემთხვევაში იგი უფრო ბაჟს (пошлина) წააგავდა, მაგრამ უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ იგი იყო მონოპოლია მიწის საკუთრებაზე დამყარებული. ზემოთ განხილულ ამონაწერიდან ნათლად სჩანს, რომ გარდაცვლილი გლეხის მიწა მემკვიდრეობით მის ძმაზე არ შეიძლება გადავიდეს. უფ-

---

[1] თიმარი — მიწის ნაკვეთი, რომლის საერთო შემოსავალი 20 ათასამდე ახჩით განისაზღვრებოდა და რომელიც ეძლეოდა სამხედრო პირს პირობითა და დროებით მფლობელობაში.

[2] ზიამათი — მსხვილი მეურნეობა, რომლის საერთო შემოსავალი უდრიდა არა ნაკლებ 20 ათას ახჩასი და რომელიც აგრეთვე პირობითა და დროებით ეძლეოდა ოსმალეთის რომელიმე დიდ მოხელეს.

[3] „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, გვ. 1.

რო მეტიც—ოსმალური წესებით „პაპის მიწა მის შვილისშვილზე არ გადადის“.[1]

აქედან უნდა დავასკვნათ, რომ გლეხის მფლობელობაში—მყოფი მიწის ნაკვეთი არ წარმოადგენს მის ნამდვილ კერძო საკუთრებას, რის გამოც მემკვიდრეობა მოცემულ მიწის ნაკვეთზე არაა თანმიმდევრული და—იგი გრძელდება მხოლოდ შვილისშვილამდე და არა ამის მომდევნო თაობამავლობამდე. ასე რომ არ ყოფილიყო, მაშინ შეუძლებელი გახდებოდა საგადასახადო სიებში თაფუს გადასახადის შეტანა, იმის წინასწარ გამოანგარიშებით, თუ მოცემულ სოფელში რამდენი უნდა აღებულიყო თაფუს გადასახადი; მართლაც, როგორ შეიძლებოდა იმის წინასწართქმა, რომ სოფელი ბლორძა გაიღებს 120 ახჩას თაფუსა და დეშთიბანზე, სოფელი წირა—100, სოფელი როკეთი—150, სოფელი კუმურდო—300 და ასე შემდეგ, თუ დავუშვებდით, რომ თაფუ გაიცემოდა რაიმე შემთხვევითს მოვლენებთან დაკავშირებით, ვსთქვათ, გარდაცვალებული მეურნის მემკვიდრეობის მატარებელი გვარის შთამომავლობის მოსპობის გამო და სხვ.

დებულება კი—„პაპის მიწა მის შვილისშვილზე არ გადადისო“, შესაძლებელს ხდიდა თაფუს გადასახადის ასეთ წინასწარ გამოანგარიშებას მთელი სოფლის მოსახლეობის მიხედვით. საგადასახადო სიებში დასახელებულნი იყვნენ კომლის უფროსები, რომლებიც ჰფლობდნენ მიწის ნაკვეთებს. მართალია, მათი გვარები არ იწერებოდა და მის ნაცვლად ნაჩვენები იყო სახელი და მამისახელი, მაგრამ, როგორც ზევით იყო აღნიშნული, თაფუს წესი გვარის ჩვენებას სავსებით არ საჭიროებდა.

ამგვარად, ყოველი „შვილის“ გარდაცვალების შემდეგ, მეურნეობა გადადიოდა ახალი მფლობელის ხელში არა მემკვიდრეობის, არამედ თაფუს საფუძველზე. მაშასადამე, თაფუ ეს იყო უფლების გაცემა მეურნეობის ახალ მფლობელზე და ამ შემთხვევაში იგი უფრო წააგავდა ფეოდალურ ევროპაში არსებულ მენმორტს, ანუ მკვდრის ხელის გადასახადს. თაფუს გადასახადის სიდიდის გამორკვევა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით სამწუხაროდ შეუძლებელი ხდება, რადგან აქ მოცემულ საგადასახადო სიებში თაფუზე გამოსაღები ცალკე არ არის აღნიშნული და მისი გამოცალკევება კი „დეშთიბანის“ გამოსაღებიდან, სხვა ცნობების დაუხმარებლად, არ ხერხდება.

პროფ. სოკოლოვის თქმით, საერთოდ უფრო ადრინდელ ხანებში, თაფუს გამოსაღები უდრიდა მოცემული მიწის ნაკვეთის ერთი წლის შემოსავალს. ამგვარად თაფუს საფუძველზე მეურნეობის მიმღები გლეხი ვალდებული იყო ერთდროულად გადაეხადნა ეს გამოსაღები და ამის შემდეგ კი სისტემატურად ეძლია ყველა სხვა გადასახადი ოსმალ-დამპყრობელთა გაბატონებულ კლასისათვის. მაგრამ თაფუს გამოსაღები გლეხურ მეურნეობას ანადგურებდა არა მარტო რაოდენობის სიმძიმით, არამედ განსაკუთრებით იმით, რომ თაფუ უშუალო მწარმოებელს ართმევდა ყოველგვარ იმპულსს მეურნეობის ინტენსიურად გარდაქმნის საქმეში. გლეხი, რომელიც თაფუს არსებობის გამო დარწმუნებული იყო თავის მეურნეობის დროებითობაში, აღარ უვლიდა ამ მიწის ნაკვეთს ისე, როგორც ეს საჭირო იყო მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის.

თაფუ დიდ ზიანს აყენებდა სამცხე-საათაბაგოს გლეხობას სხვამხრივაც-

---

[1] „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, გვ. 1.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, თაფუ მემამულისათვის სხვა გადასახადებთან ერთად შემოსავლის დამატებით წყაროს წარმოადგენდა. ერთი და იმავე ფართობის მქონე და თანაბარი რაოდენობის გლეხობით დასახლებულ სოფლებში შესაძლებელი იყო თაფუს სხვადასხვა რაოდენობით არსებობა, ერთ მათგანში შეიძლებოდა მიწის ნაკვეთების ნაკლები რაოდენობა ყოფილიყო გაცემული თაფუს საფუძველზე, ხოლო მეორეში — უფრო მეტი. მემამულე ყოველთვის ცდილობდა მემკვიდრეობითი მფლობელობა სხვა და სხვა საშუალებათა გამოყენებით თაფუზე გადაეყვანა და ამ გზით თაფუს რაოდენობა გაეზარდნა.

თაფუ, თანახმად არსებული კანონებისა, თავდაპირველად არ გაიცემოდა გარეშე პიროვნებაზე იმ შემთხვევაში, თუ თაფუს მსურველი ვინმე აღმოჩნდებოდა თვით სოფლის მცხოვრებლებიდან, მაგრამ დროთა ვითარებაში ამ კანონმა ძალა დაჰკარგა, და მემამულე თაფუს გაცემაში უკვე თავისუფლად იქცეოდა. სოფლის მეურნეობაში სავაჭრო და სავახშო კაპიტალის შეჭრასთან ერთად თაფუ გადაიქცა აღებმიცემის ძირითად ობიექტად. „...მიწის საუკეთესო ნაკვეთები, — ამბობს ვაილიამოვსკი, — ნელნელა გადადიოდა გარეშე ადამიანთა და ქალაქ ახალციხის წვრილ მრეწველთა ხელში; უადგილ-მამულო გლეხები ისეთ თაფუს მფლობელთ მიმართავდნენ, რომელნიც უთმობდნენ მათ თავიანთ უფლებას მიწებზე. გლეხს, პირობის საფუძველზე, შემოსავლის მეხუთედი მიწის მფლობელისათვის უნდა ეძლია და გარდა ამისა უნდა მიეცა მთელი დანარჩენი შემოსავლის ნახევარი, ანდა ხელშეკრულების მიხედვით, განსაკუთრებული ქირა, რაც ზოგჯერ ნამდვილი მფლობელის კუთვნილ შემოსავლის მეხუთედსაც კი სჭარბობდა. ამის შედეგი იყო გლეხის გაღატაკება. ასეთი შევიწროებისას საერობო ბეგარის მოხდა თაფუს მფლობელს არ ეხებოდა. იგი აწვებოდა მარტო გლეხებს და სავსებით აჩანაგებდა მათ“.

მიწასთან დაკავშირებული გადასახადის სხვა სახეობას წარმოადგენდა ე. წ. „დონუმ ახჩესი“. ეს გადასახადი ვრცელდებოდა მიწების იმ ნაკვეთებზე, რომლებიც მათი დამმუშავებელთაგან დაშორებით, სხვა თემარებში, ან სოფლებში მდებარეობდნენ. გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა წიგნში დონუმის გადასახადის შესახებ ნათქვამი იყო:

„თუ (ვინმე) გარეშე რაყიჲეთი მოვა და თაფუს საფუძველზე სიფაჰის მიწას დახნავს და დასთესავს, მაშინ (დაწესებული) ბეჰრეს[1] გადასახადის შემდეგ აიღება ორი დონუმი უკეთესი ადგილიდან ერთი ახჩა. დონუმი სიგრძითა და სიგანით 40 ნაბიჯი მიწაა, ჩვეულებრივი ნაბიჯით. (ამაზე) მეტი ან ნაკლები არ უნდა იქნას მიღებული. დაკანონებულია, რომ სახნავსათესად გამოსადეგი რეყაჲას ის მიწა, რომელსაც (რეყაჲა) სამ წელიწადს ზედიზედ უმიზეზოდ დაუმუშავებელს და ცარიელს დასტოვებს, ჩამოერთვას მას და გადაეცეს სხვას, თაფუს საფუძველზე“.[2]

როგორც პროფ. სოკოლოვი აღნიშნავს, დონუმი თავის სიდიდით უდრიდა ფართობს, რომელიც იტევდა 100 ოყა სათესლე მასალას. დონუმის გადასახადი ფულადი სახისა იყო და, როგორც ამონაწერიდან სჩანს, გაიღებოდა არა მარტო მიწის ნაკვეთის ფართობის მიხედვით, არამედ ამ შემთხვევაში ანგარიში ეწეოდა მიწის ხარისხსაც. თაფუს გადასახადიდან განსხ-

---

[1] ბ ე ჰ რ ე — გადასახადი, რომელიც უდრიდა საერთო შემოსავლის 1/5 ნაწილს.

[2] „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, გვ. 2.

ვავებით „დონუმ ახჩესი“ ყოველწლიური იყო, ისე როგორც ბეჰრე. აღსანიშნავია, რომ დონუმის გადასახადი, თუმცა ნახსენებია გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა კრებულში, იგი არ გვხვდება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ განცალკევებით რომელიმე პიროვნებაზე მიწერილ საგადასახადო სიებში. ამიტომ საფიქრებელია, რომ იგი არ იყო გავრცელებული სამცხე-საათაბაგოში დავთრის შედგენის ხანებში.

ზემოთთქმული დასტურდება თვით გურჯისტანის კანონთა კრებულის შემდეგი ადგილითაც: „ვინაიდგან გურჯისტანის ვილაიეთი ქვიანი ადგილია და მიწა (იქ) მცირეა, ამიტომ, ძველი დავთრის თანახმად, თითოეულ კაცზე იმ ადგილებითურთ, რომელსაც ის ძველი დროიდანვე, ჰფლობს, დაწესებულ იქნა გამოსაღები ისფენჯი ოცდახუთ-ოცდახუთი ახჩა. (ამ ისფენჯის) გადახდის შემდეგ მათი მიწებიდან ჩიფთის გამოსაღები, სანახევრო გამოსაღები და დონუმის გამოსაღები არ აიღება“.[1]

ერთის შეხედვით ოსმალეთის კანონმდებელს თითქოს მხედველობაში მიუღია სამცხე-საათაბაგოს „ქვიანი ადგილები“ და „მიწის სიმცირე“, რის გამოც აქ ძალაში არ შესულა ჩიფთის გამოსაღები, სანახევრო გამოსაღები და დონუმის გამოსაღები, მაგრამ არსებითად ეს მხოლოდ დემაგოგია იყო. სამცხე-საათაბაგოში ხსენებულ გამოსაღებთა დაუწესებლობა ნაკარნახევი იყო სულ სხვა მიზეზებით. ჯერ ერთი, ოსმალ დამპყრობლებს უცბად არ შეეძლოთ აქ გაევრცელებინათ ყველა თურქული წესი და ამიტომ სამცხე-საათაბაგოს ხსენებულ გადასახადების ნაცვლად უზომო ხარკი შეაწერეს; გარდა ამისა, აქ ჩამოთვლილი გადასახადების სახეობანი, როგორც წესი, ვრცელდებოდა დამოუკიდებელ მეურნეობებზე.

ტერმინი „ჩიფთი“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს წყვილს; ამ შემთხვევაში იგულისხმებოდა უღელი ხარი; მიწის ის ნაკვეთი, რომლის დამუშავებაც შესაძლებელი იყო ერთი უღელი ხარით, ატარებდა ჩიფთის სახელწოდებას, ან ჩიფთლიგს. ჩვეულებრივ ჩიფთი შეიცავდა 100-დან 150-მდე დონუმს და წარმოადგენდა მეურნეობას, რომელიც განკუთვნილი იყო ერთ საშუალო ოჯახის გამოსაკვებად. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ჩიფთლიგები წარმოადგენდნენ დამოუკიდებელს და კერძო საკუთრებაზე დამყარებულ გლეხების მფლობელობას, რაც სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა დაპყრობის შემდეგ თითქმის სრულებით არ არსებობდა. ამის შემდეგ აქ ყველა გლეხი გამოცხადდა რაიად და, ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ჩიფთის გადასახადიც აღარ იარსებებდა.

სამცხე-საათაბაგოში დამპყრობლების მიერ მეხარკეობის სისტემის შემოღება არ უარყოფდა ცალკე მიწის ნაკვეთების იჯარით გაცემას, მხოლოდ მიწის იჯარით გაცემა ხდებოდა არა რაიებზე, არამედ თურქების მოხელეებსა და ისლამის მაღიარებელ სხვა პირებზე. მიწაზე იჯარა ძირითადად ორი სახეობისა იყო: ფულადი და პროდუქტების სახით. ფულადი იჯარის შესახებ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ მაგალითად აღნიშნულია: „ვენახი მაქსიმე მღვდლისა, აწ არტაანის მირალაის[2] ფულადს მფლობელობაში (მყოფი), ან: „ვენახი და ბაღი დედისიმედისა, აწ აწყურის ღულამის[3]. მუსტაფა ყაბდულ-ლაჰის ძის მფლობელობაში (მყოფი), სასამართ-

---

[1] „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, გვ. 1.
[2] პოლკოვნიკი.
[3] მოხელე.

ლოს განაჩენის თანახმად იჯარის წესით წელიწადში 40 (ახჩას გაიღებს)", და სხვ.

იჯარის გადახდა პროდუქტებით თავის მხრივ ორნაირი იყო: ერთი, რომელიც გაანგარიშებული იყო მიწის ნაკვეთის ფართობის მიხედვით, და მაშასადამე უცვლელად რჩებოდა ყოველგვარ პირობებში, და მეორე — ბეჰრე, მოსავლის მიხედვით. ამ შემთხვევაში ბეჰრეს სიდიდე დამოკიდებული იყო მოწეულ ჭირნახულის რაოდენობაზე. იჯარის პროდუქტებით გადახდის პირველ სახეს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი" შემდეგნაირად გამოხატავს:

„საყანე მიწა ჩაირითურთ მელქიზედექ აზნაურისა, აწ ჰაჯიყულის ძის მეჰმედის მფლობელობაში (მყოფი), სასამართლოს განაჩენის თანახმად ყუშურსა და გამოსაღებს იძლევა". იჯარის პროდუქტებით გადახდის მეორე სახეზე კი დავთარში ნათქვამია: ვენახი-ვაკუფი ჭულეს ეკლესიისა, ქრისტეფორე ბერის ხელში, საყანე მიწით, აწ იბრაჰიმ ყაბდულ-ლაჰისძის მფლობელობაში (მყოფი), სასამართლოს განაჩენის თანახმად იძლევა გამოსაღებს და ბეჰრეს".

ამგვარად იჯარის ეს სახე პროდუქტებით გადახდისა გამოხატულია ბეჰრესა და ყუშურში. მაგრამ თუ ბეჰრე ყოველთვის ჰგულისხმობს მიწის იჯარით გაცემას, და იჯარა კი, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, არ მიეცემოდა რაიას, დავთრის მიხედვით ყუშურის ცნება უფრო ზოგადი ხასიათის მატარებელია. იგი მოიცავს რაიას (გლეხის) მიერ გაღებული გადასახადის იმ ნაწილსაც, რომელიც შეტანილია პროდუქტის სახით. მაშასადამე, ტერმინი ყუშური ყოველთვის როდი ჰგულისხმობდა იჯარას. როგორც დავთრიდან სჩანს, მიწაზე იჯარა არ იყო მუდმივი და არც მემკვიდრეობითი. იგი მოკლევადიანი იყო და ხშირ შემთხვევაში ხუთ წელს არ აღემატებოდა. იჯარით გაიცემოდა არამარტო სახნავ-სათესი მიწა და ბაღ-ვენახები, არამედ თევზისჭერა მდინარეებსა და ტბებში, წისქვილები, ე. წ. ბეზირხანები და სხვ.

გარდა ამისა დაწესებული იყო გადასახადები იალაღებსა და „იათაღზე". იაილაღის გადასახადს უწოდებდნენ „იაილაკ რესუმი", იგი გაწერილი იყო საზაფხულო საძოვრებზე, რომლებიც მოიპოებოდნენ ამა თუ იმ რაიონში; ამას გარდა „იაილაკ რესუმი" ვრცელდებოდა აგრეთვე იმ საძოვრებზე და თივის სათიბ ადგილებზეც, რომლებიც იმყოფებოდნენ სოფლის ტერიტორიაზე. უკანასკნელ შემთხვევაში გლეხები გათიბვის შემდეგ თივას აწყობდნენ ზვინებად და ვალდებულნი იყვნენ გაეღოთ მეათედი, ან არა და თითო ურემ თივაზე გადაეხადნათ ორი ახჩა. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში" ეს გადასახადი აღნიშნულია, როგორც „გამოსაღები იონჯასა და თივაზე".

„იათაღის" გადასახადს სხვანაირად უწოდებდნენ „აგილ ახჩესი". ეს გადასახადი ყოველთვის ფულადი ხასიათისა იყო და ახდევინებდნენ მეცხვარეებს ცხვრის საზამთროდ დაბანაკების შემთხვევაში. სამცხე-საათაბაგოს მრავლად მოეპოებოდა ასეთი ადგილები, ამიტომ იყო, რომ სოფლების უმრავლესობას ეს გადასახადი სხვა და სხვა რაოდენობით ჰქონდა შეწერილი. აღნიშნული ორივე გადასახადი იაილაღსა და იათაღზე ოსმალეთში დაწესებული იყო ჯერ კიდევ სულთან სულეიმან I დროს, შემდეგ იგი დამტკიცებულ იქნა სულთან ახმედ I მიერ და განაგრძობდა არსებობას თანზიმათამდე (XIX საუკუნის ნახევრამდე).

ცხვარზე გადასახადს, რომლის „მიხედვითაც ორ ცხვარზე ერთ ახჩას ღებულობდნენ, ეწოდებოდა „რესუმ აღნაძი“. იგი გაიღებოდა ყოველწლიურად აპრილის თვეში. ეს გადასახადი მოგვაგონებს ბიზანტიაში არსებულ მსგავს გადასახადს, სახელდობრ „პროვატონომიონს“, მაგრამ, ეჭვია, ოქმა, თითქოს ოსმალებმა ეს გადასახადი ბიზანტიელებისაგან გადმოიღეს, [illegible] რო საფიქრებელია, რომ ეს გადასახადი თურქებს, როგორც მომთაბარე ხალხს, შემოღებული ჰქონდათ ბიზანტიის დაპყრობამდეც.

ღორის გადასახადს ეწოდებოდა „ბიდაათ ხინზირ“. ბიზანტიაში არსებული ანალოგიური გადასახადი ცნობილი იყო „ხიროდეკატიის“ სახელწოდებით და გულისხმობდა ღორების რაოდენობიდან მეათედის გაღებას. „ბიდაათ ხინზირი“ კი თავის რაოდენობით ერთ მეათედზე გაცილებით მეტი იყო. ამ გადასახადში ოსმალთა პოლიტიკა მიმართული იყო მეღორეობის, როგორც ისლამის საწინააღმდეგო მოვლენის, სრული მოსპობისაკენ. ოსმალეთის ხელისუფლება „ბიდაათ ხინზირის“ რაოდენობას სისტემატურად ზრდიდა და ცალკე სანჯაღებში უამრავ განკარგულებებს სცემდა მეღორეობის დარგში დამატებითი გადასახადების გაღებაზე.

ფუტკარზე არსებულ გადასახადს „რესუმი კოვანი“ ეწოდებოდა. ეს გადასახადი რაოდენობით უდრიდა შემოსავლის (თაფლის) ერთ მეათედს, ფულადად კი უნდა გაღებულიყო თითო სკაზე ½—2 ახჩამდე. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით სამცხე-საათაბაგოსათვის დაწესებული იყო „რესუმი კოვანის“ მაქსიმუმი, ე. ი. ერთ სკაზე ორი ახჩა. გარდა ამისა სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა დამპყრობლები ფუტკრის გადასახადს ახდევინებდნენ იმ შემთხვევაშიაც, თუ ვინმე ტყეში აღმოაჩენდა გარეულ ფუტკარს და ისარგებლებდა მისი თაფლით, რაზედაც ოსმალეთის სხვა სანჯაღებსა[1] და ვილაიეთებში გადასახადი არ უნდა გაღებულიყო.

სამცხე-საათაბაგოს გადასახადთა შორის არანაკლები მნიშვნელობისა იყო წისქვილის გადასახადი, რომელსაც „დეგირმან რესუმი“ ეწოდებოდა. ეს გადასახადი საერთოდ ფულადი სახისა იყო და ნაწილდებოდა ორად. თუ წისქვილის მოქმედებაში გამოყენებული იყო ქარის ძალა, გადასახადის რაოდენობა, ერთ თვალ წისქვილზე, გათვალისწინებული იყო 6 თვით—15 ახჩა, წლიურად კი, ამის შესაბამისი—30 ახჩა. სამცხე-საათაბაგოში მხოლოდ წყლის წისქვილები მოქმედებდნენ, რომლებზედაც შეწერილი იყო 6 თვეზე — 30 ახჩა, ხოლო წლიურად—60 ახჩა. იმ შემთხვევაში, თუ წისქვილი უმოქმედოდ დარჩებოდა პატრონის უყურადღებობით, ხელისუფლება, სასამართლოს განაჩენით, ამ წისქვილებს სხვას გადასცემდა და ახალ მეპატრონესაგან ღებულობდა წისქვილის გადასახადს. იმ შემთხვევაში „თუ ვილაიეთის აღწერის შემდეგ ახალი წისქვილი იქნება აშენებული, მაშინ,— ნათქვამია დავთარში,— თიმარის მფლობელმა გამოსაღები უნდა აიღოს ახლო-მახლო მდებარე წისქვილებზე შეწერილი გამოსაღების შესაბამისადო“...

ამის ანალოგიურ გადასახადს წარმოადგენდა ზეთისსახდელი ქარხნების გადასახადი, რომელსაც თურქები „რესუმი ბეზირხანეს“ უწოდებდნენ. ბეზირხანების დიდი რაოდენობა მოიპოებოდა სამცხე-საათაბაგოს იმ რაიონებში, რომლებიც ფართოდ მისდევდნენ სელის მოშენებას. პირველ რიგში ეს ითქმის ჯავახეთის რაიონებზე. დავთრის მიხედვით ბეზირხანების

---

[1] სანჯაღი—დროშა, ოსმალეთის ძველი ადმინისტრაციული ერთეული, ანუ სადროშო.

ყველაზე დიდი რაოდენობა ჯავახეთში იყო. „რესუმი ბეზირხანე“, წისქვილის გადასახადიდან განსხვავებით, თვეების მიხედვით არ იყო გაანგარიშებული. მაგალითად, თუ წისქვილის შესახებ ნათქვამი იყო, რომ ერთ თვალზე 6 თვის ვადით აიღება 30 ახჩა, ბეზირხანის შესახებ უბრალოდ ეწერა: „ბეზირხანა 1 თვალი ვარძელის ხელში—60 ახჩა“. სხვა ადგილას გვხვდება ბეზირხანა 1 თვალი, რომელზედაც შეწერილი ყოფილა 30 ახჩა. თუ რითი უნდა აიხსნას მსგავს ობიექტებზე ერთ და იმავე დროის ვადით სხვა და სხვა რაოდენობით გადასახადის შეწერა, დავთარში ამის შესახებ არავითარი ცნობა არ მოგვეპოება.

ჩვენ სქემატურად განვიხილეთ სამცხე-საათაბაგოში არსებული თითქმის ყველა გადასახადები, რომლებიც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრითაა“ გათვალისწინებული და რომლებიც დაკავშირებული იყვნენ, ან უფრო სწორად, გამომდინარეობდნენ მოსახლეობის უძრავ და მოძრავ ქონებიდან. მაგრამ გარდა ამ გადასახადებისა დავთრით გათვალისწინებული იყო მთელი რიგი გადასახადებისა, რომლებიც უნდა გაღებულიყო მოსახლეობის მიერ რაიათის სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით. ამ მხრივ პირველყოვლისა აღსანიშნავია „ისფენჯის“ გადასახადი. დავთრის მიხედვით იგი შეწერილია ქრისტიანობის მიმდევარ ყველა ოჯახზე ფულადი სახით და უდრის 25 ახჩას, განურჩევლად იმისა, თუ რამდენი სულისაგან შესდგება ეს ოჯახი. აქედან სჩანს, რომ ისფენჯი არაა სულადი გადასახადი. მაგრამ იგი არ შეიძლება ჩაითვალოს საკომლო გადასახადადაც, რადგან იგი მურახასიეს სახელწოდებით დავთრით ცალკეა გაანგარიშებული.

ამგვარად, ძნელი ხდება „ისფენჯის“ გადასახადის ნამდვილი რაობის გაგება. როგორც ზევით იყო აღნიშნული „ისფენჯის“ შესახებ გურჯისტანის კანონთა კრებულში ნათქვამია: „ძველი დავთრის თანახმად თვითეულ კაცზე იმ ადგილებითურთ, რომელსაც ის ძველი დროიდგანვე ჰფლობს, დაწესებული იქნა გამოსაღები ისფენჯი 25 — 25 ახჩა“. ამ ამონაწერის მიხედვით გამოდის, რომ ისფენჯი დაკავშირებულია გლეხის მფლობელობასთან — მეურნეობასთან, მაგრამ ასეთი დასკვნა მცდარი იქნება, რადგან ყველა რაიას მეურნეობა როდი იყო თანაბარი, ხოლო ისფენჯი კი ყველას თანაბარი რაოდენობით ჰქონდა შეწერილი; გარდა ამისა, რაიათი ისფენჯის გარეშეც იხდიდა თავის მეურნეობაზე ყოველი სახეობის სოფლის მეურნეობის პროდუქციას: ხორბალს, ქერს, ჭვავს, ფეტვს, მუხუდოს, ოსპს, ცერცვს, სელის თესლს, კაკალს, თხილს და სხვ.

ყველა ზემოთნათქვამის გამო ისფენჯის წარმოშობის სათავეები უნდა ვეძიოთ სხვა მიმართულებით. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ადრინდელ ეპოქაში არაბებს შემოღებული ჰქონდათ არამუსლიმანურ მოსახლეობისათვის სპეციალური გადასახადი, რომელსაც ისინი ხარაჯს უწოდებდნენ. ეს გადასახადი უნდა გაეღოთ მეურნეობის მქონე გლეხობას ნაცვლად სამხედრო ბეგარის მოხდისა, და იმის მიხედვით, თუ ვის როგორი მეურნეობა გააჩნდა. ამგვარად ხარაჯი ყველაზე თანაბარი რაოდენობით არ ნაწილდებოდა. თურქებმა სხვა სახის მემკვიდრეობასთან ერთად არაბებისაგან გადმოიტანეს ხარაჯიც, მხოლოდ შეცვლილ ფორმებში. ხარაჯის გაწერის დროს ისინი უკვე აღარ ღებულობდნენ მხედველობაში მფლობელის მეურნეობის სიდიდეს (რის გამოც ყველას თანაბრად ახდევინებდენ ამ გა-

დასახადს) და იყენებდნენ მხოლოდ იმ მოტივს, რომ ქრისტიანი მოსახლეობა, არ იხდის სამხედრო ბეგარას, ამისათვის მან მისი სამაგიერო უნდა გაიღოსო. რადგან „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ ისფენჯი მართლაც შეწერილია მხოლოდ ქრისტიან მოსახლეობაზე, ამიტომ ვფიქრობთ, რომ ისფენჯი ხარაჯის მაგიერი იყო.

ანალოგიური გადასახადი ვრცელდებოდა დავთრის მიხედვით იმ მუსლიმანებზე, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზის გამო სამხედრო სამსახურში არ იმყოფებოდნენ: ასეთებს უმთავრესად წარმოადგენდნენ ნახევრადმოხეტიალე ტომები იურუკებისა და სხვათა სახით. ამ შემთხვევაში ეს გადასახადი აღარ ატარებდა ისფენჯის სახელწოდებას და ცნობილი იყო „ბენაქის გამოსაღების“ სახით. ამგვარად, ვინც ისფენჯის გადასახადს არ იხდიდა, მასზე ვრცელდებოდა „ბენაქი“, ეს უკანასკნელი კი უფრო ნაკლები იყო ისფენჯზე და უდრიდა 18 აბჩას. რაც შეეხება თვით თურქებს, ისინი არ იხდიდნენ არც ისფენჯისა და არც ბენაქის გადასახადებს.

ზემოთ ნახსენები სულადი გადასახადი ცნობილი იყო „ბადჰავას“ სახელწოდებით. ამ გადასახადს იხდიდა მთელი მოსახლეობა. სიტყვა ჰავა ნიშნავს ჰაერს, ამიტომაა, რომ ზოგიერთი მკვლევარები „ბადჰავას“ გადასახადის წარმოშობას თურქულ საგადასახადო სისტემაში, აკუთვნებენ ბიზანტიაში არსებულ „აერიკონის“ გადასახადს, ანუ გადასახადს ჰაერით სარგებლობისათვის. ეს გადასახადიც („ბადჰავა“) ფულადი სახისა იყო. „ბადჰავას“ ოდენობის გამორკვევა დღემდე შეუძლებელი გახდა. ვერც „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ იძლევა ამომწურავ პასუხს ამ საკითხზე, რადგან საგადასახადო სიებში, ჯერ ერთი, არაა მოცემული მოსახლეობის საერთო რაოდენობა, და მეორეც „ბადჰავას“ საერთო ჯამი გაერთიანებულია საქორწინო გადასახადთან და მისი გამოყოფა შეუძლებელი ხდება.

გარდა ამისა მოსახლეობას უნდა გაეღო ე. წ. „მურახასიე“. ეს გამოთქმა სიტყვა-სიტყვით რწმუნებულს, დელეგატს ნიშნავს, მაგრამ ძნელია იმის თქმა, თუ რამდენადაა დაკავშირებული გადასახადი „მურახასიე“ ამ სიტყვის პირდაპირ მნიშვნელობასთან. გურჯისტანის კანონთა კრებულში ნათქვამია: „გურჯისტანის ვილაიეთში გამოსაღები მურახასიეს სახით თითოეულ კაცზე თურმე ორ-ორ აბჩას იღებდნენ. ახალ სასულტანო დავთარში ჩაწერილობისდა შესაბამისად, რეაჟას მდგომარეობის შესამსუბუქებლად თითოეულ კომლზე უნდა აიღონ ორ-ორი აბჩა. ზედმეტი არ უნდა აიღონ“.

ამ ამონაწერიდან, ყოველ შემთხვევაში, ნათლად სჩანს, რომ „მურახასიე“ არ არის საკომლო გადასახადი (მიუხედავად იმისა, რომ თვითეულ კომლზე გაწერილი ყოფილა ორ-ორი აბჩა), ვინაიდან დავთრის შედგენამდე გურჯისტანის ვილაიეთში კაცზე „მურახასიეს“ სახით ორ-ორ აბჩას ღებულობდნენ.

კომლზე გადასახადს ოსმალები უწოდებდნენ „რესუმი დუხან“, რომელიც თავის ანალოგიას პოულობდა ბიზანტიაში არსებულ „კაპნიკონის“ გადასახადის სახით. თურქული წესების მიხედვით იგი უნდა გადაეხადნა იმ პირს, რომელიც თავის ბინადარ საცხოვრებელზე არ იმყოფებოდა, გადადიოდა სხვა სანჯაღში დროებით საცხოვრებლად და ამ უკანასკნელში მას არ გააჩნდა რაიმე მეურნეობა, არამედ ჰქონდა რაიმე ხანგრძლივი სამუ-

შაო, ან საქმე. გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა კრებულში ეს გარემოება შემდეგნაირად არის განმარტებული:

„თუ გარეშე ვინმე მოვა და სიფაის თიმარზე გაიზამთრებს, მაშინ, თუ ის ცოლშვილიანია, მას გადახდეს გაზამთრების გამოსაღები — 6 ახჩა, ხოლო თუ ის მარტოხელაა, მაგრამ კერა აქვს, მაშინ გადახდეს საკვამლე გამოსაღები—3 ახჩა. თუ კი ის მიწას დახნავს და დათესავს და მიწის გამოსაღებს გადაიხდის, მაშინ გაზამთრების გამოსაღებს ის აღარ იხდის. მოზამთრეები სამი წლის განმავლობაში იხდიან გაზამთრების გამოსაღებს". ამგვარად მოსულ პირებს ერთ და იმავე ადგილზე სამი წლით დაყოვნების შემდეგ საკომლე გადასახადი ეხსნებოდათ და ჩვეულებრივი გადასახადების გამღებად იქცეოდნენ.

თავისი სიმძიმით გლეხობისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ე. წ. საქორწინო გამოსაღები, რომელსაც თურქები „რესუმი არუსანეს", ან სხვანაირად — „გერდეკ რესუმის" უწოდებდნენ. ზოგიერთი მკვლევარის აზრით ეს გადასახადიც თურქებმა გადმოიღეს ბიზანტიიდან, სადაც ის ცნობილი იყო „პარფენოფორიის", სახელწოდებით. ამასთან ერთად ცახარიეს და სხვების აზრით თვით „პარფენოფორია" წააგავს დასავლეთ ევროპაში არსებულ პირველი ღამის უფლებას.

თურქული სიტყვა „გერდეკი" პირდაპირი გაგებით ნიშნავს ახლადშეუღლებულთა ოთახს, ან საქორწინო ოთახს. ყოველ შემთხვევაში, როცა კი გაათხოვებდნენ ქალიშვილს, ან ქვრივს, უნდა გადაეხადნათ საქორწინო გადასახადი. მაშასადამე, „რესუმი არუსანე" ვრცელდებოდა არამარტო ქალიშვილებზე და ამგვარად იგი მთლიანად არ წააგავდა არც „პარფენოფორიას" და არც პირველი ღამის უფლებას.

გურჯისტანის კანონთა კრებულის მეთერთმეტე თავში საქორწინო გადასახადის შესახებ ნათქვამია: „საქორწინო გამოსაღები აიღება სამოცსამოცი აღჩა ქალწულისაგან და ოცდაათ-ოცდაათი ახჩა ქვრივისაგან, თუ ისინი ცხოვრობენ ბეგლარბეგისა[1] და მირლივას[2] სახასო (მიწებ)ზე, ზაყიმთა თიმარისა და სხვა თავისუფალ თიმარზე. (რაც შეეხება) სხვა თიმარის მფლობელების საქორწინო გამოსაღებს: სიფაჰიებზე მიწერილი ადგილებიდან (გამოსაღების) ნახევარს იღებენ ისინი, ხოლო მირლივაზე მიწერილი ადგილებიდან მეორე ნახევარს იღებენ სანჯაყის სამხედრო მეთაურნი.

„ქალწულის საქორწინო გამოსაღებს, რა ადგილიდანაც არ უნდა გათხოვდეს ის, იხდის მისი მამა და უხდის მას, ვისი რეაყაჲაც ის არის. ქვრივი უხდის საქორწინო გამოსაღებს იმ თიმარის მფლობელს, რომლის მიწაზედაც ის იმყოფება. ვინაიდან ჲურუქისა და ჲუზდეჯის ტომებს არ გააჩნიათ განსაზღვრული (საცხოვრებელი) ადგილი, ქალწული და ქვრივი, მამასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, თანაბარნი არიან.

„ზაყიმთა, თიმარის მფლობელთა, მონადირეთა, ციხის მცველთა და ღურებას ასულთაგან საქორწინო გამოსაღები მიწერილი აქვს სულტანის სახასო (სალაროს); (იგი) სულტანის სახასოს ემინებმა უნდა აიღონ".

---

[1] ბ ე გ ლ ა რ ბ ე გ ი — რუმელიისა და ანატოლიის მეფის ნაცვალ ფაშების საპატიო წოდება, ანუ ხარისხი.

[2] მ ი რ ლ ი ვ ა — სამხ. ბრიგადის უფროსი, გენერალ-მაიორი.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა პირდაპირი გადასახადებისა სამცხე-საათაბაგოს მოსახლეობას ეგრეთვე ეღლად აწვა აგრეთვე არაპირდაპირი გადასახადები, რომლებიც სხვა და სხვა სახით ოსმალეთის კანონმდებლობაში ბლომად მოიპოვებოდნენ. დიდი რაოდენობით ბაჟების დაწესებით იზრდებოდა ფასები სურსათ-სანოვაგესა და სხვა საქონელზე, რაც მომხმარებელს თანდათანობით უკარგავდა სყიდვითი უნარიანობას და აუტანელ ეკონომიურ პირობებში აყენებდა მას. ოსმალეთის ხელისუფალნი კი მოითხოვდნენ: „ცხენის ბაზარზე ცხენი რომ გაიყიდოს, თორმეტი ახჩა უნდა აიღონ. სასაკლაოზე რომ ცხვარი გაიყიდოს, ორ ცხვარზე ერთი ახჩა უნდა აიღონ, თუ კამეჩი გაიყიდება—4 ახჩა, თუ ხარი გაიყიდება—2 ახჩა, და თუ სხვა ვილაიეთიდან საპალნით ტილო და ბამბა შემოვიდა, უნდა იქნეს—2 % ახჩა გადახდევინებული, ქიშმიშის, ლეღვისა და სხვა ხმელი ხილის საპალნეზე (უნდა აიღონ): ცხენის საპალნეზე — 2 ახჩა, აქლემის საპალნეზე — 4 ახჩა, და ვირის საპალნეზე — 1 ახჩა, ხოლო თუ ხილი არ გაიყიდა, არაფერი არ გადახდებათ. ნედლი ხილის 2 საპალნეზე ერთი ახჩა უნდა აიღონ“.

ბაჟები დაწესებული იყო აგრეთვე მარცვლეულზედაც. ამის შესახებ გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა კრებულში ვკითხულობთ: „საბაზრო ბაჟი ქალაქში შემოსულ მარცვლეულზე: თუ ხორბალი ან ქერი გაიყიდება, თითოეულ მუდზე ნახევარი ქილე უნდა აიღონ და სხვა მარცვლეულზედაც ამგვარადვე. ხოლო როცა (მუდზე) ნაკლები შემოვა, თუ თითოეულ საპალნეში ექვს-ექვსი ქილე იქნება, გამყიდველს (ყოველ) ქილეზე ერთი ახჩა (უნდა გადახდეს). მუდის ზომა კი 20 სტამბოლური ქილეა“.

ე. წ. „წესრიგის დარღვევის“ შემთხვევებში შემოღებული იყო უამრავი სხვა და სხვა სახის ჯარიმები, რომელთა მიზანდასახულებას აგრეთვე დამპყრობელთა შემოსავლიანობის ზრდა შეადგენდა. დაკანონებულ იყო, რომ, თუ ვინმე არა სრული წონით გაჰყიდდა საქონელს, ასეთ შემთხვევაში გაყიდულ საქონლის საფასურიდან ყოველ თვითეულ დირჰემზე[1] ერთი ახჩა უნდა აღებულიყო; ყადის მეშვეობით წესდებოდა ფასების ნიხრი, რომლის დარღვევა იწვევდა ჯარიმის გადახდას.

მაგრამ ჯარიმების ფართოდ გამოყენება ხდებოდა არა მარტო აღებ-მიცემის სფეროში, არამედ სამოსამართლო საქმეებშიც, განსაკუთრებით სისხლის სამართლის ხაზით. არსებული თურქული წესების თანახმად მკვლელობის შემთხვევაში მკვლელს უნდა გადაეხადნა ჯარიმა. თუ მკვლელი მდიდარი იყო—400 ახჩა, თუ საშუალო შეძლების — 200 ახჩა, ხოლო თუ ღარიბი — 100 ახჩა. ერთის შეხედვით გამოდის, რომ თურქული წესები თითქოს უფრო მეტად ღარიბთა ინტერესებს იცავდნენ, ვიდრე მდიდრებისას, მაგრამ არსებითად ეს ასე არ იყო. ცნება „მდიდარი“ და „ღარიბი“ არ იყო დამყარებული კლასების სხვა და სხვაობაზე. თურქებისათვის „მდიდარი“ იყო ის, რომელსაც ჯარიმის გადახდის დროს აღმოაჩნდებოდა საკმაო თანხა, თუნდაც ეს უკანასკნელი სხვისი კუთვნილი ყოფილიყო. ოსმალთა ხელისუფალნი ამ შემთხვევაში უფრო მეტად დაინტერესებულნი იყვნენ იმით, რომ შენაწერი ჯარიმა რეალური ყოფილიყო მისი აკრეფის

---

[1] წარმომდგარია ბერძნულ სიტყვიდან — დრახმა, რაც ფულის ნიშანს ჰგულისხმობს.

თვალსაზრისით, სხვანაირად, რომ ვსთქვათ, უნდა უზრუნველყოფილიყო შეწერილი ჯარიმის სრული გადახდა. „თავის გაპობისათვის (ნათქვამია გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა კრებულში), ძვლის გატეხისათვის, ბოლის ჩაგდებისათვის, აგრეთვე თუ ვინმე მახვილით ან გურზით და სარმარი ნარაღით დაჭრის შედეგად ლოგინში ჩაწვება, მაშინ, ცნობილი ჩვეულების მიხედვით (უნდა აიღონ) 100 ახჩა, უფრო მცირე დანაშაულისათვის, როდესაც საჭიროა (დამნაშავის) გამოსწორება და დასჯა, (უნდა აიღონ) 30 ახჩა, მხევლისაგან—10 ახჩა“.

მრუშობის შემთხვევაში, თუ დამნაშავე მდიდარ პიროვნებად იქნებოდა მიჩნეული, ჯარიმად უნდა გადაეხადნა სამასი ახჩა, საშუალო შეძლების მქონეს—ორას ორმოცდაათი, ხოლო ღარიბისაგან უნდა აღებულიყო — 200 ახჩა. აღსანიშნავია ის, რომ ჯარიმა ამგვარ ბოროტმოქმედებაზე სხვა მხრითაც იყო დიფერენცირებული. მრუში, თუ ის იქნებოდა ცოლიანი, ჯარიმის ზემონათქვამ რაოდენობას გაიღებდა, ხოლო უცოლო, ნათქვამის შესაბამისად იხდიდა 250-დან 100 ახჩამდე.

მოსახლეობა ჯარიმდებოდა ყოველ ნაბიჯზე, ისეთ შემთხვევაშიაც კი, როცა ვინმე შემთხვევით იპოვნიდა რაიმე ავეჯს და მას დაუყონებლივ არ ჩააბარებდა ოსმალთა ხელისუფლებას. გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა კრებულში ამის შესახებ ხაზგასმით ნათქვამია: „უკეთუ ვინმე იპოვის ტანისამოსს, ქსოვილს, ხალიჩას, და მისთანას, ის ვალდებულია ჩააბაროს (ასეთი) ყადის[1] მეშვეობით ემინებს[2] და (თავისთვის) არ დაიტოვოს: თუ (თავისთვის) დაიტოვებს, დამნაშავედ უნდა ჩაითვალოსო“.

აღნიშნული ჯარიმები, როგორც წესი, მიდიოდნენ არა დაზარალებულთა სასარგებლოდ, არამედ დამპყრობელთა განკარგულებაში. აი ერთ-ერთი ამის თვალსაჩინო მაგალითი: „თუ რეყაადან ვინმეს ცხენი ან ხარი და, საერთოდ (ყოველგვარი) ჯიშის ოთხფეხა (საქონელი) დააზარალებს მეორის ყანას, მაშინ ზარალის ანაზღაურების შემდეგ, საქონლის პატრონს 5-ჯერ დაჰკრავენ ჯოხს, ხ ო ლ ო თ ი მ ა რ ი ს პ ა ტ რ ო ნ ი ა ხ დ ე ვ ი ნ ებ ს მ ა ს ჯ ა რ ი მ ი ს ს ა ხ ი თ თ ი თ ო ს უ ლ ს ა ქ ო ნ ე ლ ზ ე ხ უ თ-ხ უ თ ა ხ ჩ ა ს“[3].

ოსმალური კანონმდებლობის ეს მუხლი პირდაპირ ლაპარაკობს ჩვენი დებულების სასარგებლოდ, რადგან ამ ამონაწერში დაზიანებული პირი არის რაია (გლეხი), ხოლო ჯარიმის მიმღები კი, თიმარის პატრონი, ანუ ოსმალთა გაბატონებულ ფენის წარმომადგენელი მუსლიმანის სახით. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, ზედმეტი იყო ლაპარაკი ნამდვილ სამართალზე და საერთოდ სამართლიანობაზე. თურქი მოხელეები ხშირად განგებ აწყობდნენ პროვოკაციულ ხრიკებს იმისათვის, რომ რაიები გამოეყვანათ დამნაშავე პირებად და შემდეგ მიეღოთ, რაც შეიძლება მეტი ჯარიმები, ან არა და ქრთამები იმ პირებისაგან, რომლებიც ვითომდაც ბრალდებულნი იყვნენ ამა თუ იმ გარკვეულ დანაშაულობაში.

როგორც ისტორიულ დოკუმენტებიდან სჩანს, თურქ მოხელეების მექრთამეობამ და მათ მიერ რაიათის უსაფუძვლოდ ბრალდებულად გამოყვანამ იმდენად ფართო და საშიში ხასიათი მიიღო, რომ ოსმალეთის ხელისუფალნი აიძულა კანონმდებლობაში გაეთვალისწინებინათ ისეთი ზომები,

---

[1] სასულიერო წოდების მოსამართლე.

[2] ე მ ი ნ ი — უფროსი.

[3] ხაზი ჩემია. — გ. ტ.

რომლებიც ასეთ ბოროტმოქმედებას ნაწილობრივ მაინც თავიდან აიცილებდნენ. გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა კრებულის 19 თავში ნათქვამია:

„...სანჯაყ-ბეგებსა და სუბაშებს[1] და მათ კაცებს ეკრძალებოდა [illegible] ულობის გამოუძიებლად და ბოროტმოქმედების გამოუაშკარავებლად [illegible] ონ დამნაშავეები და გამოართვან მათ რაიმე და განათავისუფლონ (ისინი). და ვიდრე (ზემოხსენებულ პირთა მიერ) ვილაიეთის ყადის თანადასწრებით არ იქნება დამტკიცებული დანაშაული, დამნაშავეების დაჭერა ან დასჯა ეწინააღმდეგება სამართალსა და კანონს. ხოლო, თუ დამნაშავე და ბრალდებული გაჯიუტდებიან და წმინდა სასამართლოში გამოცხადებაზე დავას დაიწყებენ, მაშინ სასამართლოში მათი იძულებითი წესით მოყვანა ნებადართულია. სანჯაყ-ბეგებსა და სუბაშებს ეკრძალებათ სხვა და სხვა ბრალდების წამოყენებით რეყაადან ბოროტმოქმედნი ჯაჭვით შებორკონ და სოფელ-სოფელ ატარონ, ვიდრე ისინი არ იქნებიან ყადის წინაშე წარდგენილნი. ასეთი ბრალდებულები ჯაჭვით არ უნდა იქნენ შებორკილნი მანამ, სანამ ისინი არ იქნებიან ყადის სასამართლოში მოყვანილნი და სანამ (მათი დანაშაული) სამართლით არ იქნება დამტკიცებული“.

თავისთავად ცხადია, თურქ მოხელეების ასეთი გაფრთხილება ფაქტიურად მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თურქ მოხელეებზე არ არსებობდა სათანადო კონტროლი კანონმდებლობის ამ მუხლის ცხოვრებაში გატარებისათვის, და მეორეც, თუნდაც მომხდარიყო მისი განხორციელება და ბრალდებულის საქმე განხილულიყო სასამართლოში ყადის ხელმძღვანელობით, ბრალდებულნი მაინც „დამნაშავეებად“ რჩებოდნენ, რადგან, თანახმად არსებული წესებისა, სასამართლო არ ღებულობდა ჩვენებას იმ მოწმისას, რომელიც ქრისტიანული რელიგიის მაღიარებელი იყო; რაკი რაიები (ვლეხები) ყველა ქრისტიანები იყვნენ, რაიას მოწმედ უნდა დაესახელებინა კვლავ მუსლიმანი. ე. ი. თურქული მოხელე ან მიწადმფლობელი.

ამგვარად რაიათი (გლეხობა) სრულებით მოკლებული იყო პოლიტიკურ უფლებებს. ოსმალო-დამპყრობლები თვითონაც არ მალავდნენ ამ გარემოებას და რაიას თითქმის მთლიანად უთანაბრებდნენ პირუტყვს. რაიას დანიშნულება, დამპყრობლების აზრით, მდგომარეობდა მხოლოდ იმაში, რომ პირველთ მიეცათ უკანასკნელთათვის ბატონობის განგრძობის საშუალება: აი როგორ ცინიკურად განმარტავდა საერთოდ რაიას მნიშვნელობას სარი მაჰმედ ფაშა მინისტრთა სახელზე წარდგენილ მოხსენებითს ბარათში (რისალეში): „სულთან სულეიმანმა მეჯლისის ერთერთ სხდომაზე იკითხა — ქვეყნის შემნახველი ვინ არისო?“, რომ უპასუხეს — „თქვენაო“, არ დასთანხმდა. „შემნახველი ნამდვილად რაიაა, რადგან მათი მეურნეობა და შრომა ჰქმნის სიკეთეს ჩვენი გამოკვებისათვის“. შემდეგ ავტორი განაგრძობდა „რაიასათვის მფარველობის არგაწევა დევლეთი ალის (ოსმალეთის სახელმწიფო, გ. ტ.) ზედმეტად მძიმე საფიქრებელში ჩააყენებს. დევლეთი ალის წესწყობილება და ხაზინის სიუხვე იქმნება რაიათის მიერ. რაია ღვთის მიერ ჩვენთვის მოცემული ანაბარია. მხოლოდ რაიას სამხედრო

[1] სუბაში — წყარო, სათავე, წყლის უფროსი, მამულის მმართველი, ისტორიულად — პოლიციის უფროსი. წარმოების აზიურ წესის პირობებში, რადგან ირიგაცია წარმოადგენდა მნიშვნელოვან მოვლენას, ირიგაციის ხელმძღვანელი პირები შემდეგშიაც მოჰყვნენ დიდ და საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

წოდებაში გადაყვანისაგან თავი უნდა შეიკავოთ, რადგან ამისაგან ხაზინას ზიანი მიადგება. ვინც წარმოშობით მამაპაპიდან სიფაის შვილი არაა, სამხედრო პირად არ გადაიქცევა. თუ რაია მუდმივ მეთვალყურეობის ქვეშ არ იქნება, იგი გაიფანტება. შეწყალებით მოპყრობა სჭირდებათ და სიმკაცრის გამოჩენა მათდამი საზიანოა. მაგრამ მათი დიდძალი განებივრებაც — შეიძლება. მათთვის სიფაის მსგავს ტანისამოსის, მორთულობისა და ცხენის გამოყენება უნდა აიკრძალოს...

ყოველგვარი ხარჯები და მნიშვნელოვანი გამოსაღები, გარდა იმისა, რასაც რაია იძლევა, მას არ უნდა დაეკისროს. მათთვის მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა იქნებოდა მისი მეურნეობისათვის საფუძვლის გამოცლა, რაც ძალიან დაასუსტებდა რაიას. მაშინ მძიმედ. დატვირთულს მას აღარ ექნება ძალა ტვირთის ტარებისა და ეს (კი) გადაიქცეოდა მთლიანად მათი აჯანყების მიზეზად".[1]

აქედან სავსებით გასაგები ხდება ის, რომ, როგორც სარი მაჰმედ ფაშა, ისე ოსმალეთის გაბატონებული კლასი რაიათს სთვლის თავის საკუთარ საექსპლოატაციო ობიექტად, რომელიც „ღვთაებამ მათ გადაულოცა", და რომელიც არ უნდა სარგებლობდეს არავითარი ადამიანური უფლებით.

დოკუმენტის ავტორი, ურჩევს რა გაბატონებულ კლასს რაია ზედმეტად არ დატვირთოს, მისდაუნებურად ლაპარაკობს იმაზე, რომ უშუალო მწარმოებლის ექსპლოატაციის ნორმამ მაქსიმუმს მიაღწია და მისი კვლავ გადატვირთვა რაიას აჯანყებამდე მიიყვანს.

მაგრამ დოკუმენტის მთავარი აზრი მაინც იმაში მდგომარეობს, რომ რაია, ოსმალეთის სახელმწიფოებრივობის ეს ძირითადი წყარო, არ დაიშრიტოს, ავტორის სიტყვებით რომ ვსთქვათ — „არ დაიფანტოს". ავტორის აზრით, ამისათვის საჭიროა მეტი მეთვალყურეობის გაწევა. აი როგორ ამართლებდნენ იმდროინდელი გაბატონებული კლასის წარმომადგენელნი სულთან სულეიმანის მიერ პირველად შემოღებულ რაიას მიმაგრების კანონს, რომელიც მიმართული იყო ცოცხალი სამუშაო ძალის შენარჩუნებისაკენ.

დამპყრობლების მიერ სამცხე-საათაბაგოს პირველი აღწერის დღიდან რაიათი გამოცხადებულ იქნა მიწაზე მიმაგრებულად. არსებული თურქული კანონმდებლობის მიხედვით მიწადმფლობელს ეძლეოდა უფლება ათი წლის განმავლობაში ეძებნა გაქცეული გლეხი და უკან დაებრუნებინა თავის მეურნეობაში. გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა კრებულში ამის შესახებ კკითხულობთ: „თუ დავთარში რეგისტრირებული რეყაიას (ხალხი) დაიფანტება, — დაწესებულია კანონი, რომ ისინი მოყვანილ იქნენ უკანვე და დასახლებულნი თავიანთ ადგილას, ხოლო, უკეთუ ათმა, ან მეტმა წელმა განვლო, უკან გადმოსახლება არ შეიძლება; გამოსაღები მათ გადახდებათ საცხოვრებელ ადგილის მიხედვით. რაყიიეთის შვილი არის რაყიიეთი, სანამდე ის სხვას არაა მიწერილი".

უშუალო მწარმოებლის მიწაზე მიმაგრების საკითხში თურქული კანონმდებლობა გაცილებით უფრო მწვავე ხასიათის მატარებელი იყო, ვინემ დასავლეთ ევროპის ფეოდალური ურთიერთობის მიერ შემოღებული წესი. გაქცეული ყმის უკან დაბრუნების შესახებ, რომლის მიხედვითაც, თუ გლეხი დაჰყოფდა ქალაქად წელიწადსა და ერთ დღეს, თავისუფლად იქცე-

---

[1] Omar Barkan, Osmanli imperatorlugunda Çiftci siniflarin Hukuki statüsü. Say: 53, cilt: X, 1938, yaprak 422.

ოდა. მაგრამ თურქულ კანონმდებლობის სიმკაცრეს მარტო გაქცეული გლეხის მოძებნის 10 წლის ვადა კი არ განსაზღვრავს, არამედ საქმე იმაშია, რომ ამ ვადის შემდეგაც გლეხი, სადაც არ უნდა ყოფილიყო, მაინც რაიათად რჩებოდა, რადგან „რაყიეთის შვილი არის რაყიეთი, სანამდის ის სხვას არაა მიწერილი“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რაიათი, ამგვარად, იყო ისეთი წოდება, რომელიც მამიდან შვილზე მემკვიდრეობით გადადიოდა, და არავითარი ხანდაზმულობა და არც სხვა გარეშოება ვერ ათავისუფლებდა გლეხს ამ წოდებისაგან, გარდა იმისა, თუ, რომ სულთანის მიერ არ იქნებოდა იგი „შეწყალებული“. ყოველივე ამასთან ერთად ოსმალეთის ხელისუფლება გლეხობის მიწაზე მიმაგრების მიზნით იყენებდა სხვადასხვა ეკონომიურ ღონისძიებებსაც, რათა რაია არ გაქცეულიყო დასახლებული ადგილიდან. ოფიციალურად დაკანონებული იყო, რომ გაქცეულ გლეხს უნდა გაეღო ორმაგი გამოსაღები გადასახადების ყოველგვარ სახეობაზე. „თუ რეყაია თავის სახნავ-სათესად გამოსადეგ მიწას არ დაამუშავებს (ნათქვამია გურჯისტანის ვილაიეთის კანონთა კრებულში) და სხვა სიფაჰის მიწის დასამუშავებლად წავა, ამ შემთხვევაში დაკანონებულია ასეთებისაგან ორი ყუშურის აღება (ხსენებული გარემოების) დადასტურების შემდეგ. ხოლო თუ ის თავისი მიწის დამუშავების შემდეგ დაამუშავებს კიდევ სხვა სიფაჰის მიწას, (მაშინ) ორი ყუშურის გადახდა უქმდება“.

ასეთი იყო ის მძიმე ეკონომიური და პოლიტიკური პირობები, რომელიც შეიქმნა სამცხე-საათაბაგოში ოსმალ დამპყრობლების გაბატონებისთანავე. სამცხე-საათაბაგოში ყველა გამოსადეგი მიწა გამოცხადებულ იქნა ოსმალეთის სახელმწიფოს საკუთრებად.

ამგვარად ოსმალ დამპყრობლებმა შეჰქმნეს ყოველგვარი პირობები იმისათვის, რათა საბოლოოდ დაემორჩილებინათ სამცხე-საათაბაგოს გლეხობა და ეწარმოებინათ საქართველოს ერთერთი კულტურული და მდიდარი მხარის გაძარცვა და განადგურება.

იმდროინდელ საქართველოს არ შეეძლო დაეპირისპირებინა რაიმე რეალური ძალა სამხედრო-ფეოდალური ოსმალეთის სახელმწიფოსათვის, რომელმაც თავისი ექსპანსიური პოლიტიკით არანაკლები ზიანი მიაყენა ევროპის მთელ რიგ სახელმწიფოებსაც. იმ დროისათვის უძლიერესი სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო ოსმალეთი ჯერ კიდევ თავის აღმავლობის გზაზე იმყოფებოდა და ამიტომ მასთან ბრძოლა არც თუ ისე ადვილი საქმე იყო. მიუხედავად ამისა, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ქართველი ხალხი განუწყვეტლივ აწარმოებდა აჯანყებებსა და გამათავისუფლებელ ბრძოლებს დამპყრობლების წინააღმდეგ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ ალავიძე

აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში

აკაკი წერეთელი საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხშირი სტუმარი იყო. მას ყველგან უსაზღვრო პატივისცემითა და სიყვარულით ხვდებოდა ხალხი.

1912 წლის ზაფხულში აკაკი რაჭა-ლეჩხუმს ესტუმრა.

მოგზაურობა, რომელიც დაიწყო ქუთაისიდან 21 ივლისს და გაგრძელდა 1-ლ აგვისტომდე (ძველი სტილით), არაჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენდა თავისი გრანდიოზულობითა და საზოგადოებრივი რეზონანსით.

ეს იყო სახალხო მგოსნის ტრიუმფალური მსვლელობა, რომელმაც ფართო გამოხმაურება ჰპოვა არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიაც.

საბედნიეროდ დღეს ჩვენ საშუალება გვაქვს თვალსაჩინოდ წარმოვიდგინოთ ეს მოგზაურობა. მის გასაცნობად საკმაო მასალა მოიპოვება:

მოგზაურობის გეგმა ჩინებულად იყო შემუშავებული და სამაგალითო წესრიგით განხორციელდა. აკაკის ახლდნენ ჟურნალისტები — რედაქტორ-კორენსპონდენტები. 1912 წლის ივლის-აგვისტოში ქართული პრესა („სახალხო გაზეთი", „თემი" და „კოლხიდა") მოგზაურობის გარშემო უხვად აწვდიდა ინფორმაციებს ჩვენს საზოგადოებრივობას.

აკაკისთან იყვნენ ფოტოგრაფი და კინო-ოპერატორი, რომლებმაც მოგზაურობის უმთავრესი მომენტები გადაიღეს და დოკუმენტალური კინოფილმი დაგვიტოვეს. აგრეთვე ამჟამადაც ცოცხალია რამდენიმე პირი, რომელთაც მონაწილეობა მიუღიათ ამ მოგზაურობაში.

მგოსანს თანამგზავრებად ახლდნენ ახლობლები და ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლები: თბილისიდან—გაზეთ „თემის" რედაქტორ-გამომცემელი გრიგოლ დიასამიძე, მწიგნობარი სოსიკო მერკვილაძე, მოგზაურობის მომწყობი კომიტეტის თავმჯდომარე მუშა ი. ისაკაძე, კოტე აბდუშელიშვილი, ძმისწული ვასილ წერეთელი, მხატვარი კოტე ქავთარაძე; ქუთაისიდან—მასწავლებლები ვასილ პეტრიაშვილი, სამსონ დათეშიძე, იაკობ ვარაზაშვილი, გაზეთ „კოლხიდის" რედაქტორი მიხეილ ჯაფარიძე, კორესპონდენტი ლადო ბზვანელი და კინოოპერატორი ვასო ამაშუკელი.

პოეტთან შეხვედრა უდიდეს ზეიმად გადაიქცა. განუზომელი იყო ხალხის სიხარული.

აკაკისადმი მიძღვნილი სიტყვები (პროზად და ლექსად) გარეშე მაყურებელზე ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა, თითქოს ეს მხარე დასახლებულია მხოლოდ პოეტებით, მხატვრული სიტყვის ოსტატებით და შეჯიბრება არის გამართული.

ეს აზრი კერძო საუბარში კიდეც გამოსთქვა დიდმა მგოსანმა. მან მოიგონა კახეთში მოგზაურობა, ხალხის მიერ გულწრფელი მიღება, მაგრამ აღნიშნა, რომ ასეთი ორატორობის მსგავსი რამ მას იქ არ უხილავს.

გამგზავრების წინ, თბილისში (ვერის „ედემის“ ბაღში) რაჭველმა მუშებმა და მშრომელმა ინტელიგენციამ დიდი ბანკეტი გაუმართეს მგოსანს. ... შეიმუშავეს მოგზაურობის ჩატარების გეგმა.

რაჭველმა მუშამ ი. ისაკაძემ აკაკის მიმართა სიტყვით და საჩუქრად გადასცა ოქროს კალამი.

19 ივლისს აკაკი ქუთაისშია. 21 ივლისს დილით სასტუმროსთან დიდძალი ხალხი შეიკრიბა პოეტის გასაცილებლად. აკაკი და მისი თანამგზავრნი ეტლებით გაემართნენ რაჭა-ლეჩხუმისაკენ. გზაზე მათ საჩუქრებით ხვდებოდნენ. ცხენოსანი ახალგაზრდობა სიმღერითა და თოფის სროლით რაზმებად მიჰყვებოდა უკვდავ მგოსანს.

ჩვენი სტუმრები გულწრფელი სიყვარულით მიიღეს ნამახვანსა, მექვენასა და ალპანაში.

უდიდესი აღფრთოვანებით მიეგებნენ დიდებულ მოხუცს სოფელ ჭრებალოში. ჭრებალო ეთნოგრაფიულად შედის ლეჩხუმში და რაჭასთან ლეჩხუმის საზღვრად ითვლება.

აქ დეკანოზმა მ. ფრუიძემ პოეტს მიმართა მოკლე სიტყვით.

პოეტმა ქაიხოსრო გელოვანმა წაიკითხა შემდეგი ლექსი:

„მხცოვანი მწირი დიდებულ მგოსანს,
კრძალვით მოგიძღვნი თაყვანისცემას,
გილოცავ გვირგვინს უკვდავებისას —
ნაყოფს ზეციურ შენის ნიჭისას.
შენ გააღვიძე მძინარე ხალხი,
შენ შთაბერე მას ფხიზელი სული,
მისთვის პატივს გცემს მშობელი ერი,
შენით ფენიქსებრ განახლებული.
გამოიფხიზლა შენმა სამშობლომ,
შეიგნო შენი დიადი ღვაწლი,
იხარე სულით, დიდო მგოსანო,
რომ შეასრულე შენ შენი ვალი“!..

აკაკიმ განაცხადა: „ბატონებო! მადლობას გიძღვნით ასეთი გულწრფელი თანაგრძნობისათვის. ჩემდამი მომართული ეს სიტყვები, ცოტა არ იყოს, გადაჭარბებულად მიმაჩნია. ქართველებს ჩვეულებად გვაქვს და გვიყვარს გადაჭარბება. ამდენი ქება-დიდების ღირსი მე არა ვარ. რაც შეეხება იმას, რომ საქართველოს ყველა კუთხე მოვიარე და თქვენი ქვეყანა—რაჭა-ლეჩხუმი, სადაც ქართული ენა და ზნე-ჩვეულება დაცულია უფრო წმინდად, ვიდრე სხვაგან, ვერ ვინახულე, მე ამაზე ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი ნახვა გადავდე ბოლოს. როგორც სადილის გათავებისას სტუმარს მიართმევენ რაიმე ტკბილეულობას ყელის ჩასაგემრიელებლად, მეც ისე ვიფიქრე საბოლოოდ შემენახა თქვენი კუთხის დათვალიერება, რათა მოხუცებულობის ჟამს დავმტკბარიყავი და ეს კიდეც აღმისრულდა“.

მეორე დღეს, კვირას, მოისმინეს აკაკის საჯარო ლექცია არქეოლოგიური ნაშთებისა და ზეპირმეტყველების მნიშვნელობისა და დაცვის შესახებ.

ლექციის შემდეგ მინდორში, ძველი ციხის ნანგრევებთან, ცაცხვის ხის ქვეშ პოეტს გადაუხადეს დიდი ნადიმი და აჩუქეს ვერცხლის სურა.

აკაკიმ სურა გულთან მიიკრა და სთქვა: „თუმცა ყოველივე ნივთიერი ხაჩუქარი სუსტი და წარმავალია, მაგრამ ეს, თქვენს მიერ მოძღვნილი ხაჩუქარი, ჩაინერგება ჩემს გულში თქვენდამი ამოუშლელი სიყვარულისა და თანაგრძნობით“.

იშვიათ საზეიმო მომენტს წარმოადგენდა ლეჩხუმლების მიერ აკაკის მიცილება რაჭის პირველ სოფლამდე და რაჭველების მიერ მისი მიღება, რომელიც მძლავრი სიმღერით, თოფების ხშირი სროლითა და საერთო მხიარული ყიჟინით გამოიხატა.

მდ. ასკის ხიდთან აღმართული იყო სატრიუმფო თაღი, სადაც პურის თავთავებით ეწერა „რაჭა ფიანდაზად გეშლება“. აქ მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა აწ დამსახურებულმა პედაგოგმა ლონგინოზ კიკვიძემ:

„მობრძანდით, ძვირფასო სტუმარო! ბუნებით მდიდარი, მაგრამ ბედის ანაბარად დატოვებული რაჭა სულითა და გულით გეგებება ეროვნული ლიტერატურის გამაცისკროვნებელ მგოსანს და თქვენი მობრძანების დღეს თვლის უბედნიერეს დღეთა რიცხვში. დარწმუნდით, ჩვენო სასიქადულო მამულისშვილო, რომ ისეთივე ღრმა პატივისცემითაა გამსჭვალული თქვენდამი რაჭის მკვიდრნი, როგორითაც ყველა—ცოტად თუ მეტად შეგნებული და გადაგვარებისაგან შორსმყოფი დანარჩენი ჩვენი მოძმეები. ამიტომაცაა, რომ გაისმა თუ არა ხმა თქვენი მობრძანების შესახებ, გულწრფელი მხიარულება გამეფდა ჩვენს არემარეში და გულისფანცქალით მოელოდნენ კაცი და ქალი, დიდი და პატარა იმ სანეტარო წამს, ოდეს ისინი გახდებოდნენ ღირსი თქვენი ხილვისა. განა ეს გასაკვირველია?! დღევანდელ დღეს რაჭა პირველად ეღირსა პირისპირ იხილოს ის, რომელსაც მამულისადმი სამსახური გაუხდია სათაყვანო საქმედ და, დღიდან საზოგადო ასპარეზზე გამოსვლისა, ერთგულ დარაჯად უდგას თავის ეროვნებას და წმინდა სანთელივით დნება სამშობლოს სამსხვერპლოზე; იხილოს ის, რომლის ჩანგის ჟღერას, სევდის ჰანგებთან ერთად, იმედის სხივებით აღუფრთოვანებია უსამართლობით დათუთქული ჩვენი გული და დამატკბობელი ნექტარივით ჩასწვეთებია ჩვენს სმენას. უთუოდ წინასწარმეტყველურია სიტყვები, რომ ზამთრისაგან დაჩაგრულნი მოვესწრებით გაზაფხულსა, ოღონდ კი გამოვერკვიოთ საღათას ძილიდან, ვიცნოთ მომაკვდინებელი ძალა შარბათისა და შევისისხლხორცოთ სულმნათი რუსთაველის ანდერძი: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“. ნება მიბოძეთ, ჩვენო ერის სიამაყევ, მოგმართოთ ერთი კალმოსნის სიტყვებით და გთხოვთ მიიღოთ ჩვენი მადლობით აღსავსე გული სახატედ, რომელშიაც გექნება სამარადისო და ხელუხლებელი ბინა ჩვენის თანაგრძნობისა და სიყვარულისაგან აგებული, ჩვენის თაყვანისცემისა და დიდებისაგან შეხურული. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!..“

სოფელ ტოლაში პოეტს პურ-მარილით შეხვდა საზოგადოება. თავადმა დიმიტრი ყიფიანმა აკაკის უთხრა შემდეგი სიტყვა:

„აგვისრულდა დიდიხნის ნატვრა: გიხილეთ—დღემდის უხილავი. მოდით, ხალხო, ნახეთ და გულში ჩაიხატეთ დიდებული სახე საქართველოს საყვარელი მგოსნისა. პირველად რომ „ვეფხისტყაოსანი“ წავიკითხე, ყველაზე უფრო ადამიანის მზესა და მთვარესთან შედარებამ გამაოცა. ახლა კი სრული-

ადაც არ მიკვირს და აი რატომ: დაძველებული მთვარე ილევა; შენ კი თუმცა ცხოვრების თავდაღმართისაკენ უკვე გადახრილი ხარ, მაგრამ ისევ სავსე თხუთმეტი დღის ბადრი მთვარესავით გაქვს თეთრი ჭაღარით შემოსილი დიადი სახე. მაშ, შენ მეტი ხარ მთვარეზე. შენ მზე ხარ საქართველოსი და შენი ტკბილი და მკვირცხლი ლექსები ისე გვიტკბობენ და გვალბობენ გულს, როგორც მაისის მოწმენდილ ცაზე აღმოცურებული მზის სხივები. შენ ღვიძლი შვილი ხარ საქართველოსი და სანამ ეს ქვეყანა თავისი ბუმბერაზი მთებითა და თვალაუწვდენელი დაუდნობელი მყინვარებით, რომლებსაც „ორბნი, არწივნი ვერ შეხებიან“, მოახდენს წარმტაც შთაბეჭდილებას მნახველზე, მანამ შენც არ მოგეშლება ასეთი თვისება და დიდება. ნება მიბოძეთ, იშვიათო ბედნიერო ადამიანო, ჩვენო დამპყრობო, არა ცეცხლითა და მახვილითა, არამედ სიყვარულითა და გრძნობით, მოწიწებით თაყვანი გცეთ და სიხარულის ცრემლით დაგისველოთ ძვირფასი ჭაღარა!..“

ამ სიტყვამ თვით დ. ყიფიანიც აატირა და აკაკიც. ბევრს თვალებზე სიხარულის ცრემლი მოადგა.

აკაკის მიესალმა გლეხი ამირან ლომთაძე, რომელმაც სიტყვა ლექსით დაასრულა.

სადმელის საზოგადოების სახელით აკაკის მიეგება გიგო ლორთქიფანიძე.

დიდი ეფექტი მოახდინა მგოსანსა და მის მხლებლებზე ავტოებით მომავალი რუსი ტურისტების შეხვედრამ ძირაგეულის ჭალაზე (ამბროლაურის პირდაპირ). ისინი გადმოსულიყვნენ მამისონის უღელტეხილით. მათ შესწყვიტეს სვლა და იკითხეს აკაკი. ტურისტთა ხელმძღვანელმა პროფ. ს. ანისიმოვმა მხურვალე სიტყვით მიმართა მგოსანს, რომ ისინი უერთდებიან ქართველი ხალხის ზეიმს, მაგრამ ამავე დროს საჭიროდ მიაჩნიათ აღნიშნონ, რომ აკაკი არა მარტო ქართველი ერისა, არამედ მთელი კულტურული კაცობრიობის კუთვნილებაა.

სიტყვა იმდენად მშვენიერი იყო, რომ მხლებლები ძალზე შეაფიქრა: ვაი, თუ აკაკიმ შესაფერი პასუხი ვერ გასცესო.

როგორც ვიცით, აკაკი ამ დროს ძლიერ მოხუცი იყო, აგრეთვე დაღლილიც მგზავრობისაგან.

საპასუხო სიტყვაში აკაკიმ ხაზი გაუსვა რუსეთის ინტელიგენციის დიდ როლს მცირე ერებისა და კერძოთ ქართველი ხალხის გათავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში.

ცოტა ხნის შემდეგ ხარკოვის ერთ-ერთ ცენტრალურ გაზეთ „უტროში“ გამოქვეყნდა პროფ. ს. ანისიმოვის მოზრდილი წერილი „შეხვედრა საქართველოს უდიდეს პოეტ აკაკი წერეთელთან“, სადაც ავტორი ქება-დიდებით იხსენიებს მგოსანს და აღწერს მოგზაურობის მსვლელობას.

1912 წლის „სახალხო გაზეთში“ (№ 756) მოთავსებულია „უტროდან“ გადმობეჭდილი ეს სტატია. აი როგორ მოგვითხრობს პროფესორი ამ შეხვედრას:

„სოფელ წესს რომ გასცდებით, ორი ვერსის დაშორებით მდინარის ახლოს სდგას უძველესი ეკლესია. ეკლესიასთან რომ გავიარეთ, დავინახეთ მწვანე მდელოზე გაშლილი ხალხი ყვავილებით კამარას ჰკრავდა. მეორე ჯგუფი ეკლესიისაკენ ჩასასვლელ ბილიკს აკეთებდა.

აქ გავიგეთ, რომ ეს მხიარული ხალხი დახვედრას უპირებს საყვარელ პოეტს, 70 წლის მოხუცს აკაკი წერეთელს. მთელ ღამეს გათენებამდე იდგე-

სასწაულებენ აკაკის მოსვლას. სიტყვები, სიმღერა, ცეკვა-თამაში გათენებამდე გასტანს.

ხალხი თანდათან ემატებოდა, ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა. სადღესასწაულოდ გამოწყობილნი ეკლესიისაკენ მიდიოდნენ. დედაკაცებს ხელში ძუძუმწოვარი ბავშვები ეჭირათ. ყველა ერთი გრძნობით ყოფილა ბალეტ ვალული. ყველა მოხარული იყო აკაკის ნახვით. ყველა ერთნაირად ამაყობდა მისი ნიჭით. ყველამ იცოდა, რომ ეს იყო საქართველოს ბრწყინვავი გენიოსი.

ხალხი მოუთმენლად ელოდა აკაკის მოსვლას. ყველას ხელში მისი ლექსთა კრებული ეჭირა. ბევრს მეტი სიხარულისაგან თვალებზე ცრემლი მოსდიოდა.

სოფლის შესავალში ჩინებულად იყო აღმართული თაღი, შემკული ვარდ-ყვავილებით. ზედ პურის თაველებით ეწერა: „გაუმარჯოს აკაკის!“ ყველას სახლი მოკაზმული იყო. ყოველ წუთს ხალხი ემატებოდა. ურმით მოიტანეს ორი უშველებელი რუმბით ღვინო.

საღამოს 5 საათია. მზის სხივებში ვხედავთ ოქროსფერ მთებს. აკაკი ჯერ არსად სჩანს. ჩვენ, რადგან აკაკიმ დაიგვიანა, ქუთაისისაკენ გავემგზავრეთ. გავიარეთ ერთი უმშვენიერესი ხევი რიონისა.

შორს დასავლეთით გამოჩნდა მხედართა ჯგუფი, რომელიც რკალივით შემორტყმოდა აკაკის ეტლს. ჩოხა-ახალუხში გამოწყობილნი ამაყად ისხდნენ ცხენებზე. ამათში განირჩეოდა ტანისამოსით ორი მღვდელი. ეტლს ყვავილებით ჰქონდა წარწერა „გაუმარჯოს აკაკის!“.

ჩვენ სალამი მივეცით პოეტს. ეტლი შეჩერდა. პოეტი გადმოვიდა და მოგვაჩერდა. ეს იყო ლამაზი, მთლადგათეთრებული წვერ-ულვაშით შემკული მოხუცი. სახე დაღლილი, მაგრამ დინჯი და მშვიდი ჰქონდა. თვალებში სიამოვნების სხივი უკრთოდა.

მე მივესალმე: დიდად მოხარული ვარ თქვენი ნახვით. განუსაზღვრელი სიამოვნებით ივსება გული, როცა ვხედავ როგორ აფასებს და სიყვარულით ეგებება ხალხი ძვირფას მგოსანს. ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ამ დღესასწაულმა.

აღელვებულმა წერეთელმა გვიპასუხა რუსულად. იმან სთქვა, რომ ვაზვიადებ მის პოპულარობას ხალხში. მცირე პაუზის შემდეგ პოეტმა თავი მაღლა ასწია, სიცოცხლით სავსე თვალები მომანათა და სთქვა: თუმცა თქვენ რუსები ხართ და ჩვენ ქართველები, თუმცა სხვადასხვა ენაზე ვლაპარაკობთ, მაგრამ სიყვარულის გრძნობა უნდა აერთებდეს ყველას, სიყვარულის გრძნობა ყველას ერთი ენით უნდა ამეტყველებდესო.

გამოვემშვიდობეთ. წერეთელი ჩაჯდა ეტლში. რამდენიმე წუთის შემდეგ ეს მშვენიერი სანახაობა თვალს მიეფარა“.

თუმცა ამ სტატიაში არ ვხვდებით, მაგრამ, როგორც შეხვედრის მონაწილე ვლადიმერ ფოფხაძემ გვიამბო, ს. ანისიმოვს უთქვამს: „ილია ქართველების ჭკუაა, აკაკი—ქართველების გრძნობაო“.

განსაკუთრებული სიყვარულით დახვდნენ აკაკის წესში.

წესი ისტორიული სოფელია. აქ ჰქონდათ რეზიდენცია რაჭის ერისთავებს. წესის ახლოს, ბარაკონში, არის დიდი ციხე-სიმაგრე და შესანიშნავი ტაძარი.

—

ეს ტაძარი ააგო 1745 წელს როსტომ ერისთავმა.

ბარაკონში თავმოყრილი უთვალავი ხალხი აღტაცებით ელოდა ტაძებული მგოსნის მობრძანებას.

აკაკის შეეგება რაჭის მაზრის უფროსი პოდპოლკოვნიკი ნ. ჩერნოვი და უთხრა მოკლე სიტყვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტი მიიწვიეს ხალიჩებითა და ყვავილებით მორთულ ფანჩატურში, სადაც სიტყვები და ლექსები წარმოსთქვეს.

ღამე სტუმრები მოასვენეს როსტომ ერისთავის შთამომავლის შამადავლე ერისთავის ბინაში. აკაკისათვის ცალკე ოთახი ჰქონდათ მზად.

გაიმართა საუბარი პოეტთან, აკაკი ყველას გულდასმით უსმენდა და შესაფერ პასუხს აძლევდა.

კითხვა მისცეს ალექსანდრე ყაზბეგის ავტორობის შესახებ. მან სთქვა შემდეგი: არსებული აზრი საბოლოოდ უნდა მოისპოს, რადგან არა გვაქვს არავითარი საბუთი, რომლის ძალით სანდროზე ეჭვის მიტანა შეიძლებოდესო.

მეორე დღეს ორასი კაცის შემადგენლობით გაიმართა ფერხული, რომელმაც აკაკიზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. როდესაც შეასრულეს სიმღერა „ეღელეს ჩამოდგა“.., მაშინ განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო 80 წლის მოხუცმა სორელმა ქალმა, რომლის ხმა ზარივით რეკდა ფერხულის მრავალრიცხოვან მონაწილეებში.

ამავე დღეს დაათვალიერეს ბარაკონის ტაძარი. შიგ ნახეს როსტომ ერისთავის საფლავი, რომლის ქვაზედაც აწერია ზმა: „წელსა ჩღჲ-სა [1766] ლოდსა ამას ქვეშე მდებარე არს ეკლესიისა ამისა აღმშენებელი რაჭის ერისთავი სხვათა უფროს ტომი ნეტარად განსასვენებლად. საუკუნოდ იყოს ხსენება მისი. ამინ“.

აკაკიმ წაიკითხა ეს ეპიტაფია და სთქვა: როსტომს ზვიადობა საფლავშიაც ჩაუტანიაო.

დაათვალიერეს აგრეთვე ბარაკონის ძველი ტაძრის ნანგრევი, რომელიც თამარის ეპოქას ეკუთვნის.

აკაკი წაიყვანეს ნიკორწმინდაში. გაიარეს ხიდიკარი (ცნობილი კლდეკარი, სადაც როსტომ ერისთავს გაკეთებული ჰქონდა ჭიშკარი რიონის ხეობის ჩასაკეტად მტრის შემოსევის დროს), ამბროლაური, ხოტევი, ჭელიაღელე და ავიდნენ ნიკორწმინდაში.

აკაკის მეტად მოეწონა ეს სოფელი, მისი ძვირფასი ეკლესია, მდინარე შაორი, რომელიც იკარგება უფსკრულში და ხუთი კილომეტრის შემდეგ გადმოქუხს ჭელიშის უდაბნოში.

მგოსანმა დაათვალიერა შაორის ჭალა და ტბები: ხარისთვალა და ძროხისთვალა.

ხარისთვალასთან სტუმრებს მიართვეს სადილი. პოეტის ყურადღება მიიპყრო ნიკორწმინდელმა გლეხმა ალექსანდრე სამოკვასოვმა, რომლის წინაპარი ოდესღაც რუსეთიდან ლტოლვილი ყოფილა. ა. სამოკვასოვმა რუსული ენა არ იცოდა. აკაკიმ ამაზე თურმე ასე იხუმრა:

გარუსებულ ქართველებს, რომლებმაც მშობლიური ენა სრულიად დაივიწყეს, მრავალს შევხვედრივარ, ხოლო გაქართველებული რუსი კი იშვიათად მინახავსო.

დავით კანდელაკის ოჯახში, ცაცხვის ხის ქვეშ, გაშალეს სუფრა, თამა-

დად აირჩიეს ფრიად განსწავლული რაჭველი მღვდელი ვლადიმერ ფოფხაძე, რომელმაც, ყანწით ხელში, მგოსანი ადღეგრძელა შემდეგი სიტყვით:

„ჩვენი სამშობლოს დიდებავ და სიამაყევ, მგოსანო აკაკი! ნება მიბოძეთ, ორიოდე სიტყვით გამცნოთ ის გრძნობა, რომელიც თქვენმა ნაბრძანებამ ჩვენში აღძრა: დღიდან თავისი გაჩენისა, რაჭა არ ჰღირსებია თქვენისთანა სტუმარს. დაფასება თქვენი მნიშვნელობისა და ღვაწლისა მე არ ძალმიძს და აქ არც დრო და არც ადგილი არის. ვისაც ქართული ანბანი დაუძლევია, ყველამ იცის, როგორი სამსახური მიგიძღვით ქართველი ერისადმი.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც მთელმა საქართველომ დიდებულად იდღესასწაულა თქვენი 50 წლის მოღვაწეობის იუბილე, რითაც მან ცხადად დაამტკიცა, რომ თქვენ შრომასა და ღვაწლს ნახევარი საუკუნის განმავლობაში სასურველი ნაყოფი მოუტანია, დაგიმტკიცათ, რომ იგი კიდეც გამოფხიზლებულია და ერთი აზრითა და გრძნობით არის გამსჭვალული.

იუბილეს შემდეგ ჩვენი სამშობლოს კუთხეებმა მიგიწვიათ და შესაფერი პატივი გცათ. რაჭას ყველაზე ბოლოს ხვდა წილად ბედნიერება თქვენი მოწვევისა. მართალია, ჩვენი დახვედრა და დღესასწაული გარეგნულად დიდებული და ბრწყინვალე არ არის, მაგრამ სამაგიეროდ გულწრფელია და, რაც შეძლება გვაქვს, ვცდილობთ გამოვხატოთ თქვენდამი უზომო სიყვარული და დაფასება.

ვუსურვებთ რაჭას თქვენისთანა საყვარელი სტუმრების ხშირად წვევას, რათა ასეთი გმირების შრომისა და ღვაწლის ნაყოფით იგი მალე ღირსებოდეს თავისი სატრფო ნესტან-დარეჯანის ქაჯთაგან განთავისუფლებას და მასთან ერთად ზნეობით, გონებითა და ქონებით წინსვლას. თქვენ კი, ძვირფასო მგოსანო, გისურვებთ მრავალჟამიერ სიცოცხლეს, რათა თქვენი სიმთა ჟღერით კიდევ დიდხანს დამტკბარიყოს ქართველი ერი!“.

საღამოს, როდესაც აკაკი ძილს აპირებდა, გაიღო კარი და ოთახში შემოვიდნენ თეთრ ტანსაცმელში ანგელოსებად მორთული ქალიშვილები, რომლებმაც მგოსანს ძველებური ნანინა უგალობეს.

არანაკლები პატივისცემით მიიღეს აკაკი ონში. აქ პოეტს მხურვალე სიტყვებით მიესალმნენ დავით კერესელიძე, პელაგია ყიფიანი, მათე გორდეზიანი, ნიკო გიორგობიანი და სხვანი.

ონში მოეწყო აკაკის ცხოვრებისა და შემოქმედების საღამო, სადაც აკაკი და დამსწრენი ძლიერ გააკვირვა ახალგაზრდა ქალიშვილის მარიამ გრიგოლის-ასულ წერეთლის წარმტაცმა სიტყვამ, მისმა ორატორულმა ნიჭმა.

მარიამ წერეთელმა სიტყვა ასე დაასრულა:

„არ მოკვდება ის სატრფო, რომელსაც შენებრ მოტრფიალე გვერდით უზის, არ მოკვდება ის ერი, რომელსაც შენებრ მებრძოლი ჰყავს. მაშ, აჟღერე, მგოსანო, ეს ჩანგი შენი! მხოლოდ შენღა შეგვრჩენიხარ. შენა ხარ ჩვენი დედა, მამა, გამხარებელ-დამტირებელი და ერის საქებ-სადიდებლად ნუ დაგვავიწყებ იმ ტკბილ ენას, რომლითაც თამარ მეფე ბრძანებას სცემდა“.

მეორე დღეს, დიდ ნადიმზე, აკაკი წერეთელმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

„ბატონებო! თქვენი მხიარულება მეც გადმომედვა. როგორც თქვენ, მე კიდევ უფრო ვარ აღტაცებული. იმიტომ კი არა, რომ ეს ლიტანიობა, რომელსაც მე აქ ვხედავ, ჩემგანაა გამოწვეული. არა, სულ სხვა მიზეზით.

მე ვხედავ, რომ თქვენ გამოღვიძებული ხართ, არა ხართ კმაყოფილი აწმ-

ყოთი და მიისწრაფით მომავლისაკენ. თქვენ ეძებთ სწორ გზას, გინდათ, რომ გყავდეთ წინამძღოლი, რომ მოგევლინოთ მესია და ნამეტანი სურვილით გატაცებულნი აჩქარებულხართ და მე გგონივართ ის წინამძღვარი. მე მისი აჩრდილიც არა ვარ. მე უბრალო წინამორბედი ვარ.

ის გმირი, რომელმაც უნდა გასწყვიტოს ჯაჭვი და აუშვას ამირანი, სხვა არის, ის მოგევლინებათ ახალი მოდგმისაგან.

როდესაც იოანე ნათლავდა ხალხს იორდანეში, ებრაელებს ის ეგონათ მესია. მას ჰკითხეს: შენ ხარ მესიაო?—არა, მესია ის არის, რომელიც ახლა ჩვენსკენ ნელ-ნელა ეშვებაო. მე ნათელს გცემთ თქვენ წყლით, ის კი—სულიწმინდით.

მე ღირსი არა ვარ ამ შედარებისა, მხოლოდ მაგალითად მომყავს ამ აღფრთოვანების დროს.

აღსრულდა იოანე ნათლისმცემლის სიტყვები, მოევლინა ქვეყანას მაცხოვარი.

სწორედ ასევე მოევლინება საქართველოს მისი შესაფერი გმირი, რომლისაც ღირსი არა ვარ, ხამლი გავხადო ფეხთა მისთა, და თუ მე, მცირე მახარობელს, უბრალო მომაკვდავს ასეთი აღტაცებით მეგებებით, მაშინ რაღა იქნება, როდესაც ნამდვილი გმირი მოგევლინებათ?!

თქვენ მაშინ უფრო აღფრთოვანებული იქნებით და მეტი მომზადებული შეხვდებით იმ გმირთა-გმირს.

მე მხოლოდ დამრჩენია ერთი: ჩავიკრა გულში თქვენი მოლოდინი, სიყვარული, პატივისცემა და უკანასკნელად სიმონ მოხუცივით წარმოვსთქვა: აწ განმიტევეთ მე მონა თქვენი!..“ (1912 წ., გაზ. „თემი“, № 83) [1].

დეკანოზმა მათე გორდეზიანმა აკაკის უთხრა საპასუხო სიტყვა:

„ღირსეულო მგოსანო! თქვენმა უკანასკნელმა სიტყვებმა ცოტა ნაღველი გადაასხა ჩვენს მხიარულებას, სიმონ მოხუცებულს ღვთისაგან ჰქონდა ნაბრძანები, არ მომკვდარიყო მანამ, სანამ თავისი თვალით არ იხილავდა მესიას, მხსნელს ქვეყნისას, და ეს ასეც მოხდა. თქვენ კი გვპირდებით მის მოსვლას თქვენს შემდეგ. არა, დიდო მგოსანო, შენც თვით ზეციდან ხარ მოვლენილი ჩვენი სამშობლოსათვის, რომელსაც მთელი არსებით ეკუთვნით და ამიტომ არც გაქვთ უფლება სთქვათ განმიტევეთო. უნდა იცოცხლოთ მანამდის, სანამ თქვენ თქვენს ხელებზე არ მიირქმევთ იმ მესიას!..“

ონში აკაკიმ ღამე გაათია დავით გოცირიძის სახლში. ამჟამადაც დაცული არის კედელზე მგოსნის მინაწერი:

„სტუმართმოყვარეობა
რაჭველთა განთქმულია,
მაგრამ სტუმრის გულშიაც
მათი სიყვარულია“.

აკაკი და მისი თანამგზავრები დაბრუნდნენ ლეჩხუმში. გაემართნენ ლაილაშისაკენ.

მათ ერთი ღამე დაჰყვეს ბარაკონში. ხვანჭკარაში ნახეს თავადი დიმიტრი ყიფიანი, რომლის განთქმულ ღვინის მარანში პოეტს დაემშვიდობნენ.

---

[1] მსგავსი სიტყვით აკაკიმ მიმართა კახელებს 1911 წელს 21 ივლისს, ილიაობის მეორე დღეს, თელავში: „ის ხალხი, რომელსაც ჰყავს ვახტანგ გორგასლანი, დავით აღმაშენებელი, თამარი, დიდი მოურავი, პეტრიწი, რუსთაველი და სხვები — მსოფლიო გმირები, კიდევ წარმოშობს ისეთ გმირს, რომელიც მას ესაჭიროება და სიხარულით მოელის“.

გლეხმა ამირან ლომთაძემ, შეეხო რა აკაკის პოეზიის ზემოქმედებას მათი შეგნების ამაღლებაზე, სთქვა:

„ჩვენო ერის სიამაყევ! მე მმართებს თქვენი უგულითადესი სადღეგრძელო, იმიტომ რომ თქვენმა მადლიანმა კალამმა გამომიყვანა ბრძოლიანი ცხოვრების ასპარეზზე. მე გლეხი ვიყავი, შავ ზეწარში გახვეული და არ ვიცოდი, თუ ჩემში ადამიანობა იყო, რის გამოც მე სასოწარკვეთილი დაღონებას ვიყავი მიცემული. ამ დროს მე შემეკითხა ჩემი ბატონი მოწყენის მიზეზს. რადგანაც მე არ შემეძლო ჩემი საიდუმლო აღსარების გამოთქმა, სწორედ ამ დროს მომეშველა თქვენი მადლიანი კალამი და მჭერმეტყველური ენა, რომელმაც გასცა ჩემი პასუხი მას შემდეგი სიტყვებით:

„რომ იცი, რაღას მკითხავ
ასე რისთვის ვღონდები?!
მისთვის, ჩემო ბატონო,
რომ სულ შენ მაგონდები.
პირუტყვივით მიმონებ,
მფლობ და არ გეცოდები,
მაგრამ, ჩემო წამწყმედო აქ,
იქ შენ ვერა ცხოდები“!..

თქვენი უებრო ბაგეებიდან ამ სიტყვების აღმოთქმისთანავე შემოაშუქა ბრწყინვალე ჩაუქრობელმა სხივებმა ჩემი სახლის ღარკავში, დაისადგურა მჭვარტლიან სხვენზე, გამინათა კერია და სოხანე. ახლა კი იღება ჯიჯგვი ხის კარი და ლამობს ის ბრწყინვალე სხივი ჩემი ეზო-გარემოს განათებასაც.

დღეს კი შევკავშირებულვართ მთელი ერი და მივილტვით მომავლისაკენ.

„მზეცოვანო ჩვენო მგოსანო,
სულო და გულო ქართველისა,
ერისა გამღვიძებელო
მაღერო ტკბილი ჰანგისა.
სადღეგრძელოს გეახლები
და გამოვცლი ამ კათხასა,
თქვენსა ჭირსა შიგ მოვამწყვდევ,
რომ გვეყოლო მრავალ ხანსა!..“

ჭრებალოში, საუზმის დროს, ქაიხოსრო გელოვანმა აკაკის საჩუქრად მიართვა ძველებური ვერცხლის აზარფეშა, წონით ხუთი გირვანქა და ეს ლექსი:

„ნიჭით მდიდარო, მიიღე,
ნიჭით ღარიბის ძღვენია,
შენ გააღვიძე საერთოდ
შენი ივერის ძენია.
იცოცხლე კიდევ მრავალ წელს,
იყავ ჯან-ღონით მრთელია,
რუსთველის ღირსო მემკვიდრეო,
დიდხანს გვინათე ბნელია“!..

სტუმრებმა გვერდით გამოუარეს საირმის უდაბნოს. მათ ალპანაში შეხვდნენ ხიდთან, სადაც მორთულ კამარაზე ეწერა: „სალამი მგოსანს, სალამი კაკოს, სალამი ძვირფასს, ჩვენს საამაყოს!“.

ალპანიდან ორპირის გზით გასწიეს ლაილაშისაკენ. აკაკი მოხიბლა მდ. ლაჯანურის ხეობამ (ორპირმა) და ლეჩხუმის მრავალფეროვანმა ბუნებამ.

ჭილეშსა და ლაილაშში თავი მოეყარა მახლობელი სოფლებიდან მოსულ მრავალრიცხოვან ხალხს.

ლაილაშში, ოქრონიშის წყაროსთან, ხალიჩებით მოფენილი და ვაზოყვავილებით ავსებული მთავარი შუკის თავში მგოსანს პურმარილი შეუფერებია და მიართვეს აბრეშუმისაგან შეკერილი გული, შემკობილი პურის-თავისებ-ების გვირგვინით.

სოფლის სასწავლებლის ეზოში, რომელსაც ლამაზი მდებარეობა აქვს, სიტყვები და ლექსები წარმოსთქვეს.

ლაილაშელმა მცხოვრებმა მ. კაჭკაჭაშვილმა აკაკის მიუძღვნა თექვსმეტმარცლოვანი შაირით დაწერილი აკროსტიხი, რომელშიაც მან გამოხატა იშვიათი სტუმრის ხილვით გამოწვეული საერთო აღტაცება:

Აღფრთოვანდა, აგუგუნდა თქვენი ნახვით ლაილაში,
Ჰიდით-კიდემდე გაისმის მხიარული ხალხის ტაში,
Ადიდებენ თქვენსა ნაშრომს და გაფრენენ მაღლა ცაში,
Ჯალამი რომ დაგიფასონ, ყველა არის ამის ცდაში,
Ივერიის დიდება ხარ, სათაყვანო ყოველ გვარში,
Საუნჯე ხარ მამულისა, ბარად იყო, თუნდა მთაში!..“

აკაკი გულითადი მადლობითა და კოცნით მიეგება ამ ხოტბის ავტორს. საღამოს გაჩაღდა უჩვეულო ნადიმი. ითქვა მრავალი სიტყვა, ლექსი, სიმღერა. მგოსნის საამებლად ცეკვა-თამაში გაიმართა.

აკაკი წამოდგა, ალექსანდროულის ღვინით სავსე ყანწი ხელში აიღო და დაიწყო:

„ბატონებო, მე მყავდა ამხანაგები, რომლებიც მოღვაწეობდნენ ჩემსავით, რომელთაც უყვარდათ ხალხი და ემსახურებოდნენ მას, მაგრამ მათ არ არგუნა ბედმა ასეთი მხიარულება ხალხთან, როგორც მე. ერთი იყო ილია ჭავჭავაძე, მეორე იაკობ გოგებაშვილი და ახლა კიდევ მივიღეთ სამწუხარო ამბავი, რომ გარდაიცვალა პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი. ფეხზე ადგომით პატივი ვსცეთ მათს ხსოვნას და დავლიოთ შესანდობარი“.

ყველა ფეხზე ადგა.

ლაილაშში აკაკის მიართვეს ორი მოხარატებული ხის ხონჩა, მათზე დაწყობილი შემწვარი კალმახებით.

აკაკი წერეთელი უსაზღვრო კმაყოფილებით დაბრუნდა. იგი სწერს: „რაჭალეჩხუმში ჩემი მგზავრობა და იმათი დახვედრა სწორედ საარაკო და საზღაპრო რამ იყო. ვისაც თავისი თვალით არ უნახავს და თავისი ყურით არ გაუგონია ის, რაც მოხდა, მას წარმოდგენაც არ შეუძლია ყოფილის.

განურჩევლად წოდებისა, სქესისა და ხნოვანებისა მთელი ორი მაზრა ერთპირად ფეხზე დადგა და ეროვნული აღფრთოვანებით ლიტანიობდა მომავალს. თუმცა იმ ლიტანიობის ცოტა მოზიარე მეც ვიყავი, მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ ის მცირედიც აღემატებოდა ჩემს ღვაწლს“.[1]

მოგზაურობამ აღაფრთოვანა აკაკი, მან აქ იხილა გამოფხიზლებული ერი, რომელიც ერთი აზრითა და გრძნობით გამსჭვალულიყო. მწარე სინამდვილით უკმაყოფილო, მომავალს იმედის თვალით რომ შეჰყურებდა. პოეტმა იგრძნო თავისი პოეზიის ძლიერი, შთამაგონებელი ძალაც.

---

[1] ეს ნაწარმოები ორჯერ გამოქვეყნდა გაზ. „სიტყვა და საქმეში“ და ი. გრიშაშვილის რედაქციით გამოსულ აკაკის სრული ნაწარმოების მესამე ტომში (1940 წ.).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოლომონ ცაიშვილი

სულხან ბარათაშვილი

სულხან ბარათაშვილი დაიბადა 1821 წლის 18 (30) სექტემბერს ქ. თბილისში, საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგის კარზე კარგა დაწინაურებული პირისა და შემდეგ რუსთა მხედრობაშიც ჯეროვნად შეფასებული მაიორის—გერმანოზ სულხანის-ძე ბარათაშვილის, დროისშესაფერად განათლებულ, ოჯახში.

1828 წ. პატარა სულხანი თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში მიიბარეს, სადაც სწავლობდნენ იმ ხანებში სხვა მისი ნათესავ-მეგობრები და მახლობელნი: ჩვენი სასიქადულო პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, ილია ორბელიანი, ლევან მელიქიშვილი, კ. მამაცაშვილი, დიმ. ყიფიანი, ზაქ. ფალავანდიშვილი, მიხ. თუმანიშვილი, დავ. ჭავჭავაძე და სხვა მრავალნი, შემდეგში ჩვენს სალიტერატურო, საისტორიო, სამხედრო თუ სამოქალაქო სარბიელზე გამოჩენილნი და სახელოვანი მოღვაწენი.

1832 წ. 22 მარტს სულხანს მამა გარდაეცვალა, ხოლო ერთი წლის შემდეგ მას მიჰყვა დედაც — ნატალია ნაცვლიშვილის ასული—იშვიათი ზნეობისა და ქართულად განათლებული ადამიანი. ამგვარად, ადრე დაობლებული სულხანი და მისი უმცროსი და-ძმა (ოლიმპიადა და ლევანი) შინამოსამსახურისა და ნათესავთა ზრუნვის ამარა დარჩნენ.

1834 წ. სულხანი თავისი თხოვნის მიხედვით კეთილშობილთა სასწავლებლიდან სხვა რამდენიმე ქართველ ყმაწვილთან ერთად პეტერბურგში გაისტუმრეს კადეტთა კორპუსში ჩასარიცხავად, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1841 წელს. მაგრამ ეს წარმატება მის მომავალ სამხედრო კარიერისთვის თავიდანვე ვერ იქნა გამოყენებული, რადგან მან, უდიერობასა და უსამართლობას შეუჩვეველმა, სწორედ სასწავლებლიდან გამოშვების დღეებში იძია შური თავის კომანდირზე, რომლის უხეში საქციელი მთელ კორპუსს აღელვებდა. ეს შურისძიება, სამწუხაროდ, მარტო სულხანს მიეზღო. კორპუსის დამთავრების მიუხედავად იგი „კოლეჟსკი რეგისტრატორის“ ხარისხით გაისტუმრეს და ამით მისი სანუკვარი ოცნება დროებით მაინც ჩაშალეს.

მაგრამ, როგორც თვითონ წერს ერთ თავის დღიურში,—„ულმობელ ბედთან ბრძოლისთვის გაჩენილი“, ის გულს არ იტეხს, ცოდნა და ახალგაზრდობა დიდი ძალაა,—ინიშნავს ის დღიურში და სამშობლოსაკენ მოეშურება.

1841 წ. 17(29) ნოემბერს ის უკვე თბილისშია და საოჯახო და სამსახურის საქმეებს აწესრიგებს. დროებით შემომწყრალმა ბედმა კვლავ გაუღიმა. 1842 წ. თბილისს ეწვია სამხედრო მინისტრი ჩერნიშევი, რომლის განკარგულებით სულხან ბარათაშვილი ოფიცრად ჩაირიცხა მეგრელთა ეგერის პოლკში, რომელიც აღბულახში იდგა და იყო კავკასიის ომებში გამოჩენილი გმირების ბუდე. სულხანიც მათ წრეში მოექცა და ამით ნატვრა შეუსრულდა. მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა ბრძოლებში, იძენდა სამხედრო

ხარისხებს, როგორც გულისხმიერი ოფიცერი, და იყო ერთი შესანიშნავი წევრი ქართველ ოფიცერთა იმ ბრწყინვალე პლეადისა, რომელსაც ამბავნებდნენ: გრიგოლ, ზაქარია, ილია, მამუკა, ვახტანგ და კიდევ სხვა ერბელიანები, ლევან მელიქიშვილი, ანდრონიკაშვილები, ჭავჭავაძეები, [illegible] შვილი და სხვ.

მაგრამ მთავარი მაინც ის იყო, რომ სახელოვანი წინაპრების მემკვიდრე, რუსეთის მეფის ქართველი ოფიცერი, კვლავ მამაპაპისეულ ტრადიციას აგრძელებდა; თავიდანვე მწერლობაში გზაშეკვლეულ სულხან ბარათაშვილს ხმალთან ერთად კალამიც ეპყრა.

ჯერ კიდევ სკოლის კედლებში გამოიჩინა სულხანმა განსაკუთრებული ნიჭი, როგორც მხატვარმა და წარჩინებულმა მოსწავლემ სამხედრო საგნებსა და ისტორიაში. ამ უკანასკნელმა საგანმა კი საბოლოოდ დაიუფლა მისი ნიჭი და კალმით მოღვაწეობის შესაძლებლობა, რამაც 20 წლის ჭაბუკი ჯერ კიდევ პეტერბურგშივე დააკავშირა საქართველოს ისტორიის ისეთ დიდ მკვლევართან, როგორიც იყო მარი ბროსე, მან ახალგაზრდა ბარათაშვილი საკუთარ კორესპონდენტად გაიხადა საქართველოში.

ეს გარემოება არც კავკასიის სამხედრო უწყებას დარჩა შეუნიშნავი, რომელმაც სულხან ბარათაშვილი 1843 წ. დანიშნა თანაშემწედ პოლკოვნიკ ბეგთაბეგიშვილისა, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ალექსანდრე I-ის პერიოდის რუსეთ-სპარსეთის ბრძოლების ისტორიის შედგენა. აღნიშნული მოვალეობის წარმატებით შესრულების შემდეგ, 1844 წ. 31 მაისს სულხანი გადაჰყავთ კორპუსის პირველი განყოფილების პირველი მაგიდის უფროსად.

როგორც ოფიცერს, საზოგადოებაში მოქმედსა და სამეცნიერო ასპარეზზე მოღვაწეს—სულხან ბარათაშვილს ყველა მისი ბიოგრაფები: ვახტანგ თულაშვილი (დროება, 1866 წ. № 64), თედო სახოკია (მოამბე, 1896 წ. № 7), ივ. როსტომაშვილი (ენციკლოპედია), ავტორი „კავკასიის მოღვაწეთა ლექსიკონისა“, გაზეთი „კავკაზი“ (1896 წ. 13/VIII) და პროფ. გ. ნათაძე („ს. ბარათაშვილი, როგორც ისტორიკოსი“, 1934 წ., თბილისი) ერთგვარად ახასიათებენ, სადაც განსაკუთრებით აღნიშნავენ მის გულისხმიერ ადამიანობას სამსახურში, პირდაპირობას და სიმართლისმოყვარეობას, მოწინააღმდეგესთან შეუპოვრობას და ქედუხრელობას, მოკეთესთან თავაზიანობასა და ზრდილობას, ქრთამის მოძულეობასა და მიუკერძოებას, საქმეში მოუსყიდველობას, ობიექტურობას და დაჩაგრულთა მესარჩლეობას; სადაც კი უმუშავნია (თბილისი, თეთრი-წყარო, ყვარელი, ნალჩიკი, კავკავი, სოხუმი და სხვ.), ყველგან ამ თვისებებით დაუმსახურებია საერთო სიყვარული, თანაგრძნობა და უზადო სახელი.

ამგვარი თვისებები იყო მიზეზი მისი საბედისწერო არჩევისა წევრად იმ კომისიაში, რომელიც 1866 წ. სხვადასხვა დავალებით აფხაზეთში იქნა გაგზავნილი. ამ კომისიაში მუშაობა მას დიდხანს არ დასცალდა. იმავე წლის 13(25) აგვისტოს იგი სოხუმთან ახლო ბრმა ავარიის მსხვერპლი შეიქნა.

სულხან ბარათაშვილის უმთავრესი ლიტერატურული მემკვიდრეობა შეიცავს მის კაპიტალურ შრომას—ხუთ ნაწილად (რვეულად)—დაწერილ „საქართველოს ისტორიას“—ძველ დროიდან მონღოლთა შემოსევამდე, და გაზეთ „კავკაზსა“ და სხვა მაშინდელს ერთდროულ გამოცემებში გაბნეულ ვრცელ წერილებსა და ნარკვევებს საისტორიო თემებზე, ავტორის დღიურებს, ერთი მოგზაურობის აღწერასა და მიწერ-მოწერას ისეთ ცნობილ

მოღვაწეებთან, როგორიც იყვნენ: უსლარი, ბაქრაძე, ბროსე, დიდი მთავარი გიორგი მიხეილის-ძე, ლევან მელიქიშვილი, ლ. ბარათაშვილი (ძმა) და სხვ.

როგორც აღვნიშნეთ, სულხან ბარათაშვილი სკოლის კედლებშივე გაიტაცა საქართველოს ისტორიის შესწავლამ. ის ამ პერიოდის [illegible] ერთ-ერთ დღიურში წერს: „ერთხელ მასწავლებელი დიოკლიტიანეზე [illegible] და ლექციას, საცა აღნიშნა, რომ იმპერატორი, როცა სპარსეთს დაეზავა, ხელთ იგდო უფლება ქართველ მეფეებისათვის მეფობის ინვენსტიტურისაო. ამან მე ისე გამახარა, რომ ამ დღის შემდეგ საქართველოსა და მის ისტორიულ მნიშვნელობაზე დავიწყე ფიქრი“...

მართლაც, ამ დღიდან დაწყებული ჭაბუკი ბარათაშვილი ხდება შთაგონებული მიჯნური საქართველოს წარსული კულტურის ყოველგვარი ძეგლისა და საისტორიო მასალისა; თვითგანვითარებით გატაცებული იგი ჰკრეფს და აგროვებს ამ მეტად მნიშვნელოვან ექსპონატებს და წიგნებს; ემზადება, რომ გახდეს საქართველოს მეისტორიე და რაიმე თვალსაჩინო წვლილი შეიტანოს სამშობლოს სახელოვანი წარსულის შესწავლაში. „ყოველი განათლებული ადამიანისათვის იმაზე საინტერესო და სასიამოვნო რა უნდა იყოს, როგორც თავისი სამშობლოს წარსულის შესწავლაო“,—წერდა ის ერთ-ერთ თავის შრომაში მიტრიდატ დიდის შესახებ, სადაც უტყუარი საბუთებითა და სარწმუნო წყაროებით ამტკიცებდა, რომ მიტრიდატი ქართველი იყოო და სხვა ისტორიკოსებსაც მოუწოდებდა ამ საკითხისათვის მეტი ყურადღება მიექციათ (კავკაზი, 1861 წ. № 53-70).

ჯერ ისევ კორპუსის შეგირდი, 19-20 წლის სულხან ბარათაშვილი მასწავლებლების რეკომენდაციით გაეცნო და დაუახლოვდა სააზიო მუზეუმის და პეტერბურგის აკადემიისა და უნივერსიტეტის იმგვარ ცნობილ სწავლულთ, როგორიც იყვნენ ვილნოს უნივერსიტეტის პროფ. ონაცევიჩი, აკადემ. მურალტი, სენკოვსკი და მარი ბროსე.

ამ უკანასკნელმა ხომ ს. ბარათაშვილი ძლიერ წააქეზა და მისცა სამოქმედო ინსტრუქტაჟი და მთელი რიგი დავალებებისა საქართველოში სიძველეთა შეკრება-შესწავლისა და მათი აკადემიაში მიწოდების შესახებ. ამგვარად, საქართველოს ისტორიის შესწავლით დაინტერესებულმა მ. ბროსემ მეტად საიმედო, ნიჭიერი და საქმით თავიდანვე დაინტერესებული კორესპონდენტი გაიჩინა საქართველოში ს. ბარათაშვილის სახით, რომელიც 1841 წ. 17 ნოემბერს პეტერბურგიდან თბილისს დაბრუნდა და თავისი თანამდებობის გამოყენების საშუალებით მისთვის დიდად სასიამოვნო,—ბროსეს მრავალ დავალებათა შესრულებას შეუდგა.

ფრანგი მეცნიერი ქართველოლოგი, დიდი მეგობარი და თანამშრომელი მაშინ პეტერბურგში მყოფ ისეთი ქართველი მოღვაწეებისა როგორიც ყვნენ მეფის ძენი: თეიმურაზ, იოანე, ბაგრატი და ცნობილი სწავლული დავ. ჩუბინაშვილი, თვითონაც გამოეშურა 1848 წ. საქართველოში, სადაც ეგულებოდა აგრეთვე ისეთი თანამშრომლები და ამ დიდ საქმეში დამხმარენი, როგორიც იყვნენ პლატონ იოსელიანი, გრიგოლ ორბელიანი, სულხან ბარათაშვილი, ხოლო დასავლეთ საქართველოში სამეგრელოს მთავრის ძენი დავით და გრიგოლ დადიანები (იხ. ზუგდიდის მუზეუმი, დავით დადიანის და ბროსეს მიმოწერა).

სულხანისათვის ხომ თავიდანვე ჰქონდა ბროსეს მიცემული დავალება, მოევლო მთელი საქართველო, ენახნა ყველა ძველი საერო და საეკლესიო ნაშ-

თები, წიგნთსაცავები და აღეწერნა ისინი, ხოლო ამ მხრივ რაიმე დაბრკოლება რომ არ შეხვედროდა ახალგაზრდა მკვლევარს, ბროსემ საქართველოს უკანასკნელი დედოფლის მარიამის შემწეობით სულხან ბარათაშვილს სათანადო მანდატიც მისცა (იხ. ს. ბარათაშვილის პირადი არქივი „მიმამბე", 1896, 7.).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მას შემდეგ საქართველოში და საერთოდ კავკასიაში მოქმედი ს. ბარათაშვილი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ხდება დაუცხრომელი კოლექციონერი, ისტორიკოსი და ჟურნალ-გაზეთების სისტემატური თანამშრომელი საისტორიო თემებზე. საგულისხმოა, რომ სულხანის ამ პერიოდის (1842-44) მოღვაწეობას საქართველოში, ემთხვევა აგრეთვე მისი თანამოგვარის ცნობილი ქართველი ნუმიზმატის მიხეილ პეტრეს-ძე ბარათაევის მოღვაწეობაც, რომელთა შორის, ცხადია, იყო მეგობრული ურთიერთობა, როგორც მ. ბროსესა და ბატონიშვილ თეიმურაზთან დაკავშირებულ მუშაკთა ქართველი ერის სიძველეების შესწავლის სფეროში.

სულხანი მუშაობასთან ერთად განაგრძობს სწავლასაც. ის არ კმაყოფილდება მიღებული ცოდნით. ეუფლება ლათინურ-გერმანულ და ფრანგულ ენებს, ეცნობა განთქმულ ევროპელ ისტორიკოსთა—შლოსერის, ბოკლის და სხვათა შრომებს, ქმნის თბილისში ისეთ მდიდარსა და იშვიათ ძველ გამოცემებით დაკომპლექტებულ ბიბლიოთეკას, რომლითაც სარგებლობენ თვით ისეთი გამოჩენილი სწავლულები, როგორიც იყვნენ: დიმ. ბაქრაძე, უსლარი, იოსელიანი, ბროსე და სხვ. და რაც მთავარია, არც 40-ანსა და არც შემდეგ წლებში ურთიერთობა არ შეუწყვეტნია პეტერბურგთან და მის სახელოვან დამრიგებელ მ. ბროსესთან, რომელსაც ამათუიმ საიმედო ხელით თუ ფოსტით ხშირად აწვდიდა საჭირო მასალასა და კორესპონდენციას.

საინტერესოა ამ მხრით პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილის იუბილესთან დაკავშირებით გამოქვეყნებული მასალები (1945 წ. „კომუნისტი", № 192), სადაც მ. ბროსეს მიერ საქართველოში კორესპონდენტად აყვანილ „ახალგაზრდა ბარათაშვილად", შეცდომით, მიჩნეულია პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი. არსად, არცერთ ამ მხრივ მოპოვებულ დოკუმენტებში ნახსენები არ არის პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი, არამედ ყველგან აღნიშნულია მხოლოდ „ახალგაზრდა ბარათოვი", რომელიც ყველა სარწმუნო წყაროსა და ოფიციალური საბუთების მიხედვით სულხან ბარათაშვილია და არა ჩვენი სასიქადულო პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ეს რომ ასეა, ამას თვითონ ავტორების—მიხ. ჩიქოვანისა და ი. ენაკოლოფაშვილის ზემოაღნიშნული მასალები ადასტურებენ, სადაც ზაქ. ფალავანდიშვილის მ. ბროსესადმი მიწერილ ბარათებში ნათქვამია: 1. „ახალგაზრდა თავადი ბარათოვი ჯერ არ ჩამოსულა თბილისში" (1841 წ. 16 ივნისს); 2. „ველოდი ახალგაზრდა ბარათოვს თბილისში" (1841 წ. 26 სექტ.); 3. „ახალგაზრდა ბარათოვი თბილისში ჩამოვიდა, მაგრამ მე კი მხოლოდ ერთხელ ვნახე"... (1842 წ. 8 იანვ.); 4. „ახალგაზრდა ბარათოვი თბილისში არ არის, რომ გადამეცა მისთვის, რომ წიგნი გამოეგზავნა..." (1842 წ. 20 სექტ.).

თუ დავაკვირდებით წერილების აქვე მოყვანილ თარიღებს, ცხადი ხდება, რომ სულხან ბარათაშვილი, თუმცა პეტერბურგიდან წამოვიდა, მაგრამ სხვადასხვა საოჯახო და პირადი საქმეებისა გამო თბილისში არც

ივნისსა და არც სექტემბერში არ იყო ჩამოსული. ის, როგორც აღვნიშნეთ, ამავე წლის 17 ნოემბერს ესტუმრა თბილისს, რასაც სავსებით ადასტურებს იმავე ზ. ფალავანდიშვილის მესამე წერილი. „ახალგაზრდა ბარათოვი" 1842 წ. იანვარს მართლაც საქართველოშია, მაგრამ ზ. ფალავანდიშვილი თბილისში მას მაინც ვერ ხვდება, რადგან სამსახურის გამო ის ბუდიდან მოსვლაშია; ხოლო მე-4 წერილი ნათელს ჰფენს იმ გარემოებასაც, რომ „ახალგაზრდა ბარათოვი" ზ. ფალავანდიშვილს ერთხელ შეხვედრია, მაგრამ მალე კვლავ თბილისს გარეთ სადღაც შორეულ პროვინციაში წასულ. და ამ ბარათის წერის დროს ფალავანდიშვილს იგი ვერ უნახავს, ამიტომ ბოდიშს იხდის ბროსეს წინაშე, რომ ბარათოვს ვერ მიაწვდინა ნმა, რათა ამ უკანასკნელს წერილი გაეგზავნა მისთვის.

ზაქ. ფალავანდიშვილისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ურთიერთობა ცნობილია, ისინი იმდენად დაახლოებული მეგობრები იყვნენ, რომ ერთიმეორეს „ახალგაზრდა ბარათოვობითა" და „თავადობით" არ იხსენიებდნენ; მასთან ისიც ცნობილია, რომ დღიდან მისი „სუდაირასპრავის" სამსახურში შესვლისა ნიკოლოზი ფეხმოუცვლელად თბილისში იყო და არასოდეს ხანგრძლივად მას არ უმოგზაურნია და თვეობითა და წლობით არ უცხოვრია არცერთ შორეულ პროვინციებში, ვიდრე 1844 წ. მაზრის უფროსის თანაშემწედ არ გამწესდა ნახიჩევანში. (იხ. შ. ჩხეტია, დოკუმენტები ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ, საქ. სსრ შსკ საარქივო სამმართველოს გამოცემა, თბილისი—1945 წ. გვ. 141—406).

ამგვარად ნ. ბარათაშვილის აკადემიის კორესპონდენტობა და ბროსესთან სამეცნიერო ხასიათის ურთიერთობა გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს.

ნიკოლოზ ბარათაშვილი რომ ასე აქტიურად, ასე ხანგრძლივად და ოფიციალურად ყოფილიყო ჩაბმული მ. ბროსესთან საქმიანობაში, ეს მომენტი არ გამორჩებოდათ არც მის მეგობრებ-ნათესავებსა და არც მისი ცხოვრების ისეთ დაკვირვებულ მკვლევართ, როგორიც იყვნენ, პირველ რიგში ილია ჭავჭავაძე ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტის სტუდენტობიდან, და შემდეგ: კონსტ. მამაცაშვილი, ზ. მთაწმინდელი, მ. ვეზირიშვილი, დიმ. ყიფიანი და იონა მეუნარგია, რომელსაც დაკითხული ჰყავს ნ. ბარათაშვილის თითქმის ყველა უახლოესი ნათესავი და მეგობარი და მათ შორის პოეტის ცხოვრების ისეთი მცოდნენიც-კი, როგორიც იყვნენ: გრიგოლ ვახტანგ, გიორგი და ქეთევან ორბელიანები, პოეტის დები—ბარბარე, სოფიო და ნინო. (ეს უკანასკნელი მეუღლე იყო სულხანის ძმის ლევან ბარათაშვილისა, აგრეთვე მწერალ-ისტორიკოსისა და „ცისკრის" თანამშრომლისა),—დავ. ჭავჭავაძე, დიმ. ყიფიანი, ლევან მელიქიშვილი, ბიძინა ჩოლოყაშვილი, ლუკა ისარლიშვილი, იასე ანდრონიკაშვილი, ეკატერინე, გრიგოლ და კონსტანტინე დადიანები და სხვ., რომელთაც ყოველგვარი წვრილმანიც-კი იცოდნენ ნ. ბარათაშვილის ხანმოკლე ცხოვრებისა, მაგრამ რაც სულხანს ეკუთვნოდა, მას ისინი ნიკოლოზს ვერ მიაწერდნენ. რაც შეეხება ერთერთ ლენინგრადისეულ დოკუმენტს, სადაც „ახალგაზრდა ბარათოვი" ვითომ პოეტად იყოს მოხსენებული, ეს საკითხს ნიკოლოზის სასარგებლოდ ვერ სწყვეტს, რადგან არსებობს სხვა საბუთებიც, რომელთა მიხედვით იმ ხანებში პოეტად იხსენიებიან აგრეთვე: მიხეილ, ვანო, გიორგი, ზაალ, ლადო, რევაზ და კიდევ სხვა ბარათაშვილები და მათთან სულხანიც. რადგან

ყველა ამათ თავიანთი ძალა პოეზიაშიც მეტნაკლებად უცდიათ და ზოგიერთიც დაბეჭდილან კიდეც.

ამგვარად ბროსესაგან ხელდასმული „ახალგაზრდა ბარათოვი“—ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსი სულხან ბარათაშვილია. ივი ისტორიკოსს ბატონ. გ. ნათაძეს, სამართლიანად, დიმ. ბაქრაძის ღირსეულ წინამორბედად მიაჩნია, დიდი ერუდიციის, ენერგიისა და მონდომებით აღჭურვილ, გულწრფელ, მგზნებარე ქართველ პატრიოტად, რომელმაც მ. ბროსეს გავლენის განუცდევლად შეადგინა საქართველოს ისტორიის ის ხუთი წიგნი, რომელთა მნიშვნელობა საქართველოს ისტორიოგრაფიის თანამედროვე ეტაპზეც მრავალმხრივ ანგარიშგასაწევია.

აღნიშნულ წიგნებიდან ს. ბარათაშვილმა სიცოცხლეში მხოლოდ ერთი, პირველი რვეული გამოსცა, დანარჩენი 4 რვეული მისი სიკვდილის შემდეგ გამოიცა ორ წიგნად 1871 წ. პეტერბურგში, ხოლო 1896 წელს ისინი ქართულად ითარგმნა ჩვენი ცნობილი მწერლის სილოვან ხუნდაძის მიერ და ქუთაისის „ამხანაგობამ“ გამოსცა. მისი პირველი წიგნი, აგრეთვე, ფრანგმა მურიემაც გააცნო 1888 წ. თავის დიდ სამშობლოს.

სულხან ბარათაშვილის აზრით „ქართველი ხალხის დასაწყისი კაცთა პირველ საზოგადოებათა დაარსებამდის აღწევს და იმავე წყვდიადით არის მოცული, რომელიც გარს არტყია ქალდეველთა და საზოგადოდ აღმოსავლეთის ყველა პირველყოფილ ხალხთა მიმდინარეობის ისტორიას“. ის იყენებს ძველ გადმოცემებს, ზღაპრებს, რათა „ჰეშმარიტების მცირედი კვალი იქაც იპოვოს“.

ს. ბარათაშვილი სამართლიანად აღნიშნავს, რომ „საქართველოს ძველი ისტორია, საყურადღებოა როგორც ისტორია იმგვარი ხალხისა, რომელსაც მრავალი საუკუნეების განმავლობაში თავგამოდებით უბრძოლნია აუარებელი მტრების პირისპირ და თავისი ეროვნება დაუცავსო“.

ის კრიტიკულად იყენებს საქართველოს შესახებ ჰეროდოტესა და ქსენოფონტეს ცნობებს, „ქართლის ცხოვრებას“, ვახუშტი და თეიმურაზ ბატონიშვილების შრომებს და თვითონ მიდის იმ დასკვნამდე, რომ: „ძველი დროის მსოფლიო ისტორიაში საქართველოს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ეთნოლოგიურის, კომერციულისა და სამხედრო-პოლიტიკურის მხრით“.

„საქართველოს ტერიტორია,—განაგრძობს კვლავ ბარათაშვილი,—ხალხთა ნათესავობის აკვანს წარმოადგენს, ან და ამ აკვნის ძლიერ მახლობელი მეზობელია. თუ რომ ამ ქვეყნის პირველი მკვიდრნი გამოიკვლიეს, მაშინ ბევრი სხვა ხალხის დასაწყისიც აღმოჩნდება,—იმ ხალხებისა, რომელნიც წინათ არსებობდნენ, ან რომელნიც ახლაც არსებობენ. ეს მხარე რიონისა და მტკვრის საშუალებით, ორ იმგვარ ზღვას აერთებდა, რომელიც თავის ნაპირებით უშორესს ქვეყნებს სწვდებოდა, და აგრეთვე, ეს ქვეყანა, მთებში გასასვლელ გზების წყალობით, ხმელეთით აერთებდა ორ ქვეყნის ნაწილს—აზიასა და ევროპას. ამგვარი სასარგებლო მდებარეობით მან ადრე მიიქცია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფრიად მომჭირნე ხალხების ყურადღება, და ამის გამო საქართველო ძველი დროის აღებ-მიცემობის შუაგულ ადგილად გადაიქცაო“.

სულხან ბარათაშვილს ღირსეული ადგილი აქვს მიკუთვნებული, როგორც ნიჭიერს, ნაყოფიერს და მტკიცე მეცნიერულ ნიადაგზე მდგარ ისტორიკოს-მკვლევარს მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის საქართველოში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სერგო კლდიაშვილი — „ნოველების წიგნი“,

საბჭოთა მწერალი — 1946 წ.

სერგო კლდიაშვილი ეკუთვნის ქართული საბჭოთა პროზის მოწინავე ოსტატთა რიცხვს. თავისი სტილით, წერის მანერითა და მხატვრული უშუალობით იგი ქართული კლასიკური პროზის საუკეთესო ტრადიციების ერთერთი თვალსაჩინო გამგრძელებელია. სერგო კლდიაშვილი ყურადღებას იქცევს და მკითხველის სიყვარულს იმსახურებს ადამიანის სულიერი განცდების გამოსახვის სიწრფელით; მწერლისათვის დამახასიათებელია აგრეთვე ჭეშმარიტი შემოქმედისათვის აუცილებელი გაბედულება და ინდივიდუალური მისვლა საგნებთან, მოვლენებთან, მათი თავისებურად გააზრება. ამ მხრივ საინტერესოა მისი სვანური ნოველების ერთი ნაწილი. იქ მწერლის მხატვრულ ოსტატობასთან შემოქმედებითი ექსპრესიაც ნათლად იგრძნობა. შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე მკაფიოდ ს. კლდიაშვილის სტილის თავისებურება ამ ნოველებშია გამომჟღავნებული. იქვე შეიძლება დავინახოთ მისი ტიპიური ნაკლოვანებაც.

„ნოველების წიგნი“, უპირველესად, საინტერესოა იმით, რომ ის თითქმის შეუცდომლად წარმოგვიდგენს ს. კლდიაშვილის, როგორც ბელეტრისტის, უკანასკნელი წლების შემოქმედებითი მუშაობის სურათს. კრებულში შესულია ომამდე და ომის შემდეგ დაწერილი ნოველები და ესკიზები. ამიტომ თემატიკურად იგი ჭრელია, და შემოქმედებითი განზრახვითაც არ არის მთლიანი.

უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე ს. კლდიაშვილი უფრო მეტი ნაყოფიერებით დრამატურგიაში მუშაობდა. პროზაში მწერალს სამამულო ომის პერიოდშიც არ უმუშავნია მისთვის ჩვეული ინტენსივობით. აქედან სავსებით გასაგებია, თუ რატომ არ უპირავს სარეცენზიო კრებულში სათანადო ადგილი სამამულო ომის თემატიკას — საბჭოთა ხალხის გმირულ ბრძოლასა და დაძაბულ შემოქმედებითს შრომას მტერზე გამარჯვებისათვის.

სარეცენზიო კრებული ძირითადად სვანური ნოველებისა და ისტორიული თემებისადმი მიძღვნილი მოთხრობებისაგან შესდგება.

სერგო კლდიაშვილის სვანური ნოველები შეიძლება დღეს ისე დიდად აქტუალური არ იყვნენ, როგორც იყვნენ ისინი თავის დროზე, მაგრამ ინტერესს მოკლებული მაინც არ არიან. ისინი უმთავრესად თანამედროვე მოთხრობები არიან, არა მხოლოდ თავისი დაწერის თარიღით, არამედ მათში ასახული ცხოვრებითაც.

ს. კლდიაშვილის ამ მოთხრობების ერთი ნაწილი გვიჩვენებს, თუ საბჭოთა სინამდვილემ როგორ გარდაქმნა ეკონომიურად და კულტურულად ჩამორჩენილი ადამიანების ცხოვრება, როგორ აამაღლა მათი შეგნება და გამოიყვანა ისინი შემოქმედებითი შრომის ფართო ასპარეზზე. ამ ნოველებში დაპირდაპირებულია ძველი და ახალი. ამ ორი ძალის ბრძოლაში ისტორიული სისწორითა და დიდი ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით არის გადმოცემული ახალის ტრიუმფალური გამარჯვება. ახალის გამარჯვება ხდება ისეთი ორგანიული უშუალობით, რომ, დიდი ტკივილების მიუხედავად, ძველი რუტინით დამძიმებული ადამიანებიც, თავისუფლდებიან რა ადრინდელი ადათ-ჩვეულებებისაგან, გაბედულად ჰგმობენ წარსულს და ეძლევიან კულტურულ ცხოვრებას.

ამ თვალსაზრისით საკმარისია გავარჩიოთ „მტრები“.

მოთხრობა სვანების ყოფა-ცხოვრებაზეა აგებული. იგი გვიჩვენებს, თუ რა მძლავრი გარდატეხა მოახდინა ადამიანთა შეგნებაში საბჭოთა სინამდვილემ, საბჭოთა კულტურამ, როგორ შესცვალა მან არა მარტო მეურნეობის სახე, ადამიანთა ფსიქოლოგიაც. ოთარის უფროსმა ძმამ მოკლა ომანის უფროსი ძმა. მკვლელი გაექცა შურისძიებას, სამართალსაც თავი აარიდა, სურდა სადმე გადაკარგულიყო, მაგრამ „ბედი" იყო თუ შემთხვევა, [illegible] სამყოფელს ეძებდა,—კლდის ნაპრალებში გადაიჩეხა. მოკლულთან ერთად მკვლელიც დაღუპა... მაგრამ ეს მკვლელის ოჯახს სისხლისაგან არ ათავისუფლებდა. ადათის მიხედვით სისხლი აუღებელი რჩებოდა. ომანს შური ოთარზე უნდა ეძია. სხვანაირად დაზარალებულის გვარი ვერ დამშვიდდებოდა. შერიგება შეუძლებელი იყო. ოთარს სიცოცხლე სწყუროდა, იგი „გამოწვევას" ვერ მიიღებდა, სვანეთიდან სადმე შორს უნდა წასულიყო, უნდა დაეტოვებინა მთა და ბარში ეცხოვრა ისე, რომ მისიანებსაც არ სცოდნოდათ მისი სამყოფელი ადგილი. ოთარმა მიატოვა მშობლიური კუთხე. მაგრამ სულიერ სიმშვიდეს მაინც ვერ მიაღწია. შიშს დიდი თვალები აქვსო, ამბობენ, დ ოთარსაც ხშირად ელანდებოდა, რომ მას დაეძებდნენ, დასდევდნენ, მოკვლას უპირებდნენ. შიშის ეს გრძნობა ოთარში კიდევ უფრო მას შემდეგ გაძლიერდა, როცა შეიტყო, რომ მოკლულის უმცროსი ძმა ომან მარშანიაც წამოსულიყო მთიდან. ოთარი ფიქრობდა, რომ ომანი მის კვალს დაედევნა, დღეს თუ ხვალ შეხვდებოდა და სიცოცხლეს გამოასალმებდა. ასეთ ფიქრებით დამძიმებულ ოთარისათვის ცხოვრება სატანჯველად გადაიქცა. შეიძლება ასეთი სიცოცხლე კიდევაც გაემეტებინა ადვილად, მაგრამ სიკვდილი მაინც არ უნდოდა. ბევრი ხეტიალის შემდეგ ოთარი ბარის ერთერთი პატარა ქალაქის ქარხანაში მოეწყო სამუშაოდ. ერთ საღამოს სამუშაოდან დაღლილი დაბრუნდა საერთო საცხოვრებელში, დაწვა და მაშინვე მკვდარივით დაეძინა. დილით მას ჩვეულებრივად არ გაუღვიძია, თითქოს საშინელმა სიზმარმა ძილი დაუფრთხოვო,—უეცრად თვალები გაახილა. გაახილა, მაგრამ ერჩია ისევ საშინელი სიზმრის ბურანში ყოფილიყო. თვალებს არ უჯერდა. მის საწოლზე იჯდა ის კაცი, რომელსაც მთიდან გამოექცა. მისჩერებოდა შიშით შეპყრობილი და გაფითრებული სწორედ ისე, როგორც შეიძლება წარმოიდგინოთ გარდუვალი სიკვდილის პირას მდგარი ადამიანი, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ წამებს ითვლის.

„ომან მარშანია, ოდესღაც მეგობარი, ახლა მხოლოდ მოკლულის ძმა იყო და ოთარმაც იცოდა, რომ მან ფიცი დასდო სამაგიერო სისხლი ეზღო.

— ოთარ, ბიჭო! — შეანჯღრია ომანმა ღონიერი ხელებით, მერე რაღაც დაიბობღინა და გაიცინა".

უცნაურად მოეჩვენა ოთარს ეს სიცილი და მწვავედ მოხვდა გულში. მასში, როგორც მწერალი გვეუბნება, იმ ნადირის სიხარული წარმოიდგინა, რომელსაც ბრჭყალებში ჰყავს მოქცეული მსხვერპლი. რას იფიქრებდა იგი, რომ ის კაცი, რომელსაც ძმის სისხლი უნდა აეღო, მეგობრული გრძნობებით მივიდა მასთან და მისი ნახვით ნამდვილი ადამიანური სიხარული განიცადა. ოთარი ვერ გამორკვეულიყო და ომანის ყოველი საალერსო სიტყვა რაღაც საშინელ იჭვებს აღუძრავდა. როცა ომანმა სთხოვა ამდგარიყო და ერთად გაევლოთ, ოთარმა წარმოიდგინა, რომ იგი მოხერხებულ დროსა და ადგილს ეძებდა. უფრო მეტად შეაშფოთა იგი წინადადებამ—ხვალიდან მასთან ემუშავნა საამქროში. „ერთად ვიქნებით... ამას გაურბოდა და საბოლოოდ ვერ გაქცეოდა".

მთელი ეს მოქმედება მწერალს გაშლილი აქვს მძაფრ ფსიქოლოგიურ ვითარებაში. ამ პატარა ნოველაში ყოველი სიტუაცია, ყოველი ფსიქოლოგიური დეტალი დიდი ოსტატობითა და დამჯერებლობით აქვს დახატული. მკითხველი დაძაბული ინტერესით ადევნებს თვალს პერსონაჟის მოქმედებას და უშუალოდ აღიქვამს მათს სულიერ განცდებს. დიდია ამ ნოველის ემოციური და იდეური ზემოქმედების ძალა. მცირე მოცულობის მიუხედავად, მწერალი მასში მკაფიოდ გვიჩვენებს ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებასა და ადამიანთა შეგნებაში მომხდარ უმნიშვნელოვანეს ცვლილებებს.

საბჭოთა სინამდვილემ სავსებით გარდაჭმნა ომან მარშანია. ოთარი ხედავდა ამ ცვლილებას, იგი ხედავდა, რომ ომანი ისეთი აღარ იყო, როგორადაც მას მთაში იცნობდა; თვით ოთარიც არა ჰგავდა თავის წინაპრებს. მასში შინაგანად მოცემული იყო რაციონალური მარცვალი, რომელზეც ახალ დროს ადვილად შეეძლო გამაკეთილშობილებელი გავლენა მოეხდინა. მკითხველმა ჯერ კიდევ არ იცის, თუ რას ფიქრობს საბოლოოდ ომანი, აიღებს თუ არა იგი ძმის სისხლს,—რომ ოთარს ხიფათი შეემთხვევა. მუშაობის დროს ცეცხლი წაეკიდება ტანისამოსზე წაბარბაცდება, წაიქცევა, თავს რკინის გობს დაჰკრავს და უგრძნობლად დაგორდება ძირს. იგი სისხლისაგან დაიცლება. საჭირო გახდება სისხლის გადასხმა და აი, აქ უკვე ყველაფერი გამოირკვევა. ომანი თავის სისხლს მისცემს მეგობარს. და როცა ავადმყოფი გამოკეთდება, მის საწოლზე ჩამომჯდარი ომანი ღიმილით ეტყვის:

— „ახლა კი ნამდვილად გმართებს ჩემი სისხლი!“

გზადაგზა მწერალი დამახასიათებლად და მიმზიდველად გვიხატავს ახალი ფერებით ამკტყველებულ პეიზაჟს, სოციალისტურმა ინდუსტრიალიზაციამ რომ შეიტანა ლანდშაფტად გადაშლილ მინდვრებში. ბუნებისა და ეკონომიური ცხოვრების ეს სიახლენი ორგანულად ეხმაურებიან ადამიანთა ინტელექტუალური გარდაქმნის პროცესებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სვანური ნოველებიდან ასევე საინტერესოა „პარტიზანები“. ნოველის თემა გადმოცემულია საბჭოთა წინახანის საზოგადოებრივი ყოფის ფონზე. მასში იგრძნობთ იმ ტიპიურ ატმოსფეროს, რომელიც დამახასიათებელი იყო მაშინდელი ცხოვრებისათვის. მართალია, ავტორის მთავარი მიზანია გვიჩვენოს სვანთა სტიქიური დამოკიდებულება რევოლუციური მასების სამართლიან ბრძოლასთან მენშევიკურ-ბურჟუაზიული რეჟიმის წინააღმდეგ, დაგვანახოს მათი დიფერენცირებული დამოკიდებულება მოვლენებისადმი, გვიჩვენოს ტრადიციის სიძლიერე და მასთან დაპირდაპირებულად გამოამეღავნოს ცალკეულ ადამიანებში ბუნებრივად მოცემული კეთილშობილების ძალა. მაგრამ ღრმა ინდივიდუალური და ფსიქოლოგიური მომენტების პარალელურად მკითხველი შეიცნობს საზოგადოებრივ ძალთა ჭიდილს და პარტიზანთა ბრძოლის სამართლიანობას. ყველაფერ ამას მწერალი პატარა ნოველში ოლად აღწევს, რადგან იგი მცირე ფორმის შესანიშნავი ოსტატია. მას გამომუშავებული აქვს მხატვრული მეტყველების ლაკონიური, მაგრამ ტევადი სტილი. რამდენიმე სტრიქონში იგი ახერხებს მკაფიოდ გადმოგვცეს პერსონაჟის ტიპიურ ხასიათებამდე ამაღლებული თვისებანი.

ასევე საინტერესოა „უშგულ“, რომელიც უფრო შორეულ წარსულს ეხება და ასახავს ჩვენი ხალხის სიმამაცესა და გონივრულობას, „ციცინო გურიელი“ პირველი რევოლუციის თემაზე, „შემთხვევა ძველ გორში“, „გურამიშვილის ღამე“, „ჭინკა“, „ხალდე“—მეფის ჯარის მიერ თავისუფლებისმოყვარე სვანებთან ბრძოლის თემაზე, „თქვენი გამარჯვებისა, ძმებო“ და სხვ.

კრებულში მოთავსებული ყველა ნოველა მხატვრულად ერთნაირი ძალით არ არის დაწერილი. ავტორი ხშირად ვერ ამეღავნებს აგრეთვე მსოფლშეგრძნობის მთლიანობას. რასაც ერთ ნოველაში ჰგმობს, იმას მეორეში, რატომღაც, რომანტიზირებულად წარმოგვიდგენს. ზოგჯერ ინერტიულად მიჰყვება ტრადიციულ ჰუმანიზმს და ერთგვარ ხარკს იხდის ძველი „რაინდული“ სულის წინაშე. მწერლის ასეთ მოთხრობებს აკლიათ სიღრმე და ზოგადტიპიურობა. მწერალი ვერ გაჯერებთ, როცა სახალხო აჯანყების მონაწილე, მეფის მოხელეებისადმი შურისძიებით აღგზნებული თამბორ რატიანი „რაინდულ“ სულგრძელობას იჩენს და ხელს არ ახლებს მეფის ოფიცერს არკადი ადილანს, რომელმაც ცოტა ხნის წინათ მოულოდნელად ხმალი დასცხო თავში სასიკვდილოდ. („ხალდე“). ნოველაში „მურზაყანი“ არა მხოლოდ გამართლებულია სისხლის აღება, არამედ მას ს. კლდიაშვილი მიმზიდველ, რომანტიულ ფერებით გვიხატავს. მურზაყანი იწვის, იტანჯება, სანამ სისხლს აიღებს. სისხლის აღება მისი საარსებო ინტერესია. მურზაყანს იმის რწმენაც აწუხებს, რომ თუ სისხლი არ აიღო, საიქიოს მისი სული ვერ მოისვენებს. ამ სახეს მწერალი სიყვარულითა და თანაგრძნობით ძერწავს. აქედან აშკარაა, ამ მოთხრობებში დაცული არ არის იდეური თანმიმდევრობა.

ასევე შეიძლება ითქვას „ლაშხეთის ბატონზე“. ლაშხეთის ბატონს დევლეთ ყიფიანს ყმები აუჯანყდნენ. დევლეთი მთაში გაიქცა და რვა ერთგულ ყმასთან ერთად კოშკში შეიფარა თავი. ხალხმა კოშკს ალყა შემოარტყა. დევლეთი ან უნდა დანებებოდა ყმებს, ან თავის რვა მხლებელთან ერთად შიმშილით მომკვდარიყო კოშკში. მწერალი ვერც ერთისა და ვერც მეორისათვის ვერ იმეტებს დევლეთს, უნარჩუნებს მას თავის ბატონურ სიზვიადეს და ვაუკაცურად ღუპავს. კოშკს სალტედ შემორტყმული ხალხი სიკვდილით ემუქრება დევლეთს. დევლეთი არ დაიბნა. იგი ავიდა კოშკის თავზე, „თვალით მოსძებნა მაღალი სვანი, მომართა ხელში ხანჯალი და ესროლა. მხარში მოხვედრილმა სატევარმა სვანი ჩაკეცა. მაშინ დევლეთმა, რომელსაც ისრები ყოველ წუთს სიკვდილით ემუქრებოდნენ, პირჯვარი სწრაფად გადაისახა, ჩახედა მუჭარად ამართული წვეტიან შუბებს და გადახტა“.

ასეთი სიკვდილი გმირს შეშურდებოდა! ამ ნოველის მხატვრული კონცეპცია არ მიგვაჩნია იდეურად გამართლებულად. ჰუმანიზმისა და რაინდობის მხატვრული „ობიექტივიზმის“ ძველი გაგება მიუღებელია საბჭოთა ლიტერატურისათვის.

ზოგიერთი ნოველის იდეა ბუნდოვანი და ბევრი არაფრის მთქმელია („წარმართი“).

მოთხრობების ერთ ნაწილში მკაფიოდ არის გამომეღავნებული ს. კლდიაშვილისათვის დამახასიათებელი ჯანსაღი ჰუმორი („ზეიმი“, „კარაბადინი“ და სხვ.).

მაგრამ, რამდენადაც სარეცენზიო კრებული სამამულო ომის შემდეგ გამოვიდა და მასში შესულია ავტორის მიერ ომის პერიოდში და მის შემდეგ დაწერილი მოთხრობები და ესკი-

ზები, არ შეიძლება მათზეც ჯეროვანი ყურადღება არ შევაჩეროთ. წიგნი, როგორც უკვე ვსთქვით, ავტორის შემოქმედებითი მუშაობის ღირსებასთან, მის ნაკლზეც ნათელ მაგალითად გვხვდება. ვერ ვიტყვით, რომ ს. კლდიაშვილი, როგორც ბელეტრისტი, თავისი ნიჭისა და უნარის შესაბამისად მუშაობდა სამამულო ომის პერიოდში. პირიქით, ჩვენ, საკუთრებით თანავუგრძნობთ მკითხველს, რომელიც სიყვარულით გადაშლის კრებულს „ადამიანი“ ... ავტორ-ოსტატ-ოსტატ-ოსტატ

მოთხრობებისა კომპოზიციურ სისუსტეში მდგომარეობს. ხშირად შინაარსობრივად საინტერესო მოთხრობებიც კი შინაგან დრამატულობას მოკლებულია და მკრთალად [illegible].

მწერალი დამახასიათებლად გადმოგვცემს პერსონაჟის შინაგან განცდებს, რაც [illegible] სიმართლესა და ცხოველმყოფელობას არ არიან მოკლებულნი, მაგრამ ვერ ახერხებს თავისი, როგორც მწერლის, საკუთარი მღელვარება გვაგრძნობინოს; მართალია [illegible] ძრძუშავებული მსოფლშეგრძნობა, მაგრამ მისი მხატვრული დამოკიდებულება [illegible] ცხოვრებისადმი მაინც ინერტიულია, იგრძნობა მხატვრული გაუბედაობაც; თხრობას არ ეტყობა სილაღე, მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ავტორს თავიდანვე გარკვეული წერტილი ამოულია მიზანში და მისკენ მიისწრაფის.

კლ. გოგიავას მოთხრობების ღირსება საკითხების გადაწყვეტის სიმართლეშია. ავტორი არასოდეს არ ღალატობს გონებრივ ლოგიკას, და რანაირადაც არ უნდა წარიმართოს მოქმედება, „ბედისწერა" პერსონაჟისა, იგი მაინც მოაბრუნებს გარკვეული განზრახვისაკენ.

მხატვრული სიმართლე მოითხოვს მოვლენების ცხოვრებისეულ აღქმას, მათს გადმოცემას ბუნებრივი უშუალობით; გოგიავას მოთხრობებს აკლიათ ეს უშუალობა, ეტყობათ ერთგვარი ნაკეთობა, რაც სიმშრალის მკვეთრ კვალს აჩენს მათ.

მოთხრობებს ენობრივი ხიბჭიც აქვთ. აქ ჩვენ მხატვრულ ენაზე ვლაპარაკობთ.

ხარეცენზიო მოთხრობების ღირსებები ავტორის უდავო მხატვრულ ნიჭზე მეტყველებენ..

როდესაც მწერლის მხატვრული ნიჭის ღირსებაზე ვლაპარაკობთ, აქ მხედველობაში გვაქვს არა მხოლოდ ასახული მოვლენების იდეური სიმართლე, არამედ, ის გარკვეული სითბოც, რომელსაც ჰქმნის მწერალი პერსონაჟის სულიერი ცხოვრების გადმოცემისას.

ყოველ მოთხრობაში არის რაციონალური მარცვალი: ზოსიმემ („მამა და შვილი") ორმოცი წელი გაატარა ქარხანაში. ომი რომ დაიწყო, მისი ერთადერთი ქალიშვილი ფრონტზე წაიყვანეს. დარჩა შინ მარტოდ-მარტო. ცოლი კარგა ხანია გარდაეცვალა და ახლა როცა ერთადერთი იმედიც თვალიდან მოსცილდა, მოუსვენრობა დაეტყო, აიწყო მისი წყნარი ცხოვრება. პენსიაზე იყო, ქარხანაში აღარ მუშაობდა და მთელ თავისუფალ დროს ამაფორიაქებელ ფიქრებში ატარებდა. სპეციალისტი იყო ზოსიმე, ომის დროს დიდად ესაჭიროებოდა ქარხანას მისი ცოდნა და გამოცდილება, მისმა გაზრდილმა შეგირდმა, რომელიც ახლა დირექტორადაა, რამდენჯერმე სცადა ეთხოვნა ზოსიმესათვის დაბრუნებულიყო ქარხანაში, გვერდში ამოსდგომოდა ახალგაზრდებს და თავისი წვლილი შეეტანა ქვეყნის დაცვაში. მაგრამ ვერ გაებედა, არ ეწყინოსო, მოხერხებულ დროს ურჩევდა... მაგრამ ზოსიმე დამოუკიდებლად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქარხანას დაბრუნებოდა, ამ განსაცდელის ჟამს თავისი ცოდნა და ენერგია სამშობლოს ინტერესებისათვის შეელია. როცა მან ფრონტიდან დროებით შინ დაბრუნებულ ქალიშვილს შეხედა, რომელიც ვაუკაცის საქმეს ასრულებდა, ზოსიმეს სისხლი აუჩქროლდა, იგრძნო, რომ ამ დროს ვაუკაცს შინ არ დაედგომებოდა, რითაც შეეძლო უნდა დახმარებოდა ქვეყანას. დილით ადრე ჩუმად ადგა, მძინარე შვილს სიყვარულით დახედა და ქარხნისაკენ გასწია სამუშაოდ.

ასეთივე თბილი და უშუალო გრძნობებია გამოხატული მოთხრობებში „დედა", „დაბრუნება", „სიზმარი", „ბეკა". მათში აღბეჭდილია დიდი მოქალაქეობრივი და წმინდა ადამიანური, ნათელი ინტიმური განცდები, მაგრამ აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ნიუანსების სიმართლეს ავტორი ყოველთვის არ აქცევს ყურადღებას, რაც ნაწარმოების მხატვრულ სიმართლეს დიდად ამცირებს. მაგალითად, მოთხრობაში „დედა", შვილი, ფაშისტთა ურდოებზე გამარჯვების შემდეგ ჯარიდან დაბრუნდა და შინ მხოლოდ მამა დახვდა. დედა გარდაცვლოდა და წინა დღეს გაესვენებიათ. მამა უმალავს შვილს, მაშინვე ვერ ეუბნება დედის გარდაცვალების ამბავს და თვითონ შვილიც ვერაფერს ხვდება. ამ დროს საცოლე და სასიმამრო მოვლენ და ქეიფი ჩაღდება, ძნელია დაიჯერო, რომ ოჯახში, საიდანაც წინადღეს უსაყვარლესი ადამიანი გაასვენეს, ყველაფერი ისე „წესრიგში" იყო, რომ შვილი ვერაფერს მიხვდა. ვერც იმას შევურიგდებით ფსიქოლოგიურად, რომ შვილის ჩამოსვლის სიხარულს საყვარელი ადამიანის სიკვდილით გამოწვეული მწუხარება იმდენად დაეფიწყებინოს მახლობელთათვის, რომ მაშინვე სიხარულსა და ქეიფს მისცემოდნენ. ასეთი შეუსაბამო ამბავი შეიძლება სადმე მოხდა, მაგრამ ის მხატვრულ სიმართლეს ნაწარმოებში ვერ შეჰქმნის, იგი ყალბია ცხოვრებაშიც და ყალბია მხატვრულ ნაწარმოებ-

ზიც. ასეთ არა ტიპიურსა და უხეშ ხელოვნურ მომენტებს ავტორის სხვა მოთხრობებშიც შეეხვდებით. ისინი არა სწორად წარმოგვიდგენენ საბჭოთა ადამიანების ფსიქოლოგიურ ცხოვრებას, პირადისა და საზოგადოებრივის ურთიერთობას. საბჭოთა მწერალი ღრმად უნდა ჩასწვდეს თანამედროვე ადამიანის სულს და სწორად დაგვიხატოს იგი. საბჭოთა ადამიანის თავისებურება ისაა, რომ იგი არის შემკრები ყველაზე კეთილშობილური და ბერძენდამიანური თვისებებისა. მას, უსაზღვროდ უყვარს რა თავისი აწმყო და ღრმად სწამს რა თავისი უფრო ბრწყინვალე მომავალი, მზად არის მთელი თავისი ძალა და ნიჭი, მთელი თავისი სიცოცხლე შესწიროს სოციალისტური სამშობლოს დაცვას, მისი ძლიერების განმტკიცებას, კომუნიზმის მშენებლობას, ამავე დროს მისთვის არაფერი ადამიანური უცხო არ არის. საბჭოთა ადამიანისათვის ისევე ბუნებრივია და უშუალო დედის გარდაცვალებით გამოწვეული მწუხარება, როგორც ბუნებრივია და წრფელი დიდი საზოგადოებრივი საქმით გატაცება, სამშობლოსათვის გმირული თავდადება. ეს ორი მაღალი ადამიანური გრძნობა — საზოგადოებრივი და პირადული ერთმანეთს კი არ უპირდაპირდებიან, არამედ ავსებენ და ქმნიან სოციალისტური ეპოქის ადამიანის ტიპს.

ახალგაზრდა მწერალი ღრმად უნდა ჩაუკვირდეს თავის ნაკლოვანებებს, თუ მას სურს ჭეშმარიტი შემოქმედების ფართო გზაზე გამოვიდეს. იგი უნდა შეეცადოს დაეუფლოს ძხატვრულ ენას, თავი დააღწიოს შაბლონს და ღრმად შეისწავლოს ცხოვრება.

ე. ბ.

ᲤᲐᲡᲘ ᲐᲜᲐᲑ.
Госпубли
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„МНАТОБИ“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ